

საქართველოს მუზეუმების
МУЗЕИ РЕВОЛЮЦИИ

მ ლ ა მ ბ ე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეხუთე

№ IX

სექტემბერი, 1898

55029



ტფილისი

УДК 006.008.004.001.01(082) ББК 01(082) 1898

0 8 8 6 1 6

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 октября 1898 г.



შ ი ნ ა ა რ ს ი

I—ქორიოლანოს.—ხუთ მოკმედებიანი ტრაგედია, უაღმაშეკრებად შექმნილია, თარგმანი თ. ი. ძაჩხაძისა	83• 1
II—სიყვარული.—ამბავი გ. ტონელისა, თარგმანი ი. ა.—ძისა	25
III—ნამდვილი სამსახური.—ი. ზოტაშენკოსა, თარგმანი ეფრესინე კლდიაშვილისა	35
IV—* *—ლექსი, შ. ძღვიმელისა	97
V—დაუსრულებელი რომანი.—მარკ ტვენისა, თარგმანი S—ახი	99
VI—უენიუხვები სოციალიზმზედ.—გუსტავ ლებონისა თარგმანი ი. ფანცხვასა	1
VII—ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან.—წერილი მეოთხე: თ. ი. ჭავჭავაძე. კიტა აბაშიძისა	1
VIII—ნოტიები და გეგმიური ნოტიები.—ზრდოვ. რ. ვანსოვისა, თარგმანი ს. ენუქიძისა	33
IX—გურია-აჭარა.—მგზავრის წერილები, თავი XIII და XIV თ. სანოკიასა	58
X—ქველი ხელთნაწერები.—გ. ბანსოვისა	89
XI—ცხოვრება და მშრომლობა.—I. ქაზიყის დეზოს ამბები.—II. განდევნილი. ლექსები 1898 წ. მეტასტაზისა	95

კორიოლანოს

მისამი მოქმედება

სურათი I

რომი. ქუჩა.

(საყვირის ხმა. შემოდინ კორიოლანოს, მენენიოს, კომინიოს, ტიტოს, ლაბრეიოს, სენატორნი და პატრიციები).

კორ. მაშ აფიდიოს აღარ იშლის?

ლარც. აღარ ისვენებს
და ამის გამო დავაშურეთ პირობის შეკვრა.

კორ. ეტყობა, ვოლსკნიც წინანდელეებრ დროს-ლა ელიან,
რომ თავს დაგვესხნენ.

კომ. არა, ვოლსკნი, დიდო კონსულო,
ძლიერ არიან გალახულნი და, ვგონებ, იმათ
დროშების ფრიალს ჩვენ ჩვენს ხანში ვერ მოვესწრებით.

კორ. აფიდიოსი ნახე შენა?

ლარც. მკველ-შემორტყმული
მოვიდა ჩემთან. ვოლსკებს ფრიად ლინძლავდა იგი,
რომ ისე ურცხვად ჩააბარეს მტერს ქალაქიო;
მერე ანციუმს გაემგზავრა.

კორ. ჩემზედ გითხრა რამ?

ლარც. დიად, კონსულო.

კორ. რაო, რა სთქვა?

ლარც. მითხრა, რამდენჯერ

შეგყრია იგი პირის-პირად; რომ ქვეყანაზედ
 არ ეჯავრება არაფერი ისე, როგორც შენ;
 რომ ოღონდ შენი დამარცხება ბედმა არგუნოს .
 და არ დაზოგავს უკანასკნელს საცხოვრებელსა.

კოწ. ანციუმშია ის ამ ჟამად?

ჯანც. ჰო, ანციუმში.

კოწ. ნეტა მიზეზი მქონდეს ეხლა მე იქ წასვლისა,
 ეს სიძულვილი მის სიძულვილს წინ დავუყენო.—
 მშვიდობა შენი მობრძანება.—

(სიციინაოს და ბჭუტას შემოვლენ).

აგერ გამოჩნდნენ

ხალხის ტრიბუნნი, მის აზრების გამომეტყველნი.
 რა რიგად მძაგან! მედიდურად თავიც რომ მოაქვთ!
 როგორ გაუძლოს კაცმა მაგათ ბრიყვ ყოყოჩობას!

სიც. ნულარ დაიძვრი.

კოწ. ეს რას ნიშნავს?

ბჭუტ. სახიფათოა,

წინ ნულარ წახვალ.

კოწ. სთქვი, რა მოხდა.

მენ. რა ამბავია?

კოწ. ხომ დიდებულთაც აირჩიეს, დაბალმა ხალხმაც...

ბრ. ეგ, კომინიოს, არჩეული არა ყოფილა.

კოწ. ბავშვებმა მომცეს მაშ ის ხმები?

1 სენატ. გზა, ტრიბუნებო!

ბრ. მოედნისაკენ მიაშურებს ხალხი, ძალიან

მღელვარებს მაგის წინააღმდეგ.

სიც. წინ ნულარ წახვალ,

თორემ საერთო შფოთს ასტეხენ.

კოწ. ოჰ, რა გაწვრთნილი

ფარა გყოლიათ!—ამისთანებს ხმა მიანიჭეთ!

ჯერ გთანხმდებიან, წამსვე უკან მიაქვთ თვის სიტყვა!

რა ხართ, მითხარით? თუ ქვეყანა ხალხის პირს გიხმობთ,

რა დაგემაართათ, რომ კბილები ვერ მოუარჯულებთ?

მაგრამ იქნება წააქვხეთ პირიქით თქვენვე.

შენ. გთხოვთ, რომ დაწყნარდე.

კარ. განგებ არის მოხერხებული,
 შეთქმულობაა დიდებულია დასამცირებლად.
 უნდა ითმინოთ და იკისროთ მათთან ცხოვრება,
 რომელთა არც მარავე შეუძლიანთ, არც მორჩილება!

ბნ. ტყვილად მიზეზობ შეთქმულობას: ხალხი სჩივის, რომ
 მუდამ დასცინი და, როდესაც ამას წინაღ მას
 პური უფასოდ დაურიგეს, გაბრაზდი მეტად,
 უკანასკნელად მის დამცველნი მოიხსენიე
 და დააბრალე ცბიერება, დიდებული მტრობა.

კარ. ეგ განა წინაღ არ იცოდნენ?

ბნ. იცოდა ზოგმა.

კარ. და შენ კი მოსდე მთელ ქვეყანას....

ბნ. რაო, მე მოვდე!

კარ. გაგიკვირდება!

ბნ. ვერავინ ვერ მისაყვედურებს
 ვერც მაგას, ვერც შენს განდიდებას.

კარ. კონსულობისთვის
 თავს რად ვიცხელებ: ის არა სჯობს, ჩაეიქვეითო
 და გვერდს დაგიდგეთ ტრიბუნადა!

საღ. მაგ ხასიათით
 შენ ხალხს აღელვებ და, თუ სწორე გზას გზურს დაადგე,
 საიდგანაც აწ გადამცდარხარ, უფრო თავაზით
 მონახე იგი, თორემ მაგგვარ უხამსის ქცევით
 ვერც კონსულობას ეღირსები, ვერც ტრიბუნობას.

შენ. დავმშვიდდეთ, კმარა.

კამ. აშკარაა, ხალხს ატყუებენ:
 ესეთი შფოთი რომს არ ჰფერობს, არც ღირსი არის
 კარიოლანოს ჯეროვანად წარმატებული
 ესრედ ვერაგად, სათაკილოდ, ხელის შეშლისა.

კარ. პურს მიაფრინდნენ! დიალაც ვთქვი და ეხლაც ვიტყვი...

მენ. არა, ეხლა ნუ!

1 სენატ. ნურას იტყვი ამ ღელვა-შფოთში.

კარ. არა უნდა ვთქვა, ვფიცავ თავსა! გთხოვთ მომიტევეთ, პატივცემულნო მეგობარნო. ამ ქარაფშუტა, აყროლებულ ბრბოს პირში ლაქუსს მე ვერ დავუწყებ! ამ ჩემ სიტყვებში განიცადონ თავიანთ სახე. ყველას წინაშე აღვიარებ, რომ თავაზითა ჩვენვე ხელს ვუწყობთ ღვარძლს შფოთის და აჯანყებისას, ჩვენვე ვუმზადებთ ნიადგსა, ვუხნავთ, ვუფარცხავთ, სენატს ძირს ვუთხრით მით, რომ გლახებს ჩვენს გვერდით და ვუნაწილებთ ჩვენს ღირსებას, ჩვენს უფლებასა. [ვისხავთ

მენ. კარგი, გეყოფა.

1 სენატ. გთხოვთ, გაჩუმდე.

კარ. რისთვის გავჩუმდე!

ქვეყნისთვის სისხლი დამიღვრია, გავძლავრებივარ მხნედ გარეშე მტერს, ეხლაც ენას არ გავაჩერებ დადუმებამდე იმ ქეციანთ გასაკიცხადა, რომელთაც უნდა შორს ვუვლიდეთ და თავს ვეველებით.

ბრ. შენ ხალხზე ისე ლაპარაკობ, თითქო განმკითხი ღმერთი იყო და არა სუსტივ ადამიანი.

საწ. უნდა ეს ყველა ხალხს ვაცნობოთ.

მენ. რა საცნობია,

გაცხარებული ლაპარაკობს.

კარ. გაცხარებული!

იუპიტერის სახელს ვფიცავ, მშვიდად რომ ვიყო, ვით შუალამის ძილი, მაინც მაგასვე ვიტყვი.

საწ. დეე, მაშ ისევ შენ მოგწამლოს შენმა სიტყვებმა, სხვებს რაღად გესლავ?

კამ. უკანონო არა უთქვამს-რა.

კარ. დეე! ოჰ სუსტნო, უზაკველნო, ქვეყნის მამანო, დარბაისელნო სენატორნო, თუმც მოკლედ მხედნო! რად არჩევენებთ იმ გველს ესეთს ბრიყვ მოხელესა, რაც ღოროტოტოდ მსახურებს მას, კადნიერებით

„დეე“-ს მოგძახებთ, გელობებათ ამაყად გზაზედ
 და დამყაყებულს ქაობს ურთავს თქვენს მდინარებას.
 თუ ძალა მარტო მის ხელშია, გამოტყდით რალა,
 თუ არა, რისთვის იღუბებით ქალაჩუნურად?
 თუ სიბრძნე თქვენ გაქვთ, თავს რეგენებად რად მოაჩვენ-
 თუ არა, გვერდით ბალიშებზედ მოისხით ბარემ. [ნებთ,
 თუ კი პლებები თქვენ ყოფილხართ, სენატორები
 მაშინ ეგენი იქნებიან, არიან კიდევ:

მათი ხმა უფრო მაღლა ისმის ამ ქრიამულში,
 თავიანთ მსაჯულს თვით ირჩევენ, აი ასეთსა,
 რომელიც კრებულს პატივცემულს, რის მსგავსიც თითონ
 საბერძნეთსაც კი არ უნახავს, თამამად პირში
 ახლის თვის „დეე“-ს, ხალხისაგან ტკბილად მიჩნეულს.
 გროშად აღარ ღირს კონსულობა, ვფიცავ ზეცასა.
 სული მიწუხს, რა ვხედავ ესეთს არეულობას,
 ვით ორი ძალა ერთმანეთსა შესქიდებია,
 დაუბუნდია იმათ შორის ჩხუბსა და მტრობას
 და აღარ ინდობს დასალუბად ერთი მეორეს.

კომ. კმარა, მოედანს წადით ყველა.

კორ. ვინც თქვენ გირჩიათ,
 პური უფასოდ ბელლებიდან დაურიგეთო,
 რასაც ხანდისხან საბერძნეთში იქმოდნენ ხოლმე...

მენ. გაჩუმდი-მეთქი, გთხოვ, რომ პურზედ აღარა სთქვა-რა.

კორ. და იქ უფლებაც მეტი ჰქონდა ხალხს შეძენილი,—
 ესეთმა რჩევამ, ვამბობ კიდევ, ჩააგდო თესლი
 მღელღარებისა, შეეთხარა ქვეყანას ძირი.

ბრწყ. ამის მოქმელს უნდა მიანიჭოს ხალხმა თვის ხმები!

კორ. საბუთსაც გეტყვით, ხმებზედ უფრო პატივ-სადებსა:
 რაკი იცოდნენ, პური მუქთად ურიგდებოდათ
 და საზრუნავად აღარ ჰქონდათ, აღარც ცდილობდნენ
 დამსახურებას ერთგულებით; როცა ქვეყანას
 მტერი ზედ ადგა, ქალაქიდან არც კი დაიძრნენ,—
 და ამბობთ, პური უსასყიდლოდ უნდა მიეცეთო!

ომშიაც კიდევ სიმხნე მასში გამოიჩინეს,
 რომ თითონ ჩვენსვე წინააღმდეგ ასტეხეს შფოთი
 და დასდეს სენატს უმიზეზოდ სხვა-და-სხვა ბრალი.
 ვგონებ, რომ არც ეს გვაძლევს მიზეზს ჯილდო ვაძლიოთ.
 მერე სენატის სულგრძელობას როგორი თვალთ
 შეჭხედეს ამ ბრძაბთ? შეუზოვარ თამამის ქცევით
 თითქო ამბობდნენ: „მოვითხოვეთ და მისთვის მოგვცეს,
 უარს ან როგორ გაბედავდნენ, ჩვენ ბევრნი ვართო.“
 ესრედ ვამცირებთ ხარისხს ჩვენსას, ქვეყნისთვის ზრუნვას
 რეგვენთ სიმხალედ მოვაჩვენებთ და დრო დადგება,
 როცა კლიტეებს დაუღეწენ სენატს და ყვავნი
 არწივთ საკორტნად თავისუფლად მოჰფრინდებიან.

ქნ. აღარ იკმარებ?

ბნ.

საკმარისზედ კიდევ მეტია.

კარ. აგრე ადვილად ვერ მომრჩები: ოჰ, ეფიცავ ყველას,
 რაც საფიცარი დამრჩენია ღეთის ან კაცისა,
 რომ რასაც ვამბობ, ვამბობ მართალს. ეს უფლებათა
 დანაწილება, სადაც ერთი სამართლიანად
 ზიზლით უცქერის მეორესა; სადაც მეორე
 შეურაცხებას უმიზეზოდ აყენებს პარველს:
 სად ვერცა ბრძენნი, ვერც დიდებულთ ხარისხთ მექონნი
 ვერაფერ საქმეს გადასწყვეტენ, თუ უვიცმა ბრბომ
 ან „ჰო“ არა სთქვა, ანუ „არა“ — ეს წესი მეთქი,
 რა ყოველს კეთილს განზრახვა-ფიქრს წინ ელობება,
 რყევას უქადის სახელმწიფოს, განადგურებას,
 და ამისათვის გვევდრებით თქვენ, რომელთაცა
 ქკუის მსჯელობას ვერ შეგიშლით ექვი და შიში,
 რომელნიც კანონთ უცვლელობას ძვირად აფასებთ
 და გიჯობთ ხანგრძლივს სიცოცხლესა სახელოვნება,
 იღონეთ რამე, თუნდ საშიში წამლით უწამლეთ
 ბედკრულ ქვეყანას, სასიკვდილოდ ისეც გაწირულს.
 ამოავლიჯეთ ენა იგი მრავალ-ხმიანი,

რაიცი ტკბილს საზრდოს ლოკავს ვითომ, და შხამს კი ჰყლა-
თქვენმა ეგეთმა უგუნურად დამცირ-ქინებამ [პავს.
ლამის მიწასთან გაასწოროს ეს სახელმწიფო;
ბოროტმა შეგკრათ, უძლურნი ხართ კეთილის ქმნისთვის.

ბზ. გამოსთქვა ყველა.

საც. მუხანათებრ ილაპარაკა,
პასუხიც ისე უნდა აგოს ვით მუხანათმა.

კარ. შე უბედურო, ჯერ შუაზედ გასკდები ბოლმით!
რად უნდა ნეტა ეს ქაჩალი ტრიბუნები ხალხს,
რომელთა ძალით ურჩაობს კრებას დიდებულს იგი?
აურჩევიათ მაშინ, როცა არევე-დარევამ
კანონ-მდებელად ტლანქი ძალა წამოაყენა,
ეხლა დრო არის, რომ ღირსეულს ღირსი მივეუწყოთ
და მათ ალაგით გადმოვყაროთ კისრის მტერევეთა.

ბზ. მუხანათობა არის ცხადი!

საც. კონსულად ესა?
არა, არას დროს!

ბზ. ედილებო!—

(შემოდის ერთი კდილი).

ეს დაიჭირეთ.

საც. წადი, ხალხს უხმე.—(კდილი გადის) მის სახელით მე შემიპყრი-
ვით მოლაღატე, ქვეყნის მტერი, კანონთ დაპრღვევი. [ხარ,
გიბრძანებ, მომყვე მორჩილებით პასუხ-საგებლად.

კარ. წაეთერ იქით, ბებერო თხავ!

სენატორება და მატრიცაება. ჩვენ ვუთავდებებთ.

კამ. მოხუცო ხელი, ხელი იქით!

კარ. დამპალო მძოვრო,
მომშორდი, თორემ ამოგბერტყამ ძვლებს მაგ ტანიდან!

საც. მოქალაქენო, დამეხმარეთ.

(შემოდინ კდილები და მოქალაქეთა გროვა).

მკნ. ორივე მხარემ

თავს რომ პატივი დასდევთ, გიჯობთ.

საც. აი ამ კაცს სურს

მოგისპოთ, რაც კი უფლება გაქვთ.

ბრუტ.

აბა, ედგლო,

მოჰკიდეთ ხელი ამ ავაზაკს.

მოქალაქენო.

სიკვდილი მაგას!

სენატორები, ზატრაფები და სხვ. მოიტათ ჩქარა იარაღი—
(ყველანი კორიოლანოსს შემოეხვევიან).

პატრიციებო!—

მოქალაქენო!—ტრიბუნებო!—რა ამბავია?—

რა იყო, ბრუტოს?—სიცინიოს!—კორიოლანოს!—

მოქალაქენო!—წყნარად, წყნარად!—დამშვიდდით, ხელი!

მენ. სულს ვერ ვიბრუნებ, ღმერთო, ღმერთო! ნერწყვი მიშრება
უბედურება დატრიალდა. —გთხოვთ ტრიბუნებო,
ხალხს ჩააგონათ. —მოთმინება, კორიოლანოს!—
სთქვი რამ, კეთილო სიცინიოს.

საფ.

ხალხო მისმინე.

მოქალაქენო. ჩუმაღ იყავით, მოვუსმინათ ჩვენს ტრიბუნს სი-
ბრძანე და გისმენთ.

[ტყვა.—

საფ.

მარციოსი გიპირებთ ყველა

თქვენი უფლება გამოგწიროთ, ის მარციოსი,
რომელიც წედან აარჩიეთ კონსულად თქვენვე.

მენ. ფუჰ, არ გრცხვენიან! დაწყნარების ნაცვლად აღელვებ.

1 სენატ. ეს ხომ ქალაქის დამხობაა, ძირს გასწორება.

საფ. და რა ფასი სძევს თქვენს ქალაქსა აბა უხალხოდ?

მოქალაქენო. ქეშმარიტია; ჩვენ, ხალხი ვართ ქალაქიც, დაბაც.

ბრ. ყველას თანხმობით აგვირჩიეს ხალხის მსაჯულად.

მოქალაქენო. და ღირსნიცა ხართ.

მენ.

აკი არავინ არ გეცილებათ.

კორ. კიდევ ეგ გვლუპავს, გვანადგურებს. სახლთ სახურაენი
საძირკვლებამდე ძირს დაეშენენ და ნანგრევთ გროვად
აქციეს ყველა, სახელმწიფოს რაც ამშვენებდა.

საფ. ეს ღირსი არის სიკვდილისა.

ბრუტ.

ჩვენის უფლების

ხმა ავამაღლოთ უნდა დღესვე, ან სრულად დაეთმოთ:

იცოდეთ, ჩვენთა ამომრჩეველთ ძალით ვაცხადებთ,
რომ ღირსი არის მარციოსი მოიკლას ეხლავ.

საბ. მოჰკიდეთ ხელი, აიყვანეთ ტარპის კლდეზედ
და ძირს ჩააგდეთ.

ბრუტ. ედილებო, ხელი მოჰკიდეთ.

მოქალაქენა. დაგვემორჩილო, სჯობს, მარციოს.

მენ. ერთს სიტყვასა გთხოვთ,

მომეცით ნება მხოლოდ ერთის სიტყვის, ტრიბუნო.

ედილებო. ჩუმიად იყავით!

მენ. თქვენ ერთგულნი ჩანხართ ქვეყნისა

და ხართ კიდეცა: მაშ არა სჯობს, რომ მოფიქრებით
განსაჯოთ საქმე, ძალადობამ არ გაგიტაცოთ.

ბრუტ. გულ-ცივად განსჯა, მოფიქრებით აწონ-დაწონვა

მავნებელია, როცა სენი თვითონ ძალადობს.—

რალას უყურებთ, აიყვანეთ ეხლავე კლდეზედ.

კარ. აქ მიჯობს მოვკვდე! (ხმალს ამოიღებს) ზოგთ ბრძოლაში ხომ
გინახავართ;

მოდი, თქვენს თავზე გამოსცადეთ თვალით ნახული.

მენ. ჩააგე ხმალი!—ტრიბუნებო, მიდექით ცოტა.

ბრუტ. მოჰკიდეთ ხელი!

მენ. მივეშველოთ, მოდი, მარციოსს;

მოდი, ვინც კი ხართ დიდებულნი, ბერნი თუ ყრმანი.

მოქალაქენა. სიკვდილი მაგას! მოვკლათ, მოვკლათ!

(არეულობა: ტრიბუნებს, ედილებს და ხალხს უკან დასწევენ).

მენ. წადი ეხლავე,

წადი შენს სახლში, თორემ ყველა დავიღუპებით.

2 სენ. უნდა წახვიდე.

კარ. მხნედ იყავით: მეგობრებიც ხომ
იმდენივე გვყავს, რაიცა მტერი.

მენ. საქმე მაგაზედ

მიდგა კიდეცა!

1 სენ. დაგვიფარონ მალალთა ღმერთთა!—

გთხოვთ, მეგობარო, შინ წახვიდე და მოგვაჩემო

ჩვენ ჩამოგდება მშვიდობისა.

მენ. ჰო, წადი, წადი,
 ეგ სატკივარი ყველასა გვჭირს და რად კისრულობ
 მარტოკა შველას?

კამ. აბა, მოგვეყე, კორიოლანოს.

კარ. ოჰ, ნეტავი კი ბარბაროსნი იყვნენ ეგენი, —
 არიან კიდევ, თუმცა რომში გამოსხლეტილან —
 რომაელობის ნიშან-წყალი არა ჰქონდეთ-რა,
 როგორც არა აქვთ, გაჩენილან, თუმც კაპიტოლთან...

მენ. წადი, კარგია, სამართლიანს შენს გულის-წყრომას
 ენით ნუ მოსთქვამ, დრო დადგება კვლავ ვარდახდისა.

კარ. პასუხს გავცემდი ბრძოლის ველზე თუნდ ორმოცს ერთად.

მენ. მეც ორიოდეს შევბოჭავდი უკეთესთაგანს,
 აი თუნდ ამ ორს ბატონს ტრიბუნს.

კამ. მაგ ანგარიშით
 ჩვენ ვერას ვიზამთ: ვაჟკაცობას სირვეგნე ეთქმის,
 როს ხელს აშველებს ციხის კედელს მზას დასანგრევად.
 წადი, ვიდრემდე ხალხი მოვა; მის მრისხანება
 მოსკდება ისე, ვით მდინარე შეყენებული
 და რაც დახვდება წინ წალეკავს.

მენ. ნულარ უყურებ;
 მე კი ვეცდები იმ უგუნურთ გასაცურებლად
 ჩემს ბებერ ჭკუას ხერხი რამე გამოვატყვირო, —
 საკერებელით დავბლანდო ეს ბედშავი საქმე.

კამ. აბა, წავიდეთ.

(კორიოლანოს, კამინიოს და სსკანა გადიან)

1 შატრიცია. გაიფუჭა ამ კაცმა ბელი.

მენ. კეთილშობილი მის ბუნება ჩვენს დროს არ ჰფერობს:
 ეგ არ იკადრებს გამოსთხოვოს ხვეწნა-ლაქუციით
 თვითონ ნებტუნსა მისი კვერთხი სამკაპიანი,
 ან იუბიტერს ძალა ელვა-ქუხილის ქმნისა;
 რასაც კი გულში ჩაისახავს ენითაც ამბობს
 და თვით სახელიც აღარ ახსოვს მას სიკვდილისა

მრისხანების ჟამს. — (ხმაურობა მოისმის) აბა საქმე ეხლა იქნება.

2 ზატრაფ. თვის ქვეშაგებში იყვნენ ნეტა, ასე ხეტილოს...

მენ. ტიბრში რომ იწვნენ, ის არა სჯობს! ფუჰ ეშმაკებსა!
განა ტკბილს სიტყვას ვერ ეტყოდა?

(შემოდინ ბრუტუს და სიციანიოს. ხაღსა უკან მოსდევს).

საფ. სად წავიდა ის
ასპიტი გველი, მოქადული ხალხის გაწყობის,
რომ მარტო თიჯონ ყოფილიყო?

მენ. ღირსნო ტრიბუნო...

საფ. მარჯვე ხელთ უნდა გადასტყორცნონ ტარპეის კლდიდან!
ის წინ აღუდგა მედგრად კანონს, მისთვის კანონმაც
განუკითხველად უნდა მისცეს განრისხებულს ხალხს,
რომლის უფლებების ჩამორთმევას ცდილობდა იგი.

1 მაქ. დეე, იცოდეს, რომ ტრიბუნნი კეთილშობილნი
ყმანი არიან მთელის ხალხის და ჩვენ კი მკლავნი.

მაქალაქენი. დიდაც კარგად შეიგნოს ეგ.

მენ. ბატონო ჩემო...

საფ. ჩუმად იყავი!

მენ. რისთვის ბრაზობ, რომ შესაძლოა
მშვიდად ყოველისფრის გარიგება.

საფ. ეს როგორ მოხდა,
რომ ის აქედან გააპარეთ?

მენ. ჯერ მომისმინე:

მე კარგად ვიცი, ან ღირსება რა აქვს კონსულსა,
ანუ რა ნაკლი...

საფ. ვინ კონსული, რა კონსულს ამბობ?

მენ. კორიოლანოსს.

ზრ. ის, კონსული!

მაქალაქენი. არა და არა,
არა, არას დროს!

მენ. ტრიბუნთა და შენის ნება რთვით,
ხალხო, ორიოდ სიტყვის თქმა მსურს; ამით რას ჰკარგავთ
იმ დროის მეტსა, მოსმენისთვის რაც დაგჭირდებათ.

- საღ.** მოკლედ სთქვი, რადგან ჩვენ გვაქვს კიდევ გადაწყვეტილი ბოლო მოვუღოთ იმ ასპიტ გველს. რომ გაგვედევნა, სულ მუდამ შიშში ვიქნებოდით. აქ დარჩენა კი სიკვდილს გვიქადის უცილობელს. აი რისთვისაც ჩვენ დავადგინეთ, ამაღამვე მოიკლას იგი.
- ქენ.** ოჰ, გეიხსნას ზეცამ იმისგან, რომ სახელოვანმა ქალაქმა ჩვენმა, რომლისაგან თვის დიდებულ ძეთ ღვაწლის დანახვის ნიჭი დიდის იუპიტერის საკუთარ წიგნში ანუხსულა, თვის ღვიძლნი შვილნი ბუნება-წამხდარ პირუტყვივით დღეს თვითვე შთანთქას.
- საღ.** იგი სენია, რომელსაც მსწრაფლ მოსპობა უნდა.
- ქენ.** არა, სნეული ნაწილია ტანისა მხოლოდ, რომლის მოკვეთა მთლად დაგვლუბავს და მორჩენა კი ადვილი არის. ან რა უყო რომს სასიკვდილო? ის ხომ არა, რომ დაუხოცა მტრები, და სისხლი ბევრით იმაზედ შეტი, რაიც ძარღვებში უდგას, არ დაიშურა დასაღვრელად თვის ქვეყნისათვის; და ის ნაშთიც თუ გამოსწრიტა იმავე ქვეყანამ, დაგვესხმის ლაფი სამარცხენო მოქმედ-დამსწრეებს ამოუშლელი თვით ამ სოფლის დასასრულამდე.
- საღ.** ტყუილად ყბედობ.
- ბრუტ.** ეგ ლაქლაქი რას გამოდგება: როცა ქვეყანას მსახურებდა, იგიც უხდიდა.
- ქენ.** რომ დაგვიწყლოდდეს ფეხი, ნულარ გავიხსენებთ მაშ, რაც სამსახური კარგად-მყოფსა გაუწევია.
- ბრუტ.** რაღა ყურს ვუგდებთ! წადით იმის სახლში ეხლავე და ძალის-ძალად შეიპყართ, რომ უფრო ფართოდ არ მოიკიდოს ფეხი მასში გამჯდარმა სენმა.
- ქენ.** ერთ სიტყვას ვითხოვ, მხოლოდ ერთსა: მაგ მრისხანებამ ეფეხებრივ ფიცხმა აჩქარების არ იგრძნოს ვნება და თავისივე არ დაიდვას ბორკილის ჯაჭვი. სჯობს სამართალში მისცეთ იგი, თორემ მომხრენი მრავალნი ჰყავს მას, უყვარს ბევრსა და მეშინიან,

თვითონ რომელთ არ მოუხსონ დიდ რომს სიცოცხლე.

ბრუტ. თუ ეგ მოხდება...

საღ. რაებს ამბობ! ჩვენ თვით არ ვნახეთ

მის მორჩილების მაგალითი? ედილებს სცემა,
წინააღმდეგი გაგვიხდა ჩვენც!—წავიდეთ, დროა.

მენ. ესეც იფიქრეთ, ბრძოლებშია იგი გართული
მას აქეთ, რაკი ხმლის ხმარება შესძლო, და არ აქვს
ენა გაწვრთნილი თავაზიანს, ტკბილ ლაპარაკში;
ფქვილსა და ქატოს ერთად ურევს განურჩევლად.
ნება მომეცით მე წავიდე მის მოსაყვანად,
რომ კანონიერ სამსჯავროს წინ განკითხულ იქმნას.

1 სენატ. ღირსნო ტრიბუნო, ეს გზა სწორედ უმჯობესია,
სხვაფრივ მოქცევა სისხლს შეგვამთხვევს და არ ვინ იცის,
ამგვარ დასაწყისს რა მოჰყვება.

საღ. კარგი, იგი ჰქმენ,

კეთილ-შობილო მენენიოს, ხალხის სახელით,
რაიც საჭიროდ დაინახო.—ხმლები ჩააკეთ,
მოქალაქენო.

ბრუტ. შინ ნუ წახვალთ.

საღ. ჩვენ მოედანზედ

კვლავ შევიყრებით. იქ მოგელით შენც, მარციოსსაც;
თუ არ მოიყვან, შევასრულებთ, რაც განვიძრახეთ.

მენ. უთუოდ მოგგვრით. (სენატორებს) ბატონებო, თქვენც გთხოვთ,
თუ ვერ დაეძარით, წახდა ყველა. [წამომყვით;

1 სენატ. აი, მოვდივართ.

(გაღიან).

ს უ რ ა თ ი II

ათახი კორიოლანოსის სახლში.

(შემოდინ კორიოლანოსს და პატრიციები)

კარ. გამსრისონ, მომკლან, ცხენის ფეხით გამთელონ თუნდა,
თუნდა გამაკრან ეტლის თვალზედ, თუნდ ტარპეის კლდეს

ათი მთა კიდევ სხვა დაადგან, რომ ძირს ჩატყორცნილს
 თვალი ვერ ჩამწვდეს, — სხვათრივ იმათ ვერ მოვექცევი.

1 პატრიარქოსა. კეთილშობილი სიტყვა არის.

კარ.

მე მაოცებს, რომ

არ თანამიგრძნობს დედა-ჩემი, იგი, რომელიც
 მათ უწოდებდა საზიზლ მონებს, გროშის გულისთვის
 თავის გამყიდველთ, მხოლოდ მისთვის გამოსადეგთა,
 რომ იღგენენ საღმე დიდ კრებაში ქუდ-მოშვლებილნი
 და დიდებულსა მოსაუბრეს გაფაციცებით
 უსმენდნენ სიტყვას მშვიდობის ან ომის ამბავზედ.

(შემოდის კოლუმნა).

შენზედა მქონდა ლაპარაკი. რაისთვის გინდა
 გამაგულჩვილო? გსურს ვუმტყუნო ჩემს ბუნებასა?
 არა, რაცა ვარ, ის ვიქნები.

კოლ.

ოჰ, შვილო, შვილო,

მე მსურდა მხოლოდ სამოსელი ეგ უფლებისა
 გეტარებინა და უცბად არ შემოგგცვეთოდა.

კარ. რა ვქნა, შემომცდეს.

კოლ.

რაც ხარ, მაინც ის დარჩებოდი,

თავ გამოჩენის სურვილს თუ რომ არ გაეტაცნე;
 და ვიდრე ძალას შენსას მკვიდრად დაამყარებდი,
 უნდა ფარულად შეგენახა გულის-პასუხი
 და პირის-პირად აღარავინ აღგიდგებოდა.

კარ. ღირსნი არიან ჩამოდრჩობის.

კოლ.

იქნება ცეცხლში

დაწვისაც იყენენ.

(შემოდინან მენქიას და სენატორნი.)

მენ.

მეტად მკვახელ მოექცე იმათ;

წამო, დაბრუნდი, ეგებ საქმეს ვუშველოთ რამე.

1 სენ. სხვა გზა არ არის; უმაგისოდ ჩვენი ქალაქი

სწორედ შუაზედ გაიყრება, დაილუბება.

კოლ. უსმინე რჩევა, გვედრები. მეც სიამაყე

შენზედ ნაკლები არ მაქვს, მაგრამ ჰკუა მინელებს

და მიცხრობს ხოლმე გულის წყრომას.

მენ. ჭეშმარიტია,
 რასაც შენ ამბობ, რომ იყოს რამ სახელმწიფოსთვის
 წამალი ესეთ შოთ-ვარამის დამშვიდებელი,
 აღარ ეურჩევი იმ ბრბოსადმი დამორჩილებას
 და მეც იარაღს ავისხავდი, თუცა ძლივს დავფოფხავ.

კარ. რა გინდათ რომ ვქნა?

მენ. ტრიბუნებთან დაბრუნდი ისევ.

კარ. მერე, მერე რა?

მენ. შეინანე შენი სიტყვები.

კარ. იმათ წინაშე? თვით ღმერთებთან ვერ ეიზამ მაგას
 და მათ შენდობა როგორ ვთხოვო!

გაღ. რისთვის ჯიუტობ?

გაჭირებაში სიამაყე არ გამოდგება.

შენგან მსმენია, რომ ომის დროს პატიოსნება
 და ხერხი უნდა განუყრელად მოქმედებდნენო,
 მაშ მშვიდობის ჟამს ერთმანეთსა რად ღალატობენ?

კარ. სსუ! ჩუმაღ, ჩუმაღ!

მენ. სწორეს ამბობს.

გაღ. პატიოსნება,

თუ მას არ გიშლის, ომში თავი იბად უჩვენო,
 რაიც არა ხარ, საქმე უკეთ მოაწყო ხერხით, —
 მშვიდობის დროსაც იყოლიე ორივე დამხმარედ,
 როდესაც ელი უამისოდ საშიშ განსაცდელს.

კარ. რად მეუბნები, დედავ, მაგას?

გაღ. მისთვის, რომ ეხლავ

წახვიდე ხალხთან სასაუბროდ; ის კი არ უთხრა,
 რასაცა ჰფიქრობ და რის თქმაცა გული მიგიწვევს,
 არამედ იგი, რაიც ენამ შენს უნებურად,
 გულთან კავშირის უქონელად უნდა წარმოსთქვას.
 ეს არ შეგიტყვის სახელს შენსას სწორედ ისევე,
 ვით პირფერულად ნათქვამ სიტყვით დასაკუთრება
 მტრის ქალაქისა, რომლის ომით აღებას ბევრი



დასჭირდებოდა სისხლის ღვრაცა და ცდაც ბედისა.
 თუ ჩემთ მეგობართ ხვედრს და ჩემსას ამით ვუშველი,
 არ შევეუდრკები, გეტყვი სწორეს, ვერაგად ქცევას.
 აი ხომ ჰხედავ, გარეშემო შემოგხვევივართ:
 მე, შენი ცოლი, შენი შვილი, დიდებულთ კრება,
 და შენ კი მაინც არჩევ შუბლი შეუკრა ხალხსა,
 ვიდრე მათ გული ტკბილი სიტყვით მოინადირო
 და დასალუბად არ გაგვწირო.

მკნ.

წამოდი ჩვენთან.
 ოჰ, დიდებულო დედაკაცო, წამხლარ საქმესაც
 გამოაკეთებ მაგ ენითა და აწინდელის
 ხიფათისგანაც გამოგვიხსნი.

გაღ.

გემუდარები,
 წახვიდე, შვილო, მოიხადო იმათ წინ ქუდი
 და არ გაუფრთხე მუხლის ქვებზედ დაკარებასაც,
 რადგან მაგ ხალხში საქმე ბევრით სჯობნის სიტყვასა
 და უმეცრებას თვალნი უფრო უჭრის ყურებზედ.
 დიად, შიშველი დაიხარე შენ მათ წინ თავი,
 შეფერებული დღევანდლამდე მაგ ამაყ გულთან
 და დამწიფებულ თუთასავით მოწყდი კისერში.
 უთხარ, ჯარში ვარ გაზდილი-თქო, ბრძოლის ქარ-ცეცხლში
 და მოკლებული ზრდილობიან სიტყვა-პასუხსა,
 რაიც იყო-თქო ჩემთვის ერთად საჭირო ეხლა
 თქვენდამი ჩემის ერთგულების დასამტკიცებლად;
 რომ ყოვლის ღონით ვეცდები-თქო, ზნე შევიცვალო
 და შევასრულო რაიცა გსურთ დღეიდან მაინც.

მკნ.

თუ ამ სიტყვებით სცდი მიმართვას, მის გულს მოიგებ,
 რადგან ხალხს ისე ადვილად უჩნს ცოდვის შენდობა,
 ვით რახა-რუხით ლაპარაკი ცუდ-უბრალოზზედ.

გაღ.

ასე მოიქეც, გვედრები, თუმც კარგად ვიცი,
 გაძლიერებულს ომის ცეცხლში შევარდე, გიჯობს,
 წალკატში მტერთან ტკბილის ენით პირფერად ლაქუცს.—
 კომინიოსიც მოდის აგერ.

(შემოდის კომინიოსი).

კაძ. მე მოედნიდან
 მოვდივარ ეხლა; ანუ ძალის მოკრეფა გმართებს,
 ან გადახვეწა, ანუ თავის მორჩილად დახრა.
 აჯანყებულა მთლად ქალაქი.

მენ. ტკბილ სიტყვას იქით
 სხვა გზა არ არის.

კაძ. ეგ კი გასჭრის, თუ დაგვეთანხმა.

გაღ. უნდა დათანხმდეს და კიდევაც დაგეთანხმებათ.—
 სთქვი, თანხმა ვარ-თქო და თან გაპყევ.

კარ. მაშ უნდა წარვდგე

შიშველის თავით მათ წინაშე? ამპარტეან გულს
 ცრუ ენით ჩირქი, ჭუჭყი მოვცხობ?! კარგი, აგრე ვიქ;
 თუმც საქმე მარტო მე, მარციოსს, რომ შემხებოდა,
 არ შევეუკროთოდი ჩემს მტვრად ქცევას, ქარში გაბნევას.—
 აბა, წავიდეთ მოედანზედ.—ამკიდე ტვირთა,
 რომელსაც ვეღარ მოვიშორებ ჩემ სიცოცხლეში.

კაძ. დაგეხმარებით ჩვენც, წამოდი.


გაღ. ძვირფასო შეილო,

მეუბნებოდი, შენმა ქებამ შთამბერა სული
 ვაჟკაცობისო, აწ ეცადე უცნობს საქმეში
 ახალი ქება დედისუნის დაიმსახურო.

კარ. კარგი, ვეცდები.—შორს, შორს ჩემგან, ჩემო ბუნებაე!

უნამუსობამ გასულდგმულოს მაშ დღეის იქით.
 ამ ყელმა, რაიც ხმას უწყობდა საომარ დაფდაფს,
 საჭურისსავით იწრიბინოს, ანუ იენავლოს
 გომბიოსავით, რომელიც ბავშვთ ნანათი ძილს გვრის;
 პირს გადამეკრას მლიქვნელ მონათ წუწუკი ღიმილი
 და ეღვარება წამირეცხოს თვალთავან ცრემლმა;
 სკოლის ყრმებისგან ნათხოვარმა, გლახაკთა ენამ
 ჩემ ლოყებ შორის დაიბუდოს; მუხლნი ჯაჭვ-ცმულნი,
 რომელნიც მხოლოდ უზანგებში იდრიკებოდნენ,
 დაეკრნენ მიწას მოწყალების გამოსათხოვად.—
 არ შემიძლიან, არა, არა, თავს ვერ ვფშტყუნებ

65055



და ვერ ვიკისრებ ამ შერცხვენა—უნამუსობას.

კაღ. როგორც გერჩიოს. რომ გთხოვ, მით მე უფრო ვმცირდები, ვიდრე შენ მათგან პატივების გამოთხოვითა.

წყალს წაუღია ყველაფერი და დედაშენსაც რომ მისწვდეს ეგე სიამაყე, თან გადიტანოს, ის უჯობს, ესეთ განსაცდელში შენს კერპად ყოფნას. ჩაღად არ ვხადი, მეც შენებრივ, იკოდე, სიკვდილს; მოიქეც ისე, როგორც გასურდეს; ეგ ვაჟაკობა ამ ძუძუთი გაქვს რძესთან ერთად შენაწოვარი, სიამაყე კი შენ გეკუთვნის, მარტოდ-მარტო შენ.

კარ. დამშვიდდი, დედავ, გევედრები, ნუ მსაყვედურობ; აი, მივდივარ მოედანზედ, ვცდი მოქნილ ენით მათ სიყვარული შევიძინო, გული მოვიგო და შინ დავბრუნდე მთელის რომის ხელოსანთაგან შეყვარებული, შეტკობილი. მივდივარ აგერ; სალამი ჩემს ცოლს. თუ კონსულად არ დავბრუნდები, ნულარ ენდობი კვლავ ჩემს ნიქსა პირფერობისას.

კაღ. ჰქმენ იგი, რაც გასურს (გადის).

კამ.

ტრიბუნები გელიან, ჩქარა!

ეცადე ტკბილად ლაპარაკსა, თორემ უარეს ბრალს გდებენ კიდევ წინანდელზედ, როგორც შევიტყე.

კარ. მაშ ტკბილად ვიყოთ, კარგი, კარგი წავიდეთ, აბა; ათასი ბრალი მოიგონონ, მაინც მე პასუხს გაეცემ ისეთსა, ვით ღირსებას ჩემსას შეჭყერის.

ქენ. მხოლოდ ტკბილად კი.

კარ.

ტკბილად, ტკბილად, ვიცი, ჰო, ტკბილად.
(გადიან).

ს უ რ ა თ ი III

იგივე ქალაქი. ფორუმი.

(შემოდინან სიციხისა და ბრეტუს)

ბრეტ. აი ეს ბრალი დასდეთ იმას, რომ ძალას ხმარობს მტარვალთა მზგავხად და, თუ ამ ბრალს გაუსხლტა იგი,

გაახსენეთ, რომ მტრულის თვალით უცქერის ხალხსა და რომ ნადავლი აღებულო ანციელთაგან დღემდე არ არის დაყოფილი.—(შემოდის ერთი კდილი.)
რაო, არ მოდის?

კდილი. მოდის.

ბრუტ. მერე თან მოსდევს ვინმე?

კდილი. მოხუცებული
მენენიოს და სენატორნი, რომელნიც მუდამ
მეგობრად ჰყავდნენ.

საწ. თან გაქვს სია ყველა ხმებისა?

კდილი. დიად, აქა მაქვს.

საწ. ამქრობლივად დაყოფილია?

კდილი. დიად, ტრიბუნო.

საწ. წადი, ყველა აქ მოაგროვე
და, როდესაც ვაქვია, ხალხის ხვედრის უფლებების ძალით
ეს და ეს მოხდეს: მოკვდეს იგი, ან განიდევნოს,
ანუ ჯარიმა გარდახდეს რამ, მათ ბანი გვიტხრან.
ჯარიმას ვიტყვი, ჯარიმა სთქვან, სიკვდილს—სიკვდილი,
და მხარი მოგვეცენ, რომ დავიცვათ ძველი უფლება
დღეს საფრხეს მყოფი.

კდილი. ეხლავე წავალ, შევატყობინებ.

ბრუტ. როდესაც ყვირილს მოჰყვებიან, უთხარ, არ დასცხრნენ,
ვიდრე განაჩენს შესრულებულს არ ნახვენ ჩვენსას.

კდილი. ძალიან კარგი.

საწ. ფრთხილად იყვენენ, პირში გვიცქირონ
და ასტყდნენ მყისვე, რაკი ნიშანს მივცემთ აშლისას.

ბრუტ. ეხლავე წადი.—

(კდილი გადის).

გააცხარო მაშინვე, სცადე;
დაჩვეულია პირველობას ჩხუბსა და ომში
და რაკი ბრაზი მოერევა, თავს ეერ დაიჭერს;
რაც გულში უძევს, წამოროშავს და მიზებს მოგვეცემს
კისერი მარჯვედ მოვეუგრიხოთ.

საღ.

აგერა მოდის.

(შემოდინ კორიფლანოს, მენენიოს, კომინიოს, სენატორნი და მატრიცეაბა).

მენ. გთხოვ, მშვიდად იყო.

კორ.

ჰო, დიალა, როგორც მელორე, რომელიც ყოველ ლანძღვას იტანს მცირე ქირისთვის. მაღალმა ზეცამ დაიფაროს რომის ქალაქი, მოგვეცეს მსაჯულად ღირსეულნი, უმანკო პირნი, ყველგან მშვიდობა, სიყვარული ტკბილი დამყარდეს, ხალხი ტაძრებში აღავლენდეს მადლსა და შუთხი ვანდევილ იქმნას.

I სენატ.

ამინ, ამინ.

მენ.

ვიპ ამ ნატერასა!

(შემოდინ კდილი და მოქალაქენი).

საღ. ხალხო, წინ მოდი.

კდილი.

ჩუმაღ, ჩუმაღ, ტრიბუნთ უსმინეთ!

კორ. სიტყვის თქმის ნებას ჯერ მე ვითხოვ.

კორიფე ტრებუნა.

კარგი, სთქვი.—ჩუმაღ!

კორ. მსჯავრი აქ უნდა მოვისმინო? აქ გადაწყდება ყოველისფერი?

საღ.

ჯერ შენ გვითხარ, ემორჩილები ხალხის ხმას თუ არ? აღიარებ იმათ მოხელეთ? და მზა ხარ, რასაც დავამტკიცებთ, რა სასჯელს დაგდებთ, კანონისამებრ კისრად იღვა?

კორ.

აი, მზადა ვარ.

მენ.

მოქალაქენო, ეს მზა არის, ხომ კარგად გესმით? გაიხსენეთ, რა სამსახური გაუწევია, ომში რამდენი მიუღია მძიმე ჭრილობა, რაც ასხედს ტანზედ, ვით საფლავნი სასაფლაოასა.

კორ.

დაეხსენ ერთი ამ სამასხრო ნაკაწრ-ნაფხაქნებს.

მენ.

თუ სიტყვა-პასუხს მოქალაქურს მოკლებულია, ვაჟკაცურს კილოს გმირისას ხომ ვერ გამოსწირავთ, და ნურც მიიმჩნეთ მის სიმკვახეს თქვენდამი მტრობად.

კომ. გეყოფა, კმარა.

კარ. ეს მიიხარით, რა მიზეზია,
რომ ყველასაგან მხოლოდ წელან კონსულად ხმობილს,
შეურაცხებას აყენებთ, შლით უცბად განაჩენს?

საწ. ჯერ პასუხი შენ უნდა გვიგო.

კარ. ეგ მართალია,
სთქვი და მეც გეტყვი.

საწ. იმის ბრალს გდებთ, რომ განიზრახე,
მოგესპო რომში დადგენილი წესი და რიგი
და ყოველივე უფლება შენ დაგესაკუთრა;
ამისთვის ხალხის მუხანათად გვიწოდებინარ.

კარ. მე, მუხანათი!

მენ. წყნარად, წყნარად, აკი დაგვიბრდი.

კარ. ეგ შენი ხალხი შთანთქას ცეცხლმა ჯოჯოხეთისამ!
მუხანათიო! ოჰ, ტრიბუნო მყრალ-ენიანო,
მაგ თვალთაგან რომ სიკვდილთ ხროვა იჭყიტებოდეს,
ხელშიაც გეპყრას ბევრ-ათასი და ცრუ ენაზედ
კიდევაც მეტი, მაინც ისე თამამად გეტყვი,
რომ ურცხვად ცრუობ, როგორც ღმერთებს ვევედრი ხოლ-

საწ. ხალხო, ეს გესმის?

[მე.]

მოქალაქენი. ავთრიოთ ეხლავე კლდეზედ.

საწ. სსუ! რაღად გინდათ საბუთების ახლად მოკრეფა:
რაც თქვენის თვალით ნახეთ, ანუ ყურით ისმინეთ,
თუ როგორ სცემა თქვენს მოხელეთ, უწყალოდ გლანძღათ,
წინა-აღუდგა ძალით კანონთ და აი, აქვე
არად ჩააგდო თვით მსაჯულნი მის განმკითხველნი,
მარტო ეს კმარა, დაისაჯოს იგი სასტიკად
მწარე სიკვდილით.

ბზუტ. მაგრამ რადგან რომს მსახურებდა...

კარ. შენ როგორ ჰბედავ ლაპარაკსა ჩემს სამსახურზედ?

ბზუტ. მე იმას ვაგბობ, რაიც ვიცი.

კარ. შენა, შენ იცი?

მენ. აგრე ასრულებ დედისადმი დაპირებულსა?

კამ. გთხოვ, მომისმინო...

კარ. აღარაფერს აღარ მოვისმენ; გარდამიწყვიტონ გადაგდება ტარპეის კლდიდან, ტყავის გაძრობა, განძევება ყარიბად ქვეყნით, ციხეს დამწყვდევა დღეში თითო მარცვალ საზრდოთი, მაინც კარგს სიტყვას ერთსაც კი ვერ გამომტყუებენ, „დილამშვიდობის“ თქმითაც მე არ შეეირცხვენ თავსა, თუნდ რომ ამ სიტყვით შეწყალებას ველირსებოდე.

საგ. რადგანაც ყოველ ძალ-ღონითა ეს ხალხსა მტრობდა, ცდილობდა იმის უფლებათა ჩამორთმევასა და აი ეხლაც თვით საშინელ სამსაჯავროის წინ ხელი შეახო მის მოხელეთ, — ხალხის სახელით და ტრიბუნთადმი მონიჭებულ უფლება-ძალით, რომის ქალაქით განდევნილად ამ წამიდანვე გვიცვნია იგი; ველარა დროს ველარ გაბედოს ფეხის შემოდგმა მაგან რომში, თორემ მაშინვე ტარპეის კლდიდან გადაგდება ელის სასჯელად. ეს ასე უნდა იყოს, — ხალხის სახელით ვამბობ.

შაქალაქენა. ოღონდაც აგრე, აგრე იყოს, განდევნოთ იგი!

კამ. მეც მომისმინეთ, მეგობრებო...

შაქალაქენა. რაღა გისმინოთ, დადგენილია განაჩენი.

კამ. მისმინეთ მეთქი; მე თვით კონსულად ნამყოფი ვარ და შემძლიან ვაჩვენო რომსა ამ ტანზედ მის მტრების ნიშნები. მერწმუნეთ, ჩემი მე ქვეყანა უფრო ღრმად მიყვარს, უფრო უმანკო სიყვარულით, ვიდრე სიცოცხლე; მეტად ვაფასებ, ვიდრე ჩემთვის ძვირფას მეუღლის უბიწოებას და საუნჯეს მის მუცლით ნაშობს, — და თუ ხმას ვიღებ ამის გამო....

სიღ. ვიცით, რაც გინდა.

კარგი, ბარემ სთქვი.

ბრუტ. რაღა არის კიდევ სათქმელი?

განდევნილია, როგორც მტერი ხალხის და ქვეყნის.
მორჩა გათავდა,

მოქალაქენი. აგრე, აგრე, მორჩა, გათავდა!

კობ. წუწკო ძაღლებო! სუნთქვაც კი მძაგს მე თქვენი ისე,
ვით ოშხივარი ამოსული მყრალ ქაობიდან;
ადამიანის მძოვრს ვადარებ თქვენს სიყვარულსა,
ზემოდ გდებული რომ საზარლად ჰაერსა სწამლავს.
განმიდევნიხართ თვითონ მე თქვენ. იცხოვრეთ აქა
სულმოკლეობის მსხვერპლად; მცირე ხმაურობაზედ
აგძგერებოდეთ ფრთხილად გული; განწირულება
მოგბერეთ თვითონ მტრის მუზარადთ ფრთების შრიალმა;
არ დაგლეოდეთ ღონე თქვენ მცველთ განდევნისათვის;
ნაგვიანვად, პირუტყვებო, შეიგნოთ მხოლოდ,
რომ თქვენს თავს თქვენვე უწყალოდ მტრობთ და დავრდო-
მილნი
ტყვედ ჩასცივიწოდეთ ერთ ერთ ერსა ხელ-გაუნძრეველად!
თქვენ გამო მე მძულს ეს ქალაქი და ზურგს ვუბრუნებ;
რომს გარეთ არის სხვა ქვეყანაც.

(გადიან კობახიძის, კომანიოს, მენუიოს, სენტორ-
ნი და მატრიციები).

ედილი.

ხალხის მოძულე

განდევნილ იქმნა!

მოქალაქენი.

უჰ! ჰაი ჰა! მტერი განდევნეთ.

(ყვირიან და ქულებს მაღლა ისვრიან).

სიღ. წადით, თვალ-ყური დაიჭირეთ, მიჰყეთ კარამდე;
არ მოასვენოთ, ჰკილეთ, ლანძღეთ, როგორც ღირსია

და როგორც თვითონ გეპყრობოდათ. ჩვენ კი დარაჯმა
 გამოგვაცილოს.

შაქალაქენი. კარებამდე, წამოდით, მიეყვით.
 დღეგრძელიმც იყვნენ ტრიბუნები!—აბა, მოდიხართ?
 (გადიან).

ივ. შაჩაბელი

(დასასრული იქნება)



ს ი უ ვ ა რ უ ლ ი

(ამბავი)

ფ. ტონელიძისა.

მოუთმენლად მოველოდი ჩემი საუკარელი სამშობლოს — კორსიკის მინდვრებისა და ტუეების ნახვას და აუწერელია ის სიხარული, რომელიც იმის ნახვის დროს გამოვცნადე. მთელი ჩემი აზრებს რაღაც გამოურკვეველმა ნეტარების გრძნობამ მოიცვა. მე ჩემსავე წინაშე ვამაუბდი, თავი მომქონდა, რომ იმ ქვეყანამ, რომლის შეიღებიც ზალო სანჯერო და ბონაზარტე იყვნენ, მეც გამაჩინა, მეც იმათთან ერთად თავისის შეიღობის ღირსი გამხადა. 15 წელიწადი დაშორებული ვიყავი ჩემს სამშობლოზედ. თავი ათას-გვარის აზრებითა მქონდა კატენილი, როდესაც 15 წლის შემდეგ ხელახლად გავუბრუნდი ამ დაუვიწყარ მინდვრებს, ტუეებს, ველს, მთას... ჩემდა უნებურად მომაგონდა ამ ქვეყნის წარსულიც, რომელიც აგრე მდიდარი იყო ვაჟკაცობითა და გმირობით.

სერვიენში დაფსახლდი. სერვიენი გაშენებულია მადლობზე, რომელიც არე-მარეს კარგა დიდ მანძილზე გაჭურებს. რამდენისამე დღის შემდეგ, როდესაც სერვიენი ხელის გულივით შევისწავლე, გადავწუიტიე სხვა მანდობელი ადგილებიც დამეულო და დამეთვალიერებინა. მეორე დღესვე, ადვიტურვე რა საჭირო ცნობებით და საგზაო ნივთებით, გავუდექი გზას. თანამგზავრად მხოლოდ კორსიკელი ცხენი მუყდა, ფიცხი, მაგრამ მასთან კარგი მოსიარულე და კარგად გაწვრთნილი ცხენი. მზე ის-ის იყო ამოვიდა და თავისი

მძღვარი, სიტყვებით სავსე სხივები უხვად მოჭეფინა დედამიწას. უკვე გავიარე სოფლები კოტონს და კალღიანი, როდესაც ჩემმა მერანმა დაბურულ ტყეში შეჭეო თავი. მარჯვნივ მაღალი გორაკი მოჩანდა კარდავწყვიტე იმ გორაკზედ ასვალა და იქიდან არე-მარეს დათვალიერება. როდესაც გორაკის წვერზე ავიდი, ჩემს თვალ-წინ საუცხოო სურათი გადაიშალა. კუნძულები ოღბა, მონტე-კარისტო და კაზორია მარჯალიტებად მოჩანდნენ მოკამკამე ზღვაზედ. მთელი ერთი საათი თვალი ვეღარ მოვამოკე ამ სურათს!.. ბოლოს ისევ გზას შევუდექი და მივუახლოვდი ზიეტრო-დი-ვერდეს, რომელიც ფერდობზედაა გაშენებული. ამ სოფელსაც რამდენიმე მაღალი გორაკი აკრავს; შირველის გორაკის სურათით გატაცებული ვეღარ მოვითმინე და მერე სხვა გორაკისაკენ გავემართე. ნახევარი საათი ტეეტეე ბილიკით მომიხდა სიარული. ფრინველების ჭიკჭიკი და მცხვარეების ხმაურობა ტყეს სიტყვებს აძლევდნენ. გორაკის წვერს რამდენიმე ნაბიჯი-ღა შევალა, როდესაც ჩემი უურადღება უზარმაზარმა მუსამ მიიქცია, რომლის ტოტებიც მზრუნველობით გადაჭყარებოდნენ დიდ ქვას და იმის ორ ჯვარს. ჯვრების დანახვისათახვე უნებურად ცხენი შევაჩერე და ქული მოვიხადე. შემდეგ ცხენიდანაც გადმოვსტი და ცნობის-მოუვარებით დაუწყეუ სინჯვა სასაფლავოს ქვას. ქვას არავითარი წარწერა არ ეტეობოდა. მინდვრის უვავილები, თითქმის გაღერებინაო, ირგვლივ შემოტეომოდნენ მას. გადაკარგულმა, მივარ-დნილმა საფლავმა რადაც სიბრალული ადირა ჩემში. ეჭვი არ იყო, საფლავი ორის ჯვრით რადაც საიდუმლოებას იფარავდა. საშინლად მომიხდა ამ საიდუმლოების შეტეობა. ჯერ ისევ გაშტერებული სა-ფლავის ქვას დაუურებდი, როდესაც უკანიდან ბავშვის უვირილი მომესმა. მივიხედე და დაფინახე ცხრა-ათის წლის ბავშვი, რომელიც უვირილით თხას მისდევდა. მივუახლოვდი და ვკითხე, აქ მახლოლად ხომ არავინა სცნოვრობს-მეთქი.

— როგორ არა! — მომიგო, — მამა-ჩემი აქვე ქოხში სცნოვ-რობს

— ვერ წამიფან მამა-შენთან?

— რატომ! — სიცილითა და მხიარულად მომიგო ზატარა უცნობმა, შემდეგ ფეხის ქუსლებზე მოტრიალდა და გზას გაუდგა.

შეც თან გავუყვი. ცოტა-ხანს უკან თვალი მოჰკარი ქახს, რომელიც, ხეებით შემომწკრივებული, შორიდან არა სჩანდა. ჩვენს მიანს-ლოკებისათხავე კარებში გამოჩნდა სამოცი წლის კაცი, რომელსაც ტანზე განიერი წამოსასხამი ჰქონდა წამოსხმული და თავზე მადლი ქუდი ეხურა. უცნობი მომიხლოვდა, ქუდი მომიხადა და მკითხა რა გნებავთ? თან ქახში შემეხატოჯა.

— გმაღლობთ, — ვთქვი. — მინდა გამოგკითხოთ რამ.

— ბრძანეთ, მე მზადა ვარ, — მომიგო კორსიკელმა.

ვთხოვე, ეამნა ისტორია იმ საფლავისა, რომელმაც ეგრე მიიქცია ჩემი უურადღებო და ამაღელვა კიდევ.

— ეჰ, ბატონო, — მომიგო მოხუცებულმა მწვემისმა და თან მწარედ ამოიხუნჭა, — ეკ სამწუხარო ისტორიაა. არა ერთხელ და ორჯერ დამიდურია ცრემლი იმ საფლავზე, არა ერთხელ და ორჯერ გამიტარებია მთელი საათები იმ ქვასთან...

ამ სიტუაციაში ცნობის-მოყვარეობა გამოიკვეცა. ერთხელ კიდევ ვთხოვე მოხუცს დაეწო და ეამნა — ეს, როგორც იმის სიტუაცია-ბიდან სჩანდა, სამწუხარო ამბავი.

— ძალიან გსურთ გაიგოთ?

— დიაღ, ძალიან.

— ფრანგი ბრძანდებით?

— არა, კორსიკელი ვარ.

— ჰე! მაშ დებრძანდით და მოიხმინეთ.

მოხუცმა სკამზე მიმითითა, თვით კედელს მიეყუდა და სამწუხარო ხმით დაიწყო:

ემე შეაგდა შვილი. იმ დროს ბუდნიერი მამა ვიყავი: შვილის შემეყურავა არცეი ვინცლი დარდი რა იყო და რა არა. ჩემს შვილს ერთი საუკეთესო მეგობარი ჰყავდა, ზიეტროელი მწვემისი, სასულად სიკო. სიკო მეტად კეთილისა და ჰატოისანი გულის ჰატრონი იყო. მე ძალიან მიეყარდა სიკო, რადგანაც ვხედავდი, რომ ის ჩემის საწყალის ჰავისათვის არაფერს არა ზოგავდა. მოხდენილი, ცქვიტი და გონიერი სიკო ამოვებდა მდიდარის ზიეტროელის მემამულის, სინიორ მანტურინოს ცხურებს. მანტურინო დღესაც ცოცხალია, ჰატოისანი კაცია და დიდი გავლენა აქვს ამ კუნძულზე იმის უფრო მეტი.

ძროხა და ცხვარი ჭყავს, ვიდრე უველას სხვას ერთად ადებულს, იმის მამულები კი გადაჭიმულია ზიეტროდან დაწვებული იმ ველის ბოლომდე, რომელსაც თქვენ აქედანა ჭხედავთ. უოველ სადამოს, შინ დაბრუნებისას, სიკოს მიჭქონდა მშვენიერი თაიგული მინდვრის უფაილებიანს, რომლის მკერებს მთელი დღე უნდებოდა ხოლმე. ამ თაიგულს ის მანტურინოს ქალის მიმინასათვის ამზადებდა. მიმინა კი არამც თუ წინააღმდეგი არ იყო ამისი, არამედ უოველთვის სიხარულით ეკებებოდა ახალგაზდა მწუემსის უმანკო საჩუქარს. სიუვარულმა თანდათან ფესვები გაიდგა ორის ახალგაზდას გულში. იგი უურადლებას არ აქცევდა ერთის სიმდიდრეს, წარჩინებულებას და მეორის სიღარიბეს, უბრალო შთამომავლობას. ეს ამბავი ამ თერთმეტის წლის წინად მოხდა, სწორედ იმ ხანებში, როდესაც აგერ ის ზეთის ხილი დაგრევი. ორივენი ჯერ თათქმის ბავშვები იყვნენ, მაგრამ, აშკარა იყო, რომ დმერთს ეს ორი არსება ერთმანეთისათვის გაეჩინა. მოსამართლე მანტურინოს უურადლებას არ აქცევდა იმათ გრძნობას. ემატიებათ, ბავშვები არიანო, ამბობდა ხოლმე სშირად მანტურინო. სიკო და მიმინა იზრდებოდნენ და ამასთან ერთად იზრდებოდა იმათი გრძნობაც. ზიეტროში უველამ გაიგო სიკოს სიუვარული. არა ერთხელ და ორჯელ მინასავს სიკო მიმინასთან ერთად აგერ იმ მოხუხჩხუე ზატარა მდინარის ნაპირსა. სიკო იქ ცხვრებს აძევებდა და ისე დღე არ გავიდოდა, რომ მიმინა იმის სანასავად არ მოსულიყო. იმ დროს, როდესაც ცხვრები უდარდელად შეეჭტეოდნენ ბაღასს, მიმინა და სიკო ხელი-ხელ გაყრილნი დადიოდნენ და ღაზარაკობდნენ. ბევრჯელ მომიკრავს შორიდან თვალი მიმინას წამოწითლებულ ღოყების და ანთებულის თვალებისათვის. როდესაც გვერდზე გაუფილი ორივენი წამოწითლდებოდნენ, მაგრამ იცოდნენ, რომ გულ-კეთილი კაცი ვიყავი და მიმინას მამას არაფერს კარდავსცემდი, ამიტომ ღაზარაკ ისეუ ძველებურად განაგრძობდნენ ხოლმე. ჩემი შვილი ბევრჯელ დასწრებია იმათ ღაზარაკს და არა ერთხელ უთქვამს ჩემთვის, რომ შეუძლებელია ისეთი სიუვარული, როგორც ამ ორის არსების გულს აკავშირებს და აერთებსო. მოსამართლეს არავინ არაფერს ეუბნებოდა, რადგანაც საწყალი სიკო ზიეტროში უველა მცხოვრებს უუარდა და უველა თანაუგრძნობდა. აი, ერთი ლექსი, რომელსაც

სიკო ხშირად მღეროდა, ხოლო მიმინა სულ-განახული აღტაცებით ეურს უგდებდა სოფელში...

მწეემსმა ჯერ თვალბეზელ მომდგარი ცრემლი მოიწმინდა, შემდეგ დინჯად და აუჩქარებლად წაიკითხა სიუვარულითა და ბედნიერებით აღსავსე ლექსი სიკო ამ ლექსში თავის სიუვარულ მიმინას ცისკარს, ამწვანებულ გაზაფხულს, გაბრწყინებულს ვარსკვლავს ადარებდა. თვითოველი ტაიბი ლექსისა რომელსამე სურათს შეიცავდა. უკანასკნელში ახალგაზდა მწეემსი სამღურავს უთვლი და ბედს, რატომ შეუვდ არ გამახინე, რომ ჩემი მიმინა დედოფლად გამეხადო. აქ მოხუცმა მწარედ ამოიკვნეს და სული განახა. ცოტაოდენის სიჩუმის შემდეგ ხელ-ახლად განაგრძო:

«რომ ხედავთ ამ ლექსიდან ზატარა სიკოს რა ძალიან უუვარდა მიმინა? ცოდვაც კი იყო, რომ, დედ-მამამ მწეემსობა აკისრებინა საწყალ ბიჭსს!... მაგრამ რა ექნათ? დარბებუ ივენენ და სიღარბუ კი ძალიან ხშირად აუბედურებს კაცს. დრო გადიოდა და ახალგაზდათა სიუვარულს კი არაფერი არ არღვევდა, ვიდრე თავი არ წამოჭეო შეუბრალებელმა, სისხლის მღვრელმა ომმა...» მოხუცებული შესდგა, თვალბეზე ხელი მიიფარა და მწარედ ტირილი დაიწყო.

ბოლოს, როდესაც მოხუცმა გული ტირილით იჭერა, ცრემლი მოიწმინდა. თავი მადლს აიღო და სამწუხარო ამბავს ხელ-ახლად მოჭევა:

«სიკო და ჩემი შვილი ომის გამოცხადების მეორე დღესვე ჯარში შევიდნენ და ბრძოლის ველისაკენ გაემართნენ. ამ ამბავსა სიშინლად დაადონა მიმინა. ქალი ისე სწუხდა და დარდობდა, რომ მამამაც კი შეატყო.

«მთელის ომის თავის განმავლობაში ჩემის შვილისა და სიკოსაგან არავითარი ამბავი არ მიმიღია. მიმინა თითქმის ყოველ დღე მოდიოდა და მკითხავდა, ხომ არაფერი გაგიგიაო, მაგრამ მე თითონ არაფერი ვიცოდი და იმას რას ვეტყვოდი. მე იმაზე ნაკლებად არ ვსწუხდი და ვდარდობდი, რადგან ჩემი შვილიც იქ იყო. ერთხელ დღით, — ოჰ, რა შავბნელი და მწარე დღია იყო ის დღია! რამდენი ცრემლი დამადურვეინა იმ დღიამ! — მეზობლის შვილი დაჭრილი მოვიდა და გამომიცხადა, რომ შენი შვილი და სიკო ბრძოლის

ველზე დაინტენსო. ამ ამბავმა მთელი ჰიეტრო დანდონა და და-
 დარდინა. სწული მიმინა კინაღამ ჭკუიდან შესცდა. რამდენსამე
 ხანს ავადც იყო, მაგრამ მალე მოაწინეს და ხელ-ახლად ფეხზე
 წამოაყენეს. სმაგვიეროდ ამ დღიდან გარედ ფეხი აღარ გაუდგამს.
 მარტო წირვასებდა დადიოდა. გავიდა დრო. გარდაცვალებულნი
 ვეკლამ დაივიწყა, მხოლოდ მე ვერ დავივიწყე ჩემი დარდი: ჩემს
 გულს მას შემდეგ მოსვენება აღარ უნახავს... ერთს მშვენიერს დღეს
 ჩემმა ქალმა შემეტყობინა, რომ მიმინა ბასტიის ნოტაროუსის შეიღმა
 შეიერთაო. ეს უმაწვილი კაცი მდიდარი და განათლებული იყო,
 სწავლა ააჩიოს სემინარიაში ჰქონდა მიღებული. მიმინა ჰირვე-
 ლად დიდ უარზე იდგა, არ გაუყვები მაგ კაცს ცოლადო, მაგრამ
 შემდეგ დედ-მამის სურვილს წინ ვედარ აღუდგა და იმათ თხოვნას
 დაჰგებულდა. მაგ კაცს უარს როგორ ეუბნები, მით უმეტესრომ სიკო
 ცოცხალი აღარ არისო? ეუბნებოდა ვეკლა სწულ ქალს. მიმინას
 გათხოვების შეიღის თვის შემდეგ, ცქტომბრის ერთს დამეს, აღარ
 მახსოვს კარგად, მგონი ამ თვის ექვსი იყო, უკვე დასაწოლად ვემ-
 ხადებოდი, როდესაც ვიღაცამ გარედან კარები დამიკაკუნა. გაკვირვებ-
 ული ფეხზე წამოვდექი და ვკითხე, ვინ არის მანდა-მეთქი.

«— გააღეთ, სიკო ვარ, სიკო!

«ამ სიტყვებმა თავს-რეტი დამასხა, გონება დამიბნა. განძ-
 რევატ კი ვედარ მოვასურსე, მეშინოდა სიკოს, და იქმნება ჩემის
 შეიღის. აწდილიც არ დამენახა. კაკუნი ხელ-ახლად მომესმა,
 ამასთან უფრო ძლიერდაც. კარები გავაღე და სიკო, თვით სიკო,
 ჯარის-კაცის გამტვერიანებულ ტანისამოსით გამაწოებილი კი დავი-
 ნახე. კედელს მივეუდღე, რომ არ წაჰქცეულიყავი. დმერთო ჩემო,
 ჩემ წინ სიკო, სიკო იდგა, რომელიც აღარავის ცოცხალი აღარ
 ეკონა.

«— ჩემი შეიღი?— ვკითხე ხმის კანკალით.

«სიკომ ხმა ამოუღებელივ ქუდი მოიხდა.

მე მივხვდი ვეკლაფერს.

«— შენ კი ცოცხალი ხარ?... როგორ მოხდა?

სიკო ჩემზე ნაკლებ არ იყო აღუდგებული. სკამი ავიღე და
 დავუდგი.

« — მიშინა? წამოიძახა სიკომ და თან გავარვარებული თვალები შემოშინათა, — როგორ არის?

« — არა უშავს-რა.. კარგადა სტყავრბობს... მაგრამ, თუ დმერთი გწამს, მიამბე როგორ განხდი აქ? როგორც მე, აკრეთვე სხვებს შენ და ჟაკი მკვდრები გვეტობნეთ.

« — დიად, საწვალი ჟაკი მკვდარია... იმან ისე დალია სული, როგორც გმირსა და ვაჟაკს შეეფერება. ბევრი წვალება, ბევრი ტანჯვა და დარდი გამომივლია, მაგრამ ისეთი ტანჯა და დარდი არასოდეს არ გამომიტლია, როგორიც ჩემის მეგობრის, ჩემის ძმის გარდაცვალების ამბის გაგონების დროს გამოვცადა.

შემდეგ სიკომ დაწვრილებით მიამბო სამწუნხარო ამბავი. ჩემი შვილი რუზონვილთან მომხდარ ბრძოლაში მოკვლათ. სიკოს სამაგიერო უნდოდა გადაეხდა ჟაკის მკვლელისთვის, მაგრამ მტრის მოქნეულმა ხმაღმა აღარ დაატადა და ისიც ჟაკს გვერდით მიუწვინა.

« — აღარ მახსოვს შემდეგ რა მოხდა. — მოთხრა სიკომ, — როდესაც გამოშვდიდა თავს ორი და მოწვალეების მადგა. მე შიშით ვაჭყეტადი თვალებს აქეთ-იქით, რომ ჩემი მეგობარი დამენახა სადმე, მაგრამ, საუბედუროდ, ჟაკი არსადა სჩანდა.

მოხუცს ხმა აუკანაღდა, ცოტა ხანს შესდგა, შემდეგ ისევ განაგრძო:

სიკომ ოთხ-თვემდე საავადმყოფოში დატყო. ბოლოს მოკვთდა და ფუხზე წამოდგა. მიმინა გონებიდან არა მხოლოდობდა. მუდამ დღე იმის ფიქრსა და მოგონებაში იყო. სიკომ ბევრი რამ მიამბო ამისა, თავისი ჭრილობისა და ავადმყოფობის შესახებ. ბოლოს ვედარ მოითმინა და აკანკალებულის ხმით ხელ-ახლა მკითხა მიმინას ამბავი. მე არ ვიცნოდი, რა მეთქვა და ჩემდა უნებურად წავიბუტბუტე:

« — საწვალეო მეგობარო!

« — რა ამბავია? — შეკრთა სიკო.

« — მიმინა გათხოვდა.

« — გათხოვდა?... ვაჰ, რა უბედური ვარ!

რამდენსამე წუთს სიკო გაშეშებული იყო შემდეგ მწარედ წამოიძახა:

— მიშინა, რად მომატეული, რად მომაკალი? განა ასალი ტანჯვა კიდევ საჭირო იყო ჩემთვის?

სიკომ ტირილი დაიწყო. ბევრი ვანუგეშე, მაგრამ იმის დამშვიდებანს არაფერი გაეწყო. ვუამბე მიშინას თავ-გადასავალი, იმის ტანჯვა კათხრეების დრეს. ისიც ვუთხარი, რომ მიშინას შკვლარი ეგონე, იმიტომ კათხრედა, წინააღმდეგ შემთხვევაში არ გიდალატებდა-მეთქი, მაგრამ ჩემს სიტყვებს უურადლებას არ აქტეუდა და გულ-საკლავად ტირიდა. ბოლოს, როგორც იყო, დავაწვინე, თუმცა ვეჭვობ, რომ იმ დამეს თვალი დაეხუჭოს. მეორე დღეს ძალიან ადრე ადგა და მიშინას სახლისაკენ გაემართა. დიდიდან სადამომდე ამ სახლს არ მოშორებია, გარეშემო უკვლიდა. სიკოს მოსვლამ მთელი სოფელი გააკვირვა. აუარებელი ხალხი მოდიოდა ჩემთან და შკითხავდა, შენი შვილიც ხომ არ მოსულაო. მეზობლები თავიანთი გამოკითხვით ჩემის შვილის შესახებ ტანჯვას მიორკეცებდნენ და უიშისრდაც დადარდაიხებულს გულს უფრო მიკლავდნენ. მთელი სამი დღე დახეტიალებდა სიკო დაღონებული, გაუფითლებული. არ ვიცოდი როგორ დამემშვიდებებინა, როგორ შემემსრუბეებინა იმისთვის ტანჯვა. ბოლოს, მეოთხე დღეს, როდესაც ნახირს სახლში მოვერეკე-ბოდი, წულის ნახირას შევნიშნე ჯარის-კაცის ტანისამოსი და ქუდი; შორი-ახლოს დავინახე აგრეთვე ასობე ამოკერილი ცხვირსახოციც. გულმა კანკალი დამიწყო — ეს ის ცხვირსახოცი იყო, რომელიც მიშინამ სიკოს საცანგებოდ შეუკერა. აზრმა გამიეფვა, რომ სიკომ თავი მოიკლა მეთქი. მეც არ ვიცი, სად მაგრამ ეს კია, რომ აკანკალებულის ხმით სიკოს ძახილი დავუწყე. მხოლოდ შორეულმა მთებმა გამცეს ხასუხი. დიდ ხანს ადარ გაფხერებულვარ, მაშინვე ხაოლინოს წისქვილისაკენ გავემართე, სადაც მდინარის ერთის ნახირიდან მეორემდე დობე იყო გაფლებული, ასე რომ წყალს რაც უნდა წამოედო, ეს დობე ქვეით ადარ გაუშვებდა. სიკოს გვამი წისქვილის დარში გატე-დილიყო. ჩემს უვირილზე ხაოლინო და იმის ორი ძმა მოცვივდნენ.

როგორც იყო საცოდავის გვაში ამოვართით. ბევრი ვერადეთ, ბევრი ვეწვადეთ, მაგრამ სიკოს სიტონსლე ვედარ დაუბრუნეთ. გვიანდა იყო: ის უკვე გამოსაღებოდა წუთი სოფელს. მიმინას მოახლემ გვიამბო, რომ სიკოს ამის გაგონებისთანავე მიმინას გული შეუღონდა, უგრძნებელი იატაკზე დაეცა; ხელთ რადესაც გონს მოვიდა, გაკიჟებუდივით თავლებს აჭექავდა, ვეკლავდეს, რაც კი ხელში მოხვდებოდა, გაბრაზებული აქეთ-იქით ისვრიდა, ხმას ადარავის ადარა სტემდაო. იმისი ქმარი ბასტიამი იყო. მოსამართლემ დიდი ტანჯვა გამოიარა, ადარ იცოდა როგორ ეშველა ქალისათვის და როგორ მოეყვანა გონს. სიკო ამ ხის ქვეშ დამარხეთ, რომელიც შირველი მოწამე იყო იმისა და მიმინას უმანკო სიუვარულისა. მიმინა ურადლებს ადარავის და ადარავდეს ადარ აქტევა: ჭევიროდა, სტიროდა, წამდა-უწუმ სიკოს სახელს იხსენიებდა. რამდენისამე დღის შემდეგ მიმინა მოახლეების და შინაურების შეუმჩნევლად სახლიდან გამოვარდა და წყლისკენ გაქანა, თან სიკოს საუვარელ სიმდერას მდეროდა. ნაზარზე დაღვა და მდინარეს თავლიერება დაუწყო, უთუოდ სიკოს ეძებდა. ამ დროს ფეხი დაუსხლტა და შიგ ჩავარდა. რადესაც მოახლები მივიდნენ გვიანდა იყო: მდინარემ ქალის გვაში საჩქაროდ გაქანა. ვერც მოახლის ვვირილზე შეკრებილმა ხაღხმა უშველა რამ. საწყალი ქალის გვაში მხოლოდ იმ ადგილას იზოვნეს სადაც სიკოს გვაში ხახეს წინადა... ტუეილად, ბატონო, თავს მოგაწეეთ იმის ადწერთ, რამდენად დაადონა და დაადარდიანა ამ ამბავმა როგორც მიმინას ოჯახობა, აგრეთვე მთელი ბიეტო; დიდი და ბატონა ვეკლა სწუხდა. საცოდავი მიმინას გვაში, მაშინ ნება დართვით, იმავე საფლავში ჩასდეს, რომელშიაც სიკოს გვაში იდო. ქმარს არც კი დაკითხნენ. დასაფლავებას მთელი სოფელი დაესწრო. ვეკლა გულამოსკვნიტ ტიროდა, სწუხდა ამ ორის ახალგაზდა, სიუვარულით აღსავსე, არსების დაღუბვას... აი, ბატონო, ეს განსავთ სრული ისტორია ამ საფლავისა. უფულ წელიწადს, იმათ გარდაცვალების

დღეს, მეზობლები ყვაულიებით ამკობენ საფლავს... ამ დღეს საფლავი ბევრის ცრემლის მოწმეა ხალხე...»

მონუს მწვემს მადლობა გარდაუხადე, ხელი ჩამოვართვი, გამოემშვიდობე და ბილიკით ხელ-ახლად საფლავისაკენ წავუდი. იქ ერთხელ კიდევ შევდექი, ქუდი მოვიხადე და დიდ-ხანს, დიდ ხანს დაფიქრებულნი დავეურები საცოდავ საფლავს.

ი. ა—ძე



ნამდვილი სამსახური

(ი. ზატაშენკოსა)

▼ III *

— აბა ახლა დავფაცურდეთ! ეს კვირა მამა როდიონისა არის!—უთხრა დიაკვანმა დომენტიმ მთავარ-დიაკონს სვიმონ სტრიუჩკოვს შაბათ საღამოს მწუხრის ლოცვაზედ.

— მართლაც, დომენტი ერმილიჩ, უნდა დავფაცურდეთ. წარსული კვირა ძალიან შემოსავლიანი იყო. ის რომ მამა როდიონისა ყოფილიყო, ჩვენს განზანაქში, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ორმოცი მანეთი მაინც მოგროვდებოდა. ერთი ჯვარისწერა, სამი გასვენება, ბელელის კურთხევა! გარდა ამისა კიდევ ბებერ მიროშნიჩს ზეთი ვუკურთხეთ. დიდი ფული უნდა აგველო... და ჩვენ კი თოთხმეტ მანეთ ნახევარი დაგვრჩა!... სათქმელადაც სირცხვილია!

ერთი სიტყვით, ლუგოვოს ეკლესიის მთავარ-დიაკვანი უკმაყოფილო იყო ახალი მღვდლისა. კმაყოფილი იყო თუ არა მამა როდიონი, ეს ჯერ არავინ იცოდა. ამ კვირის შემოსავლის ანგარიშზე იმას ხმა არ ამოუღია და პასუხსაც არ აძლევდა კითხვაზედ დომენტის:— „როგორ მოგწონთ ეს თქვენ, მამაო როდიონ?“ იმას, როგორც დინჯ კაცს, ჯერ კიდევ არ შეედგინა გარდაწყვეტილი აზრი ამ ახალს მოვლენაზე.

სამაგიეროდ სოფელში გავარდა სხვა-და-სხვა ხმები. ანტონ ბონდარენკო რომ გადარჩა ერთი მანეთით ჯვარისწერას, მოუყვა თავის მეზობლებს და უამბო, როგორც იყო საქმე.

*) იხ. „მოამბე“ № VIII.

— ხედავ, შენის მიზეზით ვცოდავდით ღმერთსა და ცილსა ვწამებდით მართალს კაცს!—ეუბნებოდნენ გლეხები:—ის ანგელოზი ყოფილა და ჩვენ კი...

კვირას მოვიდნენ მინდვრად გასულები წირვაზე და უამბეს ლუგოვოს მცხოვრებლებს, რაც ამბავი მოხდა მარკოს ბედელის კურთხევის დღეს. ამ ამბავმა უფრო გააძლიერა მითქმამოთქმა ხალხისა.

ეს კი უნდა სთქვას კაცმა, გადაწყვეტილი აზრი არა გამოუთქვამს—რა ხალხს და მხოლოდ თაქტებს უკვირდებოდა.

„ერთ დედაბერს უთხრა:

— შენ მოხუცებული ხარ, მორჩი, და როდესაც ფული იშოვნო, მაშინ მოვრიგდეთ; თუ მოკვდები და, საიქიოს გადამიხადეო.

— ოჰ, რა უცნაური ყოფილა!... საიქიოსაო!—გაიკვირვა ვიღაც მსმენელმა.

„როდესაც პაროშკა დაასაფლავეს, ავდენინის შვილი, ავდენინმა ერთი აბაზი ჩაუდო ხელში. მიიხედ-მოიხედა მღვდელმა, სახლში ქოთან-ნახევარი და პირ-ჩამოტეხილი დოქის მეტი არა დაუნახავს—რა. გამოართვა აბაზი და უთხრა:

— მადლობელი ვარ, მხოლოდ მე ხურდას დაგიბრუნებ.— ჩაიყო ჯიბეში ხელი და აბაზის მაგიერ დაუბრუნა ათი შაური: შენს უფროს შვილს თევზის ქონი უყიდე და ასვი, ეტყობა, ძალიან სუსტიაო.

— უცნაურია, ღმერთმანი! ჭკვიანი კაცი მაგას არ იზამს.

— ვინ იცის? ეგ სულ სხვა მიმართულების კაცი ყოფილა.

— ჩუბატოვებისას ეთქვა, ორი ჭიქის მეტი არაყი არ დალიოთო. ორზედ მეტი ყოვლად შეუძლებელიაო.

— ორი ჭიქა გლეხი-კაცისთვის ძლიერ ცოტაა, ყელსაც არ დაუსველებს.

— რა სათქმელია! ის არა სჯობია, სულაც აღარ დავლიოთ! ნათლობაში ვიყო და ორის მეტი არ დავლიო, რალა ნათლობა იქნება! თუნდა ქორწილში! აი გამიწყრა ღმერთი, ისე ჩაეხრჩობ თავსა...

შემოდგომის ღრუბლიანი დღე იყო. კირილე ლოცვაზედ იყო. მარო, ის იყო, ამდგარიყო ქვეშაგებიდან. ოთახში შემოვარდა თეკლე და მოახსენა:

— რაღაც ეტლი შემოვიდა ეზოში, ქალაქის ეტლსა გავს. მაროს გულმა ცემა დაუწყო და გამოვიდა კარში.

— დედა!— შეჰკვივლა მარომ და გულში ჩაეკრა ანნა ნიკოლაევნას:— როგორ გაბედეთ ამ სიშორეზედ მარტო წამოსვლა?

— პირველი რომ შორს სულაც არ არის, ორმოცი ვერსის მანძილია; მეორე რომ მარტო არა ვარ, მეეტლე მყავს.

აღმოჩნდა, რომ დედას მოსურვებია შვილის ნახვა და წამოსულა; მაროს გამოუთქმელად გაეხარდა დედის მოსვლა, დაიწყო ხტომა, წამდაუწყებ მიიღებდა დედასთან, მოეხვეოდა, ჰკოცნიდა და ბოლოს ტირილი დაიწყო:— ეს, დედაჯან, სიხარულისაგან არისო!

ანნა ნიკოლაევნას ძალიან მოეწონა სახლი, მაგრამ თეკლემ კი შეაწუხა დაუკითხავად რომ ჩაერია ლაპარაკში: ერთი საწყალი ქვრივი ვარ და ყველა მღვდლებს მე ვემსახურებიო. როდესაც მარო გავიდა გარეთ, ის მივიდა ახლო ანნა ნიკოლაევნასთან და უთხრა ჩემის ხმით:

— თქვენ, ქალბატონო, ყურადღება მიაქციეთ რაზე ამათ, თორემ ცხოვრებისა არა იციან-რა. სხვა მღვდლებს ორ-ორი ძროხა ჰყავდათ, ცხვრის ფარა, ურიცხვი წვრილფეხობა და ამათ კი არაფერი არა ჰყავთ. იქნება არც კი დამიჯეროთ: ფქვილსა ყიდულობენ! მღვდელი და ფქვილის სყიდვა! ჩემს დღეში ამას არ მოვსწრებოვარ. სამს წინამძღვარს სხვას ვემსახურე და ფქვილს ყოველთვის ვყიდდით, არამც თუ ჩვენ გვეყიდნა. არა, ჰკუა უნდა ასწავლოთ, თორემ ცუდად არის საქმე!

როგორ არ უნდა სწყენოდა ანნა ნიკოლაევნას ეს ამბავი? კიდევ რომ არა სდომოდა, მხედველობაში უნდა მიეღო თეკლეს ნალაპარაკევი. მართლდაც, რასა ჰგავს ამათი ცხოვრება? ორ თვეზე მეტია ამისთანა მდიდარს მრევლშია კაცი და სრულებით არა შეუძენია-რა!

— მიამბე, შვილო, როგორა ხარ, როგორ უძლებ აქაურობას?

— ძალიან კარგად და კმაყოფილიცა ვარ! — მიუგო მარომ.

— არა, მაინც როგორა ხარ? როგორ ატარებ დროს და სხვა...

— დროს უფრო წიგნების კითხვაში ვატარებ: კირილე ხან ეკლესიაშია, ხან სოფელში და ხან სკოლაში.

— და შენ ზიხარ მარტო?

— დიად, მერე რა?

— ნაცნობებიც არაინა გყავს? აქ ხომ ერთი მემამულე ქალია, რატომ არ გაიცანით? რატომ არ ნახა კირილემ?

— ვინა, კირილემ? თქვენგან არ მიკვირს! კირილემ ასე სთქვა: „საქმე თუ მექნება რამე, წავალო; და ისე კი, რა წითელი კოკია, რომ იმას ვეახლოვო“. მღვდლის სახლობა კი გავიცანი—დედა და ექვსი ქალი, მაგრამ არ მომეწონნენ!

— ისე რომ სრულიად მარტოდ-მარტო ხარ.

— კირილე მეუბნება, გაიცანი გლეხ-კაცების ოჯახები, საინტერესო ხალხიაო! ანნა ნიკოლაევნას გაეცინა და იფიქრა; „არა, ამ კაცს რკინის ტვინი უნდა ჰქონდესო.“

მოვიდა კირილეს და დიდად ესიამოვნა სიდედრის მოსვლა. — ხედავთ რა მშვენიერი ჰაერია; იქნება თქვენც მოინდომოთ სოფლად ცხოვრება! — უთხრა სიდედრს.

— არა, მაგაზე კი უკაცრავად! მაგას თავის დღეში ნუ მოელი! — მელიდურად მიუგო ანნა ნიკოლაევნამ. და შეუტრაცყოფად და დამცირებად მიიღო ქალაქიდან სოფელში გადმოსახლება. არ გასულა რამდენიმე დღე მან უკვე გაიგო, რომ მარო და კირილე სულ დღიურად გამოდიოდნენ და თეკლეს ლაპარაკი მართალი გამოდგა. ნაყიდი იყო სულ ყველაფერი, რაც კი სამზარეულოსთვის საჭიროა — ერბო, ხახვი, კარტოფილი: — თეკლე წამ და უწუმ გარბოდა დუქნებში და ყველაფერს ყიდულობდა; ნაღები, რომელიც ჩაიზე მიართვეს, ნაყიდი იყო და იმავე ფასად, როგორც ქალაქში იყიდება.

— გამიგონე, ჩემო მეგობარო, მეტად ძვირად დაგიჯდებათ ცხოვრება, თუ სუყველა ფასად იყიდეთ! ვითომ ამისთანა დიდი შემოსავალი გაქვს?

— კირილე რასაც შოულობს, ყველას მე მაძლევს.

— აბა, შედარებით რამდენს მაძლევს თვეში?

— ოცს, ხან ოცდახუთს მანეთს მომიტანს.

— ეს არის თქვენი შემოსავალი? კაი მრევლი ჰყოლია! მაღლობელი გახლავართ! ეს სულ მაგისტრობისა და აკადემიის ბრალია! მაინც რა გიჯდებათ ცხოვრება?

— ხუთი თუმანი.

— მერე საიდან შოულობთ?

მარო აირია და გაწითლდა. — სულ ერთია დედაჯან! მერე იმატებს შემოსავალი და შევამსებთ.

ანა ნიკოლაევნა ჯერ გაოცებით შესცქეროდა, მერე კი ძლივს მიხვდა და მოიაზრა. ბოლოს ყრუ ხმით წარმოსთქვა: დიდი ხანია, რაც დაუწყე შენს მზითვეს ხარჯვა?

— დედაჯან, მერე რა ვუყოთ? პირველად ასე იქნება, მერე უკეთ წავა საქმე და შევამსებთ... მხოლოდ კირილეს არაფერი უთხრათ მაგაზე, დედა: იმას არა გაეგებარა მაგისტრანებისა, ის ისე ცხოვრებს, როგორც ბავშვი.

ანა ნიკოლაევნას აღარა უთქვამს-რა, მაგრამ წარბები კი შეიკრა და გადასწყვიტა სიძესთან მოლაპარაკება.

მეორე დღეს კირილე წაიყვანეს წესის აღსასრულებლად. ანა ნიკოლაევნა მოემზადა მათ სანახავად მოსული პირების მისაღებად. პირველად მოვიდა მეუღლე მამა როდიონისა. მაღალი მხარ ბეჭიანი და მსხვილი ქალი იყო; მიუხედავად ორმოც და ათის წლისა, მშვენიერი ვარდის ფერი აბრაშუმის წამოსასხამი ეხურა; ნამცეცი სიკეკლუცე არ ჰქონდა მღვდლის ცოლს, და უნდოდა მხიარული ტანისამოსით დაემსახურებინა სობოროს დეკანოზის მეუღლის ყურადღება.

— დიდ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, იმისათვის ვიახელით, რომ თქვენთან დავაბეზლო თქვენი სიძე, — თითქმის შემოსვლისათანავე დაიწყო მამა როდიონის მეუღ-

ლემ;—ღმერთო შეგვიწყალე, ახალი წესები შემოიღო: მრევლს აღარაფერსა სთხოვს.—„რამდენიც გქონდეთ, ის მომეცითო, ეუბნევა“. ხომ მოგეხსენებათ, ხალხსაც ეს უნდა და აძლევენ თითო გროშობით! დაიჯერებთ, ბატონო, ჩემ ქმარს, ძალიან ძვირად იქნებოდა სამოცი მანეთი რომ არ აეღო თვეში. ხშირად ათს და თორმეტს თუმანსაც იღებდა. ეხლა კი ოცი, ოცდა ხუთი მანეთის მეტი აღარა გაგვიჩინარა. აბა რითი უნდა ვიცხოვროთ! ექვსი ქალი მყავს!.. ეს ყველა გამოუცდელიობით მოსდის, რასაკვირველია... ყმაწვილი კაცია! ერთხელ არ მობრძანდება ჩემ ქმართან, მამა როდიონთან, და რჩევას არა ჰკითხავს. თქვენი სიძე, მართალია, წინამძღვარია მაგრამ ჩემი ქმარი—გამოცდილი კაცია!

მღვდლის ცოლს შემოჰყვენენ აგრეთვე დიაკვნის და მთავრის ცოლები, რომელთაც დაჯდომაც ვერ გაზედეს სკამზე. მათაც უკმაყოფილება გამოაცხადეს: შემდეგ თქვენი სიძის მობრძანებასა ძალიან გაგვიჭირდა ცხოვრებაო.

— მე ეგ თვითონ მესმის და მიხვედრილიცა ვარ!—პასუხად ეუბნებოდა დეკანოზის ცოლი, მეტად აღელვებული ამ ამბებით;—ღამერწმუნეთ ეგ საქმე ავრე არ გაგრძელდება. მე მოველაპარაკები ჩემს სიძეს, მტერი ხომ არა ვარ ჩემი შეილისა? დღესვე მოველაპარაკები!

ქალების ნალაპარაკევი, რასაკვირველია, მათი ჰკვიანი ქმრების შთაგონებით იყო და ძალიან დაიმედებულები წავიდნენ.

— მინდა ცოტა რამეზედ მოველაპარაკო, საყვარლო სიძე!—წყნარი ხმით გამოელაპარაკა სიდედრი კირილეს.

სალამო ჟამმა მოატანა. მარო იჯდა კიბეზე და ათავებდა რაღაცა წიგნს. ანნა ნიკოლაევნამ ისარგებლა მისი მარტო დარჩენით კირილესთან, რომ გაეთავებინა ეს, მისი შეხედულებით, არა სასიამოვნო ბაასი.

— მე მზად გახლავარ, ძვირფასო ანნა ნიკოლაევნა!—უთხრა კირილემ მშვიდობიანად.—მან თითქმის იცოდა რაში, იყო საქმე.

— არ მესმის შენი ამ გვარი საქციელი!... არ მესმის! სულ ორი თვეა რაც აქა ხარ და შენს გარშემო ყველანი უკმაყოფილოდ არიან.

— ყველა არა, ანნა ნიკოლაევნა, ყველა არა!

— თითქმის ყველა. მამა როდღონი დიდად უკმაყოფილოა; დიაკონი და მთავარი გიჩივიან, ცხოვრება გაგვიჭირდაო. როგორ თუ ყველა არა?

— მრევლი? ვგონებ მრევლს არ უჩივლია ჩემზე.

— ეგლა მაკლდა, რომ შენს მრევლს გამოველაპარაკო! საქმე ის კი არ არის, რომ მაღლიერია მრევლი თუ უმადური. შენ ისე გაგირყვნია შენი მრევლი, რომ წესის ასრულებაში რაც ნებაეთ იმას იძლევიან. ეკლესიის შემოსავალი ერთი სამად მოგკლებიათ. მე ვერც კი წარმომიდგენია, რომ ჭკვათამყოფელი ასე იქცეოდეს! ამას შეშლილი თუ იზამს, თორემ...

— ნეტავი თქვენა. ხომ გვყოფნის! მაღლობა ღმერთს, ესჭამთ, ვსვამთ და ტიტველნი არ დავიარებით.

ანნა ნიკოლაევნა თვალეში შესცქეროდა, თითქო სურდა გაეგო, მართლა სიყმაწვილე იყო ეს, თუ განუკურნებელი სენი.

— გამიგონე, კირილე!—უთხრა ხმა-დაბლა;—თუ ასე იცხოვრე ამ ქვეყანაში—შენ არც კი იცი, შენ თვალ-წინ რა ხდება,—შენც დაიღუბები და შენს ცოლშვილსაც დაღუბავ. შემოსავალი შენ ოც და ხუთი მანეთი გაქვს თვეში და ორმოც და ათ მანეთს კი ხარჯავთ. გესმის თუ არა?

კირილე გაწითლდა და ანაფორის კალთებს დაუწყა კმუქნა

— ეგ კი მაროს ბრალია... მე არავიცოდი-რა,—გაიფიქრა კირილემ, უცებ წამოდგა და ხმა-მაღლა მიუგო: —გმაღლობთ რომ გამაგებინეთ, ანნა ნიკოლაევნა! ვეცდები, აგრე აღარ იყოს!

— კიდევ ეგ არის, რომ უნდა ეცადო! მე იმისთვის ხომ არ ვამბობ, კირილე, რომ მენანებოდეს რამე. ოღონდ შავი დღისთვისაც უნდა გქონდეთ რამე, მე მხოლოდ გირჩევთ.—კირილე

გაჩუმებული ფაზჯარაში იყურებოდა. ანნა ნიკოლაევნა რა კი დარწმუნდა, რომ იმისმა სიტყვამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, გავიდა აივანზე ჩაის დასალევად.

— რად დაიგვიანეთ, — ჰკითხა დედას მარომ.

— არა... ისე... საშინლად მიჭერს ფეხსაცმელი... მანამ ახალია.

კირილე კაი ხანს დარჩა ოთახში და როდესაც გამოვიდა, თითქმის ღამე იყო, ისე რომ ანნა ნიკოლაევნას აღარ შეუნიშნავს მისი სახის გამომეტყველება. მეორე დღეს ადრე სიდედრი ქალაქში წავიდა და თან წაიღო მაროს მზითვის ფული ბანკში შესატანად: ეს უმჯობესი იქნებოდა, უთხრა მაროს და დაუტოვა სულ ოთხასი მანეთი, რომ ყოველ შემთხვევისთვის ჰქონოდა. წასვლის დროს, ერთი სიტყვაც არ უთქვამს კირილესთვის დარიგების კილოთი: ფიქრობდა, ისიც კმარა, რაც ვუთხარიო. მარო კი გაიხმო განზე და უჩუბჩუბდა:

— მე ყოველი კეთილი მსურს, მარო, შენთვის და რაც უნდა მოხდეს, ყოველთვის შენს საყვარელ დედად გიგულუბოდეთუ შეგვმთხვეს რამე, იმ წამსვე გამოსწიე ჩვენკენ. რაც ჩვენ გავაჩნია, ყველაფერი შენ გეკუთვნის, შვილო.

— მე არა მინდა-რა. რაც უნდა მოხდეს, მე კირილესთან დავრჩები, — გაიფიქრა მარომ და, როდესაც დედა წავიდა, ის მივიდა კირილესთან, გაუყარა ხელი ხელში და ნელის ხმით წარმოსთქვა:

— შენ იცი, კირილე... მე... მაგრამ ევლარ გაათავა სიტყვა და გაწითლდა. კირილემ ნაზად გამოართვა ხელი, აკოცა და უთხრა: — საწყალო, ჩემო მარო.

IX

— მარო, ძალიან გულით მსურს, ვიანგარიშებდეთ, რა გვიჯდება ჩვენ ცხოვრება თვეში? — უთხრა ერთხელ კირილემ ცოლს.

მარო მაშინვე მიხვდა, რომ ეს მისი დედის ბრალი იყო; მაგრამ ხელავდა, რომ ქმარი არ იქცეოდა გულახსნით, არამედ

დიპლომატიურად, და ამისათვის გადასწყვიტა, თითონაც მოხერხებული პასუხი მიეცა.

— შენი ნებაა, — უთხრა მან, აიღო საწერ-კალამი, ქალაღი და ხმა-მალლა დაიწყო ანგარიში. მარომ ისარგებლა კირილეს გამოუცდელობით და სულ ნაკლები ფასები ჩათვალა. ბოლოს გამოვიდა, რომ ცხოვრება თვეში უჯდებათ ოც და ხუთი მანეთი, ესე იგი, იმდენივე, რამდენიც შემოსავალი ჰქონდათ; რჩებოდა კიდევ რამოდენიმე უზალთუნი.

„ოჰო! სჩანს, ანა ნიკოლაევნამ ჩვენდა დასატუქსავად სთქვა, ერთი-ორად მეტსა ხარჯავთო!“ — გაიფიქრა კირილემ და უამბო ცოლს მისი დედის ნალაპარაკევი..

— აი, ხომ ხედავ ამ ანგარიშს! — თავ-გამართლების კილოთი მიუგო მარომ.

შედეგი ამ ლაპარაკისა იყო ის, რომ თეკლე მუდამ აღშფოთებული იყო და არ მოსწონდა წინამძღვრის ოჯახის წყობილება, მაგრამ მაინც ყველა ისევ ისე რჩებოდა.

ოთხი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც კირილე დაბინავდა ლუგოვოში. მისი დამოკიდებულება მრევლთან და ეკლესიის კრებულთან გამოირკვა. მამა როდიონი ყოველთვის ელოდა, რომ ეს ყმაწვილი კაცი გონს მოვიდოდა და ერთხელ კიდევ უთხრა სეიმონს და დომენტის:

— არა, ეს სიყმაწვილე კი არ არის, ჩემო მეგობრებო, ეს იმას ამტკიცებს, რომ განუკურნებელი სენი სჭირს ჩვენს წინამძღვარს!

— ავრე უნდა იყოს, მამაო როდიონ, — დაეთანხმნენ დიაკვნები.

— მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ საქმე ისევ უწინდელ წესზე დავაყენოთ! — გამოაცხადა მამა როდიონმა.

— აუცილებლად! — კვერი დაუკრეს დიაკვნებმა.

მართლაც, საჭირო იყო ამაზე ეფიქრათ. ლუგოვოს მრევლი არა თუ სარგებლობდა ახალი წეს-წყობილებით, არამედ პირდაპირ ბოროტმოქმედობდა მით. გვარიანი შეძლებულებიც კი სულ აღარას იძლეოდნენ, ზოგიერთი ორ შაურსაც აღარ

იმეტებდა. პირველში ეკკლესიის კრებულისათვის ეს ოთქმის შეუმჩნევლად რჩებოდა, რადგან მამა როდიონის შეიდეულის დროს ერთი-ორად ახდევინებდნენ, მაგრამ უკანასკნელ დროს მრევლიც გაეშმაკდა. ისინი ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ მათი საქიროება მოხვედროდა კირილეს წილ-ხლომილ შეიდეულს და მამა როდიონის კვირას რჩებოდა მხოლოდ აუცილებელი მოთხოვნილება. ამ შემოდგომაზედ ოცი ჯვარისწერა იყო და ხუთი თუ ექვსი ხედა წილად მამა როდიონს, დანარჩენი კი კირილეს. ეს წესი—„რამოდენიც შეგეძლოს, ის მომეციო“,—ძალიან მოსწონდა ლუგოვოს მრევლს.

როდესაც მამა როდიონი დარწმუნდა, რომ აქ სიყმაწვილე კი არა, სულ სხვა მიზეზი იყო, ჩაიცვა საღმრთაწაულო ტანისამოსი და ასე მორთული მივიდა წინამძღვართან. ცოლს უთხრა, მინდა ერთი კარგად მოველაპარაკო მ. კირილესაო.

პირველად თეკლემ დაინახა მისი საღმრთაწაულო მორთულობა, შეიბინა ოთახში და მოახსენა წინამძღვარს:

— მამა როდიონი გიახლებათ, ახალი ანაფორით.

— ძალიან კარგი, მობრძანდეს!

მამა როდიონი მძიმე ნაბიჯით და განიერი ანაფორის სახელოების ქნევით ავიდა კიბეზე. კირილე მიეგება და შეიყვანა ოთახში. მამა როდიონი მისალმა მაროს, რომელიც იქ იჯდა, თითონ დინჯად დაჯდა და სთქვა:

— დიდი ხანია, მე თქვენთან არა ვყოფილვარ, მამაო კირილე!

— დიდი ხანია, დიდი ხანია! სულ ერთხელ ბრძანდებოდით მხოლოდ, მამაო როდიონ!

— თქვენც კი ჩემთან ერთხლის მეტად არა ვყოფილხართ, მამაო კირილე!... ასეა: როდესაც ახლოა კაცი კაცზე, ისედაც ხშირად ხედვენ ერთმანეთს.

პირველად ეგონათ, სანახავად იყო მოსული მამა როდიონი, მაგრამ ორიოდ სიტყვის შემდეგ შენიშნეს, რომ განსხვავებულად ჩაახველა და სთქვა:

— მე თქვენთან საჭირო საქმეზედ ვიახელით, მამაო კირილე!

— აბა, რა ამბავია, მამაო როდიონ?

— არის, მამაო, დიდად საყურადღებო საქმეა...—სთქვა თუ არა ეს, მარცხენა ხელი წვერზედ ჩამოისვა და დაიწყო... მარო აღვა და წყნარად გავიდა თავის ოთახში, რადგან შეატყო, რომ თავისუფალი მოლაპარაკება სურდა მამა როდიონს კირილესთან.

— მამაო კირილე, ეს შეუძლებელია, ყოველად შეუძლებელი!—პირდაპირ გამოაცხადა მამა როდიონმა:—თითონ თქვენ განსაჯეთ, მე მყავს ექვსი მოწიფული ქალი, რომელთაგანი არც ერთი არ გამითხოვებია... ჭამა უნდათ, სმა უნდათ; შიშველს ხომ ვერ ვატარებ... დასასრულ მზითევიც უნდა შევევტროვო... ექვსი ქალი მყავს მამაო, ექვსი...

— მამაო როდიონ...

— ან კიდევ საწყალი დომენტი! ისიც წვრილშვილია... სწავლა-განათლება იქით იყვეს, რა აჭამოს ცოლ-შვილს, პურიც კი არა აქვს, მამაო კირილე...

— მამაო როდიონ?!..

— არა, გთხოვთ, რომ გამათავებინოთ, მამაო კირილე! მე ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ რაკი დავიწყე, ნება მომეცით. აგერ ოთხი თვე სრულდება, სულ იმას ვფიქრობდი, თქვენ თითონ მიხვდებოდით ამას, მაგრამ ვხედავ, თქვენ ყურსაც არ ანძრევთ. მაშასადამე უნდა ვთქვა რამე და აი ვამბობ კიდევცა. კი ნუ გამიწყრებით, მამაო, და გეფიცებით, ეს შეუძლებელია! შეუძლებელია, მამაო კირილე!

— რაზედ ლაპარაკობთ, მამაო როდიონ? თქვენ ვგონებ ვილაზედაც სჩვიით....

— სწორედ ვჩივი! ვიზედ? თქვენზე, თქვენზე, მამაო კირილე! თქვენ განგიძრახავთ ჩვენი დაგლახაკება... თქვენს მოსვლამდინ არა თუ საკმაო შემოსავალი გვქონდა ჩვენის ოჯახის სარჩენად, კიდევაცა გვრჩებოდა ცოტა რამ შავის ღლისათვის. ეხლა კი საშინელებაა! სარჩომლადაც აღარა გვყოფნის.

ამ სამს ოთხ თვეში თქვენ... უკაცრავად, მამაო კირილე... თქვენ გაგვიფუჭეთ მრევლი. ერთი სიტყვით თქვენ გარყვენით მრევლი!

— გავრყვენ?

— დიად, გარყვენით! ლუგოვო ითვლებოდა საუკეთესო მრევლად მთელს მაზრაში, ეხლა კი... სიმშლით ვიხოცებით.

მამა როდიონმა, როდესაც თავის სახლიდამ გამოდიოდა, გაღასწყვიტა თავდაჭერით და მოთმინებით ელაპარაკნა, მაგრამ ვერ შეიმაგრა თავი, როდესაც მრევლს შეხვდა. თხუმეტი წელიწადია ამ მრევლს შურის თვალით შეჰყურებდნენ ყველა ღვდლები და უცებ გამოტყვრება ვიღაც ყმაწვილი კაცი, რომელსაც ჯერ ტუჩზედ რძე არ შემრობია, და რამდენიმე დღეა ანაფორა ჩაუცვამს, დაიწყებს ბრძანებას, შესცვლის წყობილებას და კაცს ამისთანა მდგომარეობაში აგდებს, რომ თავი ქვას უნდა ახლოს. მამა როდიონმა ხმა აუმაღლა:

— არა, მამაო კირილე! ჯერ თქვენ ყმაწვილი ხართ, გამოუცდელი; მაგრამ როდესაც ამ გამოუცდელობით სხვები იტანჯებიან, საჭიროა გამოცდილს კაცს დაეკითხოთ.

— თქვენ იმას მისაყვედურებთ, რომ მე წესის ასრულები-სათვის ფასი არ დავნიშნე? და ნება მივეცი ვისაც რა შეეძლოს, ის იხადოს?—ჰკითხა კირილემ, როდესაც მამა როდიონი როგორც იყო გაჩუმდა.

— აი სწორედ მაგას, სწორედ მაგას!—აჩქარებით დაეთანხმა მამა როდიონი: მაგაშია ჩვენი უბედურება, მაგაშია, საძირკველი ბოროტებისა.

— მაშ გაღასწყვეტილი უნდა მოგახსენოთ, მე სხვანაირად მოქცევა არ შემიძლიან. ეს წინააღმდეგია ჩემის ბუნებისა და მთელი ჩემის მიმართულებისა... არ შემიძლიან!

— მამაო კირილე! დიდი უსამართლობა მოგდით: თქვენ ერთი ხართ, ჩვენ სამნი, სამივე წვრილ-შვილები. ჩვენ, ღვთის შეწევნით, ვიყავით ჩვენთვის და ამით ვნებას არავის ვაძლევდით; თქვენ კი ჩამოხვედით და იძახით: არა, ამით არ უნდა იცხოვრონ ქვეყანაზედაო! ჩვენ, მამაო, მკვიდრნი ვართ ამა ქვეყნისა, თქვენ კი... მომიტევეთ, ეს სიტყვა! თქვენ მოსული ხართ! ჩვენ

ეცხოვრობთ, ისე როგორც სხვანი ცხოვრობენ; თქვენ კი გინდათ არა მარტო თქვენ იცხოვროთ თქვენს გემოზე, არამედ ჩვენც თქვენს გემოზედ გეაცხოვროთ... სად არის სამართალი?

კირილე ჩაფიქრდა და რა წარმოუდგა თვალ წინ, რა დიდი განსხვავება იყო მამა როდიონისა და იმის მიმართულებაში, იფიქრა, ლაპარაკი სულ მეტი იქნებოდა: დეე, ეგონოს რომ მე უნიანი ვარ, ფიქრობდა კირილე, გამოუცდელი და ყველა რაც კი ენებოდა; როგორ გავაგებინო, როგორ აუფუხსნა, რომ ეს წესიერება გამომდინარეობს იმ შეხედულობისაგან სამღვდელობაზე და მწყემსად მოწოდებაზე, რომელსაც ესენი ვერც კი გაიგებენ. ვერ გაიგებენ და, რომ ვუთხრა, უფრო გამწვავდება საქმე, ეს იქნება ნიშანი, რომ მე მათ ომი გამოვუცხადე.

— შესაძლებელია უსამართლობაც იყოს, მამაო როდიონ, მაგრამ მე სხვანაირად წირვა არ შემიძლიან, — სთქვა მან დამშვიდებული კილოთი.

— როგორ?!... თუნდა უსამართლობაც იყოს, თქვენ მაინც ისევე ისე მოიქცევით?

— დიად, დიად დიად!.. მე სხვანაირად მოქცევა არ შემიძლიან, მამაო როდიონ.

— მარტო თქვენ ხომ არა ხართ?! თქვენზედ არის დამოკიდებული ჩვენი კეთილ-მდგომარეობა.

კირილე აღვა და რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში. მერმე მიუბრუნდა და უთხრა:

— გამიგონეთ, უბატოცემულესო მამაო როდიონ! მე ამას წინაწინვე ვგრძნობდი, და ვთხოვე კიდევ მღვდელ-მთავარს, დავენიშნე სადმე მიყრუებულს სოფელში, სადაც მღვდელი მარტო მე ვიქნებოდი; მაგრამ ჩემდა უნებურად, დამნიშნა აქ. რა ვქნა, მე არა ვარ დამნაშავე, ეს ჩემი ნება არ იყო, და ეხლა, რაც არა ვარ, ის ვერ ვიქნები... მე თქვენ გულახსნით გეუბნევით, მამაო, რომ აქ ჩემებურად იქნება ყველა; მე აქ იმისთვის კი არ მოვედი, რომ შემეძინა რამე, — შესაძენს ადგილს ქადაქში უფრო ვიშოვიდი, ვინემ თქვენს ლუგოეოში,

თუ კი მოვინდომებდი, მოიფიქრეთ, მამაო როდიონ! კაცმა აკადემია საუკეთესოდ გაათავოს, სასარგებლო ადგილი შეეძლოს ქალაქში იშოვოს, და სოფელში წავიდეს: და თუ თქვენ ამის შემდეგ იმედი გაქვთ, რომ გავლენა რამე გექნებათ იმ კაცზე თქვენი სურვილის სისრულეში მოსაყვანად, ძალიან შემცდარი იქნებით.

— მაშ სჩანს, ყოველივე იმედი, უნდა გადავიწყვიტოთ, რაღა?

— რაღა? წადით მღვდელმთავართან და სთხოვეთ, რომ სხვა პატარა მრევლში გადამიყვანოს; შეგიძლიანთ ესეც დაუმატოთ, რომ მე მოხარული ვიქნები.

მამა როდიონი წამოდგა, აიღო ქუდი, ყავარჯენი და დაღვრემილი სახით გამოეთხოვა.

გულში კი სხვა ფიქრი უტრიალებდა: ეს აკადემია გათავებული, როგორც ვფიქრობ, შესლილი უნდა იყოსო!...

სახლში დახვდა მას მთავარი დომენტი და მამა სვიმონი. ისინი დერეფანში იხდნენ, და ისეთი ძლიერი აღელვება ეტყობოდათ, რომ ლაპარაკს ვერ ახერხებდნენ და ჩუმად იყვნენ. როდესაც მამა როდიონი შემოვიდა, ისინი ფეხზე წამოდგნენ და მაშინვე მახედნენ, რომ მოლაპარაკება უსარგებლოდ გათავებულია: ასე რომ არ ყოფილიყო, გამოელაპარაკებოდა და ეტყოდა;— „თქვენ აქვე ხართ? ძალიან კარგი!...“ ეხლა კი ჩაუარა ისე, რომ ხმაც არ გასცა.

ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა მამა როდიონი და ხთქვა:

— დომენტი, მამაშვილობას, წადი, ცხენი შემიბი, ბიჭი არ არის სახლში... ერთი ქალბატონთან მიინდა შევიარო.

— „აჰა!“ ერთ დროს გაიფიქრეს დიაკვნებმა; „საქმე ჯერ არ გათავებულია!“ დომენტი წავიდა ბძანების ასასრულებლად და დიაკვანიც თან გაყვა მოსახმარებლად. ცოტა ხანს უკან მამა როდიონი, თავისის სადღესასწაულო ტანისამოსით, და ხელში სებისკერით ლუგოვოს მემამულე ქალისკენ გაემგზავრა. მამა სვიმონი წავიდა თავის სახლში, მაგრამ რამდენიმე ხნის

შემდეგ ისევ მამა როდიონის სახლისკენ წამოვიდა, რადგან დაინახა უკან მომავალი მღვდელი.

სამშაბათი, კირილესთვის თავისუფალი დღე იყო; ამავე საღამოს ექვს საათზე წინამძღვრის ეზოში შემოვიდა ცხენიანი კაცი, რომელიც შეხედულობით მოუტრავს გავდა, გადმოხტა, სალამი მისცა იქავე აივანზე მჯდომს კირილეს, და მიართვა დაბეჭდილი წერილი, რომელზედაც იყო წარწერილი: „მამა კირილე ობნოვლენსკის“. კირილემ გახსნა წერილი და ამოიღო პატარა მოსაკითხი ბარათი, რომელზედაც დაბეჭდილი იყო ლიტოგრაფიული სტრიქონით: „ნადეჟდა ალექსის ასული კრუპოვისა“. წერილი იყო დაწერილი წვრილად და ბეჯითის ხელით: „უპორჩილესადა ვთხოვ მამა კირილეს, მობრძანდეს ჩემთან დიდად საჭირო საქმეზე. თუ საჭიროა, დაუყოვნებლივ ვახსლებ ეტლს“.

— კარგი, მე ჩემი საკუთარი ცხენი არა მყავს—უთხრა კირილემ.

— მაშ მიბრძანებთ, მამაო, მოგართვათ ეტლი?—ჰკითხა ცხენოსანმა.

— თუ ჩემთან საქმე აქვთ, მაშინ რასაკვირველია!

— ამ საათში მოგართმევთ!

ცხენოსანი გაბრუნდა უკან და გააქენა. „დიდად საჭირო საქმე“ გაიფიქრა კირილემ: „ნეტავი რა საქმე უნდა ჰქონდეს? თუ წესის ასრულება უნდა რამე, მაშინ შემოთვლიდა: „წამოიღეთ შესამოსელი და მედავითნე წამოიყვანეთო.“

— შენ რას ფიქრობ, მარო, რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემთან?

— ჩემი აზრით აი რა: უთუოდ მამა როდიონმა გიჩვილა; ამისთვის თუ გიბარებს, რომ შეგაგონოს რამე....

კირილეს გაეცინა:

— როგორ თუ შემაგონოს? მამა მთავარი ხომ არ არის? იცი რა, მარო, მე მგონია, რომ არ წავიდე, უკეთესი იქნება.

— არა, უფრო უნდა წახვიდე: რომ არ მიხვიდე, შეეშინდაო, დაგწამებენ. მაგრამ ეს ხომ ჩვენი წარმოდგენაა. შესაძლებელია, იმას, მართლაც, საყურადღებო საჭირო საქმე აქვს რა-

მე. ამასთან, კირილე... მე დიდი ხანია მინდოდა შენთვის მე-
თხოვნა.

— აბა რა?

— შენ რომ გაიცნობ იმ ქალს, მერმე მეც გამაცანი. ხმის
გამცემი მაინც შეყოლებას; სულ მარტო ვარ.

ეტლიც მალე მოვიდა. კირილემ ჩაიცვა ანაფორა, დაი-
ვარცხნა თმა და გასწია. მემამულე ქალის სახლი ეკკლესიაზედ
სამი ვერსით იყო დაშორებული, სოფელზედ კი უფრო შორს.
ეს სამოსახლო წარმოადგენდა პატარა სოფელს, რომელშიაც
მოთავსებული იყო, მებატონის სახლის გარდა, შენობები მუ-
შებისათვის, საქონლისთვის, ქირნახულისთვის და სხვა. სახლი
კი, რომელშიაც თითონ სცხოვრობდა, ძლივს-ლა მოსჩანდა თა-
ვის გაშვებული სახურავით, რომელზედაც ასული იყო ბაღის
ხეების ტოტები. ბაღი ვრცელი იყო, მაგრამ სრულიად მოუყ-
ლელი, სრულიად გაფუჭებული. ეტლი შეგრიალდა ალაყაფის
კარებში, გაიარა ბაღი და მიადგა სახლის კიბეს. ერთი წმინ-
დად ჩაცმული დედაკაცი, რომელიც ხშირად უნახავს კირილეს
ეკკლესიაში, იდგა კიბის შესავალში, თავი დაუკრა და უთხრა:
— მობრძანდით, მამაო, ქალბატონი მოგვლით.

როდესაც კირილე ავიდა კიბეზე, დედაკაცმა მიიღო ლო-
ცვა-კურთხევა და შეიყვანა სახლში, გაიარა რამდენიმე ვრცე-
ლი ოთახი, თითქმის ყველა ცარიელი, შევიდა სასადილო
ოთახში და გაჩერდა კარებში. მოზრდილი რგვალი სტოლი,
რომელზედაც ელაგა ჩაის იარაღი, იდგა შუაში. ზედ სამოვარი
ჩუხჩუხებდა. სტოლთან მიდგმულ მაღალ სკამზედ იჯდა შავ-
თვალ-წარბა ექვსი წლის ბავშვი, იმის გვერდით ნადეჟდა ალექ-
სის ასული კრუპოვისა, რომელიც კირილემ ნახა ეკკლესიაში
პირველ დღეს თავის წირვისა. ქალმა მაშინვე დადგა ნაღები,
რომელიც ხელში ეჭირა, სისწრაფით წამოდგა და გასწია მასთან
მისაგებებლად.

— მე დიდად მოხარული ვარ, რომ ინებეთ მობრძანება! —
უთხრა მხიარული ხმით ქალმა. ამ ქალის სახე იყო მიმზიდვე-
ლი, მიბნედილს თვალებში დიდი გონება გამოკრთოდა; თითონ

მალალი ტანისა და წარმოსადეგი შეხედულობისა იყო. თავი ეჭირა, როგორც კირილემაც შენიშნა, ამაყად. საზოგადოდ, კირილესე მან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. შეხედულობითაც და ათი წლისა უნდა ყოფილიყო.

— მე მითხრეს, რომ თქვენ საჭირო საქმე გაქვთ.

— დიად, თუ თქვენი ნებაც იქნება! გთხოვთ, დაბრძანდეთ... ჩაი მიირთვიეთ. ეს ჩემი ვაჟიშვილი გახლავთ.

კირილემ თავი დაუჭრა და დაჯდა. ყმაწვილმა ჩაის სმას თავი დაანება და თვალს აღარ აშორებდა ანათორიანს და გრძელ თმიანს სტუმარს.

— მღვდელია, ჩემო საყვარელო! ეს პირველად ხედავს თავის ახლო მღვდელს!—აუხსნა სახლის პატრონმა და განაგრძო:—დიად, საჭირო საქმეა, რომ გაგსაჯეთ. ამ რამდენისამე საათის წინ იყო ჩემთან მამა როდიონი, თქვენი თანაშემწე.

— და იჩივლა თქვენთან ჩემზე!—გალიმებით სთქვა კირილემ.

— დიად, ჩიოდა, მრევლს თავისუფლება მისცაო, მის წყალობით ეკკლესიის კრებული სიღარიბეში ჩაცვივდაო.

— და თქვენც მომიწვიეთ, რომ მყოთ ღირსად შეგნებისა?

— ღმერთმა დამიფაროს... სრულებითაც არა,—მიუგო მასპინძელმა და უცებ სიტყვა მოუჭრა.

კირილემ ყურადღებით შეხედა მას.

— არა? მაშასადამე, თქვენც თანაუგრძნობთ ჩემს მოქმედებას!

— ყველაფერში არა... მაგრამ ამაზე მერე. მამა როდიონს აღეუთქვი, მოგლაპარაკებოდით. მეტის-მეტად აღელვებული იყო. რასაკვირველია, ის ჩემის იმედით არ დაკმაყოფილებულა და აპირობს მღვდელ-მთავართან წასვლას. ესეც სახეში უნდა იქონიოთ.

— მე?

— დიად, თქვენ.

— მე არაფერი კანონის წინააღმდეგი არა მიმოქმედნია—რა და არავისი არ მეშინიან.

— ოჰო! რა გულადი ყოფილხართ! ერთი მითხარით, მართლა აკადემია გაათავეთ და დიდად მსწავლული ხართ?

— აკადემია რომ გავათავე, მართალი გახლავს, და რაც ჩემს ნასწავლობას შეეხება, რასაკვირველია, ტყუილია.

ქალმა დაუდგა წინ ჩიი და შესთავაზა ნაღები და პური.

— გმადლობთ, მე ცოლთან გახლავართ დაჩვეული ჩაის სმას.

— შეიძლება თქვენი ცოლი გამაცნოთ? ნება მომეცით, შემოვიარო მის სანახავად.

კირილემ თავი დაუკრა და დაუმატა:

— დიდი მოხარული გახლდებით! მარტოობა დიდად აწუხებს.

— მაშ ძალიან კარგი! ხვალვე გიხსლებით თქვენსას... აბა ახლა თქვენს კრებულზე რას იტყვით? თქვენ ფიქრობთ, რომ მამა როლიონის სამღურავე უსაფუძვლოა?

— მე მაგას არ მოგახსენებთ; მართალია, ეხლა ცოტას დებულობენ და იქნება კიდევ არ ჰყოფნიდეს მათს დიდს ოჯახობას, მაგრამ მე არ შემიძლიან ვაქრობა დავუწყო ჩემს მრევლს.

— იცით რა, შეიძლება დავებმართო მათ ამ გაქირებაში... არ შეიძლება, მაგალითად გადაქრილი ჯამაგირი ვაძლიოთ?

— საიღამ?

— აი თუნდა ჩემი შეძლებიდან?

— თქვენი შეძლებიდან?

— დიად, ვითომ რა! რას მიყურებთ აგრეთი გაკვირვებული სახით?

— როგორ თუ რას გიყურებთ? რისთვის უნდა აძლიოთ თქვენი შეძლებიდან, მერე ისიც იმისთანა საქმეზე, რომელიც თქვენთვის სულ უცხოა? განა ეს საკვირველი არ იქნება?

— აი, პირველად ხართ თქვენ ჩემსას და უკვე ეგრეთი აზრი შეადგინეთ ჩემზე! შეურაცხებას მაყენებთ მაგითი.

ქალმა სთქვა ეს ხუმრობის კილოთი, როგორც ეუბნევიან კარგს ნაცნობს და დაახლოვებულს კაცს. კირილე აირია. ის საზოგადოდ მაღლა არ აყენებდა თავის თავს ქალებთან ლაპა-

რაკის შესახებ, და ადვილად სჯეროდა, რომ სულ უბრალო მის სიტყვებში მოიძებნებოდა ის, რაც იმას არ უნდოდა სათქმელად.

— უკაცრავად; შეიძლება, რიგიანად ვერ გამოვთქვი.

— არა, არა, გეხუმრებით!—სიჩქარით მიუგო სახლის პატრონმა; რადგან ხედავდა მის შეწუხებას, —მე მხოლოდ მინდა გავიგო, რისთვის არ გჯერათ ჩემი გულ წრფელი სურვილი, რომ შევეწიო კარგს საქმეს? ის მაინც იფიქრეთ, რომ მოწყენილი ცხოვრება აქვს და გართობას ცდილობსთქო.

ქალმა გაიცინა. კირილეც დამშვიდა.

— ეგ, ძალიან კარგი, მხოლოდ მე ვერ ვიფიქრებდი, რომ ეს საქმე თქვენთვისაც სასიამოვნო იქნებოდა.

მოილაპარაკეს და გადასწყვიტეს, რომ ნადეჟდა ალექსის ასულს კრუპოვისას უნდა ეძლია თავის შეძლებიდან სამუდამო ჯამაგირი კრებულისათვის იმ პირობით, რომ მათ უარი ეყოთ სხვა შემოსავალზედ. სხვა ანგარიში გადასდეს შექდეგისთვის. ამასთანავე მემამულე ქალმა ხვალ მაროსთან მისვლა აღუთქვა.

კირილე მხიარულად დაბრუნდა შინ. ამ სოფელში მოვიდა ის ერთად ერთი მიზნით, „რომ რამე შემწეობა აღმოეჩინა თავისის მოძმეებისათვის“ და ძალიან იტანჯებოდა, ხედავდა რა, რომ ნაყოფი იმის შრომისა იყო წინააღმდეგობა მისი თანამშრომლებისა. ეხლა მაინც აღარ მეტყვიან საყვედურს. მე ყოველთვის მქონდა იმედი, რომ ქვეყანაზე იქნებოდა კეთილი სული!. ფიქრობდა ის და როდესაც სახლში მივიდა, დაიწყო კრუპოვის ქალის ქება. მარო კმაყოფილი დარჩა, რომ ხვალ დაეწყება მეგობრობა განათლებულ ქალთან.

X.

ნადეჟდა ალექსის ასული კრუპოვისა, ხუთი წელიწადი იყო რაც აქ ცხოვრობდა და ლუგოვოს არ გამოორებია. ვრცელი, მიყრუებული ბაღი, რომელშიც იდგა ქვიაკირის სახლი დროთა

ვითარებისაგან გაშვებული კედლებით, რომელიც ოდესღაც
 სამაგალითო შენობად ითვლებოდა. ბალი იყო განთქმული
 შამპანიური ალუბლით, რომელსაც ეძახდნენ „კრუპოვის ბალის
 ალუბალს“ და ხელი-ხელ სატაცებლად ჰქონდათ. სხვა კიდევ მრავალი
 ხილი იყო: ვაშლი, მსხალი, ყურძენი და აგრეთვე ჟოლო-
 ყველა ეს იყო ბატონ-ყმობის დროს, როდესაც ცოცხალი იყო
 მამა ნადეჟდასი; მოხუცებული კრუპოვი დიდი მეოჯახე იყო
 და უყვარდა სარგებლობა, როგორც მიწიდან, ისე თავის ყმე-
 ბისაგან. განსაკუთრებით უყვარდა ბალი, რომლის მოსავლელად
 ჰყავდა ნასწავლი გერმანელი მეზღვე; მოვლაც სამაგალითო
 ჰქონდა. ბალი იყო გაყოფილი რამოდენიმე ნაწილად; თითო
 ნაწილს მიჩენილი ჰყავდა კაცი, რომელსაც პასუხი უნდა ეგო
 თითოეულ ხეზედ, კვალზედ, სისუფთავეზე და მოსავალზედ. მო-
 ხუცი კრუპოვები დაიხოცნენ ბატონ-ყმობის გადავიარდნის ხუ-
 თი წლის შემდეგ. ამ ცვლილებამ მოუხსწრაფა მათ სიცოცხლე
 და ერთი მეორეს მიჰყვა ცოლ-ქმარი. მამული გადავიდა მათი
 შვილის ანდრეას ხელში; ანდრეა მაზრის საერო მომრიგებელ
 მოსამართლედ იქმნა დანიშნული. იმის ხელში მამული უკან-
 უკან წავიდა. ავთამყოფი და ძარღვებ დასუსტებული კაცი
 იყო, უყვარდა ბუნება, უყვარდა მინდვრები, მწვანედ მოზიზინე,
 მოყვითალო ჯეჯილები და ჩრდილოვანი ბალი, მაგრამ მოვლა
 და პატრონობა კი არ იცოდა და არ ეხერხებოდა. მას შეე-
 ძლო მთელი საათი ეყურებინა ბუნების მშვენიერი სურათისა-
 თვის და სრულიად უნიჰო იყო იმის მოვლაში. ეს დიდი მამუ-
 ლი იძლეოდა, რასაკვირველია, რიგიანს შემოსავალს, მაგრამ
 ნახევარიც აღარ იყო იმ შემოსავლისა, რასაც მოხუცებული
 კრუპოვი იღებდა.

ანდრეა ამას ვერ ამჩნევდა და სრულიად კმაყოფილი იყო
 შემოსავლისა, რომელიც აკმაყოფილებდა ყოველ იმის მოთხოვნი-
 ლებას. ნახევარს თითონ ხარჯავდა; უთაურად ფანტავდა ფუ-
 ლებს, ვერაფერს ვერ იძენდა და ვერც სხვებს არგებდა. ნახე-
 ვარი კი დას მიჰქონდა, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა თა-
 ვის გაღარიბებულ-დაწვრილშვილებულ მამიდასთან, რომელნიც

ამ ძმისწულის შეძლებით ლა ცხოვრებდნენ. ნადეჟდა ალექსის ასული, ოცდაორი წლისა იყო, როდესაც გაიგო თავის ძმის სიკვდილი. ანდრია კრუპოვი მოკვდა, ოცდა თექვსმეტი წლისა; ცოლის შერთვა ფიქრადაც არ მოსვლია, და ნადეჟდა შეიქნა ერთად-ერთი მემკვიდრე ამ დიდი მამულისა. ამნაირი ცვლილება მას სრულიადაც არ ექაზნიკა, რადგან აქამდის ფულებს ძმისაგან შეუწუხებლად დებულობდა და ეხლა კი თითონ უნდა ეზრუნა მამულის მოვლა, სანდობი არაფინა ჰყავდა და თითონაც არა გაეგებოდა-რა. ლუგოვოში გული სულ არ მისწევდა, რადგან რვა წლიდან მოკიდებული ქალაქში იყო და მიეჩნია იქ ცხოვრებას. ყმების განთავისუფლების შემდეგ მოსკოვში გადასახლდნენ მოხუცი კრუპოვები და ერთხელაც აღარ ჩამოსულან სოფელში. აქ დაიწყო სწავლა ნადეჟდამ, მკაცრის დედ-მამის მხედველობის ქვეშ, და შემდეგ მათი სიკვდილისა, სრულიად თავისუფალი შეიქნა. მამიდა დიდი მოხატობით ექცეოდა, ხმა-მაღალი სიტყვის გაბეღვაც კი არ შეეძლო და ეთანხმებოდა ყველა იმის სურვილს.

დედ-მამის სიცოცხლეში გულდასმით ამზადებდა გაკვეთილებს, იქცეოდა წყნარად, ჭკვიანად, გადადიოდა კლასიდან კლასში და საუკეთესო მოწაფედ ირიცხებოდა. შემდეგ მათი სიკვდილისა დაიწყო მწუხარება, მთელი წელიწადი წიგნი არ აუღია ხელში და დარჩა იმავე კლასში. თოთხმეტი წლისამ თითქო გამოიღვიძა და უცებ, მამიდას გასაკვირველად, გამოდგა ცოცხალ, თითქმის დაუდგრომელ ხასიათის ქალად; მასში აღმოჩნდა არა-ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა და ნიჭი. განურჩევლად ეწაფებოდა ყოველგვარ წიგნებს, რომელიც მოხვდებოდა ხელში. სთხოვა მამიდას, ჩაწერილიყო წიგნთსაცავში და შთანთქმული იყო წიგნების კითხვაში. მამიდას ოჯახში, სადაც ბევრი ბავშვები იყვნენ სხვა-და-სხვა წლოვანებისა, ის მაინც სრულიად განმარტოებულად სცხოვრობდა. ის იყო მთელი ოჯახის მრჩენელი და ამიტომაც განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევდნენ და უზომოდ პატივსაცემდნენ: საუკეთესო ნაჭერი, მოხერხებული ოთახი, ძვირფასი ტანისამოსი,

რბილი საწოლი იმისი იყო; მთელი ოჯახი ცდილობდა დაე-
 მსახურებინა იმის სიყვარული. ყოველივე ამან ის გავლენა
 იქონია ამ გულჩახვეულ ქალზე, რომ განსხვავებული შეხედუ-
 ლობა შეადგინა თავის თავზედ, როგორც უფრო მაღალ
 არსებაზე. ამის შედეგი იყო ის, რომ ცხადად ეტყობოდა ზიზ-
 ლი თავის ნათესავებისადმი. გიმნაზიის შრომისაგან თავისუფალ
 დროს ატარებდა თავის ოთახში და მუდამ ხელში ეჭირა წიგ-
 ნები, რომლების კითხვაც მას სწეულებად გადაექცა. მაიდას
 ნაცნობები არ ეინტერესებოდა მას და სხვა მეგობრების შეძე-
 ნის შემთხვევა არა ჰქონია. ჩვიდმეტი წლისამ გაათავა გიმნა-
 ზია და თითქმის სრულიად მოწიფული ქალი შეიქნა, მაგრამ
 მაინც მარტოდ-მარტო დარჩა და სრულებით მოშორებული სა-
 ზოგადობას; თავში უტრიალებდნენ ათასგვარი უთავბოლო აზ-
 რები, რომლებიც შეიცავდნენ ყოველივეს, გარდა იმისა, რაც
 გამოსადეგი იყო ცხოვრებაში და რომლებშიაც სჩანდა ნათ-
 ლად ზიზლი იმ ხალხისადმი, რომელიც მას გარს ეხვია და რომ-
 ელიც იყო მასთან დაახლოვებული. გიმნაზიის გათავების შემ-
 დგ უცნაური მოწყენილობა ემჩნეოდა. გიმნაზია ართმევდა
 მას უმეტეს ნაწილს დღისას და ეხლა კი ნახა, რომ ბევრი
 თავისუფალი დრო ჰქონდა. შემთხვევით დაიწყო ერთორთან
 ნაცნობობა, შემთხვევითვე მოხვდა კურსებზედ, რომელიც, ის
 იყო, დაარსდა და ბევრი ლაპარაკი გამოიწვია, ის შეხედულო-
 ბა სხვებზედ, რომელიც მან შეითვისა თავის მაიდას ოჯახში,
 აქაც გადმოიტანა და თავის უნებურად ყველას მედიდურად
 უყურებდა და არავისთან დაახლოვება არ უნდოდა. კურსებ-
 მაც ვერ დააკმაყოფილეს: ის მიჩვეული იყო თავისუფალ კითხვას
 და აქაც ერთ ჯერად გადაიკითხავდა ხოლმე სასწავლო წიგ-
 ნებს. მას უძნელდებოდა ის საფუძვლიანი ზოზინი, რომელსაც
 მოითხოვს მეცნიერება დანაწილებული სხვა-და-სხვა განყოფი-
 ლებებად და ლექციებად. წესიერება და თანდათანობა აღელ-
 ვებდა. არ შეეძლო აუშფოთებლად მოესმინა ჩვეულებრივი წი-
 ნადადება, რომლითაც იწყება თითქმის ყოველი ახალი ლექ-
 ცია: „წარსულ ლექციაზე ჩვენ შევჩერდით ამა და ამაზედ...“

რისთვის შევჩერდით? იმას ვერ აეტანა ეს შეჩერება. გაიცნოთ თუ არა პირველ ლექციაზედ ოღნაე საგანი, მოისურვა მაშინვე ბოლო მოეღო იმის ყოველის მხრივ შესწავლისთვის. ამიტომ შესაფერ წიგნებს არჩევდა და კითხულობდა. ამასობაში ნელ-ნელა გული უგრილდებოდა. კურსები, რომელსაც სხვები სთვლიდნენ რალაც თვალის-ამხელ და ამავე დროს ხალხის შემაერთებელ ძალად, იმასთვის არა-რა იყო და მხოლოდ გულს უმღვრევდა.

აი სწორედ ამ ცუდს მდგომარეობაში მყოფს ნადეჟდა ალექსის ასულს მოუვიდა ძმის სიკვდილი. ნერვების სისუსტე დაემართა და არავინა ჰყვება იმისთანა, რომ თავისი გული გაეხსნა; ნდობა არივისი ჰქონდა და ვერავის ვერ დაუახლოვდა. უნდოდა რამე ცვლილება მომხდარიყო მამულის პატრონობაში და სწორედ ცვლილებაც კარს მიაღდა.

სწორედ ამ დროს მისმა მამიდაშვილმა, რომელიც სამხედრო სამსახურში იყო, თავი დაანება სამსახურს და გამოვიდა პოდპორუჩიკის ხარისხით, გამოვიდა თითქმის თავის სურვილის წინააღმდეგ. ვითომ სურვილი მოუვიდა სოფელში ცხოვრებისა და გასწია ლუგოვოში თავის ბიძაშვილის ნებაყოფლობით. მამიდა მისის შთამომავლობა დაიფანტა აქეთ-იქით: ერთმა ცალი შეირთო, მეორე გათხოვდა, ზოგი სახელმწიფო ხარჯით მიიღეს სასწავლებელში და სახლში ჩამოვარდა უარესი მოწყენილობა; თუმცა ნადეჟდა ალექსის ასული უწინაც ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევდა ოჯახში ჟრიამულს, მაგრამ სახლში ისეთი არეულობა იყო ხოლმე, რომ არ შეიძლებოდა ძალაუნებურად არ შესჩეოდა ამ ხმაურობას. ამ ხანებში მას მოუვიდა ფიქრად, რომ არის კიდევ ვრცელი ქვეყნები, რომლებსაც ის არ იცნობს და რომლებმაც შეიძლება უფრო დააკმაყოფილოს, ვიდრე სამშობლო მხარემ. ერთს წამში გადასწყვიტა წასვლა სამზღვარ გარეთ და კიდევ აასრულა. ორი კვირის შემდეგ ის იყო გერმანიაში, რასაკვირველია თავის მამიდით, რომელსაც თითქმის უბრძანა თან წაჰყოლოდა; მანაც უარის თქმა ვერ გაუბედა.

ორი წლის განმავლობაში ნადეჟდა ალექსის ასული აქეთ იქით ათრევდა მოხუცებულს მამიდას; ჩერდებოდა ერთ-ორ კვირაობით ხან ბერლინში, ხან ვენაში და სხვა ქალაქებში; უცებ გასწევდა მადრიდში, იქილამ დაბრუნდებოდა ათინაში. ყველა ეს მისთვის ახალი იყო და საინტერესო, მაგრამ არაფერი შთაბეჭდილება არ მიჰკარებია ყმაწვილი ქალის გულს იმდენად, რომ მთლად გაეტაცნა იგი. მოხუცებული მამიდა შეაწუხა ევროპის ერთი კუთხილამ მეორე კუთხეში გადასვლამ; ის სწუხდა ხმის ამოუღებლივ, რადგან ეშინოდა თავის შეტამუტა ძმისწულს არ შეეტია: „თუ აგრეა, დაბრუნდი მოსკოვში და მე დავრჩები მარტო აქაო“. მოხუცებულმა სიამოვნებით, მოისმინა თავის ძმისწულისაგან, რომ ის ექვსი თვით აპირობს დარჩენას რომში. აქ ნადეჟდა ალექსის ასული გაუგებარის და უეცრად მასში აღძრულის სიცხოვლით, რაც ყველა სხვა იმის გულის გატაცებაებთან ერთად ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა, ათვალეირებდა მუზეუმებს, საუკეთესო მიდამოებს ქალაქისას, სწავლობდა ერთსაც და მეორესაც სხვა და სხვა სახელმძღვანელოების წყალობით, რომლებიც მას მუდამ ხელში ეჭირა. როგორც სჩანდა, ახალმა ქვეყანამ გაიტაცა იგი, მაგრამ ეს გატაცებული მიმზიდველობა ეყო მხოლოდ ნახევარ წელიწადს, და მერე ისევ ჩვეულებრივი უკმაყოფილება იგრძნო და საბრალო მოხუცებული კიდევ შეუდგა ბარგის ჩალაგებას.

ახლა გაემგზავრნენ პარიზისაკენ. აქ თავდება ნადეჟდა ალექსის ასულის კრუპოვის მოგზაურობის ისტორია. ის რაც მოხდა პარიზში და შემდეგ იმისა, შეიძლება ითქვას ორიოდ სიტყვით.

ოცდა ოთხ წლამდის იმას არ სცოდნია სიყვარული და თითქო ძარღვებში ცივი სისხლი უდგასო, ისე ეუცხოვებოდა ეს კანდიერი ფიქრი. შემთხვევით მოარშიყენი, რომელნიც შეხედებოდნენ ხოლმე მოსკოვში და სამზღვარ გარეთ, ეჩვენებოდნენ ბრიყეებად და მალე შორდებოდნენ. მაგრამ სრულიად მოულოდნელად იჩინა მასში თავი ამ გრძნობამ, ისევე მოულოდნელად, როგორც ყოველივე, რაც მას გადახედო-

და ცხოვრების გზაზე. სწორედ ამ დროს შემთხვევით გაიცნო ნადეჟდა ალექსის ასულმა ბატონი ტენარი, რომელიც ორი წლით უნცროსი იყო მაზე. ის იყო ყმაწვილი ინჟინერი, ახლავანი ტანისა, ძალიან ლამაზი სახისა; ფერ პკრთალობა მისი ცხადად გიჟვენებდათ, რომ ბევრი ვაი-ვაგლაზი გამოველო ცხოვრებაში. ტენარი ხედავდა რომ ლამაზმა რუსის ქალმა ყურადღება მიაქცია მას. მანაც სრულის მორჩილებით დაუწყო არშიყოზა, და ბოლოს ცოლად წაყოლა ც სთხოვა, რადგან გაიგო, რომ ძალიან მდიდარი ქალი იყო. ტენარის ნათესავებმაც სრული თანხმობა გამოაცხადეს: ტენარი ღარიბი კაცი იყო და ეკუთვნოდა ბურჟუაზიის იმ გვარ ოჯახს, რომელსაც წელიწადში ძლივს აქვს ოთხმოციოდ თუმანი შემოსავალი.

ბებერ მამიდას სრულიადაც ვერ გაეგო, რანაირად მოხდა ეს საქმე, რომ სამი კვირის გაცნობამ, ნადეჟდა კრუბოვისა ყმაწვილი ტენარის ცოლი გახდა. ჯერ სამნი დასახლდნენ ერთად. მაგრამ ტენარები ნელ-ნელა გადასახლდნენ მათთან. მამიდას სასიამოვნოდ არ დაურჩა ეს ამბავი, მაგრამ რას იზამდა. მისი ძმისწული მთლად მიეცა ახალს გრძნობას და ქმრის მეტი აღარა აგონდებოდარა. ცოლ-ქმარი ერთად ათვილიერებდნენ პარიზს; თეატრში თუ ეტლში, როდესაც სასეირნოდ მიდიოდნენ, ის უყურებდა არა ქვეყნიერებას, არამედ ამ ქვეყნიერების შუქს მხოლოდ თავის ქმრის თვალეზში ხედავდა; მაზღებს კი თითქმის ყურადღებასაც არ აქცევდა. ასე განვლო ერთმა წელიწადმა. წლის თავზედ მიეცა ვაჟა და ლოკინიდან აღვა სულ სხვა ადამიანად, თითქო ამ მშობიარობით გაათავა მან თავისი სიყვარული; გამოფხიზლებული წაძოღვა ქვეშაგებიდან, გულცივი, მოწყენილი და სიძულვილით ტენარის ოჯახობისადმი, რომელიც ცხოვრობდა მის სახლებში თავისუფლად. რა უნდათ ამათ აქ? ესენი ხომ უცხო ხალხია, რომელთანაც არავითარი საერთო არა ჰქონდა-რა? რად ფლანგავენ ესენი ჩემს შეძლებას ასე აშკარად?... ყველაზე უცხოდ ეჩვენა ქმარი. მხოლოდ მაშინ გამოახილა თვალეზი და დაინახა თავის წინ ჩვეულებრივი მოანგარიშე ბურჟუა, რომლის გულში თანაგრძნობისთვის ერთი სი-

მიც არ მოიპოვებოდა. ამის შემდეგ დიდი არეულობა მოხდა. ქალმა სთხოვა ტენარებს, ნუ მაწუხებთო, წაიყვანა შვილი და გასწია რუსეთისკენ; ქმრისთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს. მივიდა პირდაპირ ლუგოვოში თავის მამილით, სადაც დახვდა თავის მამიდაშვილი. მოურავი დაეადმყოფებული რაღაც სწეულობისაგან; ეს უკანასკნელი მან გაისტუმრა თავის დეღით მოსკოვში და შემწეობა აღუთქვა.

თვითონ დაიწყო ცხოვრება ძველ სახლში; არ გამოდიოდა არსად, გარდა თავის მივიწყებულ ბაღისა; მხოლოდ შვილის აღზრდას მიაქცია ყურადღება და ნაცნობობა კი არავისთან უნდოდა და არც არავისთან დადიოდა. ნახევარი წლის შემდეგ მის პარიზიდან წამოსვლისა, ლუგოვოში ეწვია ყმაწვილი ტენარი. ქალმა მიიღო ის თავაზიანად, ნება მისცა დამდგარიყო ვანმარტოებულს სახლში ერთს კვირეს, მერე გაუმსო ჯიბეები ფულით და სთხოვა მეტად აღარ მოსულიყო. შემდეგ დაიწყო ერთს მოსკოველ ვეჟილთან მიწერ-მოწერა და კირილეს გაცნობის ხანებში დღითი-დღე ელოდა ქმართან განქორწინებას.

კირილეს გაცნობის ერთი კვირის შემდეგ ქალმა წერილი გაუგზავნა მამა როდიონსა და სთხოვა, მნახეთო. მამა როდიონს ეგონა კირილესთან საქმე გამირიგა და იმიტომ მიბარებესო. მთავარ-ღიაკონი უცდიდნენ მამა როდიონს იმედებით სავსენი, მაგრამ ერთი საათიც არ გასულა, ისე გულმოსული, გაწითლებული და აღელვებული დაბრუნდა, რომ ღიაკონმა ღომენტიმ ვერ გაუბედა ეკითხა რამე და გასწია ცხენის მოსაველედად. სვიმონი განზე იდგა, პატარა გამხმარი ხელები გულზე დაეკრიფა და შესცქეროდა უკანასკნელს. მამა როდიონის ერთმა ქალმა სკამი გამოიტანა და დადგა ხის ჩრდილში; მერე გამოვიდა მამა როდიონი, რომელსაც საშინაო ტანისამოსი ეცვა და ისე გადახედა ღიაკვნებს, რომ ისინი მაშინვე მიუახლოვდნენ. გიხაროდენ, ქრისტეს მსახურნო! გაჩარხულია თქვენი საქმე. — სთქვა მამა როდიონმა, ისე რომ არ შეუხედნია მათთვის და თან ისეთი კილოთი, რომ ფიქრადაც აღარ მოსვლიათ საწყალ ღიაკვნებს გახარება.

— ზედაც გეტყობათ სიხარული! — ირონიული კილოთი
სთქვა ღომენტიმ.

— აბა მაშ, რა? არა გჯერათ? აი რა: მემამულე ქალი-
თავის შეძლებიდან გვინიშნავს სამუდამო ჯამაგირს. მე და წი-
ნამძღვარს ხუთხუთ თუმანს თვეში, სვიმონს სამს თუმანს, და
შენ ღომენტი—ოც და ხუთ მანეთს. კმაყოფილი ხართ? ჰა?

ღიაკვნები ხეირიანად ვერ მიხვდნენ და პირდაღებულები
შესცქეროდნენ.

მართლაც, რა უნდა ეთქვათ ამაზე? მ. როდიონი, რაც უნდა
უსარგებლო თვე ყოფილიყო, მაინც ორჯერ მეტს აძლევდა.
შემოდგომაზედ კი, როდესაც გახშირებული ქორწინება და
წირვებია, უფრო მეტსაც იღებდნენ; ხან და ხან ისეთი თვეც გა-
მოტყვერებოდა, რომ ღიაკვანი ღომენტი აიღებდა შვიდს თუ-
მანს. ეს სასაცილოდ აგდება იყო, მათი შეურაცხება, რაც
გინდათ დაარქვით, მხოლოდ უხეირო წინადადება კი; უარის-
თქმა შემოსავალზე ან თხოვნაზედ და ვაჭრობაზედ—ეს იმას
ნიშნავს, რომ უნდა მივენდოთ მრევლს და ვასრულებდეთ ყო-
ველივე მათ მოთხოვნილებას.

რადგან ღიაკვნებმა ვერაფერი პასუხი მისცეს მის ირონიულ
კითხვაზე, ამისთვის მამა როდიონს მეტი აღარა უთქვამს—რა და
პირ და პირ გამოაცხადა: ხვალვე წავალ მღვდელ-მთავართან...
ხვალვე! რას გვირევეს საქმეს! უნდა დაგვაგლახაკოს? მაგას თუ
ფრთები არ ჩამოვაკვეცეთ!...

აქ მამა როდიონს კიდევ გამოუჩნდა სამწუხარო საქმე.
ქალაქში წასასვლელად, არა თუ უნდა დაეკითხოს წინამძღვარს,
არამედ თხოვნით უნდა მიმართოს, როგორც უფროსს. მამა
როდიონი ისე გაცეცხლებული იყო კირილეს წინააღმდეგ, რომ
დანახვაც კი ეზარებოდა მისი. გადასწყვიტა წერილის მიწერა.
გამოუტანეს საწერ კალამი და ქალაღდი და ისიც იქვე ღიაკვ-
ნების თანა დასწრებით და აგრეთვე თავის მეუღლისა, რომე-
ლიც ის-იყო გამოვიდა მთლად აწითლებული სიბრაზისაგან,
შეუღდა წერას:

„უბატივცემულესო ლე ყოვლად საყვარელო, მამაო კირილე! შინაური საქმისა გამო რამდენიმე დღით გიახლებით ქალაქში. ამისთვის ვალდებულად ვთვლი ჩემს თავს თქვენგან ვითხოვო ლოცვა-კურთხევასთან ერთად ნება წასვლისა. დავშთები თქვენი პატივისმცემელი მღვდელი როდიონ მანუსკრიპტოვი.“

წერილი დაბეჭდა ლაქით, ზედ აღრესი დააწერა სრულის ხარისხით და გაგზავნა ეკკლესიის დარაჯის ხელით. კირილემ მიიღო წერილი უბრალო თხოვნის მზგავსად. იმას აზრადაც არ მოსვლია, რომ ეს უბრალო თხოვნა რამე საიდუმლო იქნებოდა. თვითონ კირილე მადრიელი იყო მემამულე ქალისა, რომელმაც ასეთი დახმარება აღმოუჩინა; თავისთავადაც დიდი კმაყოფილი იყო ამ ხუთი თუმნის დანიშვნისა თვიურ ჯამაგირად და უხაროდა, რომ მის მრევლში აღარ იქნებოდა ვაჭრობა სხვა და-სხვა წესების აღსრულებაზე. გადასწყვიტა მოლაპარაკებოდა მამა როდიონს იმაზე, რომ მომავალს კვირას ეკკლესიაში გამოეცხადებინა ეს ამბავი მრევლისათვის.

მეორე დღეს რიჟრაჟზე მამა როდიონმა გასწია ქალაქისაკენ. დილა ძალიან ცივი იყო, ძლიერი ჩრდილო ქარი ჰქროდა. მამა როდიონს ეცვა თბილი მაღალი საყელოიანი ანაფორა და ზევიდან შალის შარფი ჰქონდა შემოხვეული. აწეულ საყელოში მოსჩანდა მხოლოდ მისი რგვალი თვალები ზევით აწეული სქელი წარბებით; თავზედ ეხურა წავის ბეწვიანი და აბრეშუმ გამოკრებული ქუდი, ფეხებზე ეცვა თბილი ღრმა კალოშები. ერთი სიტყვით გამოწყობილი იყო ნამდვილ საზამთროდ. ორი ცხენი ება, რადგან უნდოდა სადილობამდინ ჩასულიყო ქალაქში; იქ უნდა დაესვენა, აზრები შეეკრიბა და მეორე დღეს ენახა მღვდელთ-მთავარი. მღვდელ-მთავართან მისვლის ფიქრმა მთელი ღამე არ დააძინა მამა როდიონი და ძრიელ ჩაფიქრებული და აღელვებული იყო. ის წინ და წინვე ამზადებდა სიტყვას, რომელიც უნდა მოეხსენებინა არქიერისთვის... მართალია, დიდი ნასწავლი არა ვარ,—სჯიდა მამა როდიონი, მაგრამ მოხუცებული ვარ, არაფერს ცუდს საქმეში არა ვარ შემჩნეული და მგონი ყურადღება უნდა მიაქ-

ციოს ჩემს სიტყვებს! ქალაქში ჩამოხტა თავის მეგობარ დიაკონ ავქსენტი ლუჩკოვთან; ამხანაგები იყვნენ და სემინარიაში ერთად ხშირად გაუწიებლიათ სიზარმაცისთვის; ამავე მიზეზისა გამო გამოირიცხეს ორივე ერთად: ოროლი წელიწადი ეყარნენ ფილოსოფიის კლასში და თავის ჭკუით მესამე წელიწადსაც აპირებდნენ დაჩინას, რომ არ გამოერეკათ. მ. როდიონმა დიდის მეცადინეობით მიადწია მღვდლობას და ლუჩკოვი-კი მეუღლის უდროვოდ გარდაცვალებისა გამო დარჩა სამუდამოდ დიაკვნად. ეს უკანასკნელი იყო მაღალი, ძალიან გამხდარი კაცი, გაწითლებული ცხვირით და მეტისმეტი გათხელებული წვერულვაშით. ავქსენტი საუკუნოდ დაქვრივებისა გამო გამოწვეულ მწუხარებისაგან შეეჩვია სმას და ორი კვირე ზედი ზედა სვამდა, როდესაც იმის შვიდეული არ იყო ხოლმე. მანუსკრიპტოვი ეწვია სწორედ იმ დროს, როდესაც თავისუფალი კვირა ჰქონდა; ეცადა აეხსნა მეგობრისათვის თავის მწუხარების მიზეზი და ვერ მოახერხა, რადგან ყოველ ხუთ მინუტში არაყით სავსე ჭიქა მიჰქონდა მას ტუჩებთან და ჰკითხამდა:

— აბა, რას აპირობ, მიდიხარ მღვდელ-მთავართან? ამასთანავე დასძენდა:— ნეტავი შენ, მოგიცლია! აი მე, რამდენი ხანია დიაკვნადა ვარ, და ერთხელაც არა ეყოფილვარ მღვდელ-მთავართან... რატომ? იმიტომ რომ თავისუფლადა ვარ და არავინ შენიშვნას არ მაძლევს! ვარ ჩემთვის! რომ მივიდე, და თვალით ვეჩვენო, მაშინვე შემნიშვნენ და მეტყვიან: „აი შენ სადაგელო, ცხვირი რომ გაგწითლებია! შემოიტანე ეხლავე დათხოვნის ქალაღლიო!“ ამისთვის მე იმ აზრს ვადგევარ, რომ ჩვენი მოძმენი უნდა ერიდებოდნენ არქიერს, რომ თავი არ შეანიშნინონ.

მაგრამ მამა როდიონი კი სხვა აზრისა იყო და მეორე დღესვე დილის რვა საათზე მივიდა მღვდელ-მთავართან; შეიყვანეს მისაღებ ოთახში, სადაც სხვა მთხოვნელებიც იყვნენ. საკმაოდ გახუნებული ანაფორა ეცვა, რომ ამნაირად მღვდელ მთავრის ყურადღება მიექცევინებინა თავის სიღარიბეზედ. როდიონს ხნიერი ფეხები უკანკალებდა, და მშიშარა გული ძალ-

ზე უცემდა, მეტადრე მაშინ როდესაც მოახლოვდა გამობრძანება მღვდელ-მთავრისა: თითქო თავს ბრუ ესხმოდა და თან და თან აზრები ერეოდა; ხან გამოშვებით მას ავიწყდებოდა ის საქმე, რაზედაც იყო მოსული და ეჩვენებოდა, რომ მღვდელ-მთავრის ჩვეულებრივ კითხვაზე: „აბა, რა ამბავი, მამაო?“ ის პასუხად ერთ სიტყვასაც ვეღარ ამბობდა. როდესაც ოთახიდან მოისმა მღვდელ-მთავრის ფეხის ხმა, მამა როდიონმა იგრძნო გულის რევა და შიშით წაიბორძიკა.

დასასრულ კარები გაიღო და შემობრძანდა მღვდელ-მთავარი. ჩამოსვა თეთრ წვერზე ხელი, მიიხედა მარჯვნივ და მივიდა ვიღაც ეკკლესიის მნათესთან, რომელიც დამსახურების ქალადს თხოულობდა. მამა როდიონი იქვე მესამე იყო. ამ წამში მას ყოველი შიში დაეკარგა და სრულიად მოიაზრა, რაც ჰქონდა სათხოვარი მღვდელ მთავართან. მივიდა მასთან მღვდელ-მთავარი, ჩააცქერდა და ხუმრობის კილოთი ჰკითხა:

— შენ ვერ გიცანი, მამაო, სჩანს მშვიდობიანად ცხოვრობ, რომ ჩემთან ერთხელაც არ შემოსულხარ.

— უსაქმურად ვერ გავბედე თქვენი შეწუხება, თქვენო მაღალ უსამღვდელოესობავ!— მხნედ უპასუხა მამა როდიონმა და დასძინა: მე მღვდელი როდიონ მანუსკრიპტოვი გახლავარ!

— საიღამ?

— დაბა ლუგოვოდამ.

— დაბა ლუგოვო... ლუგოვო... როგორღაც მეცნობა და არ მაგონდება-კი. მერმე რა გინდა, მამაო მანუსკრიპტოვ ჩინებული გვარი გქონია.

— იმ სოფლიდან გახლავარ, თქვენო მაღალ უსამღვდელოესობავ, სადაც თქვენ ინებეთ გამოგზავნა წინამძღვრად, აკადემიაში კურს გათავებულის მღვდლის, კირილე ობნოვლენსკისა, — აუხსნა მამა როდიონმა.

— ობნოვლენსკი... კირილე, კირილე?— შესძახა მღვდელ-მთავარმა, და სახე გაუბრწყინდა სიამოვნების ღიმილით: მე იმას ძალიან კარგად ვიცნობ! მაგისტრი? ჰკვიანი, ჰეშმარიტი ქრისტიანი.

ამ სიტყვებმა მამა როდიონს სასოება წარუკვეთა. ის სრულიად არ მოელოდა, რომ მღვდელ-მთავარი ასეთი შეხედულებისა იქნებოდა კირილეზე, თუმცა კი სულ იმას ფიქრობდა, ის მაგისტრი ტყუილად ხომ არ არის გამოგზავნილი სოფელში, ალბათ მართლა სასარგებლო და ჭკვიანი კაცია, თორემ სხვა, აკადემიაში კურს გათავებულები უმაგისოთაც შოულობენ საუკეთესო ადგილებს ქალაქებშიო. ეხლა რაღა ქნას, როგორ განმარტოს თავის საჩივარის მღვდელ-მთავარი კი თითქო. იმისთვის, რომ თავ-გზა დაუკარგოს, მიუბრუნდა ყველა მთხოვნელებს და ბრძანა:

— იმ ყმაწვილ მღვდელს მე ძალიან პატივს ვცემ და მაგალითად ვხადი ყველასთვის. ის თავის ნებით წავიდა სოფელში, რომ ემსახუროს მოყვასსა თვისსა.— მთხოვნელებმა ლმობიერი სახე მიიღეს და თვითეული თავის გულში ფიქრობდა, რომ იმითი დაიმსახურებდა თხოვნის შესრულებას მღვდელ-მთავართან. მამა როდიონი კი თვალს არ აშორებდა მათ მეუფებას. ისიც შენიშნა, რომ მღვდელ-მთავარმა მიიღო მოწყენილი სახე და უცებ მიუბრუნდა როდიონს ადელევებული ხმით:

— გაქვს რამე იმის შესახებ, სათქმელი?

— მაქვს, თქვენო უსამღვდელოესობავ.

— აბა, წავიდეთ, წავიდეთ! ეგ საქმე მე ძალიან მაინტერესებს.

მღვდელ-მთავარმა ანიშნა, გაჰყოლოდა თან.

მამა როდიონი კმაყოფილი დარჩა, ცალკე ოთახში საჩივარს უკეთ მოვახსენებო. გაიარეს გრძელი ვიწრო ოთახი, რომელშიაც მხოლოდ სკამები ეწყო, მერე მოუხვიეს მარცხნივ და შევიდნენ სასტუმრო ოთახში, რომელიც გატენილი იყო რბილი მებელით, საუცხოვო ხელოვნური სტოლებით, სკამებით და სხვა-და-სხვა მხატვრობებით. მღვდელ-მთავარი გაჩერდა, დაბრძანდა სკამზედ და მღვდელსაც ანიშნა დამჯდარიყო, რომელიც ვერა ბედავდა დაჯდომას. ბოლოს დაჯდა, მაგრამ ცდილობდა, რაც შეიძლებოდა ცოტა ალაგი დაეჭირა.

— აბა, აბა, მომიყევი, მამაო, ძალიან მინდა იმ ყმაწვილი მწყემსის ამბავი გავიგო!—ბრძანა მღვდელ-მთავარმა და გაფუნ-თუშებული თეთრი ხელებით მანქანებრივ ავდებდა კრიალოს-ნის მარცვლებს აქეთ-იქით.

— ჩემდა სამწუხაროდ კარგს ვერას მოგახსენებთ, თქვენო უსამღვდელოესობავ!—დაიწყო შეწუხების კილოთი მამა რო-დიონმა და დაწვრილებით მოახსენა, რაში იყო საქმე. სინიდი-სიერად უთხრა ყველაფერი, არც არაფერი მიუმატებია და არც არა დაუკლია-რა. მღვდელ-მთავარი უსმენდა დიდი ყურადღე-ბით, მაგრამ მისი სახე არ გამოხატავდა არც თანაგრძობას და არც წინაღმდეგობას. როდესაც მამა როდიონმა გაცხარე-ბით აუწერა უკანასკნელი შემთხვევა, ჯამაგირის დანიშვნა მე-მამულე ქალისაგან, და გაჩუმდა, მათი მეუფება უცებ წამოდგა და დაფიქრებით დაიწყო ოთახში სიარული. მამა როდიონიც წამოდგა, გაჩერდა და მიაცქერდა მღვდელ-მთავრის სიარულს, არა თუ თვალებით, არამედ მთელი თავისი არსებით. მღვდელ-მთავარი შესდგა როდიონის წინ.

— მაშ აგრე?!—წარმოსთქვა მან დაფიქრებით:—ერთი ეს მითხარი, მაგრამ სინიდისიერად, როგორც შენს წმინდა ხარისხს შეპფერის, მრევლში ხომ არაფერ საიდუმლო არეულობას არას ახდენს, მაგალითად, მართებლობის წინააღმდეგ?

— არა, თქვენო უსამღვდელოესობავ, არა!—სიჩქარით და ალტაცებულსავით მიუგო მამა როდიონმა:—არ შემიძლიან ტყუილი ცილი დაეწამო, არ შემიძლიან!

მღვდელ-მთავარს კიდევ სიამოვნება გამოეხატა სახეზე. მი-ეიდა მამა როდიონთან, მხარზედ ხელი დაადო და თითქმის მე-გობრულის კილოთი უთხრა:

— მესმის შენი საჩივარი, მესმის მამაო მანუსკრიპტოვ! გინა არა, მე თითონ ცოდვილი ვარ, მაგრამ მაინც უნდა მივ-ხედეთ იმის საქციელს. დავშორდით მე და შენ ქრისტიანებ-რივ ცხოვრებას და ის ყმაწვილი მწყემსი კი ქრისტეს სჯუ-ლისამებრ იქცევა. აბა განსაჯე, სასულიერო შეხედულებით, ცუდად იქცევა? არა, ცუდად არა, არამედ კარგად. მემამულე



ქალიც მეტად პატიოსანი და მოწყალე ქალი ყოფილა, უნდა მადლობა შევეთვალო. ფულის და შემოსავლის მხრივ კი, რასაკვირველია, დაჯაბნილი ხარ, მართალი უნდა ვთქვა. დიდი ოჯახობა გყავს?

— ექვსი ქალი, თქვენო უსამღვდელოესობავ!—უბასუხა მამა როდიონმა.

— ექვსი ქალი?!—გაკვირვებით შესძახა მღვდელ-მთავარ-მა:—დაულოცნიხარ ღმერთს!—და ხელობლა დაიწყო წინ და უკან სიარული. —ღიად, ღიად, ღიად!—ამბობდა თავისთვის:— შეეჯახნენ ორნი წინააღმდეგნი ძალანი—ხორციელი და სულიერი! ბერად უნდა წასულიყო, მაგრამ არ წავიდა, რადგან წყურვილი აქვს მოქმედებისა და ხალხთან ცხოვრებისა. მისიონერად კარგი იქნებოდა, აბა რას თხოულობ, მამაო, რა გინდა?—მიუბრუნდა მამა როდიონს.

— როგორც თქვენი მართლმსაჯულება ინებებს, თქვენო მალალ უსამღვდელოესობავ!—მოკრძალებით მიუგო მღვდელმა.

— ჰაი, შე გაიძვერა! როგორც მე ვინებებ? მე არაფერი განსჯა არ შემიძლიან. ხომ არ შემიძლიან მიგწერო: დაანებე თავი დაწყებულ კეთილ საქმეს და დაიწყე უკულმართობა-მეთქი? ხომ ცუდია, სასულიერო პირი რომ ვაქრობდეს წმინდა ტაძარში? ჩვენ ამეებს ყურადღებასაც არ ვაქცევთ, რადგან შეძლება ნივთიერი დიდი არა გვაქვს და სხეული კი უძლურია. აბა მე შენ რა უნდა გაგირიგო?

— თქვენო უსამღვდელოესობავ, იმან, ესე იგი, მამა კირილემ მოგახსენათ და, თუ თქვენი ნებაც იქნება, შეიძლება სხვა მრევლში გადაიყვანოთ.

— არა, ეგ არ შემიძლიან, ეგ დასჯის მზგავსი იქნება და მისი დასჯის საბუთი კი არა მაქვს-რა. ჰო, ასე კი შეიძლება, შემიძლიან შენ გადაიყვანო.

ამ წინადადებაზედ მამა როდიონმა ცხვირი ჩამოუშვა და მიუგო დაქანცული ხმით:

— როგორც თქვენი მეუფება ინებებს!

ამ დროს მღვდელ-მთავარმა უბიდან საათი ამოიღო, და-
 ხედა და სთქვა:

— ოჰ, რამდენი დრო გასულა!

მამა როდიონი გამოვიდა. უბრძანეს—წადი სახლში და
 უცადე სხვა მრევლში გადაყვანასაო. უნდოდა დიაკვნებზე ერ-
 თი სიტყვა მაინც ეთქვა რამე, მაგრამ იფიქრა, არ ღირს სხვის
 საქმეში ჩარევაო.

იმავე დღეს მამა როდიონ მანუსკრიპტოვი გაემგზავრა ლუ-
 გოვოსკენ ფიქრებით გარემოცული. ქალაქში წავიდა, რომ საქ-
 მე უწინდელ წესზედ დაეყენებინა და სულ სხვაფრივ კი და-
 ტრიალდა. თხუთმეტი წელიწადია მშვიდობიანად სცხოვრობს
 ლუგოვოში, აიშენა ქვითკირის სახლი, გააწყო დიდი ბაღი და
 უცებ ეს ყველაფერი უნდა მიატოვოს და წავიდეს სადღაც
 მის უცნობ ახალ მრევლში და სიბერის დროს ხელახლად
 მოეწყოს იქ. და ყველა ამაში დამნაშავეა ვიღაც სულელი
 მალისტრი, რომელსაც რაღაც სასწაულით დაუმსახურებია
 მღვდელ-მთავრის ყურადღება, თუმცა ვერ შეუფერებია და ვერ
 მოუხმარია კი ეს ყურადღება. ამდენი წელიწადია ვცხოვრობ
 ქვეყანაზე, და ესეთი არაფერი გამიგონიაო, ფიქრობდა, ყვე-
 ლაფერი კარგად და ჩინებულად მიდიოდა, და ახლა კი... სახლ-
 ში კრებული დაუხვდა.

— მივალწიე იმას, რომ მე გადამიყვანეს, მოკლედ და შე-
 წუხებით უთხრა მამა როდიონმა.

— ჩვენ რაღა გვეშველება, თუ გაიგეთ? ჰკითხა დომენტიმ.

— თქვენ? არაფერი!

დიაკვნები მაშინვე წავიდნენ და გზაში ლაპარაკის დროს
 მოაგონდათ ის ანდაზა, რომელიც ამბობს „ჯერ თავო და თავო,
 მერე ცოლო და შვილოო“; სწორედ ასე მოიქცა მამა როდი-
 ონიცაო.

XI

ლუგოვოში ხანგრძლივი ზამთარი იყო და ამის გამო შესამჩნევი მოწყენილობა. გიორგობისთვის დამლევს მოვიდა თოვლი და დაჰფარა მთელი ლუგოვოს არე-მარე. გლეხების დაბალი ქოხები სრულიად დაფარული იყვნენ თოვლით, მაგრამ დადგა თუ არა ქრისტეშობისთვის, დაუბერა თბილმა ქარმა, თოვლმა დნობა დაიწყო, გზები და მინდვრები სულ ტალახად გადაიქცა, რომელშიაც იფლობოდა ხალხი, საქონელი და ურმები. საშობაოდ ისევ ძლიერი ყინვები დაიწყო და ნამდვილი სამხრეთის მშრალი ზამთარი, უთოვლო და ქარიანი. თებერვლამდის ასე გასტანა. შემდეგ კი სითბოები დაიქირა და გამოჩნდა აქიქ მწვანე ბალახი. საეკკლესიო სახლი, სადაც ცხოვრობდა წინამძღვარი, თბილი იყო, კარგად იყო აშენებული და შეშის წილ სახმარი ლელწამიც იაფა იყო. ქვრივი თეკლე დაუღალავად ზიდავდა ოთახებში შეკრულს ლელწამს და კონა-კონად აწყობდა ფეჩებში, რომელშიაც ეს ლელწამი თოვლივითა დნებოდა. მარო ერთნაირად ატარებდა დღეებს, დიდს მოწყენილობაში. კრუპოვის ქალი გაიცნო, მაგრამ ისე ვერ შეთვისდნენ, რომ დაახლოვებოდნენ ერთმანეთს.

ნადეჟდა ალექსის ასულმა ორ საღამოს განმავლობაში, სულ უვიც ქალად იცნო ის. მათ უკვე განუზიარეს ერთიერთმანეთს ყოველივე, რაც კი შეეძლოთ. ნადეჟდა ალექსის ასული პირველადვე მოეპყრო მას ფორმალური ზრდილობიანობით, რომელშიაც უკუ აქცია მაროს ცხოველი სურვილი, რომ დაახლოვებით გასცნობოდა სიცოცხლით სავსე განათლებულს ადამიანს. სობოროს დეკანოზის გულწრფელი ქალი, თავის ჭკუით ჰყოფდა ხალხს ორ ბანაკად — „განათლებულად“ და „გაუნათლებელად“ და დარწმუნებული იყო — საკმარისია ორი ადამიანი ეკუთვნოდეს განათლებულთა ბანაკს, რომ ადვილად შეეთვისონ ერთიერთმანეთსაო. მაგრამ განათლება ამ

ორი ქალისა ისეთი განსხვავებული იყო, რომ მათ ერთმანეთისა არა ესმოდათ-რა. მარომ გაათავა გიმნაზია, წაიკითხა რაღაც ათიოდე წიგნი, რომელზედაც მიუთითეს — „ი ეს კარგი წიგნია და უეჭველად უნდა წაიკითხოო“. მთელი თავისი ცხოვრება მშობლების ზედგავლენის ქვეშ გაატარა და მხოლოდ გათხოვება იყო მისი პირველი თავისუფალი ნაბიჯი.

ნადეჟდა ალექსის ასულმა კი, როგორც უკვე ვიცით, მეტად ახირებულად გაატარა თავისი სხვა-და-სხვა შთაბეჭდილებებით სავსე ცხოვრება; ბევრი რამ შეიძინა წიგნების კითხვით და ცხოვრებიდან, შეადგინა თავისთვის გადაწყვეტილი შეხედულება ცხოვრებაზე და ხალხზე. ამის გამო მას არ შეეძლო დაახლოვებოდა მაროს. ის მხოლოდ ზრდილობიანად ეკიდებოდა მას, მარო კი მის წინაშე რაღაც კრთომას გრძნობდა. ასე იყო თუ ისე, კვირაში ერთხელ, უმეტეს ნაწილად შაბათობით, ეკკლესიის სახლს მიადგებოდა ხოლმე ეტლი, რომელშიაც იჯდა ნადეჟდა ალექსის ასული, თავის ვაჟიშვილით. ერთი და იმავე ღიმილით დაუძახებდა მაროს, — თითონ კი არ ჩამოდოდა ეტლიდან, — მოისვამდა გვერდით და წაიყვანდა თავისთან. ერთად ისადილებდნენ, შემდეგ სალამოს მწუხრის გათავებისას, შემოვიდოდა კირილეს და დაიწყებდნენ ბაასს, რომელიც გრძელდებოდა შუალამემდის. ამათ ლაპარაკის დროს, მარო ჩუმად იჯდა, უსმენდა მუსაიფს და მოიწყენდა კიდევ. იანვრიდან დაიწყო მარომ მოლოდინი მომავალის მემკვიდრისა. შეუმჩნევლად მიდიოდა დღეები. დეკანოზის ცოლმა გამოუგზავნა საკერავი მაშინა, რომლითაც მთელი დღეები ჰკერავდა. სამაგიეროდ კირილე სრულებით არ იყო მოწყენილი: დიდად სასიამოვნოდ ჰქონდა, რომ მარტო იყო და მარტო მუშაობდა თავის მრევლში.

მამა როდღონი გადაიყვანეს ორის თვის შემდეგ მის მერმედ, რაც მღვდელმთავართან იყო; არქიერი არ ჩქარობდა მის გადაყვანას სხვა მრევლში. კირილეს არ ემძიმებოდა ბევრი მუშაობა და მშვიდობიანად ასრულებდა ყოველივე მრევლის მოთხოვნილებას. ეს მოთხოვნილება აძლევდა მიზეზს, რომ გაე-

ცნო ყოველი გლეხის შინაგანი ცხოვრება. უარს არავის ეტყო-
და ალაპზე ან ნათლობის დროს სადილზე დარჩენილიყო,
ამიტომ რომ აქ ბევრს შემთხვევას პოულობდა, გამოეთქვა
მრევლთან თავის შეხედულებანი სხვა-და-სხვა საგანზე. გლე-
ხები მიეჩვივნენ და ისმენდნენ გულმოდგინედ მის ლაპარაკს
ამა თუ იმ საგანზე. ეკკლესიაში კი არ ქადაგებდა და მოუ-
ხერხებოდაც სთვლიდა ქადაგებას: ქადაგებას მოისმენენ
ეკკლესიაში, როგორადაც ნაწილს წირვისას; კირილეს კი
ისე უნდოდა ლაპარაკი, რომ სიტყვა ყოფილიყო არა ფორ-
მალურად ნათქვამი, არამედ მეგობრულად; ხედავდა რომ
იმის მუშაობას ნაყოფი მოაქვს, და ვაჭრული წესები მრევლ-
ში ძირიანად ამოვარდა. გლეხი-კაცი მხოლოდ განაცხადებ-
და, რომ იმას მიცვალბებული ჰყავს, ჯვარის დასაწერი ან მო-
სანათლაფი და ულაპარაკოდ სრულდებოდა საეკკლესიო წესი.
შენიშნა აგრეთვე კირილემ, რომ სადილზე ან საუზმეზე,
სადაც ის დაესწრებოდა, მასპინძლები ვერ ბედავდნენ ძალის
დატანებას და სტუმრებიც მეორე ჭიქა არაყსაც მოკრძალები-
თა სემდნენ. რასაკვირველია, როცა ის არ იყო, ძველებურად
შეექცეოდნენ და ღუქნებიც ჩინებულად ვაჭრობდნენ სასმე-
ლებით, მაგრამ ეს დარიღებაც აკმაყოფილებდა მას, რადგან
იცოდა, რომ ეს, შემდეგში, ჩვეულებად გადაექცეოდა ხალხს.
გარდა საეკკლესიო შრომისა, კირილე ბევრს დროს ანდომებ-
და სკოლასაც. დადიოდა იქ თითქმის ყოველ დღე და დიდად
სწუხდა, რომ მასწავლებელი ისე გულგრილად ეკიდებოდა და
არ უყვარდა თავისი საქმე.

— რად იკისრეთ მასწავლებლობა, თუ თქვენ ეს საქმე არ
მოგწონდათ, თუ რომ თქვენ არ გქონდათ მოწოდება, ზეგარდ-
მო ნიჭი და სიყვარული ამ საქმისა?—ჰკითხავდა მას კირილე,
როდესაც ის ჩიოდა, რომ სრულებითაც არ არის კმაყოფილი
თავის ცხოვრებისა.

— მოწოდება?—მიუგებდა მასწავლებელი:—ყოველ კაცს
აქვს მიწოდება, კამოს და სეას, მამაო!

კირილე დიდი წინააღმდეგი იყო ამ აზრისა და გაცხარებით უმტკიცებდა, რომ ეგრეთი სჯა შეუძლებელია და შეჭფერის მხოლოდ ხარაზს და არა სიბნელეში მყოფი ხალხის მასწავლებელს! უმტკიცებდა, რომ ესეთი საქციელი საზოგადო საქმეში უპატიოსნობა არის.

— ოჰ, მამაო! — უბასუხებდა მასწავლებელი: — სწორედ მაგ სიტყვებს გავიძახოდი მეც ამ რვა წლის წინად, და ეხლა, ეხლა, ხანმა გაიარა და ვხედავ, რომ ყველა სისულელეა, და მთელი ჩვენი ცხოვრება ჩალად არა ღირს. ერთი-ლა დამრჩენია — ცოლი შევირთო, მზითვად ოთხასი დღიური ავიღო და მეოჯახობას შევუდგე.

მასწავლებელი ანღრია თევდორეს ძე კალუჟენევი წარმოსდგებოდა ქალაქელი მოხელეს ოჯახიდან. სწავლობდა გიმნაზიაში, მეექვსე-მეშვიდე კლასებში ზარმაცობა დაიწყო და თავიც დაანება სწავლას. სამი წელიწადი იყო სახლში, მერმე სამსახურში აპირობდა შესვლას, ხან ქარხანებში მუშაობას; ვათავდა მითი, რომ სოფელში წავიდა მასწავლებლად, რადგან ეს სამსახური ყველაზედ უფრო უბრალოდ და ადვილად მიაჩნდა. სოფელზედ არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა, მაგრამ არც სრულიად უმიზნოდ გაემგზავრა იქითკენ: რაღაც-რაღაცაები გაეგონა მას ხალხზედ, სინიღისიერ სამსახურზე და დავრდომილი გლეხი-კაცის განათლებაზედ. მაშინ ის ჯერ კიდევ ძალიან ყმაწვილი კაცი იყო და დიდი თანაგრძნობით ეკიდებოდა ამ იდეებს, მაგრამ ნამდვილ ცხოვრებაში ამ იდეებმა ჩქარა თავი მოაბეზრეს და დროთა განმავლობაში გადაიქცა მუშად, რომელსაც ლუკმა პურის მეტი აღარა ახსოვს-რა. მას არა გაეგებოდა-რა თავის საქმისა და შეწუხებული ეძებდა რაიმე ცვლილებას ცხოვრებაში.

კირილე ხშირად დადიოდა მემამულე ქალთან. ნადეჟდა აღექსის ასულიც სიამოვნებით და თითქმის აღტაცებითაც უხვდებოდა მას. ეს ქალი ყოველთვის ეძებდა თავის ცხოვრებაში რასმე განსაკუთრებით საყურადღებოს და აი ეს სოფლის მღვდელი, იმდენად განათლებული, რომ მასთან შესაძლო იყო ყო-

ველგვარი ბაასი, მღვდელი, რომელიც აღ ქურვილიყო ყოველი ბიწიერებასთან საბრძოლველად და განსახორციელებლად ცხოვრებაში თავის აზრებისა, რომელნიც ნადეჟდა ალექსის ასულისთვისაც მიმზიდველი და სიმპატიური შეიქნა და რომელთ წყალობით თითქო თვალები აეხილა, ეს მღვდელი დიდად მოსწონდა მას; პირველად რიდით ექცეოდა, როგორც საინტერესო მოჩვენებას, მაგრამ ექვით კი უყურებდა და ელოდა, ან დღესა მთხოვს, ან ხვალ რამე შემწეობას, საზამთროდ ჭირნახულს, ან რამდენსამე დღიურ სათივე მიწასაო. კრუპოვის ქალი დაჩვეული იყო მამა როდიონისაგან და კირილეს წინა მოადგილეთაგან თხოვნას. მაგრამ კირილეს არა უთხოვნიარა. თითონ ქალმა ერთხელ კიდევ ჰკითხა: „ხომ არა გჭირდებათ-რა ოჯახისთვის, მე მზადა ვარ დაგეხმაროთ?“

— მე თითქმის არც კი მაქვს ოჯახი.— მიუვო კირილემ:— და თუნდ რომ მჭირდებოდეს რამე კიდევ, მაინც არასა გთხოვდით.

— ოჰო! რისთვის?

— იმისთვის, რომ ჩვენ ერთმანეთში, მაღლობა ღმერთს, კარგი განწყობილებითა ვართ, პატივსა ვცემთ ერთმანეთს; მაგრამ ცოტაც არის რომ დამავალოთ რამე, მაშინ თქვენგან დავალებული ვიქნები და თქვენც, თქვენდა უნებურად მცირეოდნად მაინც შეამცირებთ ჩემს პატივისცემას.

ამ უცნაურმა მღვდელმა დიდი შთაბეჭდილება იქონია ნადეჟდა ალექსის ასულზედ. იმ საღამოს, რომელსაც სამნი ერთად ატარებდნენ, მარო წარმოადგენდა მხოლოდ იმათი ბაასის თანადამსწრეს. ნადეჟდა კრუპოვისა სთხოვდა კირილეს, გამოეთქვა თავისი შეხედულებანი ცხოვრებაზე და თითონაც ნელ-ნელა უამბობდა მთელს თავის ცხოვრებას.

— იცით რა?—გულახსნით უთხრა კირილემ, როდესაც მოისმინა მთელი მისი ცხოვრების ამბავი მოსკოვსა და სამზღვარ გარეთ,—თქვენი ცხოვრება, ცხოვრება კი არა, მარტო ჟინიანობა ყოფილა.—და თან თავის შეხედულებას უმარტავდა:—ცხოვრება შეიძლება მხოლოდ სოფელში, სადაც ბუნებაც, ხალხიც

და საჭიროებაც ყველა ჭეშმარიტია. ვინც მოყვასა თვისსა არასასარგებლებს, მისი სიცოცხლე, ვინც უნდა იყოს, უაზროა და სათაკილო. ყველას მოეძევება სადმე პატარა კუთხე, სადაც მას შეუძლიან მოიტანოს ნაყოფი. არ არის საჭირო, უთუოდ მიუწოდომელს გამოუდგეს კაცი; რამე კეთილი გააკეთე, რომ შენს სიცოცხლეს ექნეს ნიშანი ქვეყნად ყოფნისა და ესეცა კმარა.

— მითხარით, მამაო კირილე, რისთვის მეჩვენება მე ხანდახან, რომ პირველი თქვენა ხართ სრულიად გულწრფელი, რომელსაც ვხედავ მე ჩემს სიცოცხლეში? — ჰკითხა ერთხელ ნადეჟდა ალექსის ასულმა.

— უკაცრავად! გულწრფელი ბევრია ქვეყანაზედ და მეც ბევრს შევხვედრივარ, — ბეჯითად მიუგო კირილემ. — თქვენ არ შეგიმჩნევიათ ისინი იმიტომ, რომ მალლა გექირათ თავი; ამისათვის, შესაძლებელია, მარტო მე გეჩვენეთ გულწრფელ კაცად, რადგანაც აქამომდე თქვენ მარტო მე შემომხედეთ წყალობის თვალთ.

დადგა გაზაფხული. აპრილში მარომ თავი დაანება კრუპოვის ქალთან სიარულს, რადგან მისი მდგომარეობა სამძიმო შეიქნა. აცნობეს ქალაქში ანნა ნიკოლაევენას; ის მაშინვე მოვიდა და თან მოიყვანა ბებია ქალი. როგორც შედგა საეკლესიო სახლში ფეხი დეკანოზის ცოლმა, თავისი გამჭირახი თვალი გადაავლო სახლის მოწყობილობას. ასე გასინჯეთ, ძვილი მოქსოვილი სუფრაც კი არ დარჩენია შეუნიშნავი, რომელიც სტოლს ეფარა და ამოგლეჯილი იყო აქა-იქ. გამოცდილი თვალთ შენიშნა, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში ყმაწვილ მეუღლეთა ცხოვრება არ გაუმჯობესებულა. პირიქით აქა-იქ სიღარიბის ნიშნებიც მოჩანდა. არაფერი არა შეეძინათ-რა. ყველა ისევ ისე იყო მოწყობილი, როგორც დასახლების პირველ დროს, ესე იგი, ღარიბულად. არაფერი, გარდა აუცილებელი ავეჯისა, როგორც უბრალო სასტუმროს ოთახში: სტოლი, დივანი, ტახტი, კომოდი, რამოდენიმე სკამი, კომოლზედ სარკე, კედლის საათი და კუთხეში ხატები. მერე

გავიდა ეზოში, დაათვალიერა საკუჭნაო, სრულიად ცარიელი ბოსელი და თავლა. ბაღში ორი კონა ზამთრის გადანარჩენი ლელწიში ეგდო; ბოსელში არავითარი ეტლი, არა თუ უბრალო შარბანი. თავლაში ცხენის კვალიც არა სჩანდა. საკუჭნაოც აგრეთვე ცარიელი იყო. შეიხედა მარანში და იქაც არა თუ სავსე ქვევრი, ნახევარი ღოჭი ღვინოც ვერა ნახა. „არაფერი არა აქვთ, არა შეუძენიათ-რა, — გულმტკივნეულად ფიქრობდა დეკანოზის ცოლი, — მათხოვარაა ჩემი ქალი.“ მაშინ კი გადასწყვიტა თეკლესთვის გამოეკითხნა დაწვრილებით, რას ნიშნავდა ეს მათი სიღარიბე. მაროსთან არ შეეძლო ლაპარაკი მის მდგომარებისა გამო. თეკლემ ხომ მოკლა თავის დაწვრილებითი მოხსენებით:

— ღმერთო, ღმერთო ძლიერო! — დაიწყა სასოწარკვეთილების ხმით: — რაები არა ხდება ჩვენს ოჯახში, როგორ შემძლიან ყველა მოგახსენოთ. სულ ნაყიღია, რაცა გვაქვს: რძეს ქიქობით ვყიდულობთ, ნაღებს, ერბოს; ყველას დუქნიდან ვეზიდებით. განა არ შეძლება, რომ ძროხა ვიყოლიოთ! ქალბატონს ბარე ორი ძროხა უნდოდა ეჩუქებინა, ეს მე მისმა მოურავმა მითხრა, მაგრამ მღვდელმა არ ინება: „არ შემძლიან საჩუქარი მივიღოო.“ წასვლა რომ უნდოდეს სადმე, ფოსტის ცხენები უნდა დაიბაროს... ხომ არ დამიჯერებთ, საწყალ ქალბატონს ერთი კვერცხის შექმაც კი ენანება! ქალი ფეხმძიმედ არის, წარმოიდგინეთ, და საქმელზედ ყაირათობს! შემოსავალი არაფერი! უწინდელს მღვდლებს ბელელში არ ეტეოდათ ხორბალი! იმოდენი ქათმები, გოჭები და ხბორები ჰყავდათ, რომ ანგარიში არ იყო და ეხლა კი სიმშლით ვიხოცებით... აი როგორი წყობილება შემოიღო თქვენმა სიძემ. დიაკვნებიც სიმშლით იხოცებიან. ყველას ნამდვილს მოგახსენებთ...

— ეს რა ამბავია! ეს რა ამბავია, თქვენი ქირიმეთ?! — სასოწარკვეთილებით გაიძახოდა ანნა ნიკოლაევნა: — ამისთანა უბედურებისთვის ვზრდიდი ჩემს მაროს! — მოინდომა კირილესთან ლაპარაკი, მაგრამ გადასწყვიტა, რომ ამ ლაპარაკით არა გამოვიდოდა-რა. მე უთუოდ უნდა წაეიდე და ენახო

მღვდელ-მთავარი, მამა გაბრიელსაც წავიყვან, იქნება ეს კაცი გონზე მოიყვანოს! თუ არა და მაროს შინ წავიყვან. ეს რასა ჰგავს! თუ უნდა წმინდანი იყოს, რატომ ბერად არ წავიდა? ცოლს რად ირთავდა? საწყალი ჩემი მარო!...

კირილესთან ერთი სიტყვაც არა უთქვამს-რა სიდედრს, თითქმის ხეირიანადაც არ შეუხედნია და მაროს კი სიბრალულთ შესცქეროდა. მშობიერება მშვიდობიანად გათავდა; დეკანოზის ცოლმა ცხრა დღე დაჰყო ლუგოვოში და, ადგა თუ არა ქვეშაგებიდან მარო, გამოეთხოვა, წავიდა და ბებია ქალიც თან წაიყვანა. ნათლობაზედაც არ ინება დარჩენა, მხოლოდ სიტყვა კი ჩამოართვა მაროს, შვილისთვის მამის პატივისცემით სახელად გაბრიელი ეწოდებინა. თითონ კი გასწია მტკიცე გარდაწყვეტილებით, რომ სიძის წინააღმდეგ ემოქმედნა.

მარომ მეტად კარგად აიტანა ლოგინობა. ლოგინიდან ამდგარი თითქმის მშვენივრად ჰგრძნობდა თავს და თითონ აწოვებდა თავის პატარა ვაჟს. ბავშვიც ძალიან ჯანმრთელად იყო. მონათლეს და სახელად გაბრიელი უწოდეს. ნათლიები იყვნენ ნადეჟდა ალექსის ასული და დიაკონი დომენტი, რომელიც ამოსდგომოდა გვერდში მემამულე ქალს და საოცარი დარცხვნილი იყო. მაგრამ როგორც გათავდა ნათლობა და კრუპოვის ქალმა წასვლა დააპირა, შეურჩია დრო, როდესაც კიბეზე არავინ იყო მის მეტი, ისარგებლა ნათელ-მირონობით და სთხოვა, ერთი დღიური მიწა მიბოძე ჩემი ბალის სიახლოვესაო. ნადეჟდა ალექსის ასული მაშინვე შეჰპირდა და დომენტი დიდი კმაყოფილი დარჩა.

ამის შემდეგ კიდევ მოხდა ერთი შემთხვევა, რომელსაც დიდი ხანია მოელოდნენ ლუგოვოში. ეს იყო შაბათს საღამოს ჟამზე. ეკკლესიის დარაჯმა დაინახა ქიშკართან მოსული, ძალიან ძველებური, იმ ფურგუნის მგზავსი გადახურული ეტლი, რომელშიაც ოც-ოცდ სული ურიები არიან ხოლმე მოთავსებული. ეტლი გაჩერდა ქიშკართან და ჩამოფარებული ფარდის იქიდან გამოიხედა საყვარელი სახის ყმაწვილმა ქალმა.

— სად არის მამა როდიონის სახლი? — იკითხა ყმაწვილმა ქალმა.

— მამა როდიონის სახლი? — ჰკითხა დარაჯმა. — მერე რათ გინდათ მამა როდიონის სახლი, როდესაც შიგ არავინ არის; მამა როდიონი ნახევარი წელიწადია, რაც აქედან გადაიყვანეს.

ქალის მაგივრად კაცის თავი გამოჩნდა, შეფვრემანი, შავი ქუდით, მზისაგან დამწვარი სახით, პატარა წვერ-ულვაშით და გაკრეჭილი თმით.

— გამარჯვება, ძმობილო! — უთხრა მან სასიამოვნო ხმით: — შენ ეკკლესიის დარაჯი ხომ არა ხარ?

— დიაღ, ეკკლესიის დარაჯი გახლავარ.

— მე მღვდელი ვარ, მამა როდიონ მანუსკრიპტოვის მაგიერი. გვიჩვენე ჩვენი სახლი. სახლი ჩვენ ვიყიდეთ მამა როდიონისგან.

დარაჯმა მშვიდად მოუხადა ქუდი და უთხრა: — მობძანდით!

სახლამდინ. მიაცილა და, რომ გამობრუნდა, დაინახა კიდეც სამი დიდი ურემი დატვირთული ბარგით, მებელით და სხვა და სხვა ავეჯეულობით.

დარაჯმა გასწია პირდაპირ კირილესთან და მოახსენა:

— ახალი მღვდელი გახლათ, მამა როდიონის მაგიერი.

— მოვიდა? მობრძანდეს! — სთქვა კირილემ და იფიქრა: „ეხლა ისეთი საშიში აღარა არის-რა, ჩემმა განკარგულებამ ფეხი მოიდგა“.

— ისეთივე ყმაწვილია, როგორც თქვენა, მამაო! — მიუმატა დარაჯმა.

ამაზე კირილეს აღარა უთქვამს-რა, მაგრამ იფიქრა: ეგ კიდეც უკეთესია. ყმაწვილი უფრო მალე შეიგნებს ყველაფერს, ვინემ მოხუციო.

მეორე დღეს, კვირას წირვის დროს მრევლი გზას უცლიდა ახალს მღვდელს, რომელიც შევიდა საკურთხეველში. პატარა ტანისა იყო და მაგარი აგებულებისა; სახეზედ ეხატებოდა სიმრთელე. მუქი ლილის ფერი ანაფორა ეცვა, რომელიც საუ-

ცხოვრად აღდა ტანზე და სახესაც უმშვენებდა. ნელი ნაბიჯით შევიდა საკურთხეველში, თავი მოიხარა და ემთხვია ხატებს. შორიდან ისეთი შეხედულობა ჰქონდა, თითქო ეს არის ემზადება მობრუნებას და მოკლე ქადაგების თქმას, ან და გამოცხადებას: „მე მღვდელი ვარ, მამა როდიონ მანუსკრიპტოვის აღგილას“, მაგრამ არა სთქვა-რა, მხოლოდ გვერდის კარებიდან შევიდა საკურთხეველში. იქ სამჯერ მუხლი მოიყარა, მერე თავი დაუკრა კირილეს, რომელიც შემოსილი იდგა, მოწიწებით გაჩერდა შორი-ახლოს და ასე იდგა წირვის გამოსვლამდის. ეტყაბოდა, ფრიალ მორწმუნე იყო: ჩუროჩულით იმეორებდა ლოცვებს, სადაც რიგი იყო, მუხლს იყრიდა, და ყოველს პირჯვრის დაწერაზე, თავს იატაკსა სცემდა; წირვის გათავების შემდეგ იქავ საკურთხეველში მივიდა კირილესთან და მოითხოვა მისგან ლოცვა-კურთხევა.

— ნება მიბოძეთ გაგეცნოთ! მღვდელი მაკარი სილოამსკი. — სთქვა მან.

კირილეს თავის რიგზე გაეცნო და შინ მიიწვია.

— დიალ, დიალ, საქიროა რასაკვირველია მოლაპარაკება! — სთქვა სილოამსკიმ.

წირვის შემდეგ ჩაის გახლნენ. კირილეს მხიარულ მოლაპარაკე კაცად ეჩვენა: ძლიერ ბევრი ილაპარაკა სემინარიზე, მასწავლებლებზე, რექტორზე და ინსპექტორზე. მეორე წელიწადი იყო რაც სწავლა გაეთავეებინა და მთელი წელიწადი მელავითნედ ყოფილიყო. კირილეს ახსოვდა იგი: პირველ კლასში იყო, კირილე რომ სემინარიას ათავებდა.

— როდესაც წამოსვლის წინ მათ უსამღვდელოესობასთან განოსამშვიდობებლად გახლდით, ბევრი კარგი რამ მიბრძანათქვენს შესახებ; ძალიან ჰქვიანი და განათლებული კაცი არისო და იმისგან უნდა აიღოს ყველამ მაგალითიო. — სთქვა სხვათა შორის სილოამსკიმ.

— ვმადლობ მათ მეუფებას! — მიუგო კირილემ.

— ასე, მაშ მე იმედი მექნება, რომ ერთმანეთში მშვიდობიანად და თანხმობით ვიცხოვრებთ! — სთქვა ახალმა მღვდელმა, როდესაც აღდა გამოსათხოვებლად.

— ძალიან მოხარული ვიქნები.

კირილეს სხვა არა აუხსნია-რა, ყველაფერი თავისით აიხსნებაო, — ფიქრობდა. ნასადილევს კირილე და მარო მივიდნენ მემამულე ქალთან. მარო, რაც ლოგინიდან ადგა ჯერ არა ყოფილიყო მასთან. სასადილო ოთახში ისხდნენ. ფანჯარა ღია იყო და ისამანის და სხვა და სხვა სურნელოვანი ყვავილების სუნის შემოდინოდა. კირილე ლაპარაკობდა ახალი მღვდლის მოსვლის ამბავს და მის გაცნობას; სასიამოვნოდ მიაჩნდა, რომ ეს მღვდელი ყმაწვილი იყო და მრევლიც პირვევლად ჰყავდა.

— იგი ჯერ არ გაუტაცნია სარგებლობის და მოხვეჭის სურვილს. ყმაწვილი კაცი უფრო ადვილად შეიგნებს კეთილს და დიდი იმედი მაქვს, ჩინებულად შევეწყობით ერთმანეთს. ნადეჟდა ალექსის ასული ყურს უგდებდა ამ ლაპარაკს ურწმუნოდ ღიმილით. იმისი თვალეები, რომელნიც მისჩერებოდნენ კირილეს, თითქო ამბობდნენ: რა გულუბრყვილო და უმანკო ბავშვი ხარ ჯერ კიდევ. სად შეხვდები შენისთანა ამხანავს, რადგან შენ, მარტოდ-მარტო შენა ხარ მაგისთანა!

ამ დროს ქალბატონს მოახსენეს, რომ ახალი მღვდელი სილოამსკი მოვიდა თავის მეუღლითაო. ნადეჟდა ალექსის ასულმა მიიღო ისინი მეორე ოთახში და კარები ღია დატოვა, ისე რომ კირილეს და მაროს შეეძლოთ ყველაფერი გაეგონათ, რასაც მეორე ოთახში იტყოდნენ.

სილოამსკი შემოვიდა დინჯად და პირველად თვალეები მიაშტერა კუთხეს, სადაც ხატეები ესვენა. სამჯერ გადიწერა პირჯვარი და თაყვანი სცა ხატებს. მერმე მოუბრუნდა და თავი დაუქრა სახლის პატრონს.

— ნება მიბოძეთ გაგეცნოთ: ახლად დანიშნული მღვდელი მაკარი სილოამსკი.

ნადეჟდა ალექსის ასულმა თავი დაუქრა და შესთავაზა სკამი.

— როდის მობრძანდით? — ჰკითხა მხოლოდ მისთვის, რომ ლაპარაკი დაწყობილიყო.

— გუშინ გიახელით. მიუხედავად იმისა, რომ დაღალული გახლდით, მოვალეობად ჩავთვალე დღეს წირვაზე წავსულიყავე, ჩემს უფროსს ამხანაგს გამოვცხადებოდი, მამა კირილეს, და შემდეგ მოვისწრაფოდი თქვენს სანახავად. ნება მიბოძეთ, დიდად პატივცემულო ქალბატონო, ვიქონიო თქვენგანაც იმედი, რომ მოწყალის თვალით იქნებით ჩემზე.

— რაც კი შემეძლება!

— არა, ჯერ მე არაფერი თხოვნით არ შეგაწუხებთ, მაგრამ მომავალისთვის იქნება მექნეს რამე საჭიროება; მაგალითად, მინდა ძროხები გავიჩინო. შეიძლება თივა დამაკლდეს... საღვიშოვნო, ვის მივმართო, თუ არ თქვენ, მოწყალეო ქალბატონო?

— რაც კი შემეძლება, ბატონი ბრძანდებით!— გაიმეორა ნადეჟდა ალექსის ასულმა და წამოიწია. სახის გამომეტყველება უფრო უკმაყოფილო ჰქონდა, ვიდრე სტუმრების მიღების დროს.

— მეტი რაღა შეგაწუხოთ!— სთქვა მამა მაკარიმ და ისიც წამოდგა. მარჯვენა ხელი გულზედ მიიღო და მდაბლად თავი დაუკრა. ნადეჟდამ თავი დაუქნია და მიუთითა:

— აქეთ მობრძანდით... ეს გზა ბალში გადის... თქვენ საკუთარი ცხენები გეყოლებათ?

— დიად, ორი ცხენი მყავს... ცოლის მზითევში ავიღე. არაფერი უჭირთ, ცქვიტი ცხენებია... მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

ნადეჟდა ალექსის ასული შემობრუნდა და დაიწყო მებაღეზე ლაპარაკი, რომელიც სამი დღე იყო ლოთობდა და არ შეჰკარებოდა ბალს: ყოველთვის ერიდებოდა ვისიმე განკიცხვას და თავის სტუმრებზედაც არა სთქვა—რა—დედაკაცური ქორიკანობა მომივაო.

— რატომ თქვენს სტუმარზე არას იტყვიან?— ჰკითხა მარომ.

— ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, — სთქვა და ისევ მებაღეზე განაგრძო ლაპარაკი.

კირილე ძალიან შეწუხდა და თავჩაღუნული ფიქრობდა: პირველ ნახვანედვე თხოვნა და ღიჯინი დაიწყა:—მე მოხოვარა ვარ, სახეში იქონიეთო. ჯერ არა ექირებარა, და ეხლავე შეატყობინა თავის შეძლების ამბავი, ეშინიან შეძლებულად არ ჩამთვალონო. გასაკვირველია, საიდან იძენენ ამ ჩვეულებას? სემინარიაში ხომ არ ასწავლიან ამას? ცხოვრებით ხომ ჯერ არ უცხოვრია? ნუ თუ ეს სისხლში აქვს გამჯდარი და შთამომავლობით გადადის მამისაგან შეილზედ და შეილიშვილზედ, როგორც განსხვავებული რაღაც დაღი? ღმერთო, რა უბედურებაა!

სალამომ უგემურად ჩაიარა. ნადეჟდა ალექსის ასული ცუდ გუნებაზედ იყო და თუმცა ცდილობდა სტუმრების გართობას, მაგრამ მაინც არა გამოდიოდა-რა. კირილე ლაპარაკს ყურადღებით არ ისმენდა და პასუხსაც უგემურად აძლევდა. ფიქრობდა იმ განსაკუთრებულ ხასიათზე, რომელსაც იჩენდნენ იმისი თანამოზიარე მღვდლები.

შესრულდა ცხრა საათი და კირილე და მარო შინ წავიდნენ: მარო მიეშურებოდა ბავშვთან. ის იყო, ავიდნენ კიბეზე და უდროვო დროს სტუმრები დაინახეს დერეფანში. ესენი იყვნენ მთავარ-დიაკონი სვიმონი და დიაკონი დომენტი. უზურგო სკამებზედ ისხდნენ, რომლებიც თეკლეს დაედგა მათთვის; როგორც დაინახეს სახლის პატრონები, ორივენი წამოდგნენ და მოკრძალებით თავი დაუკრეს.

— რა ამბავია, აქ რას უსხედხართ? რატომ ოთახში არ შემობრძანდებით?—ჰკითხა კირილემ:—თეკლე, რატომ შინ არ შეიწვიე?

— ვთხოვე, მამაო, მაგრამ არ ინებეს!—მიუგო თეკლემ.

— არაფერია, რა გვიშავს, ჰაერი კარგია!—ლმობიერად სთქვა მთავარ-დიაკონმა.

კირილემ შეიყვანა ისინი ოთახში. მარო კი გავიდა თავის ოთახში შეილთან.

— აბა, რას იტყვით?—ჰკითხა კირილემ დიაკვნებს და შესთავაზა სკამები.

დიაკვნებმა ჩაახველეს და დაიწყეს ცოტაოდენი ყოყმანით:

— თქვენთან გიახელით, მამაო, ჩვენს საქმეზე... დიდი ხანია გვინდოდა მე და დომენტი ერმილიჩს თქვენი შეწუხება და ამასთანავე...

დიაკონმა დომენტიმ შენიშნა, რომ მამა სვიმონს როგორღაც არ ეხერხებოდა ლაპარაკი, ამისთვის თითონ ჩაახველა და წამოროშა:

— ვიღუპებით, მამაო კირილე, სწორედ, რომ ვიღუპებით!

კირილემ თვალები შეაჭყიტა:

— როგორ თუ იღუპებით?

— სიმშლით ვიხოცებით, მამაო კირილე!

— სიმშლით?

— სიმშლით, მამაო! დიდ ხანს ვითმინეთ, არ გვინდოდა თქვენი შეწუხება... მაგრამ ძალა აღარა გვაქვს... ოჯახობით შეზღუდული ვართ და სარჩო სულ არ მოგვეძვეება—რა. ჯამაგირი, რომელიც ქალბატონმა დაგვინიშნა, არ გვყოფნის, მიწა ცოტა გვაქვს, შემოსავალის აღება აკრძალულია და არაფერი არ გავვაჩნია.

— დაა, სწორედ მართალია, სწორედ მართალი!—დაემოწმა მამა სვიმონიც.

— ჩვენ ხომ მომეტებულს არა ვთხოვლობთ, მამაო, არამედ მხოლოდ სარჩოს, პირდაპირ პურს არსებობას. ბავშვები შემოგვეტვირინ, ჭამა უნდათ, მამაო კირილე!

კირილე ოთახში დადიოდა წინ და უკან თავჩალუნული და დაფიქრებული. იმას ცხადად წარმოუდგა თვალწინ, რომ დიაკვნებს არა ჰყოფნიდათ გადაჭრილი ჯამაგირი, რადგან იმათ ბევრით ნაკლები ჰქონდათ, ამასთან შვილებიც ბევრი ჰყავდათ. კირილეს მდგომარეობა მეტად შესაწუხებელი იყო: თვითონ მან მოუტანა ეს სიღარიბე მათ, და შემწეობა კი აღარ შეუძლიან. მას რომ რამე გადარჩებოდეს, დიდის კმაყოფილებით დაუთმობდა. მაგრამ თვითონ რა ჰქონდა?... თავის დაწესებულ წეს-წყობილებაზე უარის ყოფა მას არ შეეძლო, რა-

დგან ის იყო პირველი მისი გამარჯვება, რომელსაც ძალიან ძვირად აფასებდა.

— მამაო კირილე! — ფრთხილად დაიწყო დიაკვანმა.

კირილე შეჩერდა და შეხედა.

— ჩვენ სათხოვნელად გიახელით.

— აბა, აბა ბრძანეთ რაღა. მოუთმენლად ჰკითხა კირილემ, რომელსაც ძალიან უნდოდა, მათი თხოვნა დაეკმაყოფილებინა.

— მიწა ძალიან ცოტა გვაქვს, და თქვენ კი, მამაო, თითქმის საკმაოზედ მეტი. არ შეიძლება რომ მოგვცეთ საეკლესიო მიწა, რომელიც უსარგებლოთ გიგდიათ... თუნდ მეოთხედი გამოგვართვით?

— რამდენი დღისა აქვს წინამძღკარს? — ჰკითხა გამხნევებულმა კირილემ.

— საკუთრად თქვენ ოთხმოც და რვა დღიური, თორმეტიც ქალაში. სულ ასი დღისა.

— მაშ ძალიან კარგი! ძალიან კარგი! სიამოვნებით შესძახა კირილემ! — თქვენ მოხანით... რამდენიც გჭირდებათ... დათესეთ თქვენთვის! მე არა მინდა-რა! მე არა მცალიან, არც ვიცი მუშაობა, მე სამყოფი მაქვს... კარგი, ძალიან კარგი! მოხანით, თუ ღმერთი გწამთ!

დიაკვნები გაკვირვებით შესცქეროდნენ: როგორ შეიძლება?... უნდოდა ეთქვა დომენტის, მაგრამ გაჩუმება არჩია. კირილე ერთს წუთს დაფიქრდა.

— ეხლა ეს მითხარით: მაშინ ხომ დაკმაყოფილებული იქნებით?.

— დიალ, მამაო, დიალ, დიდი მადლობელი გახლდებით! — ერთი ხმით მიუგეს დიაკვნებმა და მდაბლად თავი დაუკრეს.

— აბა, ღმერთი შეგეწიოთ, იმუშავეთ, და ჩემზე გულნაკლულად ნუ იქნებით.

დიაკვნებმა ხელ-ახლა თავი დაუკრეს და აჩქარებით გავიდნენ.

— ღვთისნიერი კაცია, ღვთისნიერი! — წასჩურჩულა დიაკვნებმა დომენტის, როდესაც ეკლესიას ამოეთვარნენ. ხვალ გაუ-

თენებლივ გავიტანოთ გუთანი, თორემ ვინ იცის... ქალბატონმა ან მამა მაკარიმ არ გადაათქმევინონ.

— მაკარიც იქნება მაგისტანა, დიაღ! გვარიანი გამოქნილი უნდა იყვეს. მაშინვე შეეტყობა კაცს... ეკკლესიაში კი დიდად მლოცველი გვეჩვენა! ის ფარისეველი ისა! ნახე, იმ საათშივე ქალბატონთან რომ შეძვრა; ალბათ გამოსცინცლა რამე.

— ეჰ, რაც უნდა ქნან, ჩვენი საქმე-კი კარგათ წავიღა-და!— სთქვა დომენტიმ გულ-წრფელი კმაყოფილებით და ისე დაჰკრა მხარზე დიაკვანს ხელი, რომ უბედური ლერწამივით მოზნიქა. ნახევარიც რომ მოვნხათ... ახლა ჩვენიც ოცდა ათი... ორმოც ორმოცი დღიური გვექნება. ეხლა მე და შენ, მამაო სვიმონ, მემამულეთა რიცხვში ვართ, ჰა? ღვთისნიერია, აბა რა არის, თუ არ ღვთისნიერი! მაგრამ თავში კი რაღაცა უნდა აკლდეს.

როდესაც კირილე საწოლ ოთახში შევიდა, მარომ ჰკითხა: რისთვის მიეცი შენი საკუთარი მამული?

— ისინი სიღარიბეში არიან, მარო. ნამდვილ სიღარიბეში!— მიუგო მან.

— მგ მიწაში ჩვენ სამოც თუმანს იჯარას მოგვცემდნენ.

— ეგ ანგარიშებიც იცი?— გულ წრფელად გაიკვირვა კირილემ.

— თეკლემ მასწავლა, მიუგო მარომ და მეტი ამაზე აღარაფერი უთქვამს. თეკლესაც ესმოდა ეს ლაპარაკი და საშინელი გულ-მოსული ბუტბუტებდა რაღასაც.

XII

მამა მაკარი სილოამსკი ეკუთვნოდა იმ ჯგუფ სემინარიის სტუდენტებისას, რომლებსაც პირველ კლასიდანვე, ესე იგი ბავშობიდანვე, ყველა თავისი ნიჭი და მისწრაფება მიქცეული აქვთ განსაზღვრულს საგანზე— მდიდარ და შემოსავლიან მრევლზედ. ტომრებით ჰური და ქერი, შეძლებულ გლეხებისაგან მოტანილი ძღვენი— დედლები და ყვერულები, ცოცხლები და შემწვრები, მშვენიერი გემოსი და სულისა, აუარებელი ნამცხ-

ვარი—პური და ნახუქები და, ერთი სიტყვით, ყოველი მატერიალური სიკეთე მათის შეხედულობით შეადგენს მრევლის მხრით სავალდებულო გადასახადს მოძღვარის სასარგებლოდ. ამ გადასახადის სამაგიეროდ დაწესებული არის: წირვა, ლოცვა, ქორწინება და სხვა და სხვა საეკლესიო წესები. მათ თავის დღეში ფიქრადაც არ მოუვათ, თუ რა ხალხთან ექნებათ საქმე, როგორ მოვალეობას თხოულობს მრევლის მდგომარეობა, ექნებათ თუ არა გაელენა მრევლზე და თუ ექნებათ—როგორი? და როდესაც მიაღწევენ თავიანთ სანეტარო მიზანს, სიხარბის მეტი აღარა ახსოვთ-რა და სწორედ გაუმაძღარი სვაფივით აღებენ პირს და ჯიბეს. ხალხი იწვევს მათ წესის ასასრულებლად—ისინიც მიდიან: გვეშველა, ახლა კი ვიშავით რასმეო. იმათი ღმერთი ფული და ძღვენია. მრევლი უყურებს მათ როგორც წესის აღმასრულებლებს და მათგან არაფითარ სასულიერო საზრდოს არ მოელოს გარდა იმისა, რაც დადგენილია წესით და კურთხევით.

ეს „სემინარიის სტუდენტები“ თავის ცნობის მოყვარეობას აკმაყოფილებენ სასწავლო წიგნებით და წაუკითხავთ მხოლოდ ის, რაც ლიტერატურადგან ჩინებულთა მწერალთა ნარკვევშია მოთავსებული და სხვა სახელმძღვანელო წიგნებში. ღვთის მეტყველების ლიტერატურაშიაც ამაზე შორს არ მიდიან. ამნაირად გარეგანი პირობები სრულიად არ უშლიან ხელს, რომ დაადგნენ თავის აღნიშნულ გზას, ესე იგი უყურონ მრევლს, როგორც ადვილად საკრეჭ და საპარს ცხვარს. შემდეგ, როდესაც შემთხვევით მოხვდებიან განათლებულ წრეში, გასაკვირველი თავხედობით და ურცხეობით ისერიან სხვადასხვა აზრს იმ საგნების შესახებ, რომლისაც ანბანიც არ იციან. გოგოლი კარგი მწერალი იყო, ტურგენევი დასწერა „ბეჟინ ლუგი“, პუშკინმა—„ტელეგა თიხნი“ და „ბესიო“. რაკი ფულს იგდებენ ხელთ, დაიწყებენ გამოწერას „ნივისას“ და „ეპარქიალურ უწყებისას“ და იმით ათავებენ ყველა თავის დამოკიდებულებას, განათლებულ ქვეყნიერებასთან. საფუძვლიანად რომ დააკვირდეთ, უნებლიედა გრძნობთ რაღაც მწუხარე-

ბას მათ ვიწრო განვითარების და სიბნელის გამო და ფიქრობთ: რა უნდა ასწავლონ ამათ საწყალ ხალხს? როგორი სინათლით უნდა მიუწათონ მას გზა?... მერე ნელ-ნელა ისიც ავიწყდებათ, რაც შეუსწავლიათ ჩინებულ მწერალთა ნარკვევში და იმის მაგივრად რომ თავისი სამწყსო აღამაღლონ სულით, თითონაც მკონარეობას იწყებენ და იფლებიან ხალხურ ცრუმორწმუნეობაში და უმეცრებაში.

სემინარიაში მამა მაკარი სილოამსკი არქიერის მგალობელთ გუნდში იყო; მაღალი, სასიამოვნო ხმა ჰქონდა და ერთს ღროს მეგობრები კიდევ ურჩევდნენ, მომხადებულიყო სასცენო სიმღერისათვის, მაგრამ სახელისათვის ის თავს არ იტყებდა და ფიქრობდა, დღევანდელი კვერცხი მირჩენიან ხვალისდღელ ქათამსაო, ესე იგი შემოსავლიანი მრეელი, კონსერვატორიას და ოპერასაო. მღვდელმთავარმა დანიშნა იგი ლუგოვოში, რადგან კარგ მგალობლად იცნობდა და ლუგოვო განთქმული იყო, როგორც ფრიალ შემოსავლიანი მრეელი. დანიშნეს თუ არა, მაშინვე მამა როდიონისაგან სახლი იყიდა ვიღაც შუამავლის შემწეობით, მივიდა ლუგოვოში ოქროს მადანის იმედებით, მაგრამ პირველსავე შემთხვევაზე, როდესაც ცხედარი გაასვენა, ძალიან აღელდა, რადგან არავითარი სასყიდელი არ მიუღია. გლებთან ლაპარაკი ვერ გაბედა, მაგრამ დიაკვნები მოიწვია მოსალაპარაკებლად და ჰკითხა:

— ეს რას ნიშნავს? თქვენ როგორა გაქვთ დაწესებული, წინად იღებთ სასყიდელს, თუ დამარხვის შემდეგ?

— ჩვენ სრულებით არას ვიღებთ:—სთქვა დომენტიმ და ეშმაკური თვალით გადახედა მთავარ-დიაკონს, თითქო ეუბნებოდა: „შეხე, მამა დიაკონო, რანაირად დაედმანქება მღვდელს სახეო“.

სილოამსკის სახე სრულიადაც არ დადმექია, მხოლოდ ძალიან მრისხანედ კი შეხედა მას:

— მე არ გეხუმრებით!—გაჯავრებით უთხრა მან.—მე მინდა ვიცოდე აქაური წეს-წყობილება!

დომენტიმ კიდევ გადახედა დიაკონს: „ერთი დაუკვირდი, მამა დიაკონო, დაუკვირდი!“

— ჩვენი წყობილება ასეთია, წესის აღსრულებისათვის ერთი კაპეიკიც არ უნდა ავიღოთ! სულ მუქთად, სულ უსასყიდლოდ ვწირავთ და ვლოცულობთ.

— მე მგონი, თქვენ მე მასულელებთ!—უფრო გაჯავრებით შეჭყვირა სილოამსკიმ.

— როგორ შეიძლება? როგორ გაგიბედავთ? მამაო დიაკონო, შენ ხომ მოწამე ხარ.

— სწორედ აგრე გახლავს!—სთქვა დიაკონმა:—მამა კირილეს მოსვლამდის კარგი შემოსავალი იყო, მაგრამ მამა კირილემ ასე დააწესა.

— როგორ თუ დააწესა! მაშ რით უნდა ვიცხოვროთ? ცხოვრება არ გვინდა? არა... სწორე გითხრათ, მე თქვენი ვერა გამიგია-რა!

— მოიცადე და ყველაფერს გაიგებ!—იფიქრა დომენტიმ და აუხსნა:—ცხოვრება? ჯამაგირით უნდა იცხოვროთ! ქალბატონმა თავის შეძლებიდან დაგვინიშნა ჯამაგირი: მღვდლებს ხუთ-ხუთი თუმანი თვეში და ჩვენ ბევრით ნაკლები!...

სილოამსკიმ ამოიღო ჭრელი ცხვირსახოცი და მოაწმინდა ოფლი, რომელიც უცბად დაასხა. იგრძნო, რომ ხაფანგში გაება.

— ხედავთ, რა წყობილება ყოფილა? მაშ მრევლიდან არავითარი შემოსავალი? ხა, ხა!... ამასაც ვნახავთ, ვნახავთ!... უნდა მოველაპარაკო, თუ რა უფლების ძალით შერება ამ განკარგულებას წინამძღვარი? ვნახოთ!

ეს კი ცხადის გულმოსულობით წარმოსთქვა და სრულიად დაავიწყდა თავისი წესიერი ფარისევლური სიმშვიდე. ილანძღებოდა, იმუქრებოდა და ისეთი გულმოსული იყო, თითქო უნდოდა ნაწილ-ნაწილ გაეგლიჯა ყველანი. დომენტი და დიაკონი განცვიფრებული შესცქეროდნენ და არ მოსწონდათ სილოამსკის ასეთი საქციელი.

წინანდელ შემოსავლის და ახლანდელ წყობილების ახსნით სასიკვდილოდ დაუკოდეს გული, თითონ კი, სრულებით დამზვიდებული იყვნენ: კირილეს მიცემული მიწები შემუშავებული ჰქონდათ, ამწვანებულიც იყო ჯეჯილი, და მემამულედ სთელიდნენ თავის თავს.

სილოამსკი შინ წავიდა, მაგრამ შევიდა თუ არა, იმავე წამში უკანვე გამობრუნდა. ქუდი ხელში ეჭირა და გასწია წინამძღვარის სახლისკენ. შევიდა, მისალმებაც კი დაავიწყდა და პირდაპირ საქმეზე დაიწყო ყვირილით ლაპარაკი:

— ნება მომეცით, მამაო კირილე, გკითხოთ: რა ამბავია ეს? როგორი წყობილებაა? რა უფლების ძალით? რა საფუძვლის ძალით?

— რაშია საქმე? რა ამბავია?—ჰკითხა კირილემ, წამოიწია სასადილო სტოლიდან და ხელსახოცით პირი მოიწმინდა. მარო შეშინებული შესცქეროდა სილოამსკის.

— არა, მე თქვენ გეკითხებით, რა საფუძვლის ძალით? სად არის ამისთანა კანონი?—განაგრძო სილოამსკიმ მთლად შეშლილმა და გაცრუებული იმედებისაგან სასოწარკვეთილებაში ჩაეარდნილმა.—თუმცა თქვენ წინამძღვარი ხართ, მაგრამ ეს უფლება თქვენ არ გეკუთვნით, არა უკაცრავად ნუ ვიქნები! ამისთანა უფლების ნება თქვენთვის არავის მოცუია!

— რაში მდგომარეობს საქმე, მამაო მაკარი? მე არაფერი მესმის...

— როგორ თუ არაფერი გესმით? თქვენ მოგისპიათ კანონიერი შემოსავალი და შემოგლიჯათ რაღაც ჯამაგირი. რაღაც ხუთი თუმანი თვეში! ძალიან საჭიროა თქვენი ჯამაგირი! მე ნება მაქვს კანონიერი შემოსავალი მოვითხოვო მრევლისაგან!

— დიად!—სთქვა კირილემ ბეჯითად:—ჩვენ ასეთი წესი დავადგინეთ, და თქვენც იძულებული იქნებით დაემორჩილოთ მას!

— არასოდეს! მე უნდა დავემორჩილო თქვენს გამოგონილ წესებს? სრულებითაც არა! მე უარს ვყოფ თქვენს ჯა-

მაგირს და მოვითხოვ იმას, რაც მე კანონით მერგება. არა, რა უფლება გაქვთ თქვენ? ეს აღემატება თქვენს ვალდებულებას. მე ვიჩივლებ... და თქვენ... თქვენ უდაბნოში გაგვზანდიან... თქვენ არ იფიქროთ, რომ, აქაო და მალისტრი ვარო, ყოველი უფლება მოგცენ! მე კარგად მიცნობს არქიერი, მე მგალობლად ვიყავი არქიერის გუნდში! დიალ!

— თუმცა მე არ ვყოფილვარ მგალობლად, მაგრამ მაინც გთხოვთ გაბრძნლეთ აქედამ, მისთვის რომ თქვენ თავხედად იქცევით!—წარმოსთქვა კირილემ, რომელიც ძლივს-ლა იჭერდა თავს.

ეს ყმაწვილი მწყევსი, რომელიც ის იყო იწყებდა თავისი შრომით ცხოვრებას, ისეთი დატინებით თხოულობდა დიდს შემოსავალს და უფლებას, რომ თავის დანიშნულება რალაც ხელობად მიიჩნდა! ეს აგიჟებდა და აზრს უზნევედა კირილეს. იმედი ჰქონდა მამა სილოამსკის, როგორც ყმაწვილი კაცის უანგარო მეგობრობაზე, მაგრამ, აკერ რა გამოვიდა. მამა როდიონი თუმცა მოხუცი იყო და ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი ძველი ჩვეულებანი, მაგრამ ისიც კი ასე ურცხვად და თავხედად არა თხოულობდა თავის უკანონო და უზნეო შემოსავალს.

გაიგონა თუ არა თხოვნა, მიბრძნლით აქედგანაო, მეტადრე მრისხანე კილოთი, სილოამსკი უცებ შეჩერდა. მას არ უნდოდა წინამძღვარის შეურაცხება და არც ჩხუბი, მაგრამ ისე იყო აღელვებული, რომ ვერც კი შენიშნა, თუ რამდენად უშესაბამოდ ყვიროდა და თავხედად იქცეოდა.

— უკაცრავად გახლავართ—მიუბრუნდა ის მაროს და თავი დაუკრა!—მე მართლაც, ძალიან ავლელდი და გადავამეტე, შეიძლება გაწყენინეთ რამე. ნება მიბოძეთ, აკიხნათ ყოველივე.

მაგრამ კირილემ ყურს აღარ უვდებდა, ისე აღელვებული დადიოდა ოთახში. მისი მშვიდობიანობა მოწამლული იყო. მთელი ნახევარი წელიწადი მარტოდ მარტო იყო ის მრევლში, და ეგონა, რომ ახალი წყობილება საუკუნოდ დაწესდა და მი-

ღებულ იღმნა, ისე რომ მის წინააღმდეგ ლაპარაკიც კი აღარ იქნება საჭიროო. კირილეს მხოლოდ ის აწუხებდა, რომ ეს ყმაწვილი მღვდელი არამც თუ არ უთანაგრძნობდა მას, არა, მის გაცნობაც კი არ ინდომა ხეირიანად, როგორც მამა როდიონმა, და უკანასკნელსაც ვადააჭარბა. ნუ თუ მარტო, სრულიად მარტო უნდა დარჩეს ბრძოლის ველზე? ნუ თუ ამ ძველის ძველმა ატმოსფერამ, რომელშიაც იზრდებიან ახალი შთამომავლობის მღვდლები, ისე გარემოიცვა ეს უკანასკნელნი და ისე გაუჯდა მათ ძვალსა და რბილში, რომ ნაპერწკალიც აღარა აქვთ პატიოსნურის იდეისა, ურომლისოდაც შეუძლებელია საფუძვლიანი მისწრაფება თავის მიზნისადმი. ან აქვთ კი რამე მიზანი? არიეთარნი მიზანი, გარდა იმისა, რაც საზოგადოდ აქვსთ ამ გვარ ყმაწვილ კაცებს. ესე იგი იცხოვრონ მარტოდ-მარტო თავის სიამოვნებისთვის და უზრუნველ ჰყონ თავიანთი სიბერე.

კირილე გაჩერდა, დაღვრემილი სახით შეხედა სილოამსკის და უთხრა დაქანცული ხმით:

— აბა რა გვაქვს ჩვენ სალაპარაკო, მამაო მაკარი? ცხადად სჩანს, რომ ჩვენ ერთი მეორისას ვერას გავიგებთ. სხვა და სხვანი ვართ ერთმანეთისათვის, დიდად განსხვავებული აზრისანი, სხვა და სხვა მიმართულებისა და მისწრაფებისანი! თქვენ საჭიროებთ შემოსავალს და მე კი მეზიზღება იგი. თქვენ შემოსავალი ვახარებთ და მე კი შეურაცმყოფს! თქვენ ჩამოხვედით აქ იმისთვის, რომ შეიძინათ რამე და მე მისთვის, რომ დავეხმარო ღარიბს და სიბნელეში მყოფს ხალხს. რაღა გვაქვს სალაპარაკო? ისედაც ცხადაც სჩანს ყველაფერი. ერთს კი გეტყვით: როგორც გინდათ იმოქმედეთ, მხოლოდ აქაური წეს-რიგის შესახებ, რომელიც მე დავადგინე, ვერაფერს დაგითმობთ. ხომ გაიგეთ!

კირილე დაჯდა დივანზე მთლად გაყვითლებული. სილოამსკიმ შეხედა მას, მერე მაროს, გაისწორა თმები, მიბრუნდა კარებისაკენ და გავიდა.

მთელი კვირა სილოამსკიმ ისე გაატარა, რომ არ დამშვიდებულა. იმ ლაპარაკის მერე, რომელიც მას ჰქონდა კირილესთან, იგრძნო, რომ მისი თავ-გამოდება შემოსავლის შესახებ უცნაურად სადღაც გაჰქრა; მიხვდა, რომ კირილეს საქციელში უცნაური არა იყო-რა. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ იმანაც განუკურნალი სენი უწოდა ამ საქციელს, როგორადაც მამა როდიონმა.

გაიარა ერთმა კვირემ. ერთხელ საღამოს ჩაიწვია სილოამსკიმ მამა სვიმონი. ცოლი სილოამსკისა მხიარული ლამაზი ქალი იყო; ლაპარაკობდა წვრილი, ცოტა ხრინწიანი ხმით.

— იცით, სწორედ სიშინელებაა, სწორედ გასაოცარია, — ეუბნებოდა მღვდლის ცოლი დიაკვნს, ისე თითქო სატირლად ემზადებოა. — ამდენი ხარჯი გავწიეთ, ეს სახლი ვიყიდეთ, და აქ კი ამისთანა ამბავი დაგვიხვდა. როგორ შეიძლება რომ მართებლობამ ყურადღება არ მიაქციოს.

— დიალაც, უნდა მიაქციოს, მაგრამ არ აქცევს კი! ჩვენ, მე და დომენტი ერმილიჩი მთელი წელიწადია ვიტანჯებით! — პირფერული თანაგრძნობით სთქვა დიაკონმა, და კირილემ რომ სიკეთე უყო, ის სულ არ უხსენებია.

— ერთი მითხარი, თუ ღმერთი გწამს, მამაო სვიმონ, ვინ არის ეს ვილაც მემამულე ქალია? — ჰკითხა სილოამსკიმ.

— მემამულე ქალი? ეს ქალი... ღმერთმა ნუ იცის იმისი თავი და ტანი! ჩვენ დღეშიაც არ გვინახავს. ზის თავის ბაღში, როგორც დათვი სოროში, არავისთან არ დადის და სასულიერო პირებს ხომ სულ ერიდება.

— ჰმ... სჩანს, საექვო პირი ყოფილა. საექვო ხალხი ყოველთვის ასე იქცევა.

— მხოლოდ მამა კირილესთან ძალიან კარგად არის და ხშირადაც დადიან ერთმანეთში.

— დიალ, დიალ! ეს ძალიან საექვოა, ძალიან!... მე უნდა წაგიდევ და დაწვრილებით მოვახსენო მღვდელ-მთავარს ეს ამბავი.

— მღვდელ-მთავარს? არ გირჩევთ წასვლას!...

— რატომ? მათი უსამღვდელოესობა კარგად მიცნობს: მე ხომ მგალობელთა გუნდში ვახლდი!

— დიალ, დიალ! მამა მაკარის ხმა განსხვავებულად ისმოდა ხოლმე იმოდენ გუნდში, დიალ!—სიამაყით ამტკიცებდა მღვდლის ცოლი.

— მე მაინც არ გირჩევთ!—უთხრა დიაკონმა:—არ გირჩევთ!

— რატომ მერე, მითხარი, თუ ღმერთი გწამს? ეს ხომ ცხადი უკანონობაა! ამისთანა კანონი არ არის, არა!...

— ეგ ხომ აგრეა. მამა როდიონიც მაგას ამბობდა და კიდევ წავიდა მათ მეუფებასთან და საქმე კი წააგო. მათმა უსამღვდელოესობამ უთხრა: „მე იმ მღვდელს, ესე იგი, მამა კირილეს, მთელს ეპარქიაში მაგალითად ვაყენებ და ყველა მისი მოქმედება მომწონსო!...“ აი რა უთხრა და, როდესაც მამა როდიონმა სიტყვა გაუტარა კირილეს სხვაგან გადაყვანაზედ, მაშინ მათმა უსამღვდელოესობამ მიუგო: „არა, მე მის დასასჯელად მიზეზი არა მაქვს-რაო, და შენი კი, შენი გადაყვანა კი შემძლიან სხვაგანაო“, და გადაიყვანა კიდევ. აი რა შეხედულობისა არის კირილესე მათი მეუფება!

— ეგ შესაძლებელია, — გულდაჯერებით მიუგო სილოამსკიმ:—მაგრამ ის მამა როდიონი იყო და მე სხვა ვარ; ჩვენ შორის დიდი განსხვავება არის!...

— დიალაც!—სიტყვა მღვდლის ცოლიმა:—ხომ გითხარით, რომ მაგისი ხმა შესამჩნევად ირჩეოდა გუნდში. ეს ხომ ყველას არ შეუძლიან!

ერთი სიტყვით სილოამსკიმ მამა როდიონის მაგალითს მიჰბაძა. თან წაიყვანა ქალაქში გაზდილი თავისი ცოლი და გადასწყვიტა მღვდელ-მთავრის ნახვა. მამა როდიონის გადაყვანის შემდეგ ბევრი ხმები გაერცეღდა ქალაქში ყმაწვილი მღვდლის ობნოვლენის შესახებ: მაგისტრი იყო და სოფელში წავიდა უბრალო მღვდლადაო; უარ-ჰყო ყოველივე შემოსავალი და დააწესა ისეთი წყობილება, როგორსაც თავის ღღეში არავინ

მოსწრებიან... მაგრამ ამ ხმებს ზოგიერთი სასულიერო პირები ყურს არიდებდნენ და არავინ არ აკვირდებოდა კირილეს მოქმედებას. თითონ მამა როდიონმაც უამბო სამს თავის მეგობარს ეს ამბავი, მაგრამ არქიერთან მოლაპარაკების შემდეგ ხმაც აღარ ამოუღია და რომ ჰკითხავდნენ, პასუხსაც არავის აძლევდა.

სილოამსკი შემოიარა ყველა თავის ნაცნობები, რომელიც მრავალი ჰყავდა. მამა მაკარიმ ნახა მღვდლები და მისმა ცოლმა მღვდლის ცოლები. სილოამსკი შევიდა აგრეთვე სემინარიის რექტორთან და მოუყვა კირილეს შესახებ, რაც კი იცოდა.

— დიად, დიად, მე თითქმის წინდაწინვე ვიგრძენი და ვაუწყებ კიდევ მათ მეუფებას. აკადემიიდან რომ ჩამოვიდა, მაშინვე ეტყობოდა რაღაც უცნაურობა.

— ყოველთვის სულელი იყო და ეხლა სულ შეიშალა! — შენიშნა იქ მყოფმა, დიდად დაწინაურებულმა სემინარიის რექტორის თანამდებობის აღმასრულებელმა მეუღლამ: — ღმერთო, შეგვიწყალე; რის გულისთვის უნდა მიძვრებოდეს მაგისტრი სოფელში, თუ იმას ერთი ბეწვა ჰქუა აქვს?

— იცით რა, სილოამსკი! — განაგრძო რექტორმა: — თქვენ ნუ აჩქარდებით მათი მეუფების ნახვას; ჯერ მე შევივლი და მოველაპარაკები დალაგებით. საჭიროა საზოგადო ძალით მოვიყვანოთ ეს ყმაწვილი კაცი გონებაზედ! ან არა და აი რა: მიდით ხვალ ათ საათზე და მეც იქ ვიქნები.

კირილეს უცნაური საქციელი სისწრაფით მოედო მთელი ქალაქის სასულიერო წოდებას და საღამოს, იმავე ღღეს, მამა ფორტიკანტოვის და ანა ნიკოლაევნას ყურამდინაც მიადწია.

— ეს რა ამბავია! მითხარით, თუ ღმერთი გწამთ! — წამოიძახა ანა ნიკოლაევნამ: — ქვეყნის სალაპარაკოდ გახდა ის კაცი! ისიც ვინა? ჩემი სიძე! ქმარი ჩემი ქალისა! ნუ თუ ასე წავა იმის საქმე? მამაო გაბრიელ! უნდა მოუხერხო რამე! შენ უნდა მიხვიდე მათს ყოვლად უსამღვდელოესობასთან, შეეხვეწო,

სთხოვო! აღარც კი ვიცი, რა ვთქვა?... უნდა დავისხნათ ჩვენი შვილი განსაცდელიდან!

მამა გაბრიელი დამშვიდებული ხასიათის კაცი იყო, ყოველთვის იმედით სცხოვრობდა და ამბობდა, ღმერთი მოწყალეაო. ასე იყო თუ ისე, ცოლის ხვეწნის შემდეგ გაბრიელმა გასწია რექტორთან, რომ რჩევა ეკითხნა რამე. სილოამსკიც იქ დაუხვდა მანა გაბრიელს და სამივემ ერთად გადასწყვიტეს მისვლა მღვდელ-მთავართან.

მივიდნენ. არქიერის კართან მისი ეტლი იღვა; ეს რომ დინახეს, ფეხი ააჩქარეს და ზევით ავიდნენ. რექტორი წინ მიდიოდა, ფეხებს დინჯად და ღირსეულად ადგამდა; მას მისდევდა სწრაფი ნაბიჯით სილოამსკი და რამოდენიმე მოშორებით ზოზნიით დაფიქრებული და თავჩაღუნული მამა გაბრიელ ფორტიკანტოვი. არქიერი მაშინვე გამოვიდა. მირჯვენა ხელში ეჭირა ვერცხლთავიანი ყავარჯენი და მარცხენა ხელში—სადღესასწაულო მშვენიერი იშვიათი ქვის კრიალოსანი; ეტყობოდა სადღაც მიჩქარებოდა.

— ოჰ, ოჰ, ოჰ! როგორი პატივსაცემი ტრიუმფირატი შეყრილხართ!—სთქვა მან მხიარული კილოთი.—მივხვდი კიდევ, რისთვისაც მოსულხართ! შენ მგალობელო, მოხვედი, რომ კირილე ობნოვლენსკის უჩივლო? თვალეში შეგატყე! და მამა რექტორს სურს, რომ დაგებმაროს თავის მჭევრმეტყველებით! შენ რაღა საქმე გაქვს, მამაო გაბრიელ, რომ ამათ არ ჩამორჩი და მოხვედი? აბა რაშია საქმე, სთქვით! რომელი ილაპარაკებს?

— სწორედ მართალია, თქვენო მეუფებავ!—უნდა დაეწყო სილოამსკის.

— აკი ვთქვი! ხომ მაშინვე მივხვდი! იმას ჩივი, რომ შემოსავალი არა გაქვს, ჰა! ხომ მართალია?

— ჩემი მხრით მოვალეობად ვთვლი მოგახსენოთ—სიტყვის აწონ-დაწონვით დაიწყო რექტორმა, მაგრამ მათმა მეუფებამ არ მისცა ნება გაეთავებინა.

— გრცხვენოდეთ, ჩემო მეგობრებო, გრცხვენოდეთ! — პირდაპირ უთხრა მან; — სიხარული შეგვეფერის იმისთანა მოვლენისთვის, როგორც ეს ყმაწვილი მღვდელია და თქვენ კი უჩივით! ქალაქის კეთილი ცხოვრება მოიძულა, პატივისცემა და დიდება უარჰყო, უზაკველად თავის მოძმეებს ემსახურება და აბა ამაში რა არის ცუდი? მაგრამ, შენ მამა რექტორო, განთქმული დოღმატიკო, შენ სთქვი, — რა არის აქ ცუდი, თუ არ სამადლო და სასულიერო საქმე?

— თქვენო უსამღვდელოესობავ! მემამულე ქალთან რაღაც საექვო დამოკიდებულება აქვს! — აჩქარებით წამოროშა სილოამსკიმ: ეშინოდა რომ მისთვისაც სიტყვა არ გაეწყვეტინებინა არქიერს.

ამ სიტყვებმა დიდი ზედმოქმედება იქონია რექტორზე და მამა გაბრიელიც აიღეწა გულშოსულობით.

— რევენო! — მრისხანედ შესძახა არქიელმა, — მაგ ტყუილისათვის შეიძლებოდა ერთი თვით მონასტერში გამეგზავნე. იმის მოქმედებაში საექვო არა არის-რა; ის უმანკოა, როგორც ჩვილი ყრმა. — სთქვა თუ არა ეს, მათი მეუფება გაბრძანდა. ტრიუმვირატი სახტად დარჩა საქმის ამგვარ მოულოდნელ დაბოლოებით. როდესაც გამოვიდნენ გარედ, არქიერის ეტლი იქ აღარ იდგა. ისე მოხდა, რომ სამივენი სხვადასხვა გზით წავიდნენ, განსაკუთრებით უცებ გაქრა სადღაც მამა სილოამსკი, რომელსაც სცხვენოდა, რადგან თითონვე გრძნობდა, რომ ცილისწამებით მემამულე ქალის შესახებ, ერთიანად წაახდინა საქმე.

ამ ამბის შემდეგ ლუგოვოს სამრევლოში მშვიდობიანობა დამყარდა; სილოამსკი ჩამოვიდა ქალაქიდან იმისთანა შეხედულობით, თითქო არაფერი მომხდარიყო-რა. მღვდელმთავართან მისვლის შესახებ არც მას და არც მის ცოლს სიტყვაც არავისთვის უთქვამთ. დიაკონი ძალიან დაინტერესებული იყო, ნეტავ რა პასუხით გამოისტუმრესო. ერხელ ვეღარ მოითმინა და ჰკითხა კიდევ სილოამსკის. მან მიუგო სრულიად დამწვიდებული კილოთი:

— ეჰ, გადავიფიქრე და აღარ შევსულვარ მღვდელ-მთავართან; როგორღაც მოუხერხებლად მეჩვენა, დამებეზღებინა ამხანაგი. ცილისწამებას ეგვანებოდა; ვიქნები აქ ცოტას ხანს და მერე ვითხოვ, გადამიყვანონ სადმე.

კირილეს, სილოამსკი ძალიან შორიდებით და პატივისცემით ეკიდებოდა და ცოლიც გაგზავნა მაროს სანახავად. მღვდლის ცოლებმა ძალიან თავდაჭერით ილაპარაკეს ცოტა ხანს. ერთხელ მარომაც ნახა და ამითი გათავდა მათი ნაცნობობა.

დასასრულ სილოამსკიმ ველარ მოითმინა: შემოსავალი არა ჰქონდა-რა, ველარ მოასწრო ველარც დათესვა, ველარც იჯარით გაცემა საეკლესიო მიწებისა და სთვლიდა დაკარგულად იმ დროს, რომელიც მან გაატარა ლუგოვოში; ამისათვის ერთი კიდეე შეიარა ქალაქში, მიიღო ყოველი ღონისძიება და თავის გალობის წყალობით საქმეს მსვლელობა მისცა, ისე რომ კათათვეში ძველი სახლი მამა როდიონისა ისევ ცარიელი დარჩა, კირილეს ნატვრა აუსრულდა და დარჩა მარტოდ მარტო თავის მრეღში.

ეფროსანე კლდიაშვილისა

(შემდეგი იქნება)



*
* *

მთლად დაუღეთილი, დაკონკილი, დაღარებული,
წელში ოთხ-კეცად მოღუნული, როგორც წნელი,
მისველ გლახაკის ტანსაცმელთ კადმობხვეწილი
და სამათხროდ გამოშალე ორივე ხელი.

გული მომიკლა შენმა კენესამ, შენმა კოდებამ,
სიმშილ-წუწურვილით მოქანტულსა მოგეცი ბინა;
ბედისგან დევნილს, წამებულსა, უარყოფილსა,
თავისუფლება მოგანიჭე გარედ და შინა.

როდესაც გაძეს, გასისინდო, ბაადე თვალი,
გადაგავიწედა სიმწუხარით ცრემლების დენა,
ვინც ხელი მოგცა, აგაენა, არ დაუღიე
შირში სიცილი და ზურგს უკან გველური კბენა.

როგორც იუდა გამოიდგელი მაცხოვრის სახეს
მზაკვრულ განზრახვით ეამბორა, წუნარად ემთხვია,
შენც კბილების ქვეშ დამალული გესლი და შხამი
მოინდომევი ჩემს გულ-მკერდზე კადმოკენთხია!

სთქვი ეველს ესე რადა? რისთვის? რის გულისთვის?
რას გეუბნება შენი ჭკუა, ნამუსი, გრძნობა?
ნუ თუ შენდამი ვერა ჰბოვე ჩემში, უმადლოვ,
ზატოისნური სათნობა და თანაგრძნობა?

ვინც გაჭირვების დროს შეგესწრო; მოგხვია ხელი
და მიიხნია შენი კუნესა მან თავის ჭირად,
ის კვლავ შეგინდობს, მოგიტეებს; მხოლოდ სოფელი
ამ არა კატურს საქციელსა დაგიმობს ძვირად.

ის არ უფიქროს არასოდეს ბარგაკიდული,
კარიდან კარზე მარული და მანქანაა.
მედვრად უბრძვია ათას წილობით ცხვრებსათანა
და არასოდეს დაუკარგავს მას სულის ძალა.

შ. მღვიმელი



დაუსრულებული რომანი

მარკ ტვენისა

I

გამქლავნებულა საიდუმლო

ღამე იყო. ბარონ კლეგენშტეინის ძველებურს კოშკ-სახლელში იღუმალება გამეფებულიყო. მაღალის კოშკის თავზე სინათლე ბეუტავდა. შიგნით საიდუმლო თათბირი ჰქონდათ. მკაცრი და მოხუცებული ბარონი დაფიქრებული იჯდა თავის ძვირფას სავარძელში. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ნაზის ხმითა სთქვა:

— ჩემო ასულო!

მის წინ იდგა მშვენიერი ახალგაზდა კაცი, თავით-ფეხამდე რაინდულ თოფ-იარაღ ასხმული.

— ბრძანე, მამა-ჩემო! — უთხრა შვილმა.

— ჩემო ასულო! დრო დადგა, ის საიდუმლო, მთელს შენს ახალგაზდობაში რომ გტანჯავდა ხოლმე, ახლა გაგიმეღვენო. გაიგე ახლა, რა ჰქონდა აზრად ამ საიდუმლოსა; აი მოგიყვები, ყური დამიგდე... ჩემი ძმა ულრიხი — დიდი ჰერცოგია ბრანდენბურგისა. მამა-ჩემი რომ კვდებოდა, ანდერძად დაგვიტოვა, საჰერცოგო ტახტი ჩემს შთამომავლობაზე გადასულიყო, თუ ვინიცობაა ულრიხს ძე არ ეყოლებოდა და თუ, რასაკვირველია, ვაჟი მე მომეცემოდა. მაგრამ თუ არცერთს გეყოლოდა ვაჟი, და მხოლოდ ქალები მოგეცათ, ტახტის მემკვიდრედ ულრიხის ქალი იქნება, მხოლოდ უეჭველად უმანკო უნდა

იყვესო,—წინააღმდეგს შემთხვევაში, ტახტზე შენი ქალი ავა, რაკი უმანკო ის იქმნებაო. გულ მხურვალედ ვევედრებოდით უფალს მე და შენი მოხუცებული დედა—ჩვენთვის ძე მოეცა. მაგრამ ჩვენი ლოცვა-ვედრება არ შეისმინა ღმერთმა: შენ დაგვებადე. მე ყოყმანი დავიწყე. ვხედავდი, საჰერცოგო გვირგვინი ჩემს გერბს ეცლებოდა და საუცხოვო სიზმარი ჰქრებოდა. მერე, რა რიგ მქონდა იმედი! უღრიხი ხუთის წლის ჯვარ-ღაწერილი იყო და მის ცოლს მანამდე მემკვიდრე არ მიეცა არც მამრობითისა და აღარც მდედრობითის სქესისა. ჯერ კიდევ არ მმართებს გულის გატეხა,—ვეუბნებოდი ჩემს თავს. და იმავე წამს თავში საუცხოვო აზრმა გამიელვა. შენ შუალამისას დაიბადე; ექიმისა, ძიძისა და ექვსი გამდელის გარდა არავინ იცოდა—შენ ქალი იყავ, თუ ვაჟი. ერთის საათის უკან ყველანი ჩამოვახრჩობინე შენის დაბადების მოწამენი, და მეორე დილას ჩემმა სამფლობელომ გაიგო, ბარონ კლუგენშტინს ძე მიეცაო,—ძღვევა-მოსილის ბრანდენბურგის მემკვიდრეო, და ამ ამბავმა გაახარა ყველა სიხარულითა დიდითა! და მას აქეთია, ეს საიდუმლო ყველასთვის საიდუმლოდა რჩებოდა. შენის დედის ღვიძლი დაჟ შენი ერთად-ერთი გამზდელი იყო, და ჩვენ შიში არაფრისა გექონდა. მაგრამ შენ რომ ათის წლისა შეიქენი, უღრიხს ქალი დაებადა... იმედები გაგვიცრუვდა: ცოცხალი დარჩა, იზრდებოდა და ლამაზად იშლებოდა,—წყეულომც იყოს სახელი მისი! რა ვუყოთ, რომ ქალი ჰყავსთ? რა გვაქვს სადარდელი? აკი გვეყავს... ხა! ხა! ხა!—ძე!... განა ჰერცოგობა ჩვენმა შვილმა არ უნდა დაიმკვიდროს?! ეს ხომ ასეა, ჩვენო საყვარელო კონრად? ვსთქვათ, 28 წლის ქალი ხარ, მაგრამ თუ არ ვაჟად, ქალად ვინა გთვლიდა! ჩემს ძმას სიბერე ნელ-ნელა შეეპარა, დასუსტდა, დაუძლოურდა. სახელმწიფო საქმეთათვის ზრუნვა უჭირდება. ახლა სურვილი განაცხადა, შენ წარსდგე მის წინაშე და არა თუ სახელით, საქმითაც ჰერცოგი გახდე. ამაღა უკვე გიცდის... ამაღამ უნდა გზას გაუდგე... ყური დამიგდე, რა გითხრა, და ეცადე ჩემ ნათქვამიდან ერთი სიტყვაც არ დაგავიწყდეს. ერთი კანონი არსებობს და ეს კანონი იმდე-

ნის ხნისაა, რამდენის ხნისაც თვით ჩვენი ქვეყანა არის. ამ კანონის ძალით მოკლულ უნდა იქმნეს ყველა ქალი, ვინც, თუნდა ერთის წუთითაც, საპერცოგო ტახტზედ დაჯდება, თუ წინასწარ და საჯაროდ დიდის ამბით არ უკურთხეს გვირგვინი. ამას დაუკვირდი! ყოველთ უწინარეს თავმდაბლობაა საჭირო! ყველა სამოსამართლო გადაწყვეტილება პირველის მინისტრის სავარძელის წინ გამოაცხადე, ტახტის საფეხურებთან. აგრე მოიქეცი, სანამ გვირგვინს არ გიკურთხებენ, — მხოლოდ მაშინ შეგიძლია სთქვა, ჩემს სიცოცხლეს არავინ წამართმევს-თქო. არა მგონია, როდისმე გაგიგონ, რომ ქალი ხარ, მაგრამ საწუთრო უნდოა, გონება გვიბრძანებს ყოველივე შემთხვევა გავითვალისწინოთ.

— ძვირფასო მამავ! ახლა-კი გავიგე, მთელი ჩემი სიცოცხლე რისთვის იყო მთლიანი სიცრუე! ყოველივე იმისთვის ყოფილა, რომ ახლა შემძლებოდა ჩემ ბიძაშვილს თვისნი კანონიერი უფლებანი ხელიდან გამოვაცალო! მამავ, შემიბრალე, შეიბრალე შენი ღვიძლი შვილი!

— რეგენთა მოდგმავ! შენ გინდა ამ რიგად გადამიხადო მადლობა იმ უღარესის ბედნიერებისათვის, რომელიც შენთვის ჩემმა ქკუამ შექმნა? მამი-ჩემის საფლავსა ვფიცავ, სრულებით არ მომწონს შენი ქალური გულჩვილობა! გასწ... პერცოგთან და გაფრთხილდი, ჩემი გეგმა არ ჩაშალო!

მათი საუბარი ამით გათავდა. ვერც ხვეწნამ გასქრა გულჩვილის ქალისამ, ვერც მუდარამ, ვერც ცრემლებმა: ამაყს ბარონს კლუგენშტეინს გული ვერ მოუღბო. მწუხარე ქალს უკან სასახლის ალაყაფის კარები მიიხურა და ქალი ღამის სიბნელეში დარჩა, შეიარაღებულ ამალისა და ერთგულ მსახურთა შორის.

ქალი გზას შეუდგა, ხოლო მოხუცი მებატონე კიდევ დიდ ხანს იჯდა ჩუმად; ბოლოს, დაძმარებულს ცოლს მიუბრუნდა და უთხრა:

— ჩვენი საქმე, მგონი, ძალიან კარგად მიდის! სამს თვეზე მეტია მას აქეთ, რაც ჩემს ძმისწულ კონსტანციასთან მომჯა-

დოებელის სილამაზის გრაფი დენცინი გავგზავნე და ერთი სატანისებური საქმე დავავალე. თუ ვერ გაიმარჯვა, ჩვენ შიში და რიდი გვმართებს, მაგრამ თუ აასრულა, რაც დავავალე, მაშინ ჩვენი ბავშვი ჰერცოგის ტახტს დაიმკვიდრებს, როგორც ქალი. მაინც რაკი უღმომბელმა ბედმა წილად არ არგუნა ვაჟობა, — ამას წინ არა უდგას რა!

— არა მგონია, ყველაფერი ბედნიერად გათავდეს, — გული როგორღაც ცუდს რასმე მითხრობს!

— ჩემად იყავ, დეე ბუეზმა იკივლონ! წადი, დაიძინე და ეცადე, სიზმარში ნახო ბრანდენბურგის ტახტი და ჩვენთა ქვეშევრდომთა ძლევა მოსილობა!

II

გამანჯგება და ცრემლები

ზემო-ალწერილის ამბის შემდეგ ექვსმა კვირამ განვლო. ბრანდენბურგის საჰერცოგოს დედა-ქალაქი მორთული იყო სამხედრო იარაღითა და ბრჭყვიალებდა; ქუჩებზე ყოველგან მზიარულეზდნენ ერთგულნი ქვეშევრდომნი: სატახტო ქალაქში კონრადი მოვიდა, ახალგაზდა მემკვიდრე ტახტისა.

მოხუცი ჰერცოგი თავის თავს ბედნიერად გრძნობდა. თავისის სილამაზითა და თავმდაბლობით ყველას თავს აყვარებდა კონრადი. სასახლის ვრცელს ტალანებზე კეთილშობილნი რაინდნი აღარც კი ეტეოდნენ, ყველანი იმსაცდილობდნენ — ახალგაზდა მემკვიდრის წინაშე წამდგარიყვნენ გარშემო ყველა ისე ხარობდა, ყველაფერი ისე ბრწყინავდა, რომ კონრადს დარდი გულიდან გადაეყარა და შიში თითქმის გაუქრა, იმის მაგიერ კმაყოფილების გრძნობამ მოიცვა მისი არსება. ხოლო ამავე დროს სასახლის ერთს შორეულ ოთახში სხვა ამბავი ხდებოდა. სარკმელთან პრინცესა კონსტანცია იდგა, ჰერცოგის ერთად-ერთი ქალი. თვალები ტირილისაგან გასწითლებოდა. მარტოდ-მარტო იყო. ისევ

ტრემლები გადმოღვარა თვალთავან და თავის თავს დაუწყო
ლაპარაკი:

— მუხანათი დენცინი გაიპარა, საჰერცოგოში უკვე აღარ
არის! არ მინდოდა ეს დამეჯერებინა, მაგრამ—ვაგლახ მე!— ეს
ასეა! მე კი რა რიგ მიყვარდა! ისევე მეყვარებოდა, თუმცა ვი-
ცოდი, რომ ჰერცოგი, ჩემი მამა, ჩვენის ჯვარისწერის წინააღ-
მდეგი იქნებოდა! დიად, მიყვარდა, მაგრამ ახლა მძულს. მძულს,
რამდენადაც კი შეუძლია ჩემს სულს შეძლებება აღამიანისა...
ღმერთო, რა მომივიდა?! დავიღუპე, დავიღუპე! ჰკუაზედ შევ-
სცდები!...

III

კოკორა იშლება

გაიარა რამდენმამე თვემ. ყველანი ახალგაზდა კონრადის
მმართველობითს უნარს აქებდნენ, ყველას მოსწონდა მისნი
ბრძნულნი განჩინებანი; ყველას ტკბილად ეპყრობოდა, სუყო-
ველთვის თავმდაბალი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მალალი
თანამდებობა ეპყრა.

მოკლე ხანში მოხუცმა ჰერცოგმა ყველა სახელმწიფო
საქმენი კონრადს გადასცა, თვითონ-ც განზე გადგა და თავ-
მომწონურის კმაყოფილებით ყურს უგდებდა თავის მემკვიდრეს,
რომელმაც პირველის მინისტრის სავარძლის წინაშე გამოაქ-
ვეყნა მეფის ბრძანებანი. ვერავინ იტყოდა, რომ კონრადი, ეს
ყველასაგან ქებული და დიდებული, ყველას საყვარელი პრინ-
ცი, უბედურხ არისო. მაგრამ კონრადისათვის რომ გეკითხნათ,
გეტყოდათ, უბედური ვარო, ამიტომ რომ შეამჩნია, პრინცესა
კონსტანციას შეეუყვარდით. სხვა ყველასი სიყვარული მას
ბედნიერებად მიაჩნდა, მაგრამ ეს სიყვარული-კი დამღუბავსო.
მაგრამ ეგ რაა! კონრადს არ შეეძლო არ შეენიშნა, რომ თვით
ჰერცოგიც მიხვდა, მისს ქალს ვუყვარვარო და ამიტომ უხარია,
ოცნებობს, საცაა, ჯვარს დაიწერენო. რაც დღე გადიოდა,

პრინცესას სახიდან ნაღველი შორდებოდა; რაც დღე გადიოდა, იმედი და ცხოვრების წყურვილი უფრო ცხოვლად უბრწყინავდა თვალებში და ხანდისხან წამიერი ღიმილიც კი შეუკრთებოდა მწუხარედ მოკუმულ ბაგეებზედა.

შიშმა შეიპყრო კონრადი. თავისს თავს აყვედრიდა, რად აყვევი ჩემის გულის ბუნებრივს მისწრაფებასა და რად ვეძიებდი ჩემის სქესის ადამიანთან დაახლოვებას იმ დროს, ოდეს სასახლეში ჩემთვის ჯერ კიდევ უცხო და ახალი იყო ყველაფერი, ოდეს თვითონ მე გულზე ისეთი ლოდი მაწეა და ისე მწადადა სხვისი თანაგრძნობა, თანაგრძნობა, რომელსაც ასე ადვილად იჩენს ქალის გული!

ახლა თავს არიდებდა თავისს ბიძაშვილსა. მაგრამ ამან უარესად გაამწვავა მისი მდგომარეობა, ამიტომ რომ, კონრად რაც უფრო სცდილობდა თავი მოერიდებინა ბიძაშვილისათვის, ეს უკანასკნელი მით უფრო დაჟინებითა სცდილობდა მისს დაახლოვებას. კონრადი პირველად გააკვირვა ამან, მაგრამ მერე უფრო შეაშინა. ქალი ფეხ-და-ფეხ დასდევდა: თითქო ნადირობს იმაზედაო:—ყოველთვის და ყველგან მის ახლო იყო, დღე და ღამ თვალს არ აშორებდა. უეჭველი იყო, კიდევ რალაც ახალი საიდუმლოება იმალებოდა ქალის ასეთს ქცევაში.

შეუძლებელი იყო, საქმე ამ სახით გაგრძელებულიყო. ყველანი ამაზე ლაპარაკობდნენ; ჰერცოგს სახეზე უფრო და უფრო ეფინებოდა ქმუნვარება. საბრალო კონრადი, შიშისა და სულიერ მღელვარებათა გავლენით, ჩამოდნა, აჩრდილს დაემსგავსა.

ერთხელ იმ ოთახში, სადაც სურათები იყო გამოკიდული, კონრადი მოულოდნელად კონსტანტინციას შეეხეჩა. ორივე ხელი დაუჭირა პრინცესამ და დაიძახა:

— რად მერიდები? რა გიყავი ისეთი, რა გითხარი? რად მეპყრობი ასე უნდოდ? ადრე სულ სხვა რიგად მექცეოდი! ნუ გძულვარ, კონრად, გებრალეობოდეს ჩემი დატანჯული გული... მეტის მოთმენა არ შემძლია, თორემ მოგკვდები! კონრად, მიყვარხარ! დეე, გძულდე, თუ არ შეგიძლია შემიყვარო, — მაგრამ მე ეს უნდა მეთქვა შენთვის!

კონრადს ენა ჩაუფარდა. კონსტანცია ერთს ხანს ჩუმაღ იყო, მერე იფიქრა, აღბად დავიყოლიეო, მთლად აენტო და გაშმაკებული სიხარული გამოეხატა თვალეზში.

— მგონი გული მოგიღბე, — წამოიძახა ქალმა, — და კონრადის კისერს ხელეზი შემოარკალა.

— შენ შეგიძლია, შენ გინდა გიყვარდე! მითხარ, მითხარ, რომ გინდა შემიყვარო, ჩემო მშვენიერო, ჩემო ძვირფასო კონრად!...

კონრადს გულიდან მწარე კენესა აღმოხდა. სახეზე მკვდრის ფერმა გადაჰკრა. ვერხვის ფოთოლივითა თრთოდა. მერე უბედური, სასოწარკვეთილებით აღსავსე ქალი მოირიდა და წამოიძახა:

— შენ არ იცი, რასაცა მთხოვ! ეს შეუძლებელია, და თავის ღღეშიაც არ იქმნება შესაძლებელი!

და, ვითარცა დამნაშავე, ივლტო, ხოლო გაოცებისაგან თავგადაკარგული პრინცესა იქავე მარტო დასტოვა.

რამდენისამე წუთის განმავლობაში ქეითინებდა და კენესოდა პრინცესა; ამ გვარადე სტიროდა და კენესოდა კონრადი თავის ოთახში. ორსავე სასო-წარეკვეთათ, რაკი ხედავდნენ, თუ რა უფსკრული იყო მათს შორის განხმული. რამდენისამე წუთის შემდეგ კონსტანცია წამოღდა და გავიდა ოთახიდან, თან თავის თავს ეუბნებოდა:

„იმან უარი ჰყო ჩემი სიყვარული სწორედ იმ წამს, როცა უკვე იმედი მქონდა — მისს მაგარს გულს მოვარბილებმეთქი! ოხ, რა რივად მძულს! იმან ხელი მკრა, მომიშორა, — როგორც უბრალო ძალი!...“

14

საწარელი აღმოჩენა.

ღრო-ეამი გადიოდა. ღრმა დარდი ხელ-ახლა გადაეფარა ჰერცოგის ასულის მშვენიერს სახესა. იმის შემდეგ მეტად არ უნახავსთ ისა და კონრადი ერთად.

გაიარა რამდენმამე კვირამ, კონრადი ისევ მოვიდა ფერ-ზედ და თვალეზი ისევ ძველებურის მხიარულებით გაუბრწყინდა; ახალის ხალისითა და განმტკიცებულის ძალ-ლონით დადგა ძველებურად სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სათავეში.

მაგრამ ერთბაშად სასახლეში მყოფთ როგორღაც საექვო სახით ჩურჩული დაიწყეს ერთმანეთში. ჩურჩული თან-და-თან ძლიერდებოდა და სასახლის გარედაც ვავიდა. ქალაქში ჭორი-კანები ათასგვარ რასმე ჭორებს აერცვლებდნენ და არა სცხრებოდნენ. მთელს საჰერცოგოს ხმა მოეფინა, პრინცესა კონსტანციას შვილი მიეცაო. როცა ამ ხმამ ბარონ კლუგენშტეინამდეც მიაღწია, სამჯერ თავი დაიქნია და წამოიძახა:

— გაუმარჯოს ჰერცოგს კონრადს! სამეფო გვირგვინი ახლა კი მისია! დენკინმა სამაგალითოდ აღასრულა, რაც დავა-ეაღე; ეს მარჯვე, მაგრამ საზიზღარი კაცი კარგს ჯილდოს მიიღებს ჩემგან!

შეეცადა ეს სასიხარულო ამბავი ყველასთვის შეეტყობინებინა: ორის საათის განმავლობაში ბარონ კლუგენშტეინის სამფლობელოში ყველა სულიერი მღეროდა, თამაშობდა, მხიარულობდა და ნადიმობდა, ყველა აღტაცებით მიეგება ამ სასიხარულო ამბავს, — ხარჯი კი ძუნწის, ამაყის, ბედნიერის, მოხუცის ბარონ კლუგენშტეინისა იყო.

▼

საშინელი უბედურება

დადგა განკითხვის ქამი. ყველა დიდებული ვასალები და ქვეშევრდომნი სასამართლოს დარბაზში შეიკრიბნენ, ჰერცოგის სასახლეში. თავისუფალი ადგილი არსად იყო. კონრადი, უარყუმით მორთული, პირველ მინისტრის სავარძელში იჯდა, იქითაქეთ მოუსხდნენ პირველნი მოსამართლენი საჰერცოგოსი.

მოხუცმა ჰერცოგმა ბრძანება გასცა, ჩემის ქალის საქმე ისე გამოიძიეთ და აწარმოვეთ, რომ ერთი ბეწო შეღავათი არაფერში მისცეთო, თვითონ კი, გულგატეხილი, ლოგინში ჩაწვა. დიდის ხნის სიცოცხლე არა ჰქონდა. საბრალო კონრადი ყველას ევედრებოდა, თითქო საქმე მისს საკუთარს სიცოცხლეს

შეეხებოდაო, ნება მომეცით—გამათავისუფლეთ ამ მძიმე თანამდებობისაგან, ჩემის ბიძაშვილის მოსამართლედ ნუ დამაყენებთო, მაგრამ უფლება არავისა ჰქონდა მისი თხოვნა შეეწყინებინა. და ახლა, მთელს ამ დიდს შეკრებილებაში ყველაზედ საბრალოდ კონრადს უცემდა გული, ხოლო ყველაზე მხიარულად—მისს მამასა: მისს ქალს არცკი გაუგია, ისე მოვიდა სატახტო ქალაქში. თავისის გვარის უდიდესის ბედნიერებით გახარებული, სხვა რაინდებ შორის იღვა.

როდესაც გეროლდებმა დიდას ამბით გამოაცხადეს—საქმე დაიწყავო, და სხვა ჩვეულებრივი წესები შეასრულეს, წამოდგა ყველაზე ხნიერი მოსამართლე და სთქვა:

— ბრალდებულო, აქ მოდიო!

ამის თქმაზე საბრალო პრინცესა თვალის მომჭრელად მორთულ კრების წინაშე წარსდგა.

— უბრწყინვალესო პრინცესა, — განაგრძო მთავარმა მოსამართლემ, — ამ სახელმწიფოს უმაღლეს სამსჯავროის წინაშე თქვენს ბრწყინვალებას ის ბრალი ედება, რომ უკანონო შეიძლი მოგეცათ. ამ ქვეყნის ძველთა კანონდებულებათა თანახმად, ხსენებულ დანაშაულისათვის სიკვდილით უნდა დაისაჯოთ. მხოლოდ ერთი შემთხვევაა, როცა შეიძლება აღამიანს სიცოცხლე შეერჩეს. ამ შემთხვევას ახლავე მოახსენებს თქვენს ბრწყინვალებას ჩვენი უმართებელესი მთავარი, ყოვლად-მოწყალე ჰერცოგი კონრადი.

კონრადმა აქანკალებულის ხელით აღმართა კვერთხი... ამ წუთას, საშინელ სამოსლის ქვეშ მისი ქალღ'ი გული გააქრუოლა, თანაგრძნობით აღიგსო უბედურ პრინცესის მიმართ და თვალეზე კრემლები წამოასხდა. ის იყო, განახმო ბაგენი სალაპარაკოდ, მაგრამ მსაჯულთ უხუცესმა საჩქაროდ უთხრა:

— არა, თქვენო ბრწყინვალეზავ, აქ არა! კანონით, სამოსამართლო განჩინება ჰერცოგის სასახლის წევრებს საჰერცოგო ტახტიდან უნდა გამოეცხადოს!

თავზარი დაეცა საბრალო კონრადს; მისს მოხუც მამას იარალით მორკმულ ტანში ერუანტელმა დაუარა. კონრადისათვის გეირგვინი ჯერ არ ეკურთხებინათ, — უფლება არა ჰქონდა საჰერცოგო ტახტზე ასულიყო.

შიშისაგან გაფითრებული ერთხანს ყოყმანობდა. მაგრამ ეს უნდა ექნა. კრებამ უკვე მიაჰყო გაოცებული თვალეები, —

კიდეც რომ შეეყვანებულებოდა, ყველანი იქვე აიღებდნენ... ავიდა ტახტზე, კიდეც შეანძრია კვერთხი და წარმოსთქვა:

— ბრალდებულო! ჩვენის ყოვლად-მოწყალე უფალის, ჰერცოგ ულრიხ ბრანდენბურგის სახელით, მე ვასრულებ ჩემ-მიერ ნაკისრ დიდებულს მოვალეობას. გულმოდგინებით მოისმინეთ ჩემი სიტყვები. ამ ქვეყნის ძველებური კანონი სიკვდილითა გსჯისთ, თუ არ დათანხმდით და მოსამართლეს არ დაუსახელებთ თქვენის დანაშაულის მონაწილე. ეს დაიხსომეთ და იხსენით თქვენი თავი, სანამ დრო გაქვსთ! სთქვით, ვინ არის მამა თქვენის ბავშვისა?

სიჩუმე გამეფდა სამსჯავრო დარბაზში. ყველას საკუთარის გულის ცემა ესმოდა. პრინცესას სიძულვილით აღევსო თვალები, ნელა მიბრუნდა კონრადისაკენ, იმაზე მიუთითა და მკაფიოდ სთქვა:

— ეს კაცი—შენა ხარ!

თითქო სიკვდილი დაინახაო, მთელის ტანით შეკრთა კონრადი; მაშინათვე მიხვდა, ახლა კი უეჭველად დავიღუპეო. რამ უნდა მიხსნას ახლაო? ბრალდებას მაშინ-ღა ავიცილებ, თუ საიდუმლოს გავამჟღავნებ, თუ ვიტყვი, რომ მე, ამ ტახტზე მჯდომარე, — ქალი ვარ; მაგრამ ამისთვის გვირგვინუკუთხებულ ქალს კანონისაგან სიკვდილით დასჯავე მოელის.

და აი, ერთსა და იმავე წამს კონრადიცა და მისი მოხუცი მამაც გულწასულები იატაკზედ გაიშხლართნენ...

რითი გათავდა ეს საშინელი დიღემმაო? იკითხავთ. ამის პირდაპირს პასუხს ვერც ამ რომანში ჰპოვებთ, და ვერც სხვაში. საქმე ის გახლავსთ, რომ ჩემი გმირი ვაჟი (ანუ—გმირი ქალი) ისეთს უცნაურს და გაჭირებულს მდგომარეობაში ჩავარდა, რომ მე თვითონ არ ვიცი, ეს ვაჟი (ანუ—ქალი) როგორ ვიხსნა. ამიტომ, მე ამ უწმინდურს ისტორიაში ხელს ვიბან, დეე თვითონ გმირმა ვაჟმა (ანუ—გმირმა ქალმა) დააღწიოს თავი ამ სისულელეს, როგორც თვითონა ჰნებადდეს ისე, ანუ და, სამუდამოდ იმავე მდგომარეობაში დარჩეს, თუ იმ ვაჟს (ქალს) ეს უფრო მოსწონს. როცა ამ რომანის წერას შევეუდექი, მეგონა, ადვილად გავათავებ-მეთქი, მაგრამ ახლა კი ვხედავ: შეეცდი.

თ. სახჯაკა

შენიშვნები სოსიოლოგიაში *)

I

თანამედროვე საუკუნის საწარმოო და საკონომო

განვითარება.

მრავალ საუკუნეთა შორის მხოლოდ თანამედროვე საუკუნემ განხორციელა მცირე ხნის განმავლობაში ძლიერ ბევრი ცვლილება. ეს ცვლილება გამოწვეულია ახალ ფაქტორთაგან და მათი პირდაპირი შედეგია. ეს ფაქტორნი არა ჰგვანან იმ ფაქტორთ, რომელნიც აშდენს ხასს განკუთვნილ საზოგადოებათ, მორიგად ერთი მეორის მიმყოფთ. თანამედროვე ხანის უზირველესი და ნიშნობლივი თვისება ის არის, რომ ფერი იცვალეს ფაქტორებმა, რომელზედაც დღემდე დამოკიდებული იყო ხალხთა და ერთა განვითარება. დღემდე, მრავალი საუკუნეების განმავლობაში, უმთავრესი და გადაშეტი გავლენა საწმუნობებისა და საზოგადოებო ფაქტორებს ჰქონდათ, დღეს კი

*) წელს პირველად იწყო გამოსვლა რუსულმა ახალმა სამეცნიერო ჟურნალმა „Журнал журналов и энциклопедическое обозрение“. ამ ჟურნალში პირველი ნუმერიდანვე იბეჭდება ფრიად საგულისხმო და სამეცნიერო გამოკვლევა სოციალიზმის შესახებ. ავტორი ამ გამოკვლევისა არის შესანიშნავი ფრანგი, თანამედროვე მეცნიერების ღრმად და საფუძვლიანად მცოდნე გუსტავ ლე-ბონი, რომლის ბევრ სამეცნიერო შრომათა შორის უშესანიშნავესი შრომაა „Психология народов и массы“. ამ შენიშვნებში ავტორი საუბრით და მიუფერებლად რველეს თანამედროვე სოციალისტთა მოძღვრების ავსა და კარგს, ღირსებასა და ნაკლებეანებას. ჩვენ საგულისხმო და საკიროდაც დაეინახეთ ეს მიუფერებელი და ტეშმარტი სამეცნიერო გამოკვლევა სოციალიზმის შესახებ გადმოგვეთარგმნა და ქართველი მკითხველისათვის მიგვეწოდებინა, რათა მან იცოდეს იმათი ფასი, ვინც ამ მოძღვრებას ემოტინება, ექომაგება და ჩვენში ქადაგებს. ეს გამოკვლევა იმათაც საზსახურს გაუწევს, რომელნიც თავისთავს ამ მოძღვრების ადებტებად ჰაღიან, თუმც მათ იგი არ შეუსწავლიათ და მხოლოდ სმენით, სადმე მოუკრავთ ყური.

ამათი გავლენა და მნიშვნელობა მისუსტდა და შიდად. სამაგიეროდ ახლა უშიშროება გავლენა მოიხდის სწავრობა და სკეანობა ფაქტორებმა, რომელთა მნიშვნელობა წინეთ ფრიად მცირე იყო. ცუხარისა და ლიდროვიკო მეთოდმეტისათვის, ნახლეობისა და სხვა, ვინც გინდ იყო, გამკესათვის სულ ერთი იყო, ჭეფობდა თუ არა ჩინეთი ქვანახშირით სავსე ადგილებს. ახლა კი დრმა და ფრიად სავსეობა გავლენა ქვებობდა მთელი ევროპის განვითარებაზე მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ჩინეთს ქვანახშირი ჭეფობდა და ამ ქვანახშირის მოხმარება და გამოყენებაც შესძლებოდა. წინად ბირმინგამის ფაბრიკანტი, გინდ ინგლისელი მიწად-მომქმედი, თავს როდი შეიწუხებდა, გამოეცნო, მოჭყავდა თუ არა ინდოელს ბამბა, სთესდა თუ არა იგი ხორბლეულობას. ამ ფაქტს, წინად ასე უშიშვნელობს, დღეს უფრო მეტი გავლენა აქვს, ვიდრე ისეთ თვალსაჩინო შემთხვევათ, როგორც დაძლევის უძლეველი არმადისას და მოსობას ნახლეობის თავ-გასულობისას.

ევროპის ერთა განვითარებაზე მართა და მხოლოდ ამას კი არა ჭეფობდა დრმა გავლენა. არსებობის პირობანი დრმად შეარეია წარმოების განვითარება ცვალებადობამაც. დიდი ხანია შემხნეულია ის ფაქტი და არც მოკლებულია იგი სიმართლეს, რომ ჩვენს საუკუნემდე მთელი ათასი წლები ისე ვლიდნენ, რომ სამუშაო იარაღი არავითარ ცვლილებას განიცდიდა. მართლაც, ამ იარაღთა უმთავრესი ნაწილები სრულებით ემსგავსებიან იმათ, რომელნიც ძველ ეგვიპტელთა სასაფლაო აკლამების კედლებზეა მინატული. და რაც ეს ნახატებია დაცული, აკერ თხის ათასი წელი იქნება კიდევ.*) ამ საუკუნის დასაწყისიდანვე კი ფაქტობაც შეუძლებელია შევადაროთ ახლანდელი წარმოება წარსულ საუკუნეთა წარმოებას. ერთქლის მანქანამ უკვე გამოიყენა და მოხმარა მზის ენერგია, რომელიც ქვანახშირად ქცეულა. ამ გარემოებამ წარმოებას სრულებით ფერი უცვალა. ახლა სულ უბრალო და მცირე ქონების

*) ყველას იდელოდ შეუძლიან ამაში დარწმუნდეს, თუ კი ჩვენს შრომას გადავხედოთ: Les premières civilisations de L'Orient. ამ თხზულებაში მოქცეული მაქვს მთელი ეგვიპტის სამუშაო იარაღთა ნახატები, რომელნიც გადმოღებულნი არიან სასაფლაო აკლამების კედლებიდან.

შექარხნეს დაცული და შენახული აქვს თავის სარდაფებში კაცილებით იმაზე მეტი ქვანახშირი, რამდენიც საჭიროა შესასრულებლად იმ 20,000 ტყვის შრომისა, რომელნიც ქსურქსს ჭეყანდა თურმე. დღეს ისეთი მანქანები გვაქვს, რომ მათი ერთი ბიძგი, ერთი წაკვრა 10,000 კაცის ძალს უდრის.

გამოანგარიშებულია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ცამეტი მილიონი კაცი და ორმოცდაცამეტი მილიონი ცხენი დასჭირდებოდა სამუშაოდ ჭეოლოდა, რათა უოველ წლობით გადაეტანა-გადმოეტანა ის, რაიც გარდააქვს და გარდმოაქვს რკინის გზის საშუალებით, ესე იგი იმ ძალის მეორებით, რომელიც ქვანახშირში შიბნოვება. მართლდა, თქვამდაც კი შეუძლებელია ამის წარმოდგენა, მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ შევიძლებით და სამუშაოდ ვიშოვოთ ამდენი კაცი და ცხველი. ეს კია, რომ ამ უკანასკნელთა გამოსაკვებად დაგვეხარჯებოდა ორმოცდა-თხუთმეტი მილიარდი ორნახევარ მილიარდის მაგიერ. დახლოებით სწორედ ამ ფასად უდირს ამერიკის შეერთებულ შტატებს ის შრომა, რომელსაც ასრულებს მისი გადაიტან-გადმოიტანი ქვანახშირით სულ-ხანდგმული მანქანები.

ზირობანი ადამიანის არსებობისა სრულებით დაშლას და სრულებით ახალი საზოგადოებრივი ვითარება შექმნას იმ სულ უბრალო ფაქტმა, რომ ადამიანმა გამოიყენა ის ძალა, რომელსაც მზე ნელ-ნელა, მილიონ წელთა განმავლობაში, ქვანახშირად აკრავებდა და ასქელებდა. შეიცვალა თუ არა ნიუთონური არსებობის ზირობა, მაშინვე შეირყა ზირობა მორალური არსებობისაც. ადამიანმა მისინა გამოიგონა, მაგრამ ამ მისინამ იგი დაიმონა და უმად გაინადა სწორედ იმ გვარადვე, როგორც დაიმონეს იგი ღმერთებმა, მისი ფიციხელი წარმოდგენით წარმოშობილებმა. მისინამ დედა-კაცსა და ბავშვს ქარხნისაკენ სავლელი ბილიკი გაუკვლია, ამით კი, თვალის დახმამების უმად, მოსხო წარსულ საუკუნეთა საოჯახო კერა. მისინამ მუშას შრომა გაუადვილა და აიძულა განსაკუთრებითი, სხეციალური რამ შეესწავლა. მაგრამ ამით მისინამ მუშას საზრიანობა და ბეჭითი მუყაითობის ნიჭი შეუსუსტა და შეუმცირა. ოდესღაც ხელოვანი მუშა დღეს უბრალო ხედასნად გარდაიქცა. იშვიათი შემთხვევას საჭირო, რომ მუშა ამ მდგომარეობას ასცილდეს.

მაშინის მნიშვნელობა და გავლენა მხოლოდ იმითი როდი განისაზღვრება, რომ მისი მეოხებით აღამიანმა სამუშაო ძალა გაიძლიერა და გაიმრავლა. მაშინამ შესამჩნევად შეამცირა მანძილი, რომელიც დღემდე დედა-მიწის ერთ ადგილს მეორისაგან აშორებდა. ამ გარემოებამ კი სხვა-და-სხვა ეროვნებათ, ამდენს ხანს ერთმანეთზე დაშორებულთ, შეაძლებინა ერთმანეთში მიმოსვლა გაემართათ, კავშირი და ერთობა გაეხადებინათ. აღმოსავლეთის სრულებით უკიდურესი ხალხები ახლა დაშორებულნი არიან დასავლეთის ხალხებისაგან არა იმ მანძილით, რომლის გავლას ბევრი თვეები სჭირდებოდა; დღეს ამ მანძილის გავლას რამდენიმე კვირა თუ დასჭირდება, მეტი არა. გარდა ამისა, ქვანახშირის მეოხებით, ადვილად შესაძლებელი შეიქმნა, ერთი ხალხის ნაწარმების მეორე ხალხის ბაზარში გატანა. ამ უბრალო ფაქტისთანა შედეგი არასოდეს არ გამოუწვევია არც ხანგრძლივ ომებს, არც ამბოხებათ, რომელთაც კი ისტორიაში ადგილი ჰქონიათ.

მართალია, უმთავრესი მნიშვნელობა ორთქლის ძალის მოხმარებასა და მანქანების ხმარებასა აქვს. მაგრამ, გარდა ამისა სხვა ფაქტორებიცაა, რომელთაც სრულებით ფერი უცვალეს თანამედროვე აღამიანის არსებობის ზირობათ. მეცნიერებამ ბევრი ისეთი რამ გამოიგონა, რაც ხელს უწყობდა და ახლაც ხელს უწყობს, რომ აღამიანის ცხოვრებას ფერი ეცვალა. ხშირად ლაბორატორიებში სულ უბრალო რასმე გამოიხვევენ და გამოიგონებენ ქიმიკოსნი, მაგრამ ეს უბრალო რამ ძირიანად სცვლის კეთილ-მდგომარეობას ზრფინციისა და ხშირად მთელი მხარისასაც კი. ამის მაგალითი ბევრია. ქიმიამ შეიძლო ანტრაციტი აღიზარინად გადაქცია. ამ გარემოებამ კი ეხდრეს წარმოება მოსხე და ის ზრფინცია, რომელიც ამ წარმოებით სულს იბრუნებდა, სრულებით გადატაკდა. თუ ერთი დღიური წინედ ამ ზრფინციაში 2500 მანეთად ფასობდა, დღეს მიწის ესევე ჴომა მხოლოდ 125 მანეთად-და ფასობს. თუ კი მეცნიერებამ იქამდე მიაღწია, რომ ხელფონურად მოამზადა ალკოოლი და მატარი, — ზირველს ლაბორატორიებში უკვე ამზადებენ, მეორის მომზადება კი, საფიქრებელია, მალე განხორციელდეს, — ამ დღიდანვე ბევრი ადგილი სრულებით გადატაკდება, რადგან იძულებუ-

შენიშვნები სოციალურებზე

ლი შეიქმნება თავი დანებობს იმ წარმოებას, რომელსაც მრავალი საუკუნოების განმავლობაში მისდევდა და რომლითაც ცხოვრობდა. ამასთან შედარებით რაღა ანგარიშიში მოსატანია ის ცვლილება, რომელიც ასის წლის ომიანობამ, საფრანგეთის რევოლუციამ და რეფორმაციამ გამოიწვიეს. შეგვიძლიან ადვილად დავაფასოთ, თუ რა გავლენა ჰქონდათ ამ საისტორიო მოვლენათ, თუ კი გავითვალისწინებთ იმ ნაკლს, რომელიც ათის წლის განმავლობაში საფრანგეთის მოუტანა სრულიად უბრალო მიკრობმა, ფილექსერამ. 1877 წლიდან 1887 წლამდე ვენახებმა, რომელთა ზომა ერთ მილიონ დღიურს უდრიდა, მობრუნა შემოსავალი შვიდ მილიარდით ნაკლები. ეს დანაკლისი ახლათ იმ ხარჯთან, რომელიც უკანასკნელ ომიანობის დროს დაგუჭირდა. ამ გარემოების გამო კი ისპანია, სულ მცირე ხნის განმავლობაში, გამდიდრდა, რადგან საფრანგეთი იძულებული იყო, რაც ღვინო აკლდა მოუსავლობის გამო, ისპანიაში ეყიდნა. ეკონომიურის მხრით ამ გარემოებას სწორედ ისეთივე შედეგი მოჰქვია, როგორი შედეგიც ექმნებოდა, ჩვენ რომ ისპანიას დაგუჭურეთ და ეოველ წლებით ჩვენზე დიდი ხარკი შემოეწერა.

ძნელაა სასკებით წარმოვიდგინოთ და დავაფასოთ ის დიდი მნიშვნელობა, რაიცა აქვთ ამ ვრცელ საეკონომიო ცვლილებათ. ეს ცვლილებანი მიუხედავებულნი არიან და მათ მხოლოდ ესდა-სხნს მოიხივებს ასეთი მნიშვნელობა თანამედროვე ცხოვრებაში. ამ ცვლილებათა უმთავრესი შედეგი ის არის, რომ მათ რეჟვში მოიყვანეს ის ვითარება მტკიცე სოციალური ზირობანი, რომელთა ზედახირზე ვლიდნენ საუკუნენი, სცვლიდნენ ევკლავერს, და ამ ზირობათ კი უცვლელად სტოვებდნენ.

რომ ვინმემ გვკითხოს,—სწერს ინგლისელი ფილოსოფოსი შენი, — რომელია ევკლავე უფრო მეტი უბედურება; რომელიც კი დაატყდება ხოლმე ხალხს თავზედ, უკუკვლად მაშინვე ვუხანუსებთ: ასეთი უბედურება სასტიკი ომიანობა, მუსრის გამვლელი სიმშლილი და რომელიმე საშინელი სენი, გადაძლები ავითმოყოფობა არისო. მაგრამ ეს ასე როდია. ნამდვილად არც ერთს ამ უბედურებას არ შეუძლიან მობრუნოს ისეთი ძლიერი და ხანგრძლივი ვნება, რა გვარნი ვნებაც მოაქვს ხოლმე მოდის შეცვლას, რომლის გამო დედა-კაცნი

დღეს რომ ერთ ქსოვილს იცმენ, ხვალ შეორეს, დღეს ერთი ფერისას, ხვალ კი შეორისას. ასრევე იქცევიან მამაკაცნიც. ევროპისა და ამერიკის ერთი და ორი ქალაქი, დღეს სრულს კეთილდღეობაში შეოფი, გადატაცდება და დაეცემა კი არა ამ გარემოებით, არამედ შეტიც. ეს გადატაცება კი უფრო ღრმა და ძლიერი იქნება, ვიდრე სიმშვილითა და გადამდები სენით გამოწვეულია.

ამ მხრით ადვილად მოსალოდნელია, რომ დედა-კაცის ტანთსაცმელი ძირეულად შეიცვალოს. ამ ცვლილებას იწვევს დედა-კაცთა მიერ ველისინების განხორციელებული ხმარება. საფიქრებელია, რომ ეს ცვლილება ამ ოცის წლის განმავლობაშიც კი მოხდეს. მეცნიერების წინსვლა, მისი ძიება და კვლევა კი უკლებლად გამოიწვევს სხვას, უფრო ღრმასა და ძლიერ ცვლილებას.

მეცნიერების ზრდა ამ ერთი საუკუნის განმავლობაში, მისი კვლევა და ძიება მართლაც გვაფიქრებინებს, რომ ახლაც ის ჟამი, როცა ბევრი საკითხი გადასწუდება და გამოიკვლევას. შესაძლებელია, ქიმიამ მალე შეიძლოს ყოველი ნივთიერებისაგან სასაზრდო მასალა ამზადოს, როგორც ამას ბერტლო, ცნობილი ქიმიკოსი ფიქრობს. მაშინ კი აღარ იქნება აღარც უანით მობიბინე მინდვრები, აღარც ვენახები და აღარც საბაღახები. მაშინ როდი რამე გარჩევას იქნება ნაყოფიერისა და უნაყოფო ადგილთა, თუ მხარეთა შორისა. წარმოსადგენია ისიც, რომ ახლო მომავალში ხელთ გვექნება ბუნების სხვა ძალებიც, რომელთა მეოხებით შეგვეძლება საჭიროება და მოთხოვნილება დავიკმაყოფილოთ და ეს ძალები ჩვენი შრომის მაგიერ მოვიხმაროთ. ეს კი შეუძლებელი რამ როდია, თუ კი მხედველობაში მივიღებთ, რომ ელექტრონი საუცხოო და საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ენერჯის გარდაქმნისა და გადატანისათვის. მისი მეოხებით მალე ჩვენს სრულს განკარგულებაში გვექნება ქარისა, ჩანჩქერისა და ზღვის ზვირთთა ძალა. ნიაკარის ჩანჩქერის მოძრავი ძალა, რომლითაც ჟერ-ჟერობით მხოლოდ მცირეოდენად სარგებლობენ, უდრის 17.000.000 ჰიდროელექტრონული ერთეულს. მთელი

შენიშვნები სოციალიზმზე



დედამიწის შინაგანი სითბო, აგრეთვე მზის სიმხურვალე წარმოადგენს უშრეტელ წყაროს ენერჯისას. რომ არა ვთქვათ-რა იმაზე, რასაც აწი გამოიგონებს და გამოსძებნის მეცნიერება, და მხედველობაში მხოლოდ ის ვიქნებით, რასაც უკვე მიადწია ამ ნახევარი საუკუნის განვითარებამ, მაშინაც ცხადდის დავინახავთ, რომ ჩვენი არსებობის ზირთან დღითი-დღე იცვლებიან. ეს ცვლილებანი უცნობო და მოულოდნელად იჩენენ ხოლმე თავს. ეს კარგობა საზოგადოებათ აიძულებს, უფრო ხშირი ცვლილება განიცადონ, ვიდრე ამას მოითხოვს გონებრივი განვითარება საზოგადოების შემდგენელ ზირადობათა, ის განვითარება, რომელიც წარმოშობილია ნელი და აუჩქარებელი შემკვიდრებით. დღეს ერაველგან დაუდგომლობამ დაიჭირა ადგილი იმ ურუკველობის მაგიერ, რაც საუკუნეთა განმავლობაში სუფუვდა.

ზემარე ნათქვამიდან ნათლად სჩანს, რომ ჩვენი დრო არის დრო რვეუვისაც და შექმნისაც. სხადად სჩანს, რომ ვერც ერთი ჩვენი იღუა, ვერც ერთი ზირობა ჩვენი წარსული ცხოვრებისა ვეღარ გადაჩება, რომ არ განიცადოს ის ცვლილებანი, რომელნიც მეცნიერებამ და წარმოებამ გამოიწვიეს. არსებობის ამ ახალ ზირობათა შეჩვევა და შეკრება ჩვენთვის ძრიელ ძნელი საქმეა, რადგან ჩვენი გრძობა და ჩვეულება ნელად იცვლება; სულ უსაჭიროესი მოთხოვნილებანი კი ისე ძშირად და ძირეულად იცვლებიან, რომ ცხოვრების უწინდელ ზირობათ აღარ შეუძლიანთ იარსებონ, თუნდაც რომ მათ დაცვასა და შერჩენას აღამიანი დიდად ცდილობდეს. ჩვენთვის სრულებით ცხადია, რომ უმთავრესი მოვლენანი სახელმწიფოთა ცხოვრებისა, თვით ზირობანიც კი მათი განვითარებისა, თანდათან ამ სახელმწიფოთა გავლენის კარეშე რჩებიან, ესე იგი ამ მოვლენათ უმთავრესად განაკებენ საკონომიო და საწარმოო საჭიროებანი, რომელნიც მიუცილებელნი არიან და მათზე სახელმწიფოთნი გავლენას ვეღარ ახდენენ. შეკვიდიან წინათვე ვიგომნოთ და მალე ნათლადაც

დაუინახავთ, რომ ის, რასაც სოციალისტები თხოულობენ, სრულე-
 ბით წინააღმდეგია ამ საეკონომიკო ევოლუციისა, რომელიც მათზე
 დამოუკიდებლად მზადდება და მათ გავლენას გარეშეა. ისინი იძუ-
 ლებულნი შეიქნებიან სრულებით დაემორჩილნ ამ ევოლუციას
 ისე, როგორც დაემორჩილებიან ხელმე ყოველგვარს ბუნებრივ
 აუცილებლობას, რომლის კანონების მორჩილებას დღემდე ადამიანი
 ვერ ასწავნიას.

ი. ფანცხავა

(შემდეგი იქნება)



ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან

წერილი მეოთხე.

თ'დი ილია ჭავჭავაძე



პოეზიაში ასე მოხდა, მაგრამ პროზაში კი თ. ილია ჭავჭავაძემ რომანტიული მანერა თავიდან კერძო მოიშორა და ესეც ძლიერ ადვილი ასახსნელია.

მაშინ როდესაც რომანტიულმა პოეზიამ თავისი განზრახვით მსკლელობა აღასრულა თ. ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნიკ. ბარათაშვილის თხზულებებში, რომანტიულ პროზას, რომანისა გინდ მოთხრობის სახით, ჩვენში წარმომადგენელი არც კი ჰყოლია. არც ერთს ჩვენს რომანტიკოსს არ უცდია თავისი ძალ-ღონე და რომანტიულის ელემენტის რომანში შეტანა ისეკ ილ. ჭავჭავაძესა ჰქვდა წილად უბრძანებო რეალურის რომანის შექმნა გარეშე რომანტიულისა ჩვენში შეუძლებელი გახდა. თანაც ნამდვილის ტიპის რომანტიულის მოთხრობის დაწერა აღარ შეეძლო იმ კაცს, რომლის ძირითადი მიდრეკილება რეალიზმისაკენ იყო. ლიტერატურის მსკლელობის მიუხედავად იმსხვერპლა თ. ი. ჭავჭავაძე და ეს იმიტომ, რომ ამ მიუხედავების მსკლელობის თავიდან აშორება შეეძლო მხოლოდ გენიოსს. ხოლო ამავე განზრახვამ კერძო მოხლოებაში ასახის მიმართულების ელემენტი, რადგან თუ ილ. ჭავჭავაძე გენიოსი არ იყო, ყოველს შემთხვევაში დიდის ნიჭის მატარებელი იყო.



თ. ილ. ჭავჭავაძე ძლიერი რეალისტი მწერალია და უფრო სუსტი რომანტიკოსი. მის მოთხრობებშიაღ სწორედ ის ადგილებია ძლიერი და ის ტიპები, რომელნიც ზოეტის რეალურის ნიჭის შექმნილია. ეს გასლავთ უკვდავი ტიპი «ოთარანთ ქვრივისა», «დათიკოსია», «ლუარსახისა» და «დარეჟანისა». მე აღარ მოვიხსენიებ მეორე ხარისხის ტიპთ — «კაცია ადამიანის» სუტ-გენებისა, თათქ-რძეთა მზ-რძლისა და რბიერ მოურავისას, ან არა და «ოთარანთ ქვრივის» ბატონის აჩილისა, მისი დის და მეწისქვილე სოსიკას ხასიათებს.

ჩვენ ზემოდ უკვე მოვიხსენიეთ ილია ჭავჭავაძის «მეზავრის წერილები», რომელიც ისევე ღირიული თხზულებაა, მწერლის პირადის გრძობების გამომსახველი: იქ გამოთქმული გრძობებიც ისევე, რასაკვირველია, საზოგადოებრივის მიზნით გამოწვეულია.

ჩვენ აღვნიშნეთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ნაწარმოების ერთს ადგილს (მოხვევითან საუბარს) ჩვენს ლიტერატურაში, ეგრედ წოდებულ «მთიულთა» მწერლობის მიმართულების შექმნაში.

«გლახის ნამბობი» არის პირველი მოთხრობა თ. ილ. ჭავჭავაძისა. რომანტიული ელემენტები ამ მოთხრობისა ცხადია, ავტორი ხშირად ჩაურევს სოღმე თავისს ფიქრსა და გრძობას მოთხრობაში, გარდა ამისა თვით მისი მოძღვარი და გაბრა უფრო ზოეტის აზრისა და სურვილის გამომსატველი სიმბოლთა, ვინემ ცოცხალი ტიპი ჩვენის ცხოვრებიდან ამოღებული; გაბრა უფრო უმღესის სასწავლებლიდან გამოსულს ახალგაზდას ჰგავს, მეტის-მეტი ფაქისის ნერვებისა და გრძობების მექონეს, ვინემ იმ დროის გაუთლელს, მოურსენელსა და ცხოვრებისაგან დაბეჩავებულის გლესის შეილს.

მღვდელი ამ მოთხრობისა, რომელიც ჩვენის აზრით ჭიუკოს «უბედურთა» ეპისკოპოსის გაულების ქვეშე არის შექმნილი, მართალია შესაძლებელია ცხოვრებაში, მაგრამ იშვიათი მოკლენაა. და ეს კიდევ არაფერი, საქმე ის არის, რომ უფრო ზოეტის სურვილისწრაფების განმანორციელებელი სიმბოლთა და არა ცოცხალი არსება. მომნიშვნელობა ამ მადლით შემოსილის, კეთილის მწვემისა, მანინც იმდენად დიდია, რომ ჩვენს ლიტერატურაში მისაბამავ საგნად

შეიქმნა («მომღვარი» ყაზახებისა). სამაგეროდ იქ, საცა ძლიერად სტემს საუცხოო ნიჭი რეალისტ მწერლისა, შექმნის სოღმე უკვდავ ტიპს და ეს ტიპია «გლასის ნამბობში» დათიკოს ტიპი.

თითქმის 40 წლამდე გავიდა ამ მოთხრობის დაწერიდან, მას მერმე ძირითადად შეიცვალა ჩვენის ცხოვრების ვითარება, მაგრამ დათიკო კი იმავე დათიკოდ დარჩა. ეს ხასიათი—აღვირ-წასსნილ თავადიშვილისა, რომელსაც ქვენა გრძნობათა დაკმაყოფილება დაუსახავს ცხოვრების უმთავრესს საგნად და რომელიც არავითარს საშუალებას არ ჰრიდებს თავს თავისი ბინძური სურვილისა და გნებათა ღელვის დასაკმაყოფილებლად: განადგურებს მთელს ოჯახს, უღალატებს მშადა და მეგობრად აღზრდილ თავისს გაბროს და მთელს მისს სიცოცხლეს უკუღმართად წაიფუნს. სოღო არც თავისს თავს უშერება უკეთესს რასმე—ეს ერთმ და ადამიანი, მოქეიფე და დარდიმანდი ყმაწვილი კაცი განხორციელებული ზირუტყვია, ერთის გნების, ერთის გრძნობის დასაკმაყოფილებელ იარაღად და მამინად გარდაქცეული. იგი განხორციელებული ვნებათ ღელვა და ზირუტყუელ გრძნობათა ტურტული.

ვის არ ესატება ცოცხალი სურათი დათიკოსი, ამ ჩვენი დიდგაცობის შვილისა, რომლის გონების განვითარება მეოთხე კლასით დამთავრებულს და რომელსაც მამინე მამაზაშური ჩოხა ლეკურისთვის მიუყვია სელა, დაფარფაშობს აქა-იქ და თავისს «მოხდენილ მხარბეტს» გამოაფენს თავლებს აქეთ-იქით აცეცებს, აცა რომელი ამოვიჩიო ამ ცხვართა გუნდში ჩემის ბრწეინგალე სურვილის მსხვერპლადაო?

ვის არ ესატება თავაწინ მომხიბვლელი სურათი დარდიმანდის ყმაწვილის კაცისა, ცხენზე ლამაზად გამოტომულისა, რომელიც ატენებს თავის ტაიტს ცხოვრების მოედანზე და დარდიც არა აქეს იმასი, რამდენს მშვენიერს და ლამაზს უკავილს—ამ ბუნებას ტურფა სამკაულს—გასრესს და გაამტეკებს. მას ერთი ფიქრი უტრიალებს თავში: თავისი «მე», «მე» უწმარტ გრძნობათა საუნჯე, ეს აღუგსებელი საწყაო, რამე ნაირად აივსოს. მისი თვალი, ზირი და შუბლი, სახის ყოველივე გამომეტყველება, ხელის ყოველივე განძრევა გამცნებთ, რომ წუთიერის სიამოვნების სურვილი აფიქრებს, იგი

გამხდარს ქურუმად სიამოვნებისა, ქეიფისა და თავის გართობის დმერთისა.

ვის არ გახსოვთ თავზარდამცემა შესვედრს მშენიერის «ტაი-ჭოსანისა» და მისი მოქმედები სიცოცხლე მოწამლეულის კაცისა, — გაბროსი, — რომელიც ტყუილს დასვლის გულში და იძიებს შურს რამდენიმე გაუბედურებულის და ნამუს ახდელის ადამიანისა. ეს კაცის ძველელი ამ წუთში კეთილის ქომაცადა სდება და ბოროტის ჯვალათად, ცხოვრების უნებრობის დამცველად და საზოგადოების არსებითის შინაგანების მფარველად. სიმლეოკე ამ ტიპისა ისეთ დიდ შინაშენლევანად ჰქმნის ამ თხზულებას, რომ 40-ის წლის განმავლობაში, თუ კი დაწერილა ჩვენში რამე თვალ სახინო მო-თხრობა, ყველანავე გაკლენა ჰქმნია. იერემია წაბბა ბ. გ. წერეთლის «შირველის ნაბიჯისა», სხვა რა არის, თუ არ გამოერება დათიგო-სი. ესეც იგივე ბინძურ ვნებათა-ლეღვით აღსაკუსა, ისევე გაქსუბული და გასაღასანებული, რომელსაც თავისი საზიზღარის სურვილის დაკმაყოფილების მეტა არა ახსოვს-რა. მეღანას «ბნელის», კიაში შაქრო, მისგან იღოს ცოლის გაუბატოურება, იღოს ცოლის გაროსკიბება, იგივე ამბავია დათიგოსგან თამარის ნამუსის ახდისა. ტარეულ მეღავაძე, ნინოშვილის «ჩვენის ცხოვრების რანდისა», გან-მეორებული დათიგოა, კერეთვე «ქალების მუსუსია» და თავისივე სიბოროტის მისვერბლად იქცევა, დათიგოსი არ იუოს. აგრეთვე ნინოშვილის «სიმონა», დროიძის შვილი — მხედარი, ქრისტინეს დაძღუბული და თვით ქრისტინეს გაცრუდ-ქალება სულ გელანის ნამბობისა შედ-გაკლენის უეტველი საბუთები არიან.

ყველას მოგეხსენებათ შინაარსი «გელანის ნამბობისა». ყველამ იცით, რომ დათიგო არის ბრწინვალე თავადისშვილი და გაბროს მისი თანშესრდილი, რომელიც თვადამირველადვე აადვენს მისდენა ბატონიშვილსა. ბატონი და ყმა ორივე ტფილისში გაგზავნეს სასწავლებლად. იქ დათიგო სწავლობდა სკოლაში, გაბროს კი ერთი ღვთისნიერი ძღვდელი აღმოუჩნდა, რომელიც წერა-კითხვას ასწავლიდა, გონებას უვითარებდა და მისი სულის გაწრთვნასა და ამადლებას სცდილობდა. ბატონიშვილს მამა მოუკვდა, რასაკვირველია, მამანვე სწავლა მიატოვა და სოფელში დაბრუნდა. დათიგომ რუ-



სული ტანისამოსი გაიძრო და ქართული ტანისამოსი ჩაიცვა. სულ გამოიცვალა ახალს ტანისამოსში. მშვენიერი შესახედავი ემაწვილი კაცი დადგა. დიად, მშვენიერი ემაწვილი კაცი დადგა დათიკო, მშვენიერის სხანსაობისა, გულ-უხვი, გულ-მარდი, გიემპეი და კაჟ-კაცი. თოფისა და იარაღის სმარებაში იმ ძირობაზე იმას ორიც არს სჯობდა. ის რომ ყარაბაღულ ცხენზე შეჰდებოდა, ეელ-მოღერებულთ, აღვის სესავით, აღმიანს თვალთ ზედ დარჩებოდა. ყველაფერთა მადან ღამაზი და მოხდენილი იყო. მკრამ ერთი ავი სენი სჭირდა, — ქალების მუსუსი იყო და ამისთანაებში ნამუს გაქნილიცა. რაკი გულში ვისიმე ქალის ფიქრს ჩაიდებდა, თავის გულის-წადილისათვის არაფერს და არავის დაზოგავდა: ყველაფერს და ყველას სიდად გასდებდა დაუნდობლად და თითონ გაივლიდა... მკონია... თავის ნათესავსაც არ დაინდობდა მადანთანაებში — ასეთი თავდაუტყველი იყო, რაკი ჰიწყლიან გოგოს დაინახავდა. ბუკრს გლეხის გოგოს მოუკლა იმან ნამუსი, ბუკრს კაი ოჯახის შვილს თავსე ლაფი დასსხა...» (გვ. 79 ტ. II) და აი დათიკოს ამ თვისებით გამოწვეულია მთელი დრამა, რომელიც ატორს აუღია თავისი მოთხრობის სიუჟეტად. გაბრიელს უფარს ერთი გლეხის გოგოთამარო, რომლისთვისაც დათიკოს ერთხელ კვირა დღეს ეკვლესიაში თვალთ გადაუვლია და მამა-მისისთვის ესეთი თავსედი კომპლიმენტებით მიუძართავს: «კაი საპრომეტევი ყოფილასო!» მამან რომდესაც გაბრო ღვთაებრივ გრძნობით არის აღსავსე ამ გოგოს მიმართ, დათიკოს იგი თავისი ბინძურის უნის მოსაკლავად უნდა და აი აქ გაამართება უწინდელ მეგობრად შეზრდილის ბატონ-ყმის შიარის ბრძოლა, რომელიც ორთავესათვის, რას ვამბობ, სამისა და ოთისის აღმიანისათვის საუბედუროდ გათავდება: თამროს მამა სადღაც გზაში ჩაკვდება, თამრო ავლადობის უნამუსოდა გახდება, დათიკოს გაბროს ხელი გამოასაღმებს მისგან გათელილს წუთი-სოფელს და თვით გაბრო კი სიდატაკეში და სიგლასაკეში ჩავარდება.

დათიკოს ძალა აქვს ხელში და უფლებსა. «ქალი ჯერ ჩემიაო», ეუბნება უსარცხვილად გაბროს. მისთვის არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს ესლა გაბროს სიუვარულსა და ერთგულებას და გაათვრებული გაიძხის: «ქალი ჯერ ჩემია, ჯერ ჩემია, ჩემის უნის»

მოსაკლავად მინდა ჯერა და რაცა ჩემსას ავასრულებ, მეტე შენ-
 თვის დამილოცინია».

გაბრას და თამრას მამას—ჰეპიას—ხელ-ფეხს შეუბოჭკენ
 და სატუსაღოში უგრავენ თავს. ამასობაში დათიკოც თავისს დი-
 დებულ უინს მოიკლავს და მეტე გაბრას და ჰეპიას საციმბიროდ
 გაგზავნილებს, გზიდან დაბრუნებს... უთუოდ, რაკი «თავისი შეისრუ-
 ლა» ესლა მისმა სინიდასმაც გაიღვიძა და ნება არ მისცა ორი
 ადამიანი ტყუილად დაეღუპა... გაბრე სულიერად მინც მოკლული
 იყო და დღეს მისი იღვასი მხალოდ შურის ძიება იყო, დათიკოს
 სულთა-მსდელად აღიარა თავისი თავი, ერთხელ სადღაც შესვდა
 დათიკოს და «შიგ მარცხენა ძუძუში დამბახა დასცა...» ამის შემდეგ
 გაბრე მაწანწალად გარდაიქცა და მშვიდ მწუურვადი სადღაც ჩაკვდა.
 სიკვდილის უამს ერთიღა სიამოვნება დასცალდა, მისი მასწავლებე-
 ლი მღვდელი შეჭხდა, რომელსაც აღსაწება უთხრა და ზაარების
 მიღებასაც აზიარებდა, მაგრამ ეს აღარ დასცალდა.

ამ გვარად დათიკოც თავისივე ბინძურის «გულის წაღიღის
 მსხვერპლი შეიქმნა და სხეებიც.

მართალია ამ მოთხრობას აწრდა აქვს იმ დროის წეს-წყო-
 ბილების კრიტიკა, ხოლო თანაც საზოგადო მნიშვნელობა აქვს და
 ამიტომ დღესაც დიდ საინტერესო მოთხრობადა- ჭხდება, დღესაც,
 შემოდან მოგასსენეთ, ამ მოთხრობას აქვს დიდი გაკლენა ჩვენს
 მწერლობაზე.

დათიკოები, მართალია ბატონ-ყმობის წეს-წყოების შეი-
 ლები არიან, მაგრამ დათიკოები, როგორც ბინძურ, აღვირ-წასსნილ
 გრძნობათა ჭურჭელნი, ადამიანის სინცრცხლის მომშხამკელები და
 საზოგადოების ცხოვრების მომწამკელები ყოველ წეს-წყოების
 თან სდევნენ. იერემია «წარბა» გ. წერეთლისა, ტარეულ მკლავამე,
 და დაკით დროიძის შვილი ნინოშვილისა სულ ერთისა და იმავე
 თვისების არიან, თუმიც სხვა-და-სხვა ნიადგზე აღწრდილნი, ერთი
 და იგივე ჯურის მოციქულნი არიან ბოროტისა და ქვეყნად ბორო-
 ტების უხვად მთესველნი.

«გლახის ნამბობს» «კაცია-ადამიანი» მოჭყვა, ჭეშმარიტი და
 უტყუარი საბუთი თ. ილ. ჭავჭავაძის ძლიერის რეალურის ნიჭისა.

ეს მოთხრობა სწორედ ეზოზეა ბატონ ყიფის წეს-წყობილებაზე აღსრდილი უსაქმურისა და დოყლაზა ბატონების ცხოვრებისა.

ღუარსაბი და დარეჟანი გახლავთ წარმოშობილი ამ უცნაურის წყობილებისა, როცა «რომის დამსხსნელთა» შთამომავლობას ნება ეძლეოდა ხალხისათვის ტვინი ეწოვა; ტასტზე განცხრომით გდებულყოფი უსაქმოდ და სხვისის ნაყოფაწით კი გამომძლარიყო. მაგრამ ეს მხოლოდ კანკაა, რომელსედაც ილია ჭავჭავაძემ მოქარვა თავისი დიდებული ნაწარმოები. რასაკვირველია, მკერალს არ შეუძლიან თავისი ნაწარმოები აღაშენოს, თუ არ იმ მასაღის შემწეობით, რომელსაც იძლევა ცხოვრება... ილია ჭავჭავაძისათვის ფიზიკურად შესაძლებელი არ იყო იმ დროში სხვა ტიპი დაესურათებინა, თუ გინდ მისივე «ოთარანთ ქერივის» არჩილი, რადგან მაშინ ცხოვრება სულ სხვა სახისა იყო, რადგან ცხოვრებაში მარტო დათავიები დათარეშობდნენ, თათქარიძეები კი ტასტზე გორაობდნენ და სკრინაკდნენ... გარნა ნიჭის ძლეურება მისი გამოისატა მაში, რომ ამ მასაღით ისარგებლა და ქართულის ლიტერატურის საუკუნო ძეგლი აღაგო. ღუარსაბი და დარეჟანი მარტო ბატონ-ყიფის დროის ქართველების დამახსიათებელნი კი არ არიან, საზოგადოდ, ქართველების თვისებების ნამდვილი და უტყუარი სურათებია სიზარმაცე ფიზიკური და გონებრივი, სიბინძურე და დაუდევრობა, შურიაზობა, რომელიც ხდება ცხოვრების ერთად ერთ საგნად ამ კაცთა ადამიანობის შემარცხველ კაუბატონებისა—ეს თვისებანი ქართველის ერის ხასიათის უადრესს ნაკლულეკანებათაგანს ეკუთვნის.

თუ თ. ილ. ჭავჭავაძეს ღუარსაბი და დარეჟანი მხოლოდ ტიპად კერ შეუქმნია, სამაგიეროდ მათ სასეში ისეთას სისრულითა, საკსებით და სინამდვილით დაგვისატა ნაციონალური ქართული ტიპი, რომლის მსგავსი ორმეცი წლის განმავლობაში ქართულს ლიტერატურას არა შეუქმნია-რა.

სასაცილოა ამის შემდეგ, რომ სწორედ ამ მოთხრობის გამოილია ჭავჭავაძეს ორიგინალობის ნაკლულეკანება შემწამეს ზოგიერთმა კრიტიკოსებმა და მარტო მიმზამკვლობის უნარი მიანიჭეს... შემოდ ჩვენ ვრცლად მოვილაზარაკეთ, რა მნიშვნელობით უნდა იქმნეს მიღებული მიმზამკვლობა ლიტერატურაში. აქ კი კვლავით განვმარტოთ

და დაესაბუთოდ, რომ ილია ჭავჭავაძემ დიდი თავისებურება გამოიჩინა ამ მოთხრობაში.

«კაცია-ადამიანი?!» ზოგერთის აზრით, გოგოლის «სტაროსკეტსკი ზომეშიკების» მიხედვით, მართალია გოგოლისაც ორი მოხუცი ცოლ-ქმარი ჰყავს აწერილი, რომელთა ცხოვრების აზრი და მიმართულება მარტო იმაში გამოიხატება, რომ სჭამენ, სძენ და სძინავთ. მეტი არც არა მათ აწუხებს და არც არას სხვას აწუხებენ. ესტუმრებათ ვინმე, მათ სინაზრულს, აღტაცებას საზღვარი არა აქვს. არც ესტუმრებათ და თავისი თავითაც კმაყოფილნი არიან. უუვართ ერთმანერთი განუსაზღვრელი სიყვარულით, ისე, რომ როცა ცოლი მოკვდება, ქმარაც თითქმის ნახევრად შეკვდარი და ცოტა ხნის შემდეგ იგივე გამოესაღმება წუთის-სოფელს.

მართალია ყოველივე მსგავს აზრსა და გრძნობას მოკლებულნი არიან გოგოლის გმირები, მაგრამ ისეთი კარგი და კეთილი ადამიანები არიან, ისეთის სიმშატიითა და თანაგრძნობითა ჰყავს მწერალს აღწერილი, რომ მალაუნებურად თქვენც გაუვარებთ მათ და თქვენს გულსაც სიმშატიით აღვსებს მათდა მიმართ. და, შესანიშნავი რუსი-კრიტიკოსი ბელინსკის არ იყო, საყუადურს გათქმეიანებთ ავტორისათვის: რად მიუხეი ეს, რომ ასეთი უფერული ადამიანები შემავარე და შემაბრალებ, როგორღაც დამიანლოვე და ენა დამიბი, აღარ შემიძლიან მათი უზარაობა დაგეგო და განგეიცხო. გოგოლის თავისი მოხუცების განვიცხვა კი არა აქვს სახეში, ჩვენ ის გვისურათებს მათ უფერულსა და უაზრო ცხოვრებას, მართალია დაცინვის კილოთა, სოფელ ეს დაცინვის კილო რადაც ნაზაა, სენტამენტალური, სიბრაღეულისა და თანაგრძნობის აღმძვრელი, ვინემ ზიზღისა და უარყოფისა.

ესლა შეჭხედეთ ილ. ჭავჭავაძის ნაწარმოებს. «კაცია ადამიანი» მოთხრობილია ორის ცოლ-ქმრის ცხოვრება, ივინიც სჭამენ, სძენ და სძინავთ. ეს არის ამ ორ მოთხრობათა შორის მსგავსება, დანარჩენი კი განსხვავებად რჩება.

გოგოლის მოხუცები კეთილი, გულ-უბრყვილო, საბრალო ადამიანებია, ჭავჭავაძის თათქარძიები ჭამა-სმის გარდა ჭორაობენ და გესღიანობენ, ბოროტნი არიან, შურით აღსავსენი და გულ-

ღვარძლიანი, — მათი ცხოვრების მიზნად ის გამხდარა, რომ მძის
არ დაუტოვონ საცხოვრებელი. ამიტომაც კომიზმით აღსავსე დრამად
იქცევა მათი ცხოვრება, როცა პერსიანის დონეს გასდებიან და შეილი
არ მიეცემათ. გოგოლის მოხუცნი მეტად ღმობიერად ექცევიან
თავიანთ ყმებსა და მოსამსახურეთ, თათქარიძენი კი სშირად «წიო-
კებენ» და დაწმინებული არიან, «რომ ეს დაწიოკება ისე აუცილე-
ბლად საჭიროა ოჯახისათვის, როგორც სმა-ჭამა ვანისათვის». მართალია იგი დაწიოკება რაღაც სუფილურ წყრომაში ისტობდა,
მაგრამ ეს მართლ იმით, რომ ლუარსაბს მეტად ეხარებოდა
თავისი ტახტის მოცილება. ლუარსაბის დარბაზიელი ვენიან, რომ
ღვთის რისხვასავით დაეშკებოდა ჩაღურისაკენ, სადაც მოსამსახუ-
რენი სუფილდნენ, ესე იგი ვაინანრობით და გულში ჩამარხულ ვა-
ბოროტებით სუფს იბრუნებდნენ... იქ მუჟღუგუნს წაჭკრავდა საკე-
რავსე მთელეძარე წირველიან გოგოსა, იქ თავში ჩაუტყავუნებდა
ძონძებში გასვეულ ზატარა მურიან ბიჭსა... აქ იმას გაუწერებოდა —
რასე? თითქო ვენიანამაც არ იცოდა რასე; იქ ამას გამოგილანძღავ-
და — რისთვის? — არც ეს იცოდა ვენიანი; დაწველიდა, დაჭქელავდა,
დასტუქსავდა — ერთის სიტყვით — მთელის დამის ნაუბაქი; წამოან-
თხევდა ჭკუშკერდომბესე, — და მერე დაღლილი და დაქანტული შე-
მობრუნდებოდა; თუ გოგო დასვდებოდა, კერ მოითმენდა, რომ
ერთი მუჟღუგუნი კიდეც არ ეთავსებინა, მესი კი დაგვრასაც
სედ დაატანდა, თუ ჭეიფსე იყო — და კერე ქანტ გაწვეტილი შე-
გორდებოდა ოთახში და თავისს დიდებულს მოღვაწეობას ისევ
თვითონ დასახუთიანებდა სოღმე ნეტარ-სენებული დარეჟანი: ესე
უნდა თვალ-გაფაციცებული დასტრიალებდე მოსამსახურესა, თორემ
ჭამის მეტს არას გააკეთებს. ბიჭებს მოკლა უნდათ. სანდისან ტუჟილ-
უბრალოდაც უნდა დასტუქსო. რომ გამოლანძღო კიდეც, ცუდი არ
იქმნება. იქ მე გაკლანძღო კიდეც, გაუჟავარდება, დაკტუქსავ, დაწვე-
ვლი, სულ რისთვის? მისთვის რომ შიში და კრძალვა ჭქონდეს»

ერთი სიტყვით, თუ თათქარიძენი დღეში ორ სამ ნაყიკს
არ აძრობენ ტყავს და სასწრობელსე არა გზავნიან, ეს გულ-კეთი-
ლობით კი არ მოხდით, სიზარმაცით და ტვინის გაუნძრეველობის
გამო. უიერულნი არიან და უმსგავსნი, რამდენადც შესაძლოა მათის

ჭკუისა და სანიდისისათვის ძაგნე და სძაგელნი აწიან. თსზულებათა ერთი მეორისაგან განსსკავებაში უპირველესი მნიშვნელობა აქვს მას, როგორ ეპყრობა მწერალი მისგან აღებულს საგანს. რა თვალთა სედვის ისრით ხელმძღვანელებს ამა თუ იმ საგნის დასასურათობლად.

ამ მხრითაც დიდი გარჩევაა თ. ილ. ჭკუჭკადისა და გოგოლის შუა. მაშინ როდესაც, როგორც მოგახსენეთ, გოგოლი იარაღად ხმარობს სენტიმენტალურს იუმორს, სიბრაღელის აღმძვრელ დანინგას, სწერს დიკენსის კილოთი, თ. ილია ჭკუჭკადე მკაცრსა და სასტიკს სატირას მიჰმართავს, სატირას მოლოდინისა და კოლტერიისა, სატირას, რომელიც დაუნდობლად ჰბინჯავს და მიწასთან ასწორებს ყოველს, რომელსაც დაუმსინჯვებია და შეურცხვენია წმინდა სახელი ადამიანისა. თ. ილია ჭკუჭკადე ძალაღ-გრძნობიერა მწერალია და როგორც ეგრეთის სიბრაღელი და შენდობა არ ეუცხობა; მაგრამ იმ შიშით, რომელთაც თავისი სიცოცხლე ისე გაუტარებიათ, რომ ძარტოა შენდობისა და სისრულის მეტი არა დაუმსახურებიათ-რა, მწარისა და გამგმირაკის დატინვით იხსენიებს: «წაიშალა ამ ორთა გვამთა (ლუარსაბისა და დარეჟანის) ცხოვრების კვალი დედა-მიწის ზურგზედა. რისთვის მოკადნენ და რისთვის წავიდნენ? ნუ თუ ნახევარი სუგუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ემოკნათ და სამ-სამი ადგილი მიწა? ან კიდევ ქვასე წაიწერონ რომ ჩხუ... წლამდინ თავადი ლუარსაბი თათქარამე და მისი გენისა დარეჟანი ცოცხალნი ყოფილან და მერე დასოცდილან?» სსკა სომე არაფერი გვეტყუას, რომ ესენი ამ ქვეყანაში ყოფილან და უცხოურიათ. «წამეთხველო, შენდობა გვიბრძანეთო», ამბობს იმათი ქვის ზედ-წარწერა. ნახევარი საუგუნე ამისთვის იცხოვრეს ამ ქვეყანაზე, რომ ბოლოს მანც კიდევ «შენდობა» ითხოვნ და საბოლოოდ გაიხადონ საქმე?» დიან, აქა სჩანს მთელი თვისება საეროვნო ზოტისა, აქა სჩანს მთელი ადამიანური სიმკაცრე სასტიკის იდეალისტ-მორალისტისა,—შენ შეურაცხველ ღვთის სასუ, რომლის მსგავსად გაგჩინა ბუნებაში?—ზიზღის ღირსი ხარ და დამცირების, შენ უნდა თითით საჩვენებელი გახდე და დასაგომობელი, რომ სხვებმა ზიზღით უყურონ ესეთ ცხოვრებას და ზურგი შეა-

ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან

ჭრიონ შენისთანა ადამიანებს. ეს სიმკაცრე კი, რასაკვირველია, კალად არ ადებს მწერალს სიბრალული არ ექმნეს უბედურის, გათხსნიერებულის და გახრწნილის ადამიანის მიმართ. მაგრამ სიბრალული რა ხელ-საყრელია, რა სანატრელია და სანუგეშო შენთვის, რომლისთვისაც მოუნიჭებია ბუნებას ადამიანობა და არა პირუტყვობა, ღვთაებრიობა და არა მსეცობა.

გარდა ამისა თ. ილია ჭავჭავაძე მთელს ცხოვრებას გვიხატავს თათქარიძეებისას, თათქმის დაბადებიდან დასასრულამდე, გოგოლს კი ერთი ხანა აქვს აღებული თავისი მოხუცების ცხოვრებისა. ილია ჭავჭავაძე თათქარიძეთა სახით მთელის ჩვენის ერის ცუდ-თვისებათა და ნაკლებეკანებათ გვიხატავს, გვიხრატებს მთელის ჩვენის ერის უნუ-ჩვეულებას, ქალის გათხოვებისას, სიძის მოტყუებისას, მატანკლობისას, მკითხვაობისას, სალოცავად წასვლისას და სხვ. გოგოლი კი მოხუცთა ცხოვრების ერთ მომენტს აგვიწერს. ხოლო თუ წამბამკვლობაზე წავიდა საქმე, გოგოლსაც ხომ თვით არ გამოუგონია არავი თავისი მოთხრობისა, არამედ რომელია მწერლის რეალიზაცია, რომელსაც ერთს თავისს არაკთავანში (თეოდომონი და ბავკიდა) წუნარი და მშვიდი, თანაც უფერული და უაზრო ცხოვრება აქვს აღწერილი ორის მოხუც ცოლ-ქმრისა.

თ. ილია ჭავჭავაძემ სიუჟეტით გააფართოვა და სავრცონო მოთხრობა შექმნა თავისი ნაწარმოებისაგან. მასში გამოყვანილი ტიპები მეტად სავრცონოა, მეტად ქართული, მასში აწერილი უნუ-ჩვეულება ჩვენია, ნაციონალური.

ეს საუკეთესო მწერლობითი დოკუმენტია ჩვენს ლიტერატურაში ჩვენის ერის დამახასიათებელი. თუ ქართველის ერის—XIX საუკუნის ისტორია დაიწერება, საუკეთესო მასალად გამოადგება ისტორიკოსს ჩვენის საზოგადოების ამ ხანის პირველ ნასუკრის უნებრივ სურათისათვის.

ახა როგორ დაივიწყოს ჩვენმა ლიტერატურამ ბრწყინვალე აღწერილობა ლუარსაბის გვამისა, რომელშიაც აღარსად სჩანდა «ერთ მონაბერი სული» და მარტო მძროდ გადაჭრუულიყო, «ძირ გავარდნილ ქვევრად», რომელსაც დღე ყოველ უნდა ჩააყარო ხორავი და ჩაასხა სასმელი, მაგრამ კიდევ შაინც ვერ აავსო... რომელსაც

სწავლისა სომ არც არა გაკებოდა რა და დიდ ბედნიერად სთვლიდა, რომ ესწავლელი იყო, რადგან იგი «ესლანდელ ჭირადა მიანდა, რომლის აზროვნება «ბუჩების თელაში» ისტუბოდა და ამასთან იქნობამდის კიდევ კერ მიეტანა მის გონებას, რომ ბუჩები წამდა-უწუმი ფრინაკენ და მათი დათვლა შეუძლებელი იყო, რომლის გამათი ისეთს მძიმე საგანს უტრიალებდა ვარს, როგორც საკითხვი, «ბოზბა-ში სჯობია, თუ ჩინიერთია».

როგორ დაივიწყებს ქართულის ენის მცოდნე ჩვენს ენინა დარეჟანს, თავისა შუბსაფენითა და ჩით-მურდინით, ჩუსტით, მუჯ-ლუგუნებით და «მესი კი დაცესა» ყვირილით, დარეჟანს განსწავლილს სსკა-და-სსკა შელტყებში, სშირად გამარჯვებულს ქმართან ბას-ში და არა ნაკლებ დარცხვენელს, რომ ამ დიდებულს გამათში დამარცხებულს დარჩა; დარეჟანს თავ-დავიწყებით მოცადინეს, რომ შვილი შექმნოს და ძმას და რძალს თვალი დაუყენოს.

ვის არ გაახსენდება ჩვენის ლუარსაბის ღირსეული ძმა, რომელიც სუთ თუმნად გაჭედიის ძმას და ვიღაც ჯოჯოხე—ჩვენს კარგ ნაწინობ დარეჟანზე—გადასწერს ჟვარს...

ვის შეუძლიან დაივიწყოს სურათი მაჭანკლობისა, სუტ-ენინას სსხა-სსხუბით ლაშარაკი და მისი ოინები, მკითხავის ცბიერობა, რომელსაც ხელს შეკლის ბატონ-ყმათა სუსტი გამჭრიახობა და სუსტზე უსუსტესი გონება.

განა შეიძლება გულით არ გაიცინოს კაცმა ას წელიწადს შემდეგაც, როცა გადაიკითხავს იმ წერილს, რომელსაც სამამრი სწერს ლუარსაბს და რომელიც ისე სამაგალითოდ აქვს შედგენილი თ. ილ. ჭავჭავაძეს, ან და ის სამამრი, შურისა და წერილმანი ბორბოტების შედეგი, რომლითაც შეშინებული ლუარსაბი რამდენიმე ხანს გაშოტილი ვდია აგურებზე და მის მოყვარულ დარეჟანს შიშის კლდას დასცემს, არ გამოიკიდეს ჩემი ლუარსაბიო.

მესამე თავისს მოთხრობაში თ. ილია ჭავჭავაძემ თითქმის მსოფლიო ტიპი შექმნა. ეს მოთხრობა განსაკუთრებით «ოთარანთ ქრთვი» და ეს ტიპი თვით ქრთვი გიორგის დედა.

თ. ილია ჭავჭავაძის ნაწარმოები მთელს აუაღ-მეყალს გამოიწვეს სოფელე ჩვენს ტიპილად მხერინავ საზოგადოებასა და მწერლო-

ბაში და სასატილოა ის, რომ თავდა-ზირკულად უფრო უარყოფით ეპყრობიან მის ნაწერებს (ეგანდეგელის კრიტიკა ბოსლეგელის «მრემა» № 18—1883 წ. «ოთარანთ ქერიკია კრიტიკა მ. ს.—სა «იკერი» № 58—1888 წ., დავით სოსლანისა და სხვ.).

მარტო ასეთი გამოფხზსლება ლიტერატურისა ამტკიცებს, რომ ჩვენს დიდებულს მწერალს ძლიერი ნიჭი აქვს, რომ საზოგადოება გაფხვიცტებით ადვენებს თვალ-უფრს მის ნაწარმოებთ.

ასე აყყყან ჩვენი საზოგადოება «ოთარანთ ქერიკიამ». უმეტესმა ნაწილმა საზოგადოებისა და კრიტიკისამ კერ გაიგო მრავალი ადგილები მოთხრობისა, რადგან არა ჭქონდა შეგნებული ორმაგობა ჭკუჭკუჭადის სამწერლო ნიჭის მიმართულებისა. რომ მაშინდელს კრიტიკას შეგნო, რომ იღ. ჭკუჭკუჭადის ნაწარმოებში ორი ლიტერატურული მიმართულება არის თავმოყრილი—ერთი ხანდალული რომანტიზმი და მეორე ასალ-განდა, ყანსადი, სიცოცხლითა და ძლით აღსავსე რეალიზმი, მაშინ მოთხრობის დარსება და ნაკლულებანება ადვილი გასაგები გახდებოდა.

სწორედ აქ ამ მოთხრობაშიაღ გამოხსატა ჭკუჭკუჭადის რომანტიული ჩვეულება, როგორც სხვა მის მოთხრობებში და ამის ნაყოფია გიორგი, რომელსაც უფრო აღტაცებულს რომანტიკოს-პოეტისებური ბუნება აქვს, ვინემ ცხორების სიასსტიკეში გამომწვარის ქართულის გლხისა.

სამაგიეროდ რეალური ნიჭი იღია ჭკუჭკუჭადისა თანდათან გზრდილსა და ოთარანთ ქერიკის ტიპი არის შედეგი აკტორის მომწიფებულს, გზრდილისა და გაძლიერებულს რეალიზმისა. ეს ტიპი ისეთი რეალური ტიპისა და ისეთის საკლებით დასურათებული, რომ მაგის მსგავსი ჩვენს ასალს ლიტერატურაში არა ვკაქვს-რა.

ლიტერატურის მსკლულობის საჭირებამ იმსხვერპლსა იღია ჭკუჭკუჭადის მოთხრობები და ამიტომ აქვთ მკითხველზე კერეთი ორჭკოფი, ორმაგი შთაბეჭდილება, ამიტომ ავლია ის ერთიანობა, ის ტენსიკური სიმართიკე და სიდიადე, რაიცა გამოიჩინა აკტორმა «ეგანდეგელში».

სოლო ერთის მოთხრობიდან ისეთის ტიპის შექმნაც საკმარისია, როგორც ოთარანთ ქერიკია.

გიორგის, ოთარანთ ქერივის ზირმშო ერთად ერთ შვილს შეუყვარდება თავისი ბატონის და კესო. კესო, რასაკვირველია აზრადან ვერ წარმოიდგენს, რომ შესაძლებელია რაიმე ამგვარი ვიღაც ბიჭსა და ქალბატონს შორის, თუმცა გიორგი ბევრჯელ აძლევს გნაყნას შემთხვევას მისი გრძნობის გაგებისას; გიორგი უფროსი იღვრება და უფლიდა კესოს ბაღს თავისს ორ თვალზე უფრო, «მტკერი რა არის, მტკერს არ დაადენდა, არ შეარჩენდა ბელახსა და ფოთოლსა»; ერთსელ, როცა კესომ ამ ბაღის გეგმის ჩვენება დაუბირა, გიორგიმ ფეხი კელარ გახმრია, ვერ მიუახლოვდა კესოსა, თვალთ დაუბრუნდა, წაბარბაცდა... მაგრამ გნაყნამ «უფლის ჭიდილს» დააბრალა.

ასე იყო დღეს, ასე იქმნებოდა სვალ და ყოველთვის, დრამა და მთელი არაგი მოთხრობისა აქ არის ამაში—ამ სიყვარულში ერთის მხრით და სრულს გულ-გრძობისა და გაუგებრობაში მეორეს მხრით. ამ საქმის გამოძევენება შესაძლო იყო გიორგისთან თავ-მოყვარე და გულ-დასურულის ბიჭისაგან სწორედ ისეთს წამში, როგორც სიკვდილის წინა წამება.

შემთხვევით გიორგი მოკვდება და მისი სულიერა დრამა თვალ-წინ გადაეშლება მის ძალაუნებურად დამღუბველს კესოს და მის ძმა არჩილს. გიორგის დამარხვის შემდეგ და-ძმის შორის მოხდება გრძელი ბასი, რომელიც, რასაკვირველია, სინამდვილეს მოკვებული არ არის, მაგრამ თითქმის განკებ მოუყვანია ატორს, რათა თავისი აზრი ამ სავანის შესახებ გამოარკვიოს (ნამყოფი ილ. ჭაკჭაკაძის რომანტიულ ნაწერისა). ამ ბასის მიუტეხლებლობა მოთხრობისათვის უჭკველია, რადგან ამაში მშენებრად ისტება უფერული ტიპი არჩილისა—ჩვენის ახალ-გაზდობის ერთის ჯგუფისა, რომელსაც მღალ-მღალის ფრანგებთან აქვს აკვებული თავი, სულის სიდრემიდის კი არცერთი ამ სიტყვათაგანი არ ჩასწვდენია, არცერთი კეთილშობილური აზრთაგანი არ გასჯდომია ძვალსა და რბილში—ტიპი, რეზონანორისა, საქმით ლუარსაბის შვილისა, უფრო გათლილი და გამაღმანებელი თავისს ძმასზე, რასაკვირველია, და სიტყვით კი ახალის ცხოვრების წინა-მოარბელი.*)

*) სრულიად სამართლიანად აღნიშნა ბ. სანომ თავისს საყურადღებო წერილში ამ მოთხრობის შესახებ—არჩილი არის ლუარსაბისა და დიოკოს შემკვიდრე, დროისა დაჯარმოების შესაფერად შეცვლილი. (ყოვერიო“ 1888 წ. 107 და სხვ.)

აჩილიც უძლესი წოდების წარმომადგენელია. თუ 24 წლის წინედ ამ წოდების უმეტესობა ლუარსაბებსა და დათიკებს გზანდაც ცხოვრების ასპარეზზე, დღეს აჩილებს გაძლეეს. მართალია აჩილი ისე სასიზღარი არ არის, როგორც ლუარსაბი, სწავლისა და განათლების «ჭირად» ამღიარებელი მაინც არ არის, მაგრამ ლუარსაბივით უფერულია და უშინაარსო.

რასაკვირველია, აჩილი არ წარმოადგენს არავითარს ძვენს საზოგადოებისათვის, მაგრამ არც არა სასარგებლოა მისთვის. მაშინ როდესაც დათიკო ნამდვილი მტერი იყო ჩვენის საერო ცხოვრებისა და საზოგადოდ განთა ადამიანურის ცხოვრების შემბლწველი, აჩილი გახლავთ სწორედ მეოთხმორე წლების ასალ-გაზდა, პრაქტიკულის მიმართულებისა, რომლის უძლესი იდეალი ადგილ-მამულის მოკლასია და თუმცა მის ნაწარმოებს არ ადიდებს, არა ჭფლანგაკს და არა ჭურის მაინც უთაბოლოდ, ზის თავისს სახლში და ქეიფსა და უსუნეო ცხოვრებას მაინც არ მისდეეს, მაგრამ გრნებითა და მოქმედებით კი მაინც უფერულია: სოფელს არა რა არგია მისკან; აზრთა-წრთხან სამშობლოისა არ ეინტერესება და იქნებ სასაცილოდაც მიანხდეს. გაუხეზირება ერთი-ორი მაღალი ჭუმანური ფრანზა, რომელსაც მხოლოდ მაშინ თუ წამოისერის და ისიც სსკის სასაყვადურად, როცა ისეთი საშინელი ამბავი მოხდება, როგორც გიორგის სიკვდილია.

მისი სულეირი სისუსტის საუკეთესო დამამშვენებელი მისი დაა, რომელსედაც ვერავითარი გაკუნა ვერა ჭქონია მძას, რომელიც რაღაც განუენებულსა და უშინაარსო რამ ქმნილებას წარმოადგენს. ეგ კესო სწორედ ნულია და აეტორს სულაც რომ არა ეთქვა-რა მის შესახებ და ეთქვა მხოლოდ, რომ აჩილსა ჭყვანდა ნულივით უშინაარსო და, რომელიც გიორგის უყვარდაო, ამით არას წაეგებდიო.

ამ ორ წოდებათა შორის სიყვარული და რაიმე ადამიანური კავშირი, დიდი-სანია რაც აეტორმა შეუძლებლად სცნო. უკვე გლასნის ნამშობშია აღიარა, რომ შეძროს-უმიეროსობაშია სიყვარული სიზმარია, ბატონ-უმობის შუა სიყვარულის ხიდა არ გაიდება, რომ ეგრე ყოფილას ქვეუნასე, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს (ტ. II კვ. 19) და ეგ აზრი ამჟვე მოთხრობაშიცა აქვს გატარებული; თვით

აჩნელი ამბობს: ჩვენ შუა ხაზია ჩატკხილი: ისინი იქით ნამბობს დაბნენ, ჩვენ აქეთ, შორი-შორსა ვართ და თავლი ერთმანეთისათვის კელარ მიგვიწვდენია, თავლი მართალი და უტყუარი... ჩვენ ვინა და ისინი ვინ! ორი სხვა-და-სხვა ქვეყანაა, შორი შორს ვართ მეთქი... იმათს ტირილს და ღხინს ცალკე ღობე ავლია, ჩვენსას ცალკე. გული-გულს კელარ მიგვიკარებია, კელარ მიგვიხვედრებია. და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ერთმანეთისა აღარა გვემის-რა». ტ. III გვ. 163.) ამიტომ სასაცილოა, რომ ავტორს დასწამეს ვითომ ამ წოდებათა შორის ხაზის გამთელება სიყვარულითა და ქორწინებით უნდოდა.

წინააღმდეგ, თუ «გლასის ნამბობში» ავტორი გვიჩვენებდა, რომ დათვიკოსა და გაბრეს შორის—უფროს-უმცროსს შორის—მეგობრობა შეუძლებელი იყო, აქ გვიმტკიცებს, რომ კესლსა და გიორგის შორის—ბატონ-ყმის შორის სიყვარულის ხაზი არ გაიდება, და არა თუ სიყვარული, სიყვარულის გაკებაც კი არ შეიძლება ამთ შორისაო. ეს მას აწუხებს და ამას ჭკოდებს აჩნილის შირით, რადგან საზოგადოდ ცნობრებისათვის საკებლად მახინია კერეთი გათიშვა წოდებათა შორის. მაგრამ ნუ თუ ავტორს საყუადური ეთქმის, რომ წოდებათა შორის ბრძოლა სახეტაროდა და სამხიარულოდ არ ჩასთვალა. ნუ თუ დანაშაულებას ავტორისათვის სურვილი ისეთის წუობილებისა, საცა არც ერთს არა ჭქონდეს-რა მეორესთან საბრძოლი და სდაყო.

«რად უსაყუადურებს ავტორი კესლს, გიორგი რომ არ შეუყვარდა და ცოლად არ გაჭყვა? მაგის მიხეზი წოდებათა შორის გარჩევა კი არა, აზრთა და გრძობათა სხვა-და-სხვაობაა», ამბობდენ მეორენი.

ერთის სიტყვითაც არ უსაყუადურებს ავტორი (აჩნელი) კესლს, რატომ გიორგის მეუღლედ არ გახდია. ის იმასა ვაგრობს და იმაში ამტყუვნებს დას, რომ «ღირსებათა თავყანისცემის» ვილა სნივის, შენ ვერც კი მიუსვდია სიყვარულს, კაცო თურმე თავს გველებოდა... აი რა დიდი კედელია ჩვენსა და იმათ შუა!.. აბა შენა ტოლი კაცი ყოფილიყო! სიყვარულს რომ მანც მიუსვდებოდა

პტიუდები ქართულის ლიტერატურიდან

და მანც, სხვა ან იუოს-ან, თუნდ ნასაფი მადლიც გიორგის ან სცხებოდაა. (გვ. 170—172, ტ. III).

გიორგი რომ უოფილიყო, თუ გინდ იგივე საზინდარი და-თიგო, მაშინ კესო ძალიან კარგად გაიკებდა, რატომ არის მისი ბალი ასე გაწმენდილ-გამშენიერებულა; ძალიან კარგად მისკებოდა, რატომ ვერ გადაადგა ფესი გიორგომ და შეიძლება ისე კარგადან მიმსკდარაყო, რომ თვითონაც გულის-ცემით მიყრდნობოდა მის გაუგებურს გუფ-მკერდს... შეიძლება თავდავიწყებისასც მისცემოდა და იგივე მისკლოდა და თავისივე ნებით, რაც თამროს ძალით დაჭმართა ბრწყინავლე დათიგომ. აი აქ არის გრძნობათა გარყვნა და გაცულება და ან იმაში, რომ კესო გიორგის ცოლად არ წაჭყვა. რატომ ვერ განვითარდა იმდენზე მათი სული, რომ კარგად ეცნოთ გიორგიც, მისი ადამიანობა დაენახათ და მაშინ სომ ადვილად წარმოადგენდა მათი ბრწყინავლება, რისი შედეგია გიორგის რომანტიული რსება კენესა.

თუმიცა გიორგი სუსტადა ჭნატავს აღმოსავლეთის ქართველის ცოტა არ იუოს ნან-გრძნობიერსა და რომანტიულს ბუნებას, მანც რაღაც გვეუცხოკება, რაღაც ნამეტანის ფაქიზისა და ნაზის ნერვების პატრონად არის დასახული ლომ-გულის ოთარანთ ქერივის ვაჟი. და ეს იმისა ბრალა, რომ ავტორისა სურდა გრძნობა მდღუნებულისა და გაგრძელებულის არისტოკრატის. შეიღთათვის შეედარებინა ცხორებისაგან დასკვილის წოდების შეიღა, რომლისთვისაც ბუნებას ესოდენ უხვად მიუნაჭებია მალა-გრძნობიერება და მალა-სულოვნება. მწერალმა უფერულს კესოსა და არჩილს ისეთი ნან-გრძნობიერი ადამიანი ამოუყენა გვერდით, რეგორიც გიორგია.

ავტორისა სურდა უენერციოსა და სუსტ ქმნილებათათვის, რომელნიც მხლელად ჭურჭელს წარმოადგენენ ორიოდუ გასკვირებულის ფრანსისას, დაეპირდაპირებინა მხნე, მამაცი, სასტიკის ცხოვრებისაგან გამომწვარი და გამოზრდილი ადამიანი და მან დაგვიჩუროთა ოთარანთ ქერივი.

მართლაც შეჭხედეთ ამ ადამიანს. რამდენი სიცოცხლეა მაში, რა ძალითა და სიმბნით არის აღსავსე მისი ბუნება, თანაც რა დიდებული მედიდობითა და ამაყოებით არის შეფერადებული მისი

არსებითი გულ-მოწყალება, გულ-მოძრეობა და მძაფრ სულგანობა. მასი მარტო ერთის წოდების წარმომადგენელი კი არ იხატება, არა თუ მარტო ქართველის გლეხის დედაკაცა მოგვიკვირებს მისი სხნით ავტორმა, ამ სურათში თ. ილ. ჭავჭავაძემ განსხორციელა დღეინდელი ადამიანი, რომლის მკაცრი და მძაფრი შირუტყვეული ბუნება ვერ გიდეკ ვერ მოუსხიას საუკუნეთა ზნეობრივ გულტურას. სოლო მისი სიმკაცრე როგორღაც გულტურის მშენებარებით იმოსება, მით რომ ქრისტიანულის გულტურის ზედგავლენას ტყუილად არ ჩაუვლია, დრმად გამსჭვალულა ზნეობრივის მოვალეობის აზრებით და ეს შეგნებულება ადამიანისუერის კაღისა თავისუერის მომნიბგელლობით აუკრადებს გარეგან გულ-ჭაობასა და გულ-ფიცხელობას.

«ეთარანთ ქერივი» ყველას წარმომადგენელია, ყველასი, ვინც კი ცხოვრებს, აზრობს და ჭიფიქრობს... შირუტყვეული ჩვენი ბუნება შირველად ჩვენდა უნებურად წიმოჭყობს სოლომე თავს, როცა მოგვიხდება ადამიანთა წინაშე რაიმე მოვალეობის აღსრულება, მაგრამ მერმე აზრი და შეგნებულება ადამიანთა თანხმობისა და საუკუნეკაუშირისა სძლეკს თავ-აშვებულ ბუნებას, თითქო სტუქსავსო კიდევც მას, და ბოლოს ისეკ ადამიანურად მოვიტყვევით სოლომე.

«ეთარანთ ქერივი» გახლავსთ ეგრეთვე თვით ავტორის ფსიხოლოგოიურის, სულიერის თავისუბების გამომხატველი და მანკენბელი. რადგან თუ კი რადესმე (და ეს თითქმის ყოველთვის მოხდება სოლომე) მწერალს თავისი თავისუბანი მისგან გამოსახულს ტიპში განურხორციელებია თ. ილ. ჭავჭავაძემ ეს ეთარანთ ქერივის ტიპში გამოიჩინა...

განა არ მოგავგონებთ ავტორს «კაცია, ადამიანისას?!» ის გარეგანი სისასტიკე, ის გარეგანი სიამაყე და გულ-ჭაობა, რომელიც ისე მშენებარად დაგვისურათა ეთარანთ ქერივიში, — სისასტიკე რომელიცა ჭიფარავდა დრმა შეგნებულებას თავისის უფლებებისა და მოვალეობისას, გარეგანი სიმკაცრე, რომელშიაც ნათლად გამოსჭვრივდა თავისი დირსუბების შეგნება და მოყვასის მოყვარეობა, სიმკაცრე და სისასტიკე, რომელშიაც ცხადადა სჩნდა კაცთა შემბრალეობა, გულ შემბრევიერობა და ადამიანურის გრძნობით აღსავსე ბუნება ამ მძაფრ სულგანის ადამიანისა.

«ათარხანთ ქვრივი» ადამიანთა ყოველივე თავისის ნაკლულეკვანებითა და ღირსებით. მაგრამ მანც არა ჩვეულებრივი არსებაა, ეს ისეთი არსებაა, რომელშიაც ყოველთვის უძლევა ადამიანობას შირუტეობისათვის, მაშა ადამიანურს მისწრაფებას უპირატესობა მისცემია შირუტეულს სურვილებზედ.

«ტბილი სიტყვა რა არისო!» იტყოდა სოლომე ათარხანთ ქვრივი. «ამ გამწარებულს წუთი-სოთხელში ტბილი სსხა რა არის, რომ სიტყვა იყო. რას მიქვიან ტბილი სიტყვა! თვალთ-მაქცობაა, სსხა არაფერი. ტბილი სიტყვა ნუგაშა, კანს გულს მოჭეხსანს. გულის ფხანა რაღა დარღუბაღა! ფხანა ქეცმა იცის...» ამიტომაც, ამ უცნაური ღაზარაკის გამე დაიმსახურა ათარხანთ ქვრივის გულ-ქვის სსხელი. მაგრამ ეგ შემცდარი აზრი განლდათ. ვიღაც ღუდა-კანს წერილ შეიღანს და ნახეარჯვერ მშიერ-მწუფურგას ყოველ კვირად ღღეს ერთ ათიოდ შოთს და ერთ ბადია კარკოტს თავის ფეხით გადაუტანდა სოლომე... მართალია ამ «მადლს» «შილ-შილსაც მოაყრიდა, მაგრამ, მანც მადლსა შერებოდა. და განა თუ მარტო ერთსა სწვალობდა «გლასა-მანსოვარა ისე არ მიაღებოდა კანს, რომ ათარხანთ ქვრივს რითიმე არ გაკეთსა» «თავისებურ შილხელსაც» რა თქმა უნდა მოაყრიდა და კარგად ღაზათიანად გამოლანძვავდა სოლომე.

უფრო სშირად მოწყალებას იმ კარად გასცემდა, სცდილობდა მარცხენას არ შავტეო მარჯვენას რას იძლეოდა და სსხას არწმუნებდა, მივეცი შემართა და იმიტომაც, თორემ მაგისმა თავის სეთქამ ჩემს თავს დაჯაკლებ და მაგას შეკემო... თუმცა აკლებდა, რასა-კვირელებს, თავის თავსა და განსაკუთრებული ქისაცა ჭქონდა, სსხა «ღარიბთა გასაკეთსი» ფული ელაზა.

ცნობრებაში უმეტესობა კი სსხა რიგად აქცევა. უმეტესობა არჩილისა და კესოსაგან შესდგება, რომელიც ტირის და წიწუნებს ამა თუ იმ მოკლენის გამე, მაგრამ აზრი მარტო ენაზედ აკერია, გულის სიღრმემდი არ ჩაუწევია და ენის ჭარტალი უშინა-არსო და უნიადგო რაიმედ ექცევა. ღღეს ცრემლსა ღვრის და მძიით იმოსება გიორგის სიკვდილის გამე და სვალ და ზეკ ისეკ იმავე



საქციელს დაადგება—გულგრილობასა და გულქვარობას აღტაცებულის გრძნობის მიმართ, რამაც მოუშხამა სიცრულე გიორგის.

ოთარაანთ ქვრივი კი ამას გაგიღანძღვდათ, იმას დასტუქსავდა: «ისე არავის გაუვლიდა გვერდით, რომ არ გაკეინწილა, თუ რამ თვალში არ მოუვიდოდა». მკრამ მისი არსებითი გულ მღვწალებს ამ გარეგან «შიაღზილს», «მადლდა გარდაჭმინდა, სიყვარულისა და თანაგრძნობის უეტველ საბუთს მიაწოდებდა მისგანვე ვითომ და შეურაცხყოფილს... იგი არ არის ისეთი იდეალური არსება, როგორც «ელახის ნაშობობის» მოძღვარია, რომელთა მსგავსის შექმნაში ერთობ ძუნწია ბუნება... ამ გვარ საუცნობო არსებას, რომელის სიტყვა და საქმე ღვთისნიერის ღმობიერებითა და გულკეთილობით არის აღსავსე, ხანდახან მოგვაჩვენებს სრულმე ბუნებას, თითქმის მისთვის, რომ არ დაგვაპიწყოს ჩვენი ღვთიური სასწავლებელი და სასოება არ წარგვიწყობინდეს, რომ კეთილი შესაძლეს ცხოვრებაში.

სასტიკი და მკაცრი ცხოვრება, ეს გამწარებული წუთი სოფელია შექმნილ სრულმე ოთარაანთ ქვრივის: აღამაანს სიმწარეში გამოვლილს, რომელმაც იცის შრომისა და ჯაფის ფასი, უგრძნობი თავისი მოკვლეობის აღსრულების საიმოგნება და შეუგნია ამ მოკვლეობის მიუცილებლობა, აღამაანს, რომელიც სიტყვას ტყვილს არა ჭკარგავს და საქმით კი ისეთს არას ჩაიდენს, რომ ან შირადის ღირსების შემღვლეული იყოს, ან და აღამაანურის მოკვლეობის დამრღვეველი.

თუმიც არჩილმა კარგად იცის ის, რომ მისი კეთილი და აღამაანური ზრება წიგნშია და არა საქმეში, ენაზეა და არა გულშია, მანაც კიდევ სწამს, რომ წუწუნის და გოდება, «ტირილი—ეც ცრემლიანი ცოდნა უგანა სწავს და ბუგავს, წინა ჭნამავს და ამწკავებს». ოთარაანთ ქვრივმა კი ეკეთი რეზონირობის, ზრთა ვარჯიშობის არა იცისრა, იგი მომქმედი შირია და არა ზრთა მოთამაშე, «ტკბილი სიტყვა» მისთვის თვალთმაქცობას და სხვა არაფერია—მან მხოლოდ საქმის დაფასება იცის, მხნეობის, გარჯის, შრომისა და მეცადინეობის თავყანის მტკემელია. გრძნობათა გამომყვანება მას სამარცხვინოდ მიანინა: ერთად ერთი შვილი ჭყავს, მასეღ ამოდის

მზე და მთვარე, «დედა მიწის ზურგზედ იმის მეტი სისარული და
 ღსენა სხვა არა ჰქონდა, რომ შვილისთვის ეტქირნა, შვილის-
 თვის ეტყობინა. ეს ესე იყო, მაგრამ თავის დღეში არაგისათვის
 შეუტყობინებია, რომ შვილი ასე გაგიჟებთ უფროს, შვილსაც კი
 უძლავდა თავის გულის ნადებსა». და აი იმის მზე ჩასვეკნება, ერ-
 თად ერთი თავ მოსაწონი და ნუგეში მოესძობა, მაგრამ აქაც კი
 ბუნებრივი მისი თავდაჭერილობა იხენს თავსა და მოლოდინ მან
 წაიშენს თავში ხელს და გოდებას მორთავს, როცა დაცალიერდება
 ის ოთახი, სადა გიორგი განისვენებდა.

თუ ვინმე იტანჯებოდა და თუ ვისმე რაიმე აკლდებოდა ოთა-
 რანთ ქერივის გარეგანი სიმკაცრით ისეკ მას, რადგან მხარულე-
 ბისა და ვაების გულში ჩახვევა, აღმიახს სიცოცხლესა და მ-
 ღას აკლებს, მწუხარებას უორკეცებს. თუ ჩვენი ბედნიერება გა-
 ნუზიარებელი რჩება, უფერულია და უმისგავსი, და არც შესაძლოა
 სიამოვნება კაცთა საზოგადოებაში ისე, რომ მეორე შენისთანა არ
 დებულბდეს მონაწილეობას შენს სიამოვნება-სიმხარულეში. თუ
 ტანჯვა და «ვიში» გულში ჩაკლულია, თუ ვინმე სხვა არ ვევაგს
 ჩვენი კვნესისა და ოსკრის გამგონი, ჩვენი ვაისა და უის მანუ-
 გეშეული — ეგრეთი მწუხარება, ეგრეთი უბედურება ორკეცდება, ერთი
 ორად ძლიერდება, ისე როგორც შეგუბებული მენხერი, ისე ო-
 გორც ერთს ადგილას მოთავსებული სენი გორკეცებულის — სიმძ-
 ფრით აკლებს მუსრს მენხერებთ. ასე დამართა ოთარანთ ქერი-
 საც, მისი ხენუშის გამგონი მისი ყურების მეტი არაგინ ყოფილა,
 მისი ტანჯვა-ვაების მოწმე მისი გულის მეტი არაგინ ყოფილა და
 გულში ჩამწვედუელმა კვნესა-მწუხარებამ დადნო და ადგავა შირისა-
 გან ქვეწინისა ეს ძლიერი, მედგარი, სიცოცხლითა და სიმხნით აღ-
 სავსე აღმიახი.

უგანასკნელი წუთები ოთარანთ ქერივის სიცოცხლისა ისეთის
 ძლიერის მხატვრულის ნიჭითა აქვს ავტორს აღწერილი, არ ძალ-
 გომს საგსებთ არ მოვიყვანოთ. იგი ერთი საუკეთესო ფურცელ-
 თაგანია ქართულს ლიტერატურაში. კლასიკური სიმართლივე ამ სუ-
 რათისა განსაკუთრებულს შთაბეჭდილებას იწვევს მეთისკელში თა-
 ვისის შინაარსის სიმძლიერით, ისე როგორც საუცხლო რამ სი-

ტურფე და სიმშენიერე «განდგეილის» მწყემსი ქალის ერთი-ორად უფრო თვალსაჩინო ხდება გარეგანს უბრალო ტანთსაცმელში... სადა და მარტოვი გარეგნობა ერთი-ორად აძლიერებს შიშისადაც და შინაარსის მხატვრულს გასაგონარს რაღაც შეგებას.

«ღამე არ იყო ბნელი. ცაზე დრო გამოშვებით კაშკაში მთვარე ხან გამოჭყოფდა ხოლმე ღრუბლებიდან თავს, ხან ისევე ღრუბლებში გაეხვეოდა, თითქო ღრუბლის ბნელი და მთვარის შუქი ერთმანეთს ეჭიდებოდა და ხან ერთია ქვეშ, ხან მეორეა.

სოფელს დიდი ხანია ეძინა იმ გულისანის ძილითა, რომელიც მართლაც სასვენია და არა სახებურებელი. მისწყდა სოფლის ხმაურობა, დღის უდივილ-კვილი, მისწყდა ადამიანის ფეხის ხმაც. ახალ მოსულს თოვლს, ეინვა დაკრულს, არსად არ აჩნდა ნათესაური ადამიანისა... სოფელს ხმა გაეკმინდა, და თითო ოროლაც ადგილას შეტის-მეტად ფრთხილის ძაღლის ყეფა-ღა ისმოდა ხანდისან.

ყველას ეძინა, ყველას... ერთის მეტს.

იყო სახლი, საცა იმ ერთს არ ეძინა. ამ სახლში ბნელოდა. სანთელი არ ენთო და მარტო კერაში თავსეს სისქეს გუნძს ცალ გვერდზედ ცეცხლი ეკიდა და უკემურად ჭბოლავდა. როცა ნაღვერდალ—მოსხმული გამოძვარბი გვერდი სისა დრო გამოშვებით პატარა ენასავით ალს წამოაგდებდა, ერთი მხარე სახლისა პატარა მანძილზედ ცოტა-ხნობით მოჭმუქდებოდა.

კერასთან ცეცხლის შორი-ახლო ძაღლი იწვა. რგვლად გადმოეჭქენა თბილი ნაცარი, თეითონაც გორგალსავით დასვეულ-ჩასვეულიყო, უკანა ფეხები წინ წამოკეცა, წინანი უკან, თავზედ ბანჯგოლიანი კუდი გადმოკეცა, ცხვირი კუდის ბოლოში წაუყო და ეძინა. ძაღლას გვერდით, ცოტა მოშორებით ვიღაცა მოხუცებული დედაკაცი კერასთან ცეცხლ-პირასვე იწვა დედამინაზედ გაშლილ ქვეშაგებში და გულისანად ეძინა. დედა-ბერის ქვეშაგების გვერდით ტასტი იდგა და ზედ იწვა სხული, ქვეშაგებად ჩავარდნილი, დამდნარი, ძილული და თითქმის სასიკვდილოდ მიხრწნილი.

ეს იყო ის, რომელსაც მთელს სოფელში არ ეძინა...

— ვინ მძახის, ვინ!.. იძახდა ძილ-დაკარგული სხული თავის გულში, თუძეც არსაიდან კი ხმა და ჩამი-ჩუმი არ იყო: წადი, წადი!.. რად იძახის გული? რად მუწეა, რად?

იტრიალა ღონე-მისდილმა სნეულმა, იშოფათა...

— მიკაელწივე კი... ჭკითხს თავის თავს: ფეხის გადადგმის
ილახვი აღარ მაქვს... გზასკად დაკეცე სადმე და სული დაკლია,
სომ საძალედ გახდა ჩემი ლეში... რად მეძახა, რად!..

შეჭკივლას ესლას კი ხმა-მადლა კილაცას კენესითა და კაებითა
და მაშინვე გადაჭხკვდა ცეცხლს-პირას მწოლარე ბებერ დედაკაცს, სომ
არ გამოკლავდა და არ შემიტყუო.

მარტო ძალმა წამოიხედა; პირველში ერთი ურუდ ყელში
წამოიუფო და რაკი დაინახა პატრონისა და სსკა არაკინ, წინანდებუ-
რად წაჭყო კუდის ბოლოში ცხვირი და არხეინად ისევე ძილს მიეცა.

ბებერს კი ისევე ისე გულისანად ეძინა.

— სძინავს!... სთქვას ისევე ჩემად სნეულმა: მეც ძალე დაკიმი-
ნებ... სულთა-მსუთავი კარს მირაკუნებს. დავიძინებ და მადლობა
ღმერთისა, აღარ გაკიდეკიძებ... მეუფათა...

ამის თქმასკად სნეული გაჩუმდა, თათქო, რაც სტიოდა,
დაუძინა.

— კიდეკი!.. კიდეკი მეძახის!.. დღევანდელ დღეს დაიბადა, დღე-
კანდელ დღეს!.. მოკდივარ, მოკდივარ!..

სთქვას და ქვეშაგებში უღონოდ წამოჰდა. ტანისამოსი იქვე
თავით ელახა. ჩაიცივს თბილი წინდები, თბილი ახალფეხი, ზედ გა-
დიცვა კაბა, მოიხვია თავს შავი შალი, გადმოცოცდა ქვეშაგებიდან,
წაჭყო ქოშებში ფეხი და უღონობამ სძლია, ფეხი წინ კერ წასდგა.
დახარბაცდა და ცაღის ხელით ქვეშაგებს უგანვე გადაეჭინა, — არ
წავიჭტო.

ცოტა ხანს კერე ხელ-დაბჭინილი იდგა გარინდებულად. როცა
პატარა მოსუფაიქდა, მისწვდა ჯოხს, ქვეშაგებსკად მიუფდებულს,
და ფეხ-აგრებით გაკიდა სასლიდამი. უღონოს სიარულით ესო გაი-
არა, ორისაკ ხელით წინ წამდლოლი ჯოხსკად დახდობილმა; ესოს
კარინდამ რომ ავითმყოფმა ფეხი ორდობეში გადმოხდგა და დაი-
ნახა ახლად მოსული, ფეხ-უსლებული თოკლი, სთქვას:

— ჯერ უწმინდური და მურტალი ფეხი ადამიანისა არ მო-
ხვედრია და არ გაუცოდვიანებია ეს უცოდველი თოკლი... კიდეკი!..
მოკდივარ, მო!..

ფრთხილს ძალღს ჰატრონის გარედ გასულა არ გამოეპარა. ადგა, ნაცრინი ბალანი ერთი ორჯულ შეიბერტა, გაბობლა, ტანი დაიბქელა, ჯერ წინა ფეხები დაიჭიმა, მერე უკანა, გაიშორა, დაამთქნარა და ზღაზენით გაკვიდა ჰატრონსა. დერეფანში რომ გავიდა, ჰატრონი აღარსად სჩანდა. ჩასტა დერეფნიდან კზოში, თოვლზე ახალი ნაფეხური ჰატრონისა დასუნა და აუნჭარბელების მუნძულით აედგენა კვალსა.

ბებურმა დედაკაცმა კი კერ შეუტეო აკადმიოფს გაშარვა. იმას ისევე გულიანად ეძინა. (ტ. III გვ. 175—178).

და როცა შემცხვარე თუშებმა ძალღის დედილზედ სასაფლავს მიაგნეს, ნახეს: მკვდარი, საფლავზედ გარდი-გარდმო გადაჭრულიყო. ფეხები აქეთ შირას მიწასუდ ებჟინა თითის წვერებითა და ორივე ხელი იქით შირას გადაკვიდნა, თითქო სდომების მთელი საფლავი ქვითა და მკვდრით ერთის სვეკით გულში ჩაკერა... (გვ. 180).

ესე დამთავრდა გიორგისა და მისი დედის ცხოვრების ამბავი... აჩილი და კესო მსოფლოდ სენტიმენტალურ ცრემლებს ფრქვევას მიეცნენ.

დიდი ძლიერი ნიჭი სუცხვო მსატვრისა გამოიჩინა თ. ილ. ჭკაკაკაძემ უბედურის მეწისჭვილე სოსიას ტიშის დასურათებაშია. სამგან გამოჩნდება სოსია მთხრობაში, და სამგანვე სურათის შთაბეჭდილებას საშინელის ტრაგიზმით აკსებს... ერთხელ, როცა გიორგი მამაკედავად გდა და აჩილი შეშოეთებულა, სოსია ტირილის ხმითა დედას. «შექტეო თუ არა ეს ამბავი, მოკარდნილიყო, შეპარულიყო ოთახში, საცა გიორგი ესვენა და ბნელ გუთხეში მობურული ქვითქვითებდა ჩუმიად, თითქო ეშინიან არავინ გამოეოსო. მერევე, როცა ოთახანთ ქვრივი მარტოდ მარტო დასტირის თავისს შეიღს: ერთს გუთხეში, რომელშიაც ნამეტნავად ბნელადა დაინახეს მობურული ბებური მეწისჭვილე. როცა უკვლანი გავიდნენ, სხვებს არ გაჭელოდა და აქ ბნელს გუთხეში ქურდულად მიმალულიყო. მესამევე, როცა შემცხვარენი ოთახანთ ქვრივსა ნახვენ მიცვალებულს საფლავზედ: «სოსია მეწისჭვილეს ესლა ორივე მუხლი მკეყარა უსულო ოთახანთ ქვრივის წინ. იმისი მკვდარი ხელი ხელთ ეჭირა და ქვითქვითებდა ჩუმიად კილაცამ ფე-

სინე წამოჭერს საწყალ მოხუცს, ეს ვიღა ოხერია ფეხში მედებო, და ღონიერად წაჭერს რა ფეხი ბერ-კაცს დაატანა: წადი, იქით გაერთიეო.

დაბრეიებულ ბერი კაცი გადაიქცა თოვლზედ. როგორც იყო წამოდგა და როცა ტყუის კალთებს თოვლისაგან აბურტყავდა, უთხრა ხელის მკერულს: «ცოცხალზე არ გამსნარა წუთი სოფელმა და მკვდარსედაც აღარ მსტირეთო! ცოდო კარ, შვილო, ცოდო». ეს სოსიკა გარდა იმისა, რომ მშინიერი ტაპა ბედისაგან დასაგრულის და მოძულეულის ადამიანისა, რომლის უშნო გარკვნობა ჭთვარს ისეთს ქლიერსა და ძალაღს გრძნობიერებას, რომ ოცდა ათი წელწადი უყვარს ქალი. როცა გასათსოვარი უთხოვია, დაუწუნიათ, როცა დაჭკრივებულა, კვლარ გაუბედნია თსოვნა, მაგრამ ოცდა ათი წლის განმაჯლობაში უნუგუმოსა და თანაგრძნობას მოკლებულს თავისი გრძნობის წმინდა ტუცხლი მანინე არ ჩაუჭკრია და ყოველს განჭირების დროს ამ ქალის ერთად ერთი ჭეშმარიტი თანამგრძნობი იგი ხდება...

ყოველ ამის გარეშე იგი რაღაც უნდაურ სიმბოლეს წარმოადგენს, სიმბოლეს ერთის ადამიანის გრძნობის მეორისაგან შეუგნებლობისას. სამკურ თითქო მიტომ გამოდის სტენასედა, რომ დასახვოს მკითხველს, თუ რა რიგად ყოველგან, საზოგადოების ყოველ ადგილსა და ყოველს საფეხურზედ სუფიეს იგი შეუგნებლობა ერთმანეთისა, იგივე გულის სიგრილე და იგივე მძრტობა სულისა, რომელსაც დასტიროდა ყოველი დიდ-სუფოვანი მწერალი შექსშირიდან მოკიდებულ ბარათაშილამდე. ამ სახით სოსიას ტაპი ესეთის ფილოსოფიის გამომსახველია და მით ბეკრად უფრო ზოგად და დიდ მნიშვნელოვან სურათად რჩება, ვინემ თვით უმთავრესი გმირი მოთხრობისა გიორგი.

დაიღ, ეს მძრტობა სულისა, ეს ერთმანეთის გაუგებლობა, ერთმანეთის მიმართ გულ-გრილობა კაცთა პირუტყუობის მანკენებელია და მთელის მოთხრობის უმთავრესი ტემა.. გიორგის გრძნობებს კესო ვერ გებულბს მიტომ, რომ მათ შორის წოდებრივი განსხვავება; სოსია მწიისქვილის კაებას ოთარანთ ქერივი არა თუ უურადლებას არ აქტეკს, მის თანაგრძნობას უგებხად აქტეკს, არა

მკითხე მოამბედ მიიჩნეს; გულ ცივ ხალხს კერძ კი წარმოუდგენია, თუ შესაძლავა სოსიასებური ძლიერი და ძალადი გრძნობა და საწყალი ბერეკაცი სობრალულის მაგერ რისხვასა და წერომას იწკვეს მათში. სუფით ობლობასა გრძნობს, სუფით უნუგეშოდა რჩება ოთარანთ ქვრივი, რაცა მისი შვილი მხარულად გაკეპსაგება სატრფოსთან მოჰამაგირედ. «დიდხანს ადევნა თვალთ დერეფნიდან... დიდხანს ადევნა, დიდხანს, მინამ თვალთაგან მიეფარებოდა შვილი, თითქო სმა-ამოულებლად ისევე-იმუდარებოდა, ერთი მანც შემომსედოსო. მაგრამ გიორგიმ უკან აღარ მოიხედა».

გეროსსვე გულ-გრძობას, კადეკ მეტ სიმკაცრეს მიიღებს ჟილდოდ სოსიაც, რაცა თავისი საღმერთებელის ადამიანის საცოდებობას კვლარ უძლებს, ტირილი ყელში მოეჭინება და ძროხასაკით ბღაიფს მოჰყვება... ამ ადამიანისაგან შეწყენარებისა და მადლობის ნაცვლად ესმის აქ შენ ადგილი არა გაქვს, მომშორდიო.

მაგრამ ისეთი მარტობა და შეუბრალებლობა ადამიანთაგან არც ერთს არ შესგედრია, რეგორც ბედშავს მეწისქვილეს: გიორგის დედა თავს ეკლებოდა, ოთარანთ ქვრივს სოსია თანაუგრძნობდა და თანა ჰყვებოდა, საწყალი სოსია კი მეცხვარებამც არ დაინდეს, თავისის მკირფასის არსების საფლავსკედ ტირილიც არ დაანებეს და თვისს კვრით გააგდეს, იქით გაეთარეო.

დიად ცოდო იყო სოსია ჭ ცოდო არის ყველა ამ წუთი სოფელში, ყველა, ვისაც არა ღირსებია მადლიანი თანაგრძნობა და სობრალუდი, რომელსაც არა ღირსებია სულის მეგობარი, სულის თვისტომი.

ეს მოთხრობა უნდა ჩაითვალოს თ. ილ. ჭავჭავაძის შედევრად შრომასში ისე, რეგორც მისი «განდევნილი» შოკეაში. ორივე ნაწარმოები უკანასკნელი ხანისა, რაიცა ამტკიცებს, რომ ავტორს თავისი ნიჭი განუერთარება, შეუმიშავება და მისი ზრდისათვის სული შეუწყვიტა, ეს ქართულის ლიტერატურისათვის არა ჩვეულებრივია. *)

*) ჩვენ ბევრს ვერას ვიტყვით თ. ილ. ჭავჭავაძის უკანასკნელ მოთხრობა უტყნაურ ამბავის შესახებ. თუმცა მიუხედავად ზოგთა კბილთა დრკენისა თ. ილ. ჭავჭავაძემ ამ მოთხრობით მართლა დაამტკიცა, რომ ქართველის ერის მაჯის ცემის ყურის მგდებელია... იქ გამოყვანილი სემინარიელის სოლომონის ტომი, თუმცა ჯერ მხოლოდ აღნიშნულია, მაინც ავტორის ჩვეულებრივის ნიჭისა და ხელოვნების საბუთს გვიძლევს. გარდა ამისა ეს მოთხრობა არის პირველი საყურადღებო ცდა ჩვენ ინტელიგენტთა წოდების სულიერ თვისებათა დახასიათებისა.

მართალია ეგრეთ წოდებული კომპოზიციას, ტენსიკურა მხარე მოთხრობისა, გარეგანი მისა შემუშავება ბეჭდვად უფრო ბრწყინვალეა «ყანა ადამიანში», რომელშიანც ერთი სტრიქონი, ერთი სიტყვა მეტი არ არის, მაგრამ სამაგეოროდ ფილოსოფია მოთხრობისა უფრო დრმა და შემდეგ თვით ტიზები აქ უფრო ზოგადნი არიან.

დუარსაბი და დარეჟანი დიდის სინამდვილიათა და სელაგინებით არის დასურათებული. ბეჭია მათში საზოგადო ელემენტი, მაგრამ მანც უფრო ერთის დრმისა და ერთის საფხის თვისებათა გამომსატყელნი არიან. ოთარანთ ქერივი კი თავის სასტიკი და მკაცრი გარეგნობით, მაგრამ აჩსებითად კი გულჩილი და გულმობიერი და ადამიანურის ძეგალეობის მტკიცედ შემგნები, ისეთი ხასიათია, რომელიც ქართულს ნიადაგზედა და ქართულს ტანისამოსშია აღზრდილი, ხოლო ზოგადი ტიპი კია, საზოგადოდ ადამიანისა და არა კერძოდ, მარტო ქარაუელის თვისებათა გამომსატყელი.

და სოსია ეს ბეჩავი, დეთისაგან და კანისაგან მოძულეული, მაგრამ დრმა გრძნობით აღსაესე არსება, კანთა გულ-ქვაობის მსხვერპლი და ნიადაგ სულთ დაობლებული. ეგრე მსოფლიო ვარძმისა და კავშანის, ადამიანთა «სულის მარტოობის» გამომსასველი სიმბოლოა.



ამით ვათავებთ ჩვენს მსჯელობას თ. ილ. ჭავჭავაძის სალიტერატურო მოღვაწეობის შესახებ *) ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ თ. ილ. ჭავჭავაძეა ჩვენი პირველი რეალისტი პოეტი და პროზაში საუკეთესო რეალისმის დამამკვიდრებელი **) პოეზიაში ილ. ჭავ-

*) ჩვენ აქ არ შევეხებით მის პატარა მოთხრობებს («სახარბოვლოზედა», «ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი») და არც «გლებთა განთავისუფლების პირველ დროის სცენებს». ესენი ახალს არას წარმოადგენენ მის ნაწერებში, არიან მხოლოდ სხვა მოთხრობებისა და პოემების მიზაქვა. არაკით კი არა, ხელოვნების მწრით, «სცენები» იმავე «კაცია, ადამიანის!» ავტორის არის, იმავე სასტიკის სატირიკოსისა, რომელიც შხამიანის სიცილით სამარეს უთხრის იქ გამოყვანილს პირებს, რომელნიც ახალ რეფორმების შემდეგ დამკვიდრებულ პირობებში მოქმედებენ.

***) არ უნდა დავივიწყოთ რომ რეალიზმის შეტანი პროზაში თ. გ. ერისთავსა ხედა წილია. მისი კომედიები არიან პირველი მაუწყებელნი ახალის რეალურის მიმართულებისა ჩვენს ლიტერატურაში.

ჭავჭავი შემეგვიდრეს ჩვენის დიდის რომანტიკოს-პოეტებისა და იმათი ზედგავლენას ემჩნევს მის ზირკულ ლექსებს, და პოეტებს. ბოლოს კი სრულიად განთავისუფლდა ამ გავლენისაგან.

წინამორბედ მწერალთა გავლენამ უფრო ძლიერად იზინა თავი ილ. ჭავჭავაძის პროზაში, სადა ჩვენს დიდებულ მწერალს ბევრი შეაქვს რომანტიული ელემენტი... მაგრამ სუსტი რომანტიკოსია, იგი პროზაშიც ძლიერი რეალისტი. ეს მხოლოდ ლიტერატურის მსგელობის ბრალი იყო, რომ მას შერჩა ნაწერები რომანტიკოს მწერლისა, თორემ ნამდვილმა რეალურმა მისმა ნიჭმა შექმნა უკუდავი სურათები ქართულის ცხოვრებისა; ლუარსაბ და დარეჯან, დათიკო და აჩილი, ოთარანთ ქვრივი, სოსია და სხვ.

პროზაში ილ. ჭავჭავაძის შეგირდები არიან ბ. გ. წერეთელი, რომელმაც საღი და აზრბანი რეალიზმი უკიდურესობამდის მიიყვანა და უფროსად ნატურალიზმად გადააქცია და მისი მიმდევარი მწერლები ბ. მელანია, ნინოშვილი. «კაცია ადამიანი?» ის ავტორის რეალიზმს ჭეშმარიტი შემეგვიდრე სულ ბოლოს ხანს ამოუჩნდა ბ. დ. კლდიაშვილის ნაწარმოებში.

პროზაში თ. ილ. ჭავჭავაძის შემეგვიდრეს აგრეთვე ბ. მოხუბარაძე (ყაზბეგი), ეს მეორე დიდება ჩვენის ლიტერატურისა. მან განავითარა მეორე მხარე ჭავჭავაძის მოთხრობისა, რომანტიული. მხოლოდ მისი დიდის ნიჭის ბრალია, რომ უდროოდ დროის რომანტიზმი დაამკვიდრა ლიტერატურაში და მოსაწონებ გადასდა. ამაში, ხელს უწყობდა მას ისიც, რომ ფსიხიოლოგიური ელემენტი შეიტანა მოთხრობაში და ამით თანამედროვე მოთხრობილებს და გეო დაამკვიდრა... აზრი მისი ნაწარმოებისა, რომ ზემოთაც მოვიხსენეთ თ. ილ. ჭავჭავაძის «მეზავრის წერილებში» მოიხატა. ყაზბეგის მიმდევარნი შეიქმნენ ლიტერატურაში ბ. ანაგვისპირელი, ვახუშტაძე და დეკანოზიშვილი, რომელთაც ფსიხიოლოგიური ეტიუდები შექმნეს.

პოეზიაში კი ერთად თ. ა. წერეთელთან მან მიიყვანა რეალური პოეზია იმ საფეხურამდის, რომლის წარლება შეუძლებელი შეიქმნა ჩვენის ლიტერატურისათვის და დაუდგა სათავე რომანტიულის ელემენტებით შეფერადებულს რეალურ ლექსებს ჩვენის ასაღ-

გაზდა პოეტებისას: ძმანი რაზიკაშვილი, ცასელი, აბაშიძე, კედ-
შვილი და სსკ. ზოგიერთმა ამათგანმა სიმბოლიზმის დაგვარი ლექ-
სებიც კი შექმნეს ჩვენში: ვაჟა-ფშაველა, ბახანა ცასელი და ამაშია
თ. ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის პოეზიის ზედ-გაკვების
ქვეშე იმყოფებიან.

ესდენ დიდია მნიშვნელობა თ. ილ. ჭავჭავაძისა ქართულის
ლიტერატურისათვის. ჩვენის ლიტერატურის ერთის (რომანტიზმის)
დამამთავრებელია იგი და ახალი მიმართულების (რეალურის) დამწყე-
ბი და განმამტკიცებელი.

40 წელიწადია მას აქვთ რაც ეს კაცი თავს ადგია ქართულის
ერის ინტერესებს. შემგნები, ვით განდეგილი, რომ ქართულს ერში
«დიდი საგანი სპობილა და წაწმედია» და ნაცვლად «ლაღვა, შუ-
რი და მტრობა დრმად ჩანერგულა», «ცოდვის სადგურად გარდაქ-
ცულა, «სად რეკნა, წაწმედა და ღალატა, სადაც ძმა ჭსაობის
სისხლსა მმისასა, სად ცილი, ზაკვა ძუღებადა ჭხდის წმინდა სიუ-
ვარულს მეგობრისასა», — ყოველივე ამისა კარგად შემგნები თავს
დასტრიალებს თავისს სამშობლოს, როგორც მისი ოთარანთ ქრია-
ვი თავისს «განძსა და ანდერძსა» და თავის ოჯახს, არავის შარ-
ჩენს ხოლმე ჭავრს თავისის ერისას, ტყუილ-უბრალოდ არავის
დაჩხაკვინება. პოეტს შეუძლია მისი «აჩრდილის» მოხუცის სიტ-
ყვები გაიმეოროს:

„მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა!
მე ვარო შენი თამდევი, უკვდავი სული,
შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა,
ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული.
მეცა ვტანჯულვარ, ჰე ბედ-კრულო, შენის ტანჯვითა
შენის ცრემლითა თვალნი ჩემნი მიტირებია
მეც წარტყვევნილვარ წარსულთ დღეთა შენთა ნატვრითა
შენის აწმყოთი სული, გული დამწყულეებია“. (I ტ. გვ. 230)

პოეტს გულ მოშხამულს ჩვენის აწმყოთი, მაინც ყოველთვის
სასოებით აკსება «შიად იყრანანი სარტყელი ცისა, რომელიც გადა-
იფინებოდა ხოლმე მის ქვეყანას მასარობლად ტკბილ იმედისა» და

ამხეკებად გულ-გიტქსილ თავის ერთად, თუ აწმყო არა გეწყალობს,
მომავალი ჩეენიაო.

ეს რომელი წელიწადი იმის ნატურაში გაატარა, რომ ბირ-
კელად დასწვდეს იმ აკვანს, რომელიც თამარ დედოფალს დაზალ-
თის ტბაშია ჩაუდგამს და თუმც ეს არ ედირსა, სამშობლო ქვეყ-
ნა მანც ძეგლს დაუდგამს მისთვის, რომ ეს მივიწყებული აკვან-
ნი—იდეალი და აზრი ცნობრებასა—მას მიაგონდა და თვალ წინ
დაუყენა.

კიტა აბაშიძე.



ნოყიერი და ვემრიელი ნივთიერებანი

პროფესორის რ. ვინჩოვისა*)

დიდის ნდობით ასახელებენ შესანიშნავ მეცნიერს კიუვიეს, როგორც სრულ უფლებიან მსახურს ამ კითხვისას. უსაფუძვლოდაც არა, ვინაიდან კიუვიე პირუთვნულად აფასებს კაცის ბუნებრივ თვისებებს. ხოლო გენიოსს მეტყველს ბუნებისას არ შეეძლო არ მიექცია თვისი ყურადღება იმ გარემოებისათვის, რომ კაცი, ჭკუაგონების გაძო, მეტს და მალაღს კულტურას მიიღებს, ვინემ ბუნებრივად და პირველ-ყოფილი მდგომარეობა წარმოადგენს; სულიერმა ნიჭმა აღამაღლა იგი პირვანდელ ცხოველურ ორგანიზაციას და საჭმლის აჩქარანი გაავრცელა იმდენად, რამდენადაც მეტ ღონისძიებას ზოგულობდა იგი მის შესამზადებლად. ყველა ცხოველთაგან მხოლოდ კაცმა ისწავლა საჭმლის შემზადება; მხოლოდ მან მოიხმარა ტექსტი და მოიგონა მრავალი შესანიშნური მოწყობილება, რომ საჭმელი მოამზადოს სუფრისათვის. ეს აზრი საუცხოოდ აზის გამოსატყუდი ირლანდიის წარჩინებულის ექიმის გრევის მიერ: «კაცია ერთად ერთი საჭმლის მსარქველი ცხოველი.» გეგეტარნიანი დაუთქვრებლად ანსობს და სჭამს ზურს, ხარშავს ყველა ნაირ მტენარეების ძირეულობას, კარტოფილს და შემზადებულ ხილეულობას მიირთმევს; ამ გვარი ჩვეულებების ახსნისათვის სრულიად უსაფუძვლოდ უთითებენ პირვანდელი კაცის ორგანიზაციას და არა იმისას, ვინც ხორცსა სჭამს და ამით ამტკიცებს, რომ კაცის კბილებს შეუძლიან დაღუჭოს შემწვარი და მოხარშული ხორცი და აგრეთვე მის გუჭს შეუძლიან გახსნას და ქიმიურად

*) „მოამბე“ № VIII, 1898 წ.



შესწავლას ეს საჭმელი, თითქოს იგი ყოფილიყოს დანიშნული მისთვის თავდაშირველადვე.

ღორის და დათვის საღებავ და მოსახლეებელ ორგანოების წყობილებას აქვს მზგავსება კაცისა და მაიმუნების თანხაზარ ორგანოებისა. ამისდა მიუხედავად ისინი საჭმლის არჩევაში არავითარ რაიმე საგნებს არ აძლევენ უშირატესობას, არამედ წარმოადგენენ ყველა ხარისხს წმინდა მცენარის მჭამელ ცხოველიდან სორცის მჭამელ ცხოველამდე გადასვლისას. არც ერთი ამ ცხოველთაგანი, აგრეთვე არც ერთი მაიმუნი კბილების წყობილებით არ წარმოადგენს კაცის მზგავსებას; ცალ-ცალკე ერთმანეთში და კაცთან შედარებით ბევრს განსაკუთრებულს წარმოადგენენ და აქამომდე სისრულით ახსნილი არ არის, საჭმლის თვისების მიხედვით მანც, ეს განსხვავება. ეგრედ წოდებული კაცის მზგავსი მაიმუნების (ანთროპომორფნი) წინა კბილები და ეშვები უზომოდ განსხვავდებიან ადამიანის ამ გვარსავე კბილებისაგან. კიუვიეს სჯა, დარწმუნებული ვარ, სულ სხვა იქნებოდა, რომ მის დროში ევროპას ამ გვარი მოზრდილი მაიმუნები სცოდნოდა. კიუვიეს ჰქონოდა ახლგაზდა მაიმუნის თავის ქალა, მაგრამ სიუმაწვილეში მაიმუნი ძლიერ ჰგავს კაცს, განსაკუთრებით, ძუძუს წოვის ყამს.

ჯონ გენტერმა, ერთმა საუკეთესო ბუნების მეტყველთაგანმა, შენიშნა, რომ კბილების წყობილება ყოველთვის არ ეთანხმება საჭმლის გვარს ანუ კუჭის აგებულებას; წინააღმდეგ ამისა, ის ამტკიცებდა, რომ შირის ფორმასა და კბილების მოთავსებულებას ყოველთვის განსაზღვრული დამოკიდებულება აქვს მასთან, თუ რაგვარად მიიღებს და დაიჭერს საჭმელს ცხოველი. გენტერის სიტყვით სორცის მჭამელთ ძლიერ მოკლე შირი აქვთ და სწორად დამწკრივებული კბილები; ბალახის მჭამელთა ყბა კი უფრო გრძელია, ვინემ ამას მოითხოვს კბილების რიცხვი. ეს გარემოება მეტად საყურადღებოა, ვინაიდან ამ შემთხვევაში კაცის სიცოცხნარი ორგანოები ძლიერ განსხვავებული და თავისებურია. კაცის სახე ისე მკაცრად არაფრით არ გამოიხატება, როგორც ყბების სიმცირით. რაც უფრო კეთილშობილია კაცი, მით უფრო შატარა ყბები აქვს. ძლიერ გამწვული ყბები სახეს რაღაც ცხოველურს გამოემტკველებას აძლევენ, რომელიც მოსდგამს კაცის მზგავს მაიმუნებსაც.

ასკა თუ ისე, ჩვენ მივასწევთ იმ დასკვნამდის, რომ კაცი სსვა-
და-სსვა სსკმდის მისაღებად არის მოწოდებული და, თუ ვერ ვბე-
დავთ ჩავთვალთ იგი ბუნებრივად სორცის მსკამელად, იმას მანც
უნდა დავეთანხმეთ, რომ მისი აკებულება მომზადებულ სსკმელს
უფრო ითვისებს, ვინემ უმისა. მე აქ მოვიყვან ამერიკელი კბილის
ქემის მაკ-კილენის საინტერესო მოსაზრებას, რომელიც მივიდა
იმ დასკვნამდის, რომ კაცს თავისი კბილების წყობილებით შუა
ადგილი უჭირავს ბალანს-მსკამელთა და სორც-მსკამელთა შორის,
რომ მას უჭჭურის შერეული სსკმდის მიღება, როგორც ბუნე-
ბრივად, აგრეთვე ჩვეულებითაც.

კაცობრიობის ისტორიას ცოტა ფაქტები აქვს მოყვანილი,
რომელიც ამ გვარი დასკვნის წინააღმდეგი იყოს. სამხრეთი სა-
ფრანგეთის მღვიმეების გამოკვლევაში, რომლებშიაც იყო ნახული
მუნივარი-პერიოდის ხალხის ნაშთი და აგრეთვე პირვანდელ-დროის
ნაშენების ამონათხარმა საგნებმა დაგვიბტვიტეს, რომ ჩვენი წინა-
პარნი სორცის მსკამელი ყოფილან: მათ ბინაზე ვხვდებით მრავალ
ძელების ნამტერეებს, რომლიდან ტინის ამოღება მოსდომიანთ.
ნადირობისა და მეთეეზეობის ნიშნები უძველეს დროიდან არის
აღმოჩენილი ძველკვართ მიერ. მუნახირობა ადრე შედის ჩვეულებად,
ვინემ გაწობილი მიწის მუშაობა, რომელიც მომეტებული მტენარეებით
კვების ნიშანია. თუმც არის ბენიერი მსარე, სადაც ბუნება უსვად
იძლევა კარგი სსკმდის ვეკა შემადგენ ნაწილებს უშრომოდ, სო-
ლო ძლიერ ცოტა; უმეტესად სამხრეთი რკანის კუნძულები იყო
ამ გვარი, სადაც ველური დიდ-ხანს კმაყოფილდებოდნა შეუმუშავ-
ბელი ბუნების მისაღით. ძრეულ საეკვოა, რომ რომელიმე ამ ადგი-
ლთაგანი კაცის აკვანი ყოფილიყოს. არავითარი კულტურის ნიშან-
წყალი არ იხვდება ამ ადგილებში.

მიწის მუშაობა, რომლისთვის აგრეთვე ბინადრობა არის სა-
ჭირო, ნამდვილი ძალი კულტურის ნიშანია და შეიძლება კიდევაც
ითქვას, რომ ჭეშმარიტი საფუძველია კულტურისა, მხოლოდ მიწის
მუშაობა აერთებს კაცობრიობას დასებად: ნიადაგზე გაკლებულ
ყოველ კვალთან ერთად, საზოგადოება იქნის ახალ საშუალებას გა-
მრავლებისა და თავის დაცვისას.

სულ ცოტა ხალხმაც რომ იცნოვნოს ნადირობით და მეთუ-
 კნობით, საჭიროა მეტად ვრცელი და ახალ-ახალი ადგილები-
 დაუდგრომელ ცნობებს ეძლევა მათინ ადამიანი და არაკითარი
 წინ-მსჯელობა არა აქვს არაიერ საქმეში; ამავე ადგილზე შეიძლება
 რამდენიმე მილიონი ხალხი დასახლდეს და არამც თუ გამოავლდეს,
 არამედ სულიერადან განკითარდეს. მაშასადამე, გაძლიერებული მცენ-
 რეული-საჭმლის სმარება ეკუთვნის ბოლომდე ეპოქას კაცობრიობის
 ცნობებისას, ვინემ პირვანდეს. ინდოეთის მცნობებებმა, რო-
 მელნიც კეკეტარინებს მოჰყავთ მაგალითად, ნადირობა და ხორცის
 ჭამა შეგვალეს მცენარეულ საჭმელზე სულ უკანასკნელად შეკვლილი
 სარწმუნოების. შედგაკვლით.

რასაკვირველია, კაცს ხორცის უჭმელადან შეუძლიან იცნოვნოს,
 როგორც ბალხის მჭამელ ცნობელს. ხალხი მის შეუძლიან იცნო-
 ვროს მარტო ხორციით, როგორც ხორცის მჭამელ ცნობელს.
 თანამედროვე მაგალითად შეგვიძლიან მოვიხსენიოთ კირგიზები
 და ესკიმოსები. ისტორია გვასწავლის, რომ ზოგ-ზოგი ხალხი
 სცნოვნობდა და სცნოვნობს ახლაც უმთავრესად აზოტიური სა-
 ჭმელით, ზოგნი კი წინააღმდეგ, ხასშირბადოვანით. მაშასადამე,
 აქედან არაკითარი დასკვნა არ შეიძლება გამოვიდეს არც ერთის და
 არც მეორის მხრივით. მაგრამ იგივე ისტორია მოწმობს, რომ მთელ
 კაცობრიობაში უმთავრესი წარჩინება მიიღო იმ ხალხმა, რომელიც
 შერეული საჭმელით იკვებება. რომელიც ჰყავს, რომელიც განიწვევა
 აქტიური გულტურული კრის სამშობლო, ერთნაირად უწყობს
 ხელს მიწის მუშაობას და მენახირობას; ხალხი პოლიუსზე მდებარე
 ადგილების ჰყავს თხოვლადს განსაკუთრებით ხორცეულ საჭმელს,
 ტროპიკული ჰყავს — მცენარეულს. ჩვენთვის, რომელიც ჰყავს მცნობებ-
 თათვის, ცხადია, საჭიროა მისი ცოდნა, რაზომით უნდა შეკვირიოთ
 ორივე ნაირი საჭმელი და არა მისი, რა ქვეყნის მცნობებთ ეკუთ-
 ვნივთ ჩვენ. როგორადანც მიწის მუშაობა და მენახირობა ერთმანეთთან
 არიან შეკავშირებული, რათა ხალხს საკმარისი საჭმელი ჰქონდეს,
 აგრეთვე თითოეული კრი, რომელიც რთულ საზოგადოებრივ ცნო-
 ვრების ფორმას უახლოვდება, უნდა შეუდგეს ორივე საჭმლის შო-
 ვნის ზრუნვას.

ვეგეტარიანები მართლანი არიან იმაში, რომ მცენარეული საჭმელები იძლევიან მართლად მეტ ნოეიერ მსხალას, ვინემ აქამდე ფიქრობდნენ ამას. ქიმიური შესდგულებით ყურადღებას არ აქცევდნენ მას, რომ კაცის სხეულის ქსოვილები მარტო აზოტიური ნივთიერებიდან არ არის შედგენილნი. ესლა კი ვიცით, რომ შაქარი მოიპოვება, როგორც ერთი შემადგენელი ნაწილი, იმისთანა საყურადღებო ორგანოებშიაც, როგორც მაგალითად ტვინი და კუნთები. მეტად გავრცელებული არის სხეულში სიმსუქნე და დიდად შემცდარი იყო ის აზრი, რომ მსუქანი ქსოვილები, რომელნიც შეადგენენ ძლიერ საჭირო ნაწილს სხეულისას მთლად გამორიცხულნი იყვნენ განხილვისაგან, თითქოს სხეულში სრულებითაც არა ყოფილიყვნენ; უმეტესი ნაწილი მოზრდილი კაცის ძვლებისა შეიცავს შიგნით ტვინს, რომელიც მეტად საჭიროა ძვლების მრთულად შენახვისათვის. კანის-ქვეშა ქსოვილებში იმდენი სიმსუქნე არის, რომ მის რაოდენობაზე არის დამყარებული კაცის გარეგანი შესდგულება: შირის სხსე, ტანისა და ფეხ-ხელების მოსაზრელობა, მთელი გარეგნობა და თითქმის, სილამაზეც. ღამაზად ყოფნის სურვილისა გამე კი არა, არამედ მიუცილებლად საჭიროა ჩვენის ორგანიზმისათვის სიმსუქნე. მსუქანი ქსოვილები ინახავენ სხეულის შინაგან ნაწილებს გარეგან მოკლენათაგან; იფარავენ, შიგ სხეულში სითბოს. მძიმე ავითყოფობისაგან გამოზრუნებულს დახედეთ: როცა გამხდარია და თითქმის ძვლები მოუჩანს, იგი მცივანა და მხდალია, ხოლო როცა მისი სიმსუქნის ქსოვილები ქონით აივსებან, იგი მეტს ძალასა გრძნობს და ღონიერდება. ტან-მრთელობა შეუძლებელია, თუ რამდენიმე სიმსუქნე არ აქვს ცხოველს.

ამას უნდა დავუმატოთ კიდევ ისა, რომ თვით ქსოვილების აგება, ზრდა და ცხოველის აგებულების შედგენა არ შეიძლება, თუ შაქარი და ქონი არ შეუერთდა ორგანიზმსა. ამას გვასწავლის ჩვენ შედგენილება კვერცხისა, რომლიდან გაიზრდება ახალგაზდა ცხოველი და რძის შედგენილება, რომელიც ნორმალურს და შეუნაცვლებელ საჭმელს წარმოადგენს მოზარდი და განსაკითარებული ორგანიზმისათვის. ყოველ შემთხვევაში ქონისა და შაქრის გარდა საჭიროა კიდევ ცილის რომელიმე გვარი, ესე იგი აზოტიური, ნივთიერებანი; მაგრამ

აქედან არ ითქმის ისა, რომ აზოტოური ნივთიერებანი მარტო იყოს ნამდვილი საკვები, და დანარჩენი ყველანი სითბოს მომგვრელი.

ამ გვარ წარმოდგენას მიტი მნიშვნელობა ჰქონდა, სანამ იმ შესვლადან ით სულმდგანელობდნენ, რომ სსუული შეუჩერებლად იცვლება და ღორბინდება; და რომ ყოველი მოქმედება სსუულისა დამოკიდებულია მწრაფლ-ცვლასე ორგანიზმში იმ ნივთიერებებისა, რომელნიც ქსოვილებს შეადგენენ. ამის შესახებ ბეჭითმა გამოკვლევამ გვაჩვენა, რომ ეს აზრი ძალიან გაზვიადებული იყო და ქიმიური მცნების მიმყოფნიც თანდათან დაწმუნდნენ, რომ მხოლოდ მცირე ნაწილი აზოტოური ნივთიერებებისა, რომელსაც მიიღებს ორგანიზმი, ჩათვლება ნამდვილ საზრდოდ. უმთავრესი ნაწილი აზოტოური ნივთიერებისა იმ გვარადვე იცვლება, როგორც ნახშირბადოვანი ნივთიერება იწვის; ექიმმა სმიტმა დაამტკიცა ახალინით, რომ ამინასუნთქ ჰაერში ნახშირბადოვანი გაზი მატულობს, როგორც მომეტებული მუშაობის დროს, აგრეთვე აზოტოური საჭმლის მიღების შემდეგ.

ამ კითხვის გადაწყვეტა დაგვიანდა რამოდენიმედ, რადგან გამათი ატყდა მის შესახებ, თუ სად იცვლება აზოტოური ნივთიერებანი: სისხლში, თუ ქსოვილებში? ამ კამათს საქმისათვის არაკითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან ნახშირბადოვანი ნივთიერებათა შესახებაც არაკითარი ნამდვილი არ არის დადგენილი, თუ სად ხდება მისი დაწვა. მისი უმრავლესობა, რასაკვირველია, იწვის ქსოვილებშიც. ამისათვის დაჭყვეს ორნაირად და უწოდეს ორგანიული ცილა და შენახული ცილა: უგანასკნელმა დაწვის წინეთ უნდა გაიაროს ორგანიზმი; თუქტი ის არის, რომ უმეტესი ნაწილი აზოტოური ნივთიერებისა იცვლება ისე, რომ არაკითარ შესამჩნევ მუშაობას არ გამოიწვევს. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ აზოტოური ნივთიერებანი ცხოველის და კაცის ტანში მოქმედებენ, როგორც სითბოს მომგვრელი მასალა.

მასაზრდოებულ ნივთიერებათა დაყოფა განსაკუთრებით ნოყიერად და სითბოს მომგვრელად, როგორც წინად ფიქრობდნენ, შეუძლებელია. მაქარი და ქონი ნამდვილ მასაზრდოებულ მასალად ჩათვლება, ცილა—სითბოს მომგვრელად; შესაძლოა მივაჩვიოთ ჩვენ



სხეულის მეხანიზმი, მიიღოს ესა თუ ის ნივთიერებების ჯგუფი. მარტო ხორციით კვებით ორგანიზმს შეუძლია შეიმუშაოს სამეოფო შაქარი; მარტო მცენარეებით კვების დროს ცილას თესვებიდან და მარცვლებიდან იღებს. აი ამასი მდგომარეობს სარაციო თვისებანი ჩვენი ორგანიზმისა.

მასაზრდოებელი ნივთიერებები ესაჭიროება ორგანიზმის ქსოვილებს იმდენი, რამდენიც თავისი ნაწილები ესაჭიროება მუშაობაში; ჩვენ ვიცით კერძოდ, რომ აზოტიური ნაწილი ქსოვილებისა სულ მცირე ინარჩუნება მუშაობის დროს; აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ ტანის სიმრთელით და მომჭმედად შესახსენავად არც იმდენი ხორციელი საჭმელია საჭირო, რამდენსაც ამ უკანასკნელ დროს ფიქრობენ.

მცენარეულობა წარმოადგენს საუკეთესო მასალას სითბოს შესაძენად, ჩქარად მოსახლეობდა და სხეულის ნივთიერებათა ყოველ დღიურ შესამუშავებლად. ამისათვის მცენარეულ საჭმელს, რასაკვირველია ზურსაც, ზირველი ადგილი უნდა ეტაროს მასაზრდოებელ ნივთიერებათა შორის. მიწის მუშაობა მძლავრ ძალას წარმოადგენს, რომელიც ანტიოსნებს და აკეთილშობილებს სასიათსა და ზნეჩვეულებას. ამისათვის უნდა ვაქონიოთ იმედი, რომ მისი ზედგავლენა მით უფრო იმატებს, რამდენადაც თითოეული ჩვენთაგანი უკეთ შეიგნებს მის მნიშვნელობას. ზევით ნათქვამმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდის, რომ ნოყეა და სითბოს მომგვრელ ნივთიერებათა გარდა სხეულში არის შესამე ჯგუფი, რომელიც გართულია ქსოვილებში და სხეულში, სახელდობ მამუშავებელი ნივთიერებანი. თუმცა ფიზიოლოგიური მოქმედება გამოიხატება ამა თუ იმ მოქმედების ფორმით, რომელსაც კავშირი აქვს ნივთიერებათა შეცვლასთან სხეულის ნაწილებში, მაგრამ ყველა ქსოვილები კი არ იცვლება. ყველა ქსოვილი თავის სამოქმედოდ შეიცავს განსაკუთრებულ ნივთიერებას: სასხლს აქვს ის, რაც კუნთებს არა აქვს, კუნთებს ის, რაც ნერვების უჯრედებს არა აქვს. მუშაობით დანახარჯ ნივთიერებათა შესაკვებად ყოველი ქსოვილი ცალკე საჭიროებს სხვა და სხვა მასალას და სხვა და სხვა მოქმედების საწარმოებლად, შესაძლებელია, საჭირო იყოს სხვა და სხვა საჭმლის არჩევა. ხოლო

ამის შესახებ ჩვენ ძლიერ ცოტა რამ ვიცით. ნოეიერ ნივთიერებათა ამოწმების, რომელიც ორგანიზმს დანახარჯის შესახებად ესაჭიროება, ცოტა უზრუნველს გაქცევთ. ყველაზე უფრო რთული ბუნებრივი საჭმელი, რძე, რომელიც ამაყოფილებს ნოეიერების მხარეს, რჩება ყოველ შემთხვევაში უმთავრეს საშუალებად; ამის შესახებ ყველანი თანახმა არიან. დათანხმდნენ იმაზედაც, რომ შერეული საჭმელი უფრო შესაბამის თანამედროვე ადამიანის მოთხოვნილებასათვის.

ამისა და სხვა მრავალი ცდის მიხედვით დაადგინეს რაოდენობა კაცის საჭმელის შემადგენელი ნაწილებისა. მაგ. ფოიტიმა გამოარკვია, რომ კარგ მუშას საშუალოდ უნდება ყოველ დღეს 118 გრამი ცილა 538 გრამ ხორცში, თუ ამასთანავე კიდევ იგი მიიღებს 56 გრამ ქონს და 500 გრამ ნახშირ-წყალბოვან საგნებს, ესე იგი შაქარს და მის მზგავს ნივთიერებათ; ამასთანავე ქონი და ნახშირ წყალბოვანი სხვა და სხვა ზომით შეიძლება იქმნან მიღებული. შეიძლება გამოკვლევამ გაჩვენა, რომ ნაკლები ცილაც საკმარისია; მაგალითად მოიყვანეს ანონკლები, რომელნიც განსაკუთრებით მტენარული საჭმლით იკვებებიან. ამ გვარმა დაკვირვებამ კერძაში სინამდვილით დაამტკიცა, რომ სიცოცხლოდ კარგად შენახვა შესაძლოა იმ საჭმლით, რომელიც ასევე 5 ან ცოტა მეტ ცილას შეიცავს, თუ შედარებით ამავე დროს მეტი ქონი და ნახშირ წყალბოვანი იქმნებიან მიღებული. ეს გამოკვლევანი აქამომდე დამთავრებული არ არიან, ხოლო ეს უმეტესია, რომ კაცს შერეული ესე იგი, სხვა და სხვა საჭმელი ესაჭიროება.

უძველეს დროიდან კაცი ნოეიერ ნივთიერებებს საკომოსაც ურთავდა, ხან შერეული მასთან და ხან ცალკე. ყოველი ერთი, უწინარეს ყოველთა, რასაკვირველია, ირჩევდა მას, რასაც მის გარშემო მყოფი ბუნება აძლევდა, ხოლო რაცა ხალხთა შორის მისკლამოსვლა გასწორდა, გავრცელდა აღებ-მიცემობა და მრწველობა, ზოგი საკებო საგნები უფრო და უფრო გავრცელდა, ასე რომ განათლებასთან ერთად ამ ნივთიერებათა ხმარება საყოველთაო გახდა. საკმარისია მოვიგონოთ, მაგ. ყავის, თამბაქოს და ჩაის ხმარება. ეს ნივთიერებანი ყოველ დღიურ სახმარად გადიქცა, ღარიბთათვისაც კი.

ეტვის გარეშე, რომ ზოგაერთანი საგემო ნოვოთაიერებანი ნოვოთაიერებს მთავლებულნი არიან: არაინ არ ჩათვლის ნოვოთაიერად თუთუნს, ხაშხაშს და ბეტელს (ბეტელი მთავრეთ ოსტ-ინდიში, მის ფურცელს მწარე გემო და წითელი წვენი აქვს; სამხრეთ აზიაში ლეტკენ და წამლადან ხმარობენ. ბეტელის ლეტკე მონელებას ადვილებს და ადამიანს რამდენადმე ადგენებს) წინააღმდეგ ამას სხვები ნამდვილ ნოვოთაიერნი არიან მაგ. ყავა, ჩაი და ალკოოლიანი სასმელების უმეტესობა, სახელდობრ—ლედი, ღვინო და ზოგაერთგან არაყიც; მცნინერებაში იყო ბასი მას შესახებ, აქვთ თუ არა ამ დასახელებულ ნოვოთაიერებთ ნოვოთაიერებს თვისება. პრაქტიკულად ძლიერ საჭიროა გამოიკვლოს, რომელს მიეწერება ყავა, ჩაი და ჩვეულებრივი ჩვენი მარილი, ნოვოთაიერ თუ საგემო მასალას? ყავა და ჩაი შეიცავს ერთ და იგივე აზოტიურ ნოვოთაიერებს, კაჭეინს ანუ ტეინს,—დაბრლებულ სხეულს, რომელიც წინა ჩაიში სხვა ეგონათ, და ყავაში სხვა იმის მიხედვით, ჩაისაგან თუ ყავისაგან იყო იგი ამოღებული. ერთ დროს ყავას ნოვოთაიერად სთვლიდნენ; ვითომ იგი ნერვების მიერ დანახარჯის ადგილს იკავებსო. მხოლოდ ამ გარემოებაში, რომ ჩაიში ძლიერ ცოტა კაჭეინი იყოფება, უნდა აჩვენოს კაცს ამ აზრის სიცრუე. ყავის მარცვლებში კაჭეინი $\frac{1}{2}\%$ -ზე ცოტა მეტია. აქედან ცხადად ჩანს, რა ცოტა კაჭეინს ვიდებთ ერთი ფინჯანი ყავით ანუ ჩაით. შედეგ იმ აზრს დაადგენ, რომ ვითომ კაჭეინი აზოტიურ ნოვოთაიერებთან დაჭლეკვას აკვიანებს და ამიტომ კაცის სხეულის ქსოვილებს ისე კარგად ინახავს, როგორც ალკოოლით; მაგრამ გამოდგა, რომ ამ თეორიის ფაქტიური საფუძველი ტყუილია. ყავის ხმარება სრულად არ აკვიანებს ცილის დაშლას. ამ გვარი გამოკვლევით ბოლოს სიმართლესაც მივხვდით: გამოდიოდა, რომ კაჭეინი მხოლოდ ნერვების გამამხრეველი ძლიერი ნოვოთაიერებაა, რომელიც, თუ მეტი იქმნა მადებული, პირდაპირ სწამლავს კაცს. მაშასადამე ყავა და ჩაი მოქმედებენ რამდენიმედ ისე როგორც თამბაქო და ალკოოლიანი სასმელები; პირველი შეიცავს მეტის-მეტ ძლიერ სწამლავს, ხოლო მეორე უფრო სუსტ კაცს—ალკოოლს.

ამ ფაქტებს თავისი ნამდვილი მნიშვნელობა უნდა მივცეს, სწამლავებს სწავლა, როგორც ცნობილია, ძლიერ სათუთა. არ

არის არც ერთი ნამდვილი საწამლაკი, ესე იგი იმისთანა ნივთიერება, რომელიც სწამლაკედ, რა გინდ ცოტა იქმნას მიღებული. წინააღმდეგ ის ზიანი, რომელსაც ჩვენ მოწამლას ვუწოდებთ, მოგვივა ხოლმე მარტო მაშინ, როდესაც საწამლაკი საკმარისად იქნა მიღებული. ცნობილია კიდეც ისა, რომ კაცის ორგანიზმი იმდენად ეჩვევა საწამლაკს, რომ ის რაოდენობა, რომელსაც წინად მკურნალებს, უკმარისად აღმოჩნდება, სწორი მიღების შემდეგ ამ გვარსავე თვისებას აღარ იჩენს. ამით ახსნება ისა, რომ «ნელ-მოწამლას» ზოგიერთი დასტინის, რადგან მიჩვევამ ვითომ ააცილა ზიანი. მეორეს მხრით არ უნდა დავივიწყოთ ისა, რომ ზოგი ორგანიზმი საწამლაკს ვერ ეჩვევა. ზოგზე ჩია და ყავა ისე ძლიერ გამამხნეებლად მოქმედებს, როგორც ზოგიერთზე თუთუნის და ალგოლი, ანუ სპირტი, და მუდმივი მათი მიღება არ აჩვენებს, არამედ ნელ მოწამლად მიიყვანს. ამას გარდა, როგორც ცნობილია, ზომიერებით ხმარება ამ თუ იმ საგნისა შეუძლებელია: ზირკული მიღება ძალიან ადვილად იწვევს მეორეს, მეორე შესამეს და ამნაირად მატულობს რაოდენობა. გაძლიერებული ვარდობა, საზოგადოდ გარკვევით ვერ იჩენს თავს საკმარის ნივთების მიღების დროს, ვინაიდან აქ გაძლიერებულია.

მაშ რაშინა საქმე? ასე სულ წასულად და დაყინებით რისთვის ცდილობს კაცი მოაზროს თავისთვის საკმარის და საწამლაკი საგნები? რა იზიდავს მას საწამლაკისაკენ? გულ მოდგინე სასულიერო პირნი სთვლიან ამის მიზეზად ცოდვასა და ეშმაკს, რომოდენიმე საგნის შესახებ მანც, მაგ. თუთუნის, ალგოლის და ხანდახან ყავის შესახებ. მართლაც, რა ვუწოდოთ, თუ არ დებნება და ბოროტება მას, რომ კაცი ყოველთვის იწვევს იმნაირი საგნებისაკენ, რომელნიც თავისი მოქმედებით მკურნალებს არიან მისი ორგანიზმისთვის? მაგრამ ეს მიდრეკილებანი იმდენად საყოველთაოა, რომ როგორც მეურნეობა, აგრეთვე ვაჭრობა, ზღვაოსნობა და ალბ-მიწეობა დამყარებული არიან ამ საგნების წარმოებასა და მოპოვებაზე. საკმარისია ჩათუთქვოდეთ, რა მრავალგვარი სახელმწიფო გადასახადი ადევს მათ, რა მრავალია კერძო საზოგადოებათა რიცხვი, რომელნიც მათდა საწარმოებლად არის დაარსებული, რა უთვალავი ფული ახარჯება



მათხედ, რომ დაწმუნდეთ, რომ მათზე არის დამყარებული ერთეული კეთილ-დღეობა მთელი ქვეყნისა. საგემო საგნების აღებ მიტეძობა უფრო ახსლოებს სსკა და სსკა ხალხს ერთმანეთთან, ვინემ ნოეიერი საგნებისა და ამით უხსნის კაცობრიობას სულ ახალ ახალ გზას კულტურის მისაღებად. ყოველივე ეს ნუ თუ მანე სულის და ბოროტების ბრალა?

თუ მივევებით შირ-უთუნელ ბუნების მკვლევართა მაგალითს, დავიწეებთ დემონიურის ძენსა კაცის გარეშე კი არა, არამედ თვით კაცში და მის ბუნებაში, იმ შემთხვევაში საყოველთაო და დაყინუ-ბული საგემო საგნების ხმარების ახსნა შეგვიძლია მათის მოთხოვნილებით და, მაშასადამე, მიუცილებელი საჭიროებით. იქ სადაც ჩვენ ვინით ყოფა-ცხოვრება ხალხისა, ყველგან ვხვდებით რომელიმე საგემო საჭმლის ხმარების ჩვეულებას. არამც თუ კულტურულ ხალხს, არამედ ყველა კულტურას, არამც თუ თანამედროვე ხალხს, არამედ უძველეს ერებსაც, ჭქონდათ თვისი განსაკუთრებული საგემო საგნები: ღვინო, კუძისა ამფიონი, ჩაი, დაყენის ფოთოლი, ყავა, ციკორი, საკმელი, ხახვი, დარჩინი, კოჭა; აი რა სსკა და სსკა გვარია საგემო საჭმელები, რა საოცარი სიმრავლეა ყოველნაირი სურბოგატების! ნუ თუ ყოველივე ეს ბოროტ-მოქმედება, გზის დაბნევა, ცოდვა და დანაშაულობა აღძვინის თავის წინაშე?

სსკა და სსკა საგემო საგნები, მათი ორგანიზმზე ზედგავლენის დაკვლად, შეიძლება დაიფოს რამდენიმე განსხვავებულ ჯგუფად: დავასხელებ აქ მხოლოდ სამს უმთავრესს: ამღზნებელი, მათრობელი და მაგრილებელი. მათი გავლენა თვით სახელებისაგან შეიძლება გავიგოთ, განვიდგან მათ მოქმედებაში განსხვავება მეტად ცხადია. აქ დავასხელებ მათ უფრო ბუნდ მხარეს.

ყველასდ უწინ უნდა შევნიშნოთ, რომ განსხვავება ამღზნებელ და დამათრობთა შორის ვითომ ძლიან მცირეა და ეს ორი ჯგუფი ცოტათი განიჩნევა ერთმანეთისაგან. ყოველი გამხნეება აღძვრავს რამე ცხოველურ მოქმედებას და ამღიერებს მას. მაგრამ ყოველი ცხოველის ზოგადი კანონით, გამხნეებას ანუ აღზნებას დაღაღვა მოჰყვება, რომელიც მით უფრო მძლავრია, რამდენადაც მეტი იყო აღზნება სხეულის იმ ნაწილისა, რომელიც იყო გამხნეებული.

ძლიერს მოქმედებას, იქნება იგი ძლიერი თავის თავად თუ შედარებით, მოწყვეტას ნამდვილი დაღლა. ხოლო ნერვების ნამეტანი დაღალვა ისე ახლოს არის დახმადსთან, რომ მათ შორის სარღობის გაგება შეუძლებელია. მართლაც უძლიერესი დამხმადი საშუალებანი, როგორც მაგ. აზიონი ან ალგოლი, მცირედად ნახმადი აღწებენ კაცს; ძლიერი აღმხმებელი საშუალებანი, როგორც კაქტინი, ნიკოტინი, ეთერი, ბერი რომ მიიღოს კაცმა, დაღალვა ანუ შირდაშირ აბრებს. მის ცხადია, რომ ზემოდ დასახელებული საგნები განსკუთრებით ნერვების სისტემას მოქმედებენ. როცა უბრალო ლხინავში ამბობენ აღწებაზე ანუ დაღუნებაზე, მაშინ უკვლავ აქვს სახეში აღწება ანუ დაღუნება ზოგაერთი ნერვისა, ანუ მთელი ნერვების სისტემისა. მაგრამელებელი თვისება, რამდენადაც იგი ამჟღავნებს, ცხადად დამოკიდებულია ნერვების მდგომარეობაზე. ამისდა მიუხედავად ამ გვარი ახსნა ყოველთვის არ გამოდგება. აღმხმებელი იქმნება ნერვების სისტემის გარდა, სხეულის სხვა ნაწილიც, მაგ. ჯირკვლის უწყობა. გაბრუნება შეუძლია იმ ნივთიერებას, რომელიც თავდაშირველ მოქმედებს სისხლზე, მაგ. ციანურის სიმყავე. მაგრამელებელი თვისება აქვთ იმ ნივთიერებათ, რომელნიც ორგანოების ნაწილას დაწვას უშლიან, მაგ. რომელიმე ხილის სიმყავე, რომელიც უმშველად გუნთბის ცვლის. თვისების შედარების დროს უკეთესია მივიღოდ სახეში საგნის მოქმედება ნერვებზე, ვინაიდან ჯირკვლების უწყობების, სისხლის და გუნთბის ბეჭების შეცვლას გააღენა აქვს ნერვების სისტემას.

ახლა თუ შევადარებთ ერთმანეთს სამ დასახელებულ საგმოს საგნების ჯგუფს მათი მოქმედებით, იმ შემთხვევაში ცხადად აღმოჩნდება, რომ განსაკუთრებით მათრობელი საგნების ხმარება, ნერვების სისტემას მოქმედებს ისე, რომ რომელიმე მისი ნაწილის ბუნებრივი მოქმედება სრულებით ჩერდება ანუ ძალიან ირღვევა. თუ გვინდა, რომ ამჟღავნებდნენ დროს ტანის სამართლებელ იყოს დაწყული, თუ თავის დროზე იქმნენ ხმარებულნი, მშენიერი წამლები არიან, ხოლო მთელ სხეულზე ძლიერ მაგნებელი ზედგავლენა აქვთ. ესენი მით უფრო არღვევენ სამართლებელს, რამდენად უფრო მაგარნი და დიდი ხანი იქმნებიან ხმარებულნი. საჭირო არ არის მოვიყვანოთ აქ

ღობიების, ამფიონის და მორფიუმის მსმარებელთა ისტორია. სულ სხვანაირად მოქმედებს სხვა საკემო ჯგუფები. მაგრილებელ საშუალებათა სმარება განსაზღვრულ დროს და მუშაობის დროს ბუნებრივი მოთხოვნილებას; ასე რომ მათი მიღება ძლიერ ესმარება სიმართლეს. რამოდენიმე საჭმელი მცენარეები, სასკლდობ, ბოსტნეული და ხალი სითბოს მომტკრელ და ნოყიერ ნაწილებთან ერთად შეიცავენ მრავალ გვარ მაგრილებელ სიმუხუებს. ზოგაერთ ქვეყნებში მუშები წყალ გარეულ ძმარსა სძენ, ზოგან კი მაწონს. ზოგი დაბალი ხარისხის ღვინო და ლუდი, სიმუხვის გარდა, შეიცავს ცოტა შაქარს, მარილოვან სხეულებს, ალკოჰოლს, ნახშირ-მუხუე გაზს; ამიტომ ესენი, ესე იგი სუსტი ღვინო და ლუდი, წარმოადგენენ მაგრილებელ და ცოტად მათრობელ ნიუთიერებათ; ამასთანავე ამ გვარი შესამების გამო ძლიერ მარგებელი სასმელებია. გარდა ამას მუხუეს ნაწილი საჭმლისა მონულებს აადვილებს, განსაკუთრებით სორცის გასწინას და ამიტომაც, ბუნებრივი მოთხოვნილების გამო, დიდის მოწადინებით კვამზავთ სორცს საკუთრივ მონარშულს მუხუე წინათ, სალათით, ბალახის ძირებით და ხალით.

ეკვე ითქმის მათრობელ საგნებზედაც, რომლითაც უნდა ვსარგებლობდეთ წინდახედულად. ესენი აღზნებენ ნერვებს რამოდენიმედ ადგილობრივ, ესე იგი იქ, სადაც შეესებან, მაგ. კუჭში; რამოდენიმედ საზოგადოდ, მაგრამ ისე კი რომ იშვიათად იქნებიენ სოლმე მოქმედებას მთელ ნერვების სისტემასე, უფრო სმარად რომელიმე ნერვების ჯგუფზე. ამათ ეკუთნიან აგრედ წოდებულნი სუნნელოვანი სახელებენი, ნაზ სუნნელოვან ბალახიდან დაწყებული, ძლიერ მწკაკ შაღბილ და ბელოკამდე. მათი სმარება ისტორიის მოწმობით იყო შამოდებული სხვა და სხვა ქვეყნებში მოდასა გამო და სმარად გადაჭარბებულადაც სმარობდენ. რამდენად უგემურია სხვა დანარჩენი საჭმელი, რამდენად უფრო საგსეა კუჭი, იმდენად მეტი სურვილი ეძრება გაცს სუნნელოვანი სახელებელის სმარებისა. გემრიელ და ზომიერად მიღებულ საჭმელთან მათი მოთხოვნილება ძლიერ სუსტია.

ითქმის ყველა ესლასან სმარებული სუნნელოვანი სახელებენი ანუ საჭმელის შესავსმავები მცენარეულნი არიან. ერთი

მთავანი და ამასთან უსაჭიროესი, ეკუთვნის მიწურალებს, სასკელ-
 დობრ საჭმელი მარალი (ქლორანი ნატრი). შესაძლებელია მე აქ
 წინააღმდეგი ვასუხი მოძენ, რომ მარალი საგემო ვი არა, ნამდვი-
 ლი ნოყიერი ნივთიერება არისო. ნამდვილია, მარალი ერთი შემა-
 დგენელთაგანი ნაწილია ჩვენ რგანიზმისა; იგი ურეკია სისხლში,
 ურეკია უმეტეს ქსოვილებს ნაწილში, და მარალის ერთ შემადგე-
 ნელ ნაწილს—ნატრს—უძთაურესი გავლენა აქვს საჭმელის შერგებაზე.
 ხოლო უგანასკნელ დროს მტკიცდება გამოცდილებით, რომ საჭმე-
 ლი მარალი მსოფლიდ საგემოა და იმდენად საჭირო, რამდენადაც
 თუთუნია, ანუ, როგორც ბუერი სოკლის, შეხვეული საგემო საგნება,
 რომელსაც არ შეგვიძლიან ანუ არ გვინდა თავი დავანებოთ.

ამის გადაჩვევა მეტად ძნელია. მარალი რომ მსოფლიდ საგემო
 საგანი ყოფილიყო, იმ შემთხვევაში ნიადაგს დაჭკარავდა უძთა-
 ვრესი ნაწილი იმ საფუძვლისა, რომელსაც ჩვენ, მარალზედ სარ-
 ჯის დადების მოწინააღმდეგენი, ვასახლებდით ამის საწინააღმდე-
 გოდ. მე მგონია, რომ ეს გაუგებლობა არის; მარალი იმდენად
 უსაჭიროესი შემადგენელი ნაწილია სხეულისა, რომ, რამდენადაც
 ჩვენ ვიცით აქამომდე, ამის მაგიერობას გერაფერი ვერ იხამს და
 სრული მისი უხმარებლობა შეუძლებელია. ამ მხრივ იგი ნოყი-
 ერი ნივთიერებაა. ხოლო ჩვენ ვხმარობთ მას გაცილებით მეტს,
 ვიდრე საჭიროა საზრდოდ. ჩვენ იმდენად მეტს ვხმარობთ მას, რამ-
 დენად მეტია გემოს გასხნის მოთხოვნილება და რამდენად ნაკლებ
 გემრიელია თავის თავად საჭმელი. ცნობილია, რომ მარალი
 ჩვეულებრივი საკაშია კართოქილით მცხოვრებთა. მდიდარნიც
 სარჯავენ მას იმაზე მეტს, რაც საჭიროა, განსაკუთრებით დასახუ-
 რებულ საჭმელებში, რომელიც ღარიბსაც მოსწონს. უგანასკნელი
 კმყოფილდება დამარილებული თრიაქით, ხოლო ზირკულიანი მთავრე-
 ვენ სარდინს, სიზილას და სხვა ძლიერ დამარილებულ და მწკაკ
 თვეზუელობას, რომელიც თავისი განსხვავებული გემოთი მადან
 ხსნის. ამ ფორმით მარალი საგემო საგანია და იმისთანა, რომ
 იგი ძლიერ ძალე სტოკებს სხეულს განაკლთან ერთად.

როგორც საგემო საგანს, მარალს დიდი უზიარატესობა აქვს. უძთა-
 ვრესად ადგილობრივი გრძნობის გამსხელია და განსაკუთრებით



შირსე და კუჭსე მოჭმედებს; ამისათვის იგი აადვილებს მოსახე-
ბედა სსნილის მოყვანას და, კგანებ, არამც თუ მარტო გრძნობის
მოყვანით, არამედ იმითაც, რომ რადენიმე შემადგენელ ნაწილს
აძლეეს კუჭის წვეს. (მარილის სიმყავეს, ნატრს), ნაღველს და
კუჭ-ჭვეშა ჯირკვლის წვეს. ამის გარდა ის არ ახდენს რაიმე თვალ-
სახინო გრძნობის აშლას; ხოლო მრავალი მტენარეული სუნნელ-
კანი სახელებული არა სასურველად მოჭმედებენ, ვინაიდან საგემო
და მოსახელებელ ორგანოების გრძნობის მოკვრასთან ერთად ძველ-
კრად მოჭმედებენ შორეულ ნერვებსე და ძალიან დიდ ხანსაც გას-
ტანს ამ გვარი მოჭმედება. ამიტომ მარლი, დიალ, ღირსეულად
არის საყვარელი საჭმელის საკაზმი არამც თუ გაცისა, არამედ ცხო-
ველებიც დიდის სიამოვნებით ეტანებთან, და ძრეულ სასურველია,
რომ იგი მალე იყოს განთავისუფლებული ბაჟისაკან.*)

სულ სხვასა ვთვითობთ ჩაისა და ყვავსე, ვინაიდან ესენი
მხოლოდ გრძნობას აღმგზნებულნი არიან. თუ მიმატებულ შაქარსა
და რძეს არ ჩავთვლით, ამათ არაკითარი ნოყიერება არა აქვთ; ესენი
საგემო საგნებია და ძრეულ გვანან ორ სსკა ძრეულ მათრობულ
სასმელს—ღვინოს და არაყს, რომელთაც სშირად შაქარს უმატებენ
და რძეს კი არა. როგორც ზეგითა ვთქვით გაფენი და ალეოლოდი
ორივე საწამლაჟია; შირველი უმთავრესად გრძნობიერებას აძლეურებს,
მეორე კი თავდაშირველ აღაგზნებს, ხოლო შემდეგ ძრეულ ასუ-
სტებს. ორივე ძრეულ დონიკრად მოჭმედებენ ნერვებსე და სშირათ-
გადაჭარბებულ სმას აჩვევენ გაცს. ჩაისა და ყვავის მსმარებულნი
ისრეთივე უბედურნი ხდებიან თვისა გაშმაგებით, როგორიც ღვინის
და არაყის მსმელნი.

ამ გვარი გაშმაგება მიხვევსე არის დამყარებული, მაგრამ უსა-
მართლობა იქნებოდა წაგვერთმია მათთვის ყოველი გონიერა საფუ-
ძველი. საზოგადოებრივის ცხოვრების განვითარებას, ანუ როგორც
მოკლეთ ამბობენ, კულტურას მოსდევს მრავალი საგრძნობიერო
მოჭმედება. მძიმე მუშაობა, გონებრივი განვითარების ზრდა დიდი
მოთხოვნალების გამო, ძნელი ამოწმება და რთულობა საჭმელისა,

*) როდესაც ვირხოვმა ეს წერილი დაბეჭდა, გერმანიაში მარლიზე ბაჟი
არსებობდა.

ერთ გვარობა თანამედროვე ცხოვრებისა — ყველა ეს უძრავს კაცს დამამშვიდებელი საგნების მოთხოვნილებას. ამისი შესრულება შესაძლევს ერთის მხრით იმისთანა დამაწესრიგებელი საშუალებებით, რომელნიც შეასუსტებენ მუდმივ ადელეკუულ ორგანიზმის მდგომარეობას და მეორეს მხრით შირდაშირ გამაბრუნებელი საშუალებებით. ამ გვარად მოქმედებენ თითქმის ყველა საგემო საგნები, რომელნიც საწამლაგებს შეიცავენ; ამიტომ ჩაცხ, ყვავის და არაყის მოქმედება ისე უნდა ჩითვალას, როგორც თუთუნისა, ბანგისა და ბეტელისა. ავთიმოფობრივი მდგომარეობა მისთანა საშუალებების ხმარებისკენ იწვევს ხალხს, რომელიც მარტო წამლებად უნდა დარჩენს. ხანგრძლივი ხმარების შემდეგ ღონა თანდათან მატულობს, რომ რაიმე გრძნობიერი მოქმედება გამოიჩინოს. ამ გვარი ხმარების ჩვეულება ძნელად მოსასპობი არის. მსოფლიო სასუში უნდა ვიქონიოთ ისა, რომ ეს ჩვეულება ბუნებრივი მოთხოვნილებით არ არის გამოწვეული; ეს კაცისაგან განკუბ მოგონილია და მოსპობა შეიძლება მსოფლიო საზოგადოების ხელახლა აღზრდით. შრომის თანასწორად შეცვლა დასკვნებით, რიგანი ფიზიკური და გონებრივი მიმომარობა, უხვი წმინდა ჰაერი და უბრალო საკმლით კვება უფრო სინამდვილით შეაფერხებს საწამლაგების უზომოდ ხმარებას, ვინემ დაყენებით მოწოდება ზომიერებისადმი.

მეტად კეთილგონიერებაა ღუდის სმა და ამისთან სუსტის ხარისხისა. მართალია, სახმარ ღუდს ადგოროლის გარდა სხვანაწილებიც ურეკა, მაგრამ, საბედნიეროდ, ძრეულ მცირე; გარდა ამისა ღუდში მოიხრკება არა მცირედი ნაწილი შაქრისა და სხვანოყიერი და გამაზურებელი ნივთიერებანი და ზიანი რამდენიმედ უთანასწორდება მარგებლობას; მსოფლიო ცუდი მოქმედება გაღვარბებული სასმელების ხმარებისა, რომელიც საუბედუროდ ძრეულ ხშირია, ადმატება სარგებლობას.

ბოლოს მე მოვიგონებ ჩვეულებრივს თათარისხის, ბულიონს, რომელიც შეიძლიან ჩავთვალო წმინდად საგემო საგნად. კვერცხის, ფქვილის, ქინის და სხვა ნივთიულობათა დართვით ის მოიმატებს მნიშვნელობას, როგორც ნოყიერი და სითბოს მომგვრელი საგანი, თვითონ ბულიონი კი წყლით გათხლებული ხსნილია, სითბოს

მომგვრელი ნივთიერებებისა, მაგალითად, წებოსი და მეორეს მხრით სორცის არომბტიული ნაწილებისა. რადესაც კაცი ცხლად მიიღებს, ბულიონი მოქმედებს ისე, როგორც ყავა და ჩაი, არაჟი ანუ ლუდი: იგი აღაგზნებს ნერვებს. ხოლო ზემო დასახლებულ საგნებზე უფრო მარტებელია მით, რომ არ შეინაცვას რაიმე საწამლავს, ბევრად უფრო სუსტია და სუსტია კაცისთვის მეტი მარტებელია; ამის გარდა მას ადვილად შეეწეობა ნამდვილი ნოყიერი საგნები, რომელნიც შესძენენ სასამოვნო გამამარტებელ კემოს.

ამ უზიარატესობას მე განგებ მეტი ყურადღება მივაქცია მკითხველისა, რადგან წინად მრავალჯერ ჩემ მიერ ნათქვამმა დახადა ის აზრი, ვითომ მე პრინციპიალური მოწინააღმდეგე ვიყო სორცის ნახარშის ხმარებისა: ეს სრულებით არ არის მართალი. მე მხოლოდ ამას ვამტკიცებ, რომ თავის თავად ბულიონი არც ნოყიერია და არც ის გამამარტებელი თვისება აქვს, როგორც მას აწერენ და, თუ უკვლავ ამ სორციდან, რომელიც ჩვენსა საჭმლად არის დანიშნული, მოიხარშა ბულიონი, იმ შემთხვევაში სორცი ბევრს ადვილად მოსახლებულ თვისებას დაჭარგავს და ბულიონი ვი მის მაგიერობას ვერ გასწევს. ბულიონი მხოლოდ მდიდრებს შეუძლიანთ ისმარონ. ის ოჯახსი, რომელიც გაჭირებით ცხოვრობს, უნდა გადაეხვიოს ამის ხმარებას, რადგან ამ გვარადვე შეუძლიან ყავა ისმარონ. ბულიონი მდიდარმა და ხანდისხან ავთიმეოთმაც უნდა ისმაროს, რადგან ეს ნივთიერება გამამხრეველი არის.

გარდა ამისა, კიდევ სხვა მნიშვნელობაც აქვს ბულიონს და მასში უოკვლს ნივთიერებათ: ისინი აღვიძებენ ჩვენში მითვლემილ მოქმედებას. სახამ ღონე ვგაქვს, რომელსაც რაიმე მოქმედება შეუძლიან, გამამხრეველი საშუალება იწვევს მას სასიცოცხლოდ; ამიტომ ის გამამარტებლად მიგვაჩნია. მაგრამ ეს მისი თვისება არ არის, უკვე არსებულის გამოწვევა, ხოლო შექმნა ღონისა ვი არ შეუძლიან. დაღალული ორგანო, დაღალული მუშა პოულობენ გამამხრეველ საშუალებებში ახალ ძლას იმიტომ, რომ ისინი აღვიძებენ ღონეს, რომლის გამოწვევა უმისოდ შეუძლებელი იყო. ამისა საიდუმლო სიკეთე ზოგიერთ გამამხრეველ საგნისა: ესენი საგებო ნივთიერებებზე მეტს წარმოადგენენ და მამუშაველ საშუალებად

გვესმარებთან, თუ ზომიერად იქმნენ სმარებულნი; მათი საშუალებით ბერი რამ გაკეთდება. მაგრამ არ უნდა იქმნას დავიწყებული, რომ ესენი ნოეიერნი არ არიან და ყოველი ძალა, გამოწვეული სამოქმედოდ გამამხრეებელი საშუალებებით, თხოულობს ძრეულ ბერ ნოეიერ ნივთიერებას მისათვის, რომ ქანცი არ გაწყდეს. ნამდვილ საგემო ნივთიერებათ არ შეუძლიანთ ნოეიერების მაგიერობა გასწიონ.

რამოდენიმე ნაწილი ჩვენი საჭმელებისა ერთ დროულად მოქმედებენ, როგორც საგემო და სახელოდ როგორც აღმგზნებელნი. მე არ ვგულისხმობ აქ იმ ბუნებრივად შესაგებულ ნოეიერს და გამამხრეებელ ნივთიერებათ, რომელნიც სშირად მოიხვედებიან მცენარეებში, და არც ხელაუნურად შემზადებულს, რომელნიც ჩვენს სამზარეულოებში მზადდებიან. წინააღმდეგ, მე მიხდა განვიხილო ის ფაქტი, რომ მიღებული საჭმელი ადამიანს და ამაგრებს სხეულს უფრო ძალე, ვინემ ნამდვილი მონჯება მოხდა. მოლაღული და მოძიკებული მუშა, როგორც შესჭამს ხორცს ანუ კარტოქალს, მამინვე იგრძნობს, რომ მას ხელახლად შეუძლიან მუშაობა. გარნა 3—4 საათი გაივლის, სანამ ხორცი გაიხსნება და გადავა სისხლში და, თუმცა კარტოქალის სახამებელი დეჭკის დროსაც რამოდენიმე დღელება შაქრად, მაგრამ ეს უმცირესი ნაწილია. მამსადაძე, ღონე, რომელსაც კაცი გრძნობს, არასოდეს არ წარმოსდგება ქსოვილების მიერ შეთვისებისაგან. შირდაზირი მოქმედება მოსახლეებელ ორგანიზების ზედაპირზე და მცირეოდენი ნივთიერების სისხლში შერევა სკამარისია, რომ გაამხნოს კაცი და მოუსპოს ანუ შეუმსუბუქოს დაღლილობა. მხოლოდ ამითი აიხსნება ისა, რომ ერთი უღამი ცივი წყალი, ღვინო, ლუდი ანუ არაყი, დროებით ამაგრებს კაცს ისე, როგორც მწკანდის ნაჭერი; ამავე დროს, რასაკვირველია, სახგრძლივი მოქმედება ამითი შეუძლებელია. მამსადაძე, ეს ღონის შირველი გრძნობა, რომელსაც ჩვენ ვამხნევთ ჭამის შემდეგ, არის დამოკიდებული ან საგემო საგნების მოქმედებაზე, ან და იმ ნოეიერ ნივთიერებათათვისებაზე, რომლითაც ისინი ემგზავებიან წმინდა საგემო ნივთიერებათ. მხოლოდ უფრო კვიან დადგება ნამდვილი მონჯება საჭმლისა, ადამიანებს დახარჯული მასალისა და სახგრძლივი ღონის

განახლება. უკვლას ეს კითარებანი კვებისა ხსალი თეორიის მიერ უუყრადღებოდ არის დატოვებული. ერთმხრივი და ქიმიურის შესედულების მიხედვით კეთილ-გონიერულად კვების შეგნება უფრო აირ-დაირია, ვინემ გამოიარკვა. ნოეიერ და საგემო ნოეთიერებათა გამამსწეებელ მოქმედების გამოსარკვევად ქიმიურ გამოკვლევას მსოფლოდ მცირედი მნიშვნელობა აქვს. აქ ფიზიოლოგიურ გამოკვლევას უჭირავს დიდი ადგილი. მე ვეცნადე მისი წინანდელი უფლებანი აღმედგინა. დამრჩა მსოფლოდ ვისურვო, რომ ეს შესედულობა მენიერებისა მიეღოს, ხალხის იმ ნაწილს რომელიც ჭეშმარიტ ცოდნას ეძებს და ამით ერთმხრივობას ასცდენოდეს, რადგან ასეთს ერთმხრივობას ერთის შეცდომიდან მეორესე გადაჭყავს იგი.

ს. ენუქიძე



გურიან-ხაზარა

მკვლავის წერილები

XIII *)

ს ზ ს რ ს

ისტორიული მიმოხილვა.—პოლიტიკური მდგომარეობა.—
ქრისტიანობა.—ოსმალის გაბატონება და ქრისტიანობის მოსპობა.

აწინდელის ახალციხის მაზრის დასავლით და გურიის, ანუ
ოზურგეთის მაზრის, სამხრეთით, აქარ-წყლის ხეობაში მდებარეობს
ღრატოიანი და ხევია-კლდიანი კუთხე საქართველო-
სი—აქარა. მუნ სახლობს ბუნების ყოველგვარ სისასტიკესთან
მებრძოლი, მრავალ-ჭირნახული, ქრისტეს სჯულისათვის წამე-
ბული, სააქაო სიამეს დანატრულებული ხალხი ქართველთა
ტომისა. იმის წყალობით, რომ ეს ხალხი ოსმალეთის საზღვარ-
ზე სცხოვრობდა, ხან გულიდან მოგვწყდებოდა და, ოსმალთა
ხელში ჩავარდნილი, მათის მტარვალობის მსხვერპლი ხდებო-
და. საქართველო ღონეს მოიკრებდა, წელში გასწორდებოდა,
მტერთა-მიერ მოსვრილ ოჯახს აღადგენდა, მტერს ლომივით
შეებმოდა, წარსულის ჯავრს იყრიდა და—ეს მხარეც, სხვას-
თან ერთად, საქართველოს უბრუნდებოდა, მის ფრთეთა ქვეშ
შეაფარებდა თავსა. აქარა ვერ მოასწრებდა სულის მოთქმას,
ეკონომიურად წელში გასწორებას, მაჰმადის მმოსავთავან დან-
გრეულ ეკკლესია-ტაძრების განახლებას, რომ ედიდებინათ ქრის-

*) იხ. „მოამბე“ № VI.

ტე, ისევ მტერი ჩაიდებდა ხელში, ისევ განახლდებოდა,—ახლა კი გაორკეცებულის სიმძაფრით,—რბევა და დაწიოკება სოფლებისა, მკვიდრთა ავლა-დიდებისა, მუსგრა ჩვილთა და ქალთა, შეგინება და შელახვა წინაპართა სალოცავებისა, სჯულითა და ქრისტეს სარწმუნოებისა. ჭეშმარიტად გასაოცარია, როგორ არ აღიგავა დედამიწის პირისაგან აქარა და მისნი მკვიდრნი, როგორ-ღა დარჩა ხსენება მათი!...

უკანასკნელად ორი საუკუნე მეტი იყო ის მხარე ოსმალთ ბატონობისა და ბრძანებლობის ქვეშ; აქარა ორი საუკუნე მეტი კვენსოდა მათის მონობის მძიმე უღლით დატანჯული. ხოლო რაც ოსმალთ უკანასკნელად დაიპყრეს როგორც აქარა, ისე სხვა მისი მოსაზღვრე ადგილნი (ართვინი, შავშეთი, იმერხევი და სხ.), თვითონ აქარა უძლური იყო მტრისათვის წინააღმდეგობა გაეწია და ძალით ეხსნა თავი; თვითონ ცენტრი საქართველოსი უკეთეს მდგომარეობაში არა ყოფილა, წარსული ძღვევა-მოსილობა არ დაჰბრუნებია, რომ მოწყვეტილ თანამოძმეთ მიჰშველებოდა. ასეთმა მდგომარეობამ აქარლებსამ მიაღწია რუს-ოსმალთ უკანასკნელ (1877 წ.) ომამდე, როცა ოსმალეთი დამარცხდა და ამ ოცის წლის წინად რუსეთმა, ბერლინის ტრაქტატის ძალით, ბათუმისა და ართვინის ოლქები ოსმალეთს ჩამოაცალა, და, მათს შორის, ეს მხარეც, რომელზედაც ჩვენა გვაქვს ლაპარაკი, დანარჩენს საქართველოს შემოუერთდა.

რას მოგვითხრობენ ჩვენნი მემატიანენი აქარის შესახებ? ძლიერ ცოტას, და ესეთი დავიწყება ამ მხარისა სხვა ვერაფრით აიხსნება, თუ არ მისის გეოგრაფიულად მოწყვეტილის მდებარეობით. მაგრამ სანამ თვით ამ მხარეში შევდგამდეთ ფეხსა, საჭიროდ მიგვაჩნია ის მწირი ცნობები მაინც აქარის შესახებ, რაიცა ჩვენს ისტორიაში მოგვეძევა, წინ წავიმძღვაროთ, რომ მომეტებულის სიაღვლით გავითვალისწინოთ მიზეზნი აქარის აწინდელის მდგომარეობისა.

ზემო-ქართლად ძველად იწოდებოდა ნაწილი საქართველოსი, მტკვრის სათავისაკენ მდებარე, ანუ ძველივე სამცხე-

საათაბაგო (აწინდელი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები და თვით აქარა), ვანთქმული დიდებულებითა, მქადაგებლებითა, მწიგნობრებითა. ამ სამცხე-საათაბაგოს ნაწილს შეადგენდა აწინდელი აქარაცა, რომელიც სამცხე-საათაბაგოსთან იყოფდა ქირსა და ლხინსა, ებრძოდა საზოგადო მტერსა, მასთან ერთად იცავდა ქრისტეს სარწმუნოებასა და თვისს ეროვნულს დამოუკიდებლობასა. როდესაც საქართველოს პირველი მეფე ფარნავაზმა (301—237 წ. ქრისტეს წინად) ალექსანდრე მაკედონელის მთავარ-სარდალს აზონს საქართველოს უკანასკნელი ნაწილი კლარჯეთიც წაართვა და საქართველოში სრულიად გამეფდა, ცხრა საერისთაოდ დაჰყო და ყველგან ერისთავები დასვა. „მეექვსე (ერისთავი) დასვა წუნსა და მისცა მტკვრის აღმოსავლეთი ფანაერამდე და თავამდე მტკვრისა.“¹⁾ ამ მეექვსე საერისთაოს ნაწილს შეადგენდა აწინდელი აქარაცა.

ბერძენთა მწერალნი აქარას *Αβραάμ*-ს უხმობენ და მოხსენებულია მე-X საუკუნეში. აქარა, მათის მოწმობით, იყო ერთი იმ ოთხ საპრეფექტოთაგანი (ბერიაზანი, კარნატი, კუელი და თვით აქარა), რომელნიც შეადგენდნენ იბერიის მეფის (კუროპალატი სუმბათი, 923—958) სამფლობელოსა. აქარა მდებარეობდა, მათის თქმით, ამავე სახელწოდების მდინარესთან (აქარ-წყალი), რომის იმპერიის საზღვრებზე.²⁾ ბიზანტიელნი მწერალნი ამის მეტს არას მოგვითხრობენ ამ მხარის შესახებ. გასაკვირველიც არ არის. თვით მდებარეობა (მთა-გორიანი) ისეთი მიუფალი აქვს აქარასა, რომ არც კარგ სავაჭრო გზად იყო გამოსადეგი და არც სხვა მხრივ წარმოადგენდა სახარბიელოს რასმე. ასე რომ, მომეტებულს შემთხვევაში, აქარა უყურადღებოდა, განზედა რჩებოდა.

არც ქართველნი მემატიანენი აღნიშნავენ ამ მხარეს საკუთრივ. მოიხსენიებენ მხოლოდ: ამათა და ამათ (ოსმალთა ან რომელმამე გურიელმა) დაიპყრესო, და ეგ არის და ეგ! XIII

¹⁾ ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, გვ. 38.

²⁾ „სწობანი ძველთა ბერძენთა და რომაელთა მწერალთა კავკასიის შესახებ“, რუსული თარგმანი გ ა ნ ი ს ა, ნაწ. II, გვ. 2.

საუკუნის მეორე ნახევრიდან, ზემო-ქართლში ჯაყელთა გვარის გაძლიერების შემდეგ, აქარა, ზემო-ქართლი და ლაზისტანი ჯაყელთა, — შემდეგში „ათაბაგებად“ წოდებულთა, — ხელში იყო. 1465 წ. ბრძოლა იმართება ყვარყვარე ათაბაგსა და მეფე გიორგის შორის; ყვარყვარე შველასა და დახმარებასა სთხოვს გურიელს კახაბერს და მაგიერში საჩუქრად აძლევს აქარასა და ჭანეთს (ლაზისტანს). „ამისთვისცა მისცა ყვარყვარემ აქარა და რომელნიმე ჭანეთის (ადგილნი) გურიელს კახაბერს, რათა მწე-ეჭმნას ერისთავთა ზედა სამცხისა და კლარჯეთისათა. ხოლო გურიელმა კახაბერ სიხარულით მიიღო ქვეყანანი (აქარა და ჭანეთი) და...“²⁾ მაგრამ ოსმალნი ორსავე ართმევენ გურიას. შემდეგ აქარა-ჭანეთი ისევ როსტომ გურიელის († 1564 წ.) ხელში გადადის. იმისავე დროს ოსმალნი აშენებენ ბათუმისა და გონიის ციხეებს. მერე, 1609 წელს, გურიელი მამია II თავისის სპითა გადადის აქარაში, ამოსრავს შიგ ჩაყენებულ ოსმალთა ჯარსა და ამ მხარეს თავის ხელში იბრუნებს. მაგრამ დიდს ხნით არა.³⁾ აქარა ისევ ჩამოეცლება ქართველებს და ოსმალთა ხელში გადადის.

XVII საუკუნის ნახევრიდან მოყოლებული, ვიდრე უკანასკნელ ხანამდე ოსმალთ არავინ დასდავებია ამ მხარესა. საქართველოში ან რა აქარისა სცხელოდათ, როცა შიგნით ათასი თავშისაცემი საქმე ჰქონდათ! აქარა ოსმალთა საკუთრებად ითვლებოდა, მაგრამ ესეც კია, — უფრო სახელით. ამიტომ რომ თავისის გეოგრაფიულ მდებარეობის (მთებით შემოზღუდულია) წყალობით ოსმალოს სრულს ბატონობას ფრთას დიდს ხანს არ აშლევინებდა ეს თავისუფლების მოყვარული მთის ხალხი. განსაკუთრებით ქრისტეს სჯულისათვის იბრძოდნენ აქარის მკვიდრნი, მაგრამ დიდს ხანს ვერ გაუძლო ერთმა მუჰა ხალხმა სარწმუნოებისათვის ცეცხლითა და მახვილით მებრძოლ რიცხვ-მრავალ მტერსა. ისიც გატყდა. XVII საუკუნიდან მაჰმადის სარწმუნოებამ დასთურგნა ქრისტიანობა და ქრისტიანები აქარაში.

²⁾ ვახუშტი, „საქართველოს ისტორია“, გვ. 305.

³⁾ დ. ბაქრაძე, „არქეოლოგიური მოგზაურობა გურია-აჭარაში“ (რუსულადვე, გვ. 75.

ეროვნულ დამოუკიდებლობასთან ერთად აჭარის ქართველობამ, დიდის ბრძოლისა და თავგამოდების შემდეგ, დაპყრობა მამა-პაპათა სჯული და მამადის აღმსარებელი გახდა. როგორც თვით ქრისტიანობის გავრცელებისა ამ მხარეში, ისე მისის მოსპობის შესახებ ძლიერ ცოცხა ცნობები გვაქვს. ჩვენის მემოტიანის თქმით, სახარების სიტყვების ქადაგება პირველად აქ დაიწყო ანდრია პირველწოდებულმა საქართველოის მეფის ადერკის დროს (2 წ. ქრ. წ. და 5 წ. წლ. ქრ. შ.). „და შევიდა (ანდრია) ქუტყანასა ქართლისასა, რომელსა დად-აჭარა⁵⁾ ეწოდების, და იწყო ქადაგებად სახარებისა: ხოლო მუნ კაცნი პირუტყუთა უუგუნურეს იყვნეს, რამეთუ არა იცნობდეს შემოქმედსა ღმერთსა, და ყოველსა საძაგელსა და არა-წმინდასა წესსა აღასრულებდეს, რომელი სათქმელადცა უჯერო არს.“⁶⁾ ბევრი განსაცდელი გამოიარა მოციქულმა აქ, ბევრი ტანჯვა მოითმინა, მაინც, მაცხოვრის სიყვარულით და ღვთიურის მოძღვრებით აღფრთოვანებული, თავგამოდებით უძლებდა გარშემო გამეფებულს უმეკრებსა. მანამდის დარჩა აჭარაში, სანამ ყველანი არ მოაქცია და ქრისტეს სჯულის აღმსარებელნი არ გახდა. თან დაპყრონდა ხატი ღვთისმშობლისა, რომელიც „ადგილსა რომელსა დაასვენა (ხატი ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა), აღმოეცენა წყარო ფრიალ შტენიერი და დიდი, რომელი იგი ვიდრე დღესცა დაუწყვეტელად აღმოზდის“. მუნ შემოკრბნენ მკვიდრნი ამა ქვეყნისანი და ანდრიამ ყველანი მოჰნათლა ნათლითა სულის წმიდისითა. თან, წასვლის დროს, დაუტევა მღვდელნი, დიაკონნი, დაუდვა წესი და საზღვარი სარწმუნოებისა. აღუშენა მშვენიერი ეკლესია ღვთისმშობლის სახელობაზედ სალოცავად. წასასვლელად რომ განემზადა, ხალხი შეევედრა, რაკი მიდიხარ და გეტოვებ, ხატი ღვთისმშობლისა ჩვენ დაგვიტოვე ჩვენდა სასოდ და მცველადაო. მაშინ მოციქულმა ფიცარი აიღო ამ ხატის ზომისა და დაადვა ხატსა: სახე ხატისა მეყვსეულად ამ ფიცარზე გადავიდა, და გადასცა ახალ-მორ-

⁵⁾ სოფელია ზემო-აჭარაში.

⁶⁾ „ქართლის ცხოვრება“ I ტ., გ.გ. 41--42.

ჯულებულთა. იმათაც დიდის სასოებით და კრძალვით თავის ეკკლესიაში დაასვენეს. ხოლო მოციქულს ამბორს უყვეს, გზა დაულოცეს და წარმოგზავნეს სამცხისაკენ. მატთანე თან დასძენს, რომ როცა აღერკი მეფემ შეიტყო ქართველთა და მებრელთაგან, რომელთა შორისაც მოჰქვინა ანდრია მოციქულმა სახარება, „სჯულის (კერპთაყვანისმცემლობის) დატევება, განუწყრა და წარავლინა ერისთავნი მისნი, კვალად იძულებით მოაქცივნა ქართველნი და მეგრელნი“, რომელთაც ხატები და ჯვრები შიშისაგან დაუშალავსთ.

ამ სახით, აჭარაში პირველი საძირკველი ქრისტიანობის ჩაყარა ანდრია პირველწოდებულმა. განვლო დრო-ჟამმა. ქრისტიანობამ საქართველოის სხვა კუთხეებშიაც მოიკიდა ფეხი. იწყეს ყოველგან ეკკლესია-ტაძრების შენება და, მათს შორის, აჭარაში. მათგანი ამ მხარეში დღემდე შენახულია სხალთის ტაძარი, დ. ბაქრაძის აზრით, X—XIII საუკ. აღშენებული, რომელიც ცხადად მოწიობს აქარელთ დიდებულ წარსულსა. ბევრი ნანგრევებია მთებსა და ტყეებში დარჩენილი, მაჰმადიანობის გავრცელების შემდეგ ბევრი დაუნგრევიათ, ბევრიც ჯამებად გადაუქცევიათ. რასაც დრო-ჟამი აკლებდა, იმის შევსებას ადამიანის ხელი სცდილობდა. განსაკუთრებით ღვთის რისხვა დატრიალდა 1626 წლიდან, როცა ოსმალთაგან დაპყრობილ სამცხე-საათაბაგოში მუსულმანთ თავგასულობას საზღვარი არა ჰქონდა.¹⁾

აჭარას თავისი მწყემსამთავრებიცა ჰყავდა, რომელნიც მისს უწმიდესობას საქართველოის კათოლიკოზს ექვემდებარებოდნენ. სულ, როგორც დ. ბაქრაძის-მიერ აღმოჩენილ ნაწერიდანა სჩანს, საქართველოის კათოლიკოზის სამწყსოს ზემო-ქართლში ანუ სამცხე-საათაბაგოში შეადგენდა 13 საეპისკოპოსო, რომელთაც განაგებდნენ საკუთარნი მღვდელ-მთავარნი. ამათგან დონდალოს (სოფელია ქვედა-აჭარაში) ზევით აჭარა მტბევარ ეპისკოპოსის სამწყსო ყოფილა, ხოლო დონდალოს ქვემოთ

¹⁾ ვ ა ხ უ შ ტ ი, „საქართველოს ლეოგრაფია“, გვ. 78.

აქარა—ქუთათლისა.⁸⁾ ამ აქტს ქორონიკონი არა აქვს, მაგრამ, ბაქრაძის აზრით, ძველი უნდა იყოს, ე. ი. იმ დროისა, როცა ზემო-ქართლი საქართველოს კათალიკოზის სამწყსოს შეადგენდა, ასე X—XI საუკ.

უმახლობელეს საბუთს ქრისტიანობისას წარმოგვიდგენს სოფ. ხინო, თითქმის გურიის სამზღვარზე, მდინარე კინტრიშის ნაპირას, მდებარე. აქ დ. ბაქრაძეს 1873 წელს ნანგრევები უნახავს ეკლესიისა, რომელსაც ვახუშტიც მოიხსენიებს თავისს გეოგრაფიულს აღწერაში. 1853 წელს ეს ეკლესია ისევ მრთელი ყოფილა. მაგრამ მერე ძალით დაუნგრევიათ მაჰმადის მმოსათა. ბაქრაძეს ამ ეკლესიაში ახალი წმინდა სამთელიც უნახავს,—ნიშანი იმისა, რომ ქრისტიანობის ნაშთი კიდევ არსებობდა აქა. უკანასკნელ მღვდლად აქა ყოფილა ვინმე ქათამაძე. ამ მღვდლის შვილის-შვილი ბაქრაძეს უნახავს, 80 წლის მოხუცი, ვაკი-ჯერის (გურიაში) ეკლესიაში მნათედ და იმას უამბნია, „მაჰმადიანობა ხინოში მამის ჩემის დროს გავრცელდა, როცა მე ისევ ბავშვი ვიყავიო.“

აქ ისხდნენ ეპისკოპოსნი, რომელნიც ხინოწმინდელებად იწოდებოდნენ. ცნობილნი არიან: ხინოწმინდელი მაქსიმე, რომელიც XVII გასულს სცხოვრობდა, გურიელი მამია III დროს, ევთიმე ართუმელაძე (XVII საუკ. დასაწყისში). ხინოწმინდელგებთა სიაში დ. ბაქრაძეს შემოაქვს დავით წერეთელი, ქუთათელი მიტროპოლიტი, რომელიც ხინოწმინდელის სახელსაც ატარებდა. ბაქრაძესვე მოჰყავს შინაარსი ერთის სიგელისა, რომელიც ჰბოძებია ხინოწმინდელს იოანეს იმერეთის მეფის სოლომონ II დროს, რომელშიაც მოხსენებულია, რომ ხინო და სამწყსო ხინოწმინდელისა ოსმალთ ძალდატანებით გაამაჰმადიანესო და ამიტომ,—მაშინდელი ხინოწმინდელი ამბობს,—ჩვენ არ ძალგვედვა ხინოში ყოფნაო. ამ სიგელიდანაცა სჩანს, რომ გაამაჰმადიანება ხინოსი 1780 წლის წინად მომხდარა.⁹⁾

⁸⁾ დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, „არქეოლ. მოგზ. გურია-აქარაში“, გვ. 81.

⁹⁾ დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, „არქ. მოგზ. გურია-აქარაში“, გვ. 237.

აი ყველა ის მწირი ცნობები, რომელნიც ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაფანტულია ჩვენს მწერლობაში საქართველოს ამ კუთხის შესახებ. საკვირველი კია, მთელი სამცხე-სათაბაგო მისწყდა საქართველოს, უეჭველია, ხალხი თავ-გამოდებით მინც შეებრძოლებოდა მაჰმადიანობას, წამებულთა რიცხვი მრავალი უნდა ყოფილიყო—და ყოველსავე ამაზე მატინე სდუმს. დავგრჩენია ზებირგადმოცემა ხალხისა იმ ხანის შესახებ, როცა ქრისტეს სარწმუნოება ებრძოდა ახალს ნაკადულს მაჰმადის მოძღვრებისას, რომელმაც დაამხო და მიწასთან გაასწორა ტაძარნი და ეკლესიანი მაკხოვრისანი. ამაზე ქვევით, თავ-თავის ალაგას, გვექმნება ლაპარაკი. ახლა-კი, ამ ისტორიულის თვალის გადავლების შემდეგ, განვაგრძობთ ჩვენს მოგზაურობას.

XIV

აჭარას მოაზრება

საზღვრები.—შემოსასვლელი გზები.—ბახმაროდან გასვლა.—ბახვის-წყალის სათავე.—სად მივდივარ?—სამასის წლის დაშორებული ძმები.—აჭარელ ქალების შეხვედრა.—ზორტიყელის ეილა.—სახოგალო სახე.—ეილის სასტუმრო.—გამასპინძლება.—„კითხვა სირცხვილი არ არის“.—იგავი.—აჭარლებისა და მეგრელ მეჯოგეების სიძულვილი.—ქართული ლაპარაკი.—ქართული ენა.—ზორტი-ყელი.—ეილა.—მწყემსობა.—ჩემი მასპინძელი ირემადე.—სახლი ანუ კონალი აჭაურთა.—მერძეობა.—აჭარელი შინაურობაში.—უნებური კვლევადიება.—გამომშვიდობება.

აჭარა, ანუ აწინდელის ბათომის ოლქის ერთი ნაწილი, მდებარეობს გურიის სამხრეთით. მისი საზღვრებია: აღმოსავლეთით — არსიანის მთა, რომელიც კასპიისა და შავის ზღვის მდინარეებსა (ქობლიანისა და ქვანის წყლები) ჰყოფს ერთმანეთისაგან. გარდა ამისა, არსიანის მთაა საზღვარი აჭარისა და ახალციხის მაზრისა; ჩრდილოეთით—აჭარის ქედი, რომელიც არსიანის მთის გაგრძელებას შეადგენს და რომელიც გურია-აჭარას ერთმანეთისაგან საზღვრავს; სამხრეთით—შავშეთის ქედი, ისიც არსიანის მთის შტოა და ჰყოფს აჭარ-წყალს

და მისს შტოებს იმ მდინარეებისაგან, რომელნიც ერთვიან მდ. ქოროხს მარჯვნივ. ხოლო დასავლით აქარა თავდება სოფ. კიბესთან, ერთის ვერსის მოშორებით იმ ადგილიდან, სადაც მდ. აქარწყალი მდ. ქოროხს ერთვის. აქარა ორად განიყოფება: რომელსაც უფრო მაღალი მდებარეობა აქვს, ზემო აქარა ჰქვიან, დაბალის მდებარეობის აქარას—ქვემო-აქარა. ორივე აქარა სამის მხრით შემოზღუდულია მაღალის მთებით. არაიანის უმაღლესი წერტილი 10,000 ფუტია, სულ დაბალი—ყანლის მთა (6,860 ფ.). არც აქარის ქედია დაბალი. მისი უმაღლესი წერტილი (ხინოს მთა) 8,522 ფუტს უდრის. აგრევე მაღალია შავშეთის ქედი. მისი მწვერვალი (ხევის მთა) 9219 ფუტის სიმაღლისაა. ზემო-აქარას განი აქვს 60 ვერსი, ქვემო-აქარას—40 ვერსი, ხოლო სიგრძე ორისავე აქარისა უდრის 80 ვერსს. მთელი აქარი-კი შეიცავს 4000 ოახ-კუთხ ვერსის სიგრძე ადგილს. მთელი ეს მხარე, როგორც მკითხველი ჰხედავს, მთებს შუაა მოქცეული და მოთავსებულია ქვაბსავით ჩავარდნილ აქარ-წყლის ხეობაში.

აქარას შემოსასვლელი გზები აქვს შემდეგის მხრიდან: ერთი ბათომის მხრიდან, ეგრედ წოდებულ ბათუმ-ახალციხის შოსეთი, მეორე—ამავე შოსეთი ახალციხიდან (ყანლის მთაზეა გადმოსავალი); გურიიდან სამი გზა შემოდის: ბეუჯის-წყალის ხეობით თავინურზე (8,755 ფ.), აქის-წყალის ხეობით და ბახვის წყალის ხეობით ბაღიშზე. ამ სამში ბაღიშის გზა ყველასა სჯობია. შავშეთიდან სამის მხრით შემოდის გზა. ერთია მთა კორდა (7,910 ფ.), მეორე—ხევა (9,219 და მესამე—ყვირალა.

აქარაში შესასვლელად ჩვენ ავირჩიეთ ბახმაროდან მიმავალი გზა ბაღიშზედ, საიდანაც დაღმართ-დაღმართ გზა ჩადის აქარის პირველ სოფელ ლორჯომში. სანამ გზას შევუდგებოდნენ, წინასწარ ბახმაროში გავიცანი რამდენისამე დღით აქ ამოსული ზემო-აქარის უფროსი კაპიტანი ბ-ნი ალექს. ბერიძე, რომელმაც დიდის სიხარულით მოისმინა ჩემი განზრახვა აქარის დათვალიერებისა და ნამდვილის ქართულის თავაზიანობით აღმიტყვა ყოველგვარი დახმარება ამ ჩემთვის უცნობ

მხარეში მოგზაურობის დროს. ბ-ნი ბერიძე რამდენისამე დღით აღრე გავიდა ჩემზედ, ასე რომ ვეღარ ვისარგებლე მისის წინადადებით და იმასთან ერთად ვერ ვიმოგზაურე სოფ. ხულამდე, სადაც იმყოფება ზედა-აჭარის ნაწილის სამმართველო.

ბახმაროდან რომ გავედი (31 მკათათვეს), 9 გრადუსი-ღა იყო სიბოხი. ყველა სახლები გამოკეტილი იყო და ბუხრებიდან კვამლი ამოდიოდა. მახლობელ ვილამდე (აჭარელ მწყემსების საზაფხულო ადგილი, სოფელსავით) გზის მაჩვენებლად მომყვებოდა ერთი ქობულელი ჩაფარი, ოზურგეთში მოსამსახურე და ბახმაროზე მაზრის უფროსთან ერთად ამოსული, ფიცხი, როგორც თოფის წამალი. ხურჯინი ერთს აჭარელს გადავკიდეთ მხარზე. სამივე ფეხით მივდიოდით, რადგან გასაღწევი მანძილი ერთის საათის სავალი-ღა იყო.

პირველს ეილას, აჭარის გზაზე მდებარეს, ზორტი-ყელის ეილა ჰქვიან. გზა ორი მიდის ამ ეილაში: ერთი საცხენოა და შორს (7—8 ვერსის მანძილზე) უხვევს, მეორე კი თვით ბახვის-წყალს აჰყვება, ხევ-ხევ, და ერთი-ორად ახლო მოსჭრის გზასა, თან, უფრო ლამაზიცაა. აქ ბახვის-წყალი ვიწრო კლდიან კალაპოტშია მოქცეული და იქით-აქეთ ნაძვნარი აკრავს. მდინარე, სანამ ბახმაროსთან მდებარე ვაკეზე გამოვიდოდეს, საშინლად ფიცხოვს, პირზე ქაფს იგდებს, ებრძვის ხორგებსა და სიპქვებსა, ღრღნის ნაპირებსა. სამო სასმენია მისი ნაირ-ნაირი ბურტყუნი, შხუილი, ჩქეფა, გუგუნო; ხან ყველა ხმა ერთმანეთში აერევა. მთიდან ჩამოშვებული თოვლი ზამთრისა ალაგ-ალაგ კიდევ ჩარჩენილიყო აუღებელი, რაიცა ისედაც გრილს ჰაერს უარესად აგრილებდა. გარშემო გამეფებული სიმშვენიერე ბუნებისა, რომელსაც ტახტად ბახვის-წყალის ხევი ამოურჩევია, გვხიზლავდა, ოცნების სამეფოში გვიტაცებდა...

მაგრამ, ამავე დროს, როცა ოცნება ფრთის გაშლას აპირებდა და ნეტარების ქვეყანაში გადაფრენას ჰლამოდა, სწორედ ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, ჩემდა უნებურად გულს, ცოტა არ იყოს, მწარედ ღრღნა დაუწყო ერთმა საკითხმა. და ამ საკითხმა, თითქო ცივი წყალი გადამასხესო, ერთბაშად გა-

მომარკვია, ბურანიდან გამომიყვანა... სად, ვისთან ან რისთვის მივდივარ?—აქარაში, აქარლებთან, რომ მოვიკითხო... „მოვიკითხო!“ დაცინვით გავიმეორე ჩემივე პასუხი... ფიქრმა, რომლისთვისაც არ არსებობს არცა დროის, არცა მანძილის სიშორე, რომელმაც არ იცის, საზღვარი რა არის, გამითვალისწინა დიდებული ხანა თამარისა, რომელიც, თუ აქაურებს დაუფუჯერებთ, ხშირად აბედნიერებდა აქარას თავის მოსვლითა, მისი სიტყვა ღვთის სიტყვად მიიჩნდათ. მომაგონდა დრო, როს მხდალს მღვვად აქცევდა მისი სიტყვა და ქართველისათვის დაბრკოლება არ არსებობდა, ყველა ერთის აზრით იყო გამსჭვალული, ყველა ერთის აზრის სანაცვლოდა სწირავდა თავსა—მამული ვსახელოვო, იმისი ღ იმისის შვილის აუგი არავის წამოსცდეს პირიდანაო... წარმომიდგა, როცა საქართველოს სხვა კუთხის შვილებთან ერთად აქარელნიც იყოფდნენ ჭირსა და ლხინსა, როცა მხარში ვუდექით ერთმანეთსა და ერთმანერთის სიერთაგულეში სული ამოგვდიოდა. გავითვალისწინე ის დრო, როცა მათი ტკივილი ჩვენ გვესმოდა და ჩვენი ტანჯვა კიდევ—მათა, როცა თავსა ვსდებდით ერთმანეთისათვისა. ამ დროს, ამ ნეტარს დროს, ჰყვოდა ქართველის ერი, გაბრწყინებული იყო მისი მამული. ჩვენი სიმდიდრე, კეთილ-დღეობა, ტაძარ-ეკლესიები მტერსა შურდა და ქვეყანას აკვირვებდა. თამარი მოკვდა. განვლო ოთხასმა თუ ხუთასმა წელიწადმა. საქართველო დასუსტდა. აქარა, რომელიც თავისის განაპირა ადგილას მდებარეობით ჩვენის მამულის მცველად და დარაჯად ითვლებოდა, მტერმა დაიმონავა. ჩვენ ჩვენმა უძღურებამ გვაიძულა ღვთისინაბარა დაგვეტოვებინა აქარის მკვიდრნი, მათი სალოცავები და წინაპართა ძელები ურწმუნოთა შვევლახვინეთ. სამასის წლის ბრძოლის შემდეგ, ხელი ააღებინეს სარწმუნოებაზე, შეუშუსრეს ეკლესიები და, ცოტა არ იყოს, შეულახეს ენაცა, ეს უკანასკნელი ძაფიცა, რომელმაც ისევ უნდა შეგვაკავშიროს, შეგვაერთოს ძმურად და ურომლოდ, რომელიც უნდა იყოს ერი, თავის პიროვნებასა ჰკარგავს, არ ერობს. მას აქედ ბედი არ ჰლიმია აქარასა.

პირველად მივდიოდი სამასის წლის განმავლობაში ჩვენის გულიდან მოწყვეტილ ძმებთან. მეუბნებოდნენ, ქართული დაცულია მათს შორის და უფრო უკეთესიც, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეშიო. მაგრამ მაინც ვეკითხებოდი ჩემს თავსა: გავიგებლა იმათსას და გავაგებინებ-ლა ჩემსას? გვაქვს-ლა კიდევ რამ საერთო, გვაკავშირებს-ლა კიდევ რამე? იმედი უნდა ვიქონიოთ რისამე, თუ საბოლოოდ სასო უნდა წარგვეკვეთოს-მეთქი?...

ამ ფიქრში გართული კლდის ბილიკს აღმა შევეყვები. რა-ლაც უცნაურს^ს ხმაზე კივილი მოგვესმა ქალისა. ხმა თან-და-თან გვიახლოვდებოდა და, ბოლოს, კლდის მოსახვევში, მოკივარსაც დაეუპირდაპირდით. ოსმალურად მორთული დედაკაცი მორბოდა, თან, რაღაც გაუგებარ სიტყვებს ამბობდა. მეორე ქალი უკან მოსდევდა ფეხ-და-ფეხ. თვალი-ლა მოეკარ შავგვრემან სახეს... კარგად გასინჯვა ვერ მოვასწარი, რადგან ქუჩუყიანი ჩადრი თავზე მოიფარა, ასე რომ მარტო სხეულს და ტერფ-დამსკლარ ქუჩუყიანს ფეხებს-ლა ვხედავდი. გრძელი, ლურჯი პერანგი კოჭებამდე სცემდა. აღისფერ ჩითის განიერ ტოტებიანი ამხანაგი პერანგისა პერანგს ქვემოთ დასთრევდა, ფეშტემალი, ძალზედ მოსვრილი წვირითა და ფეინითა, გრძლად ჩამოშლოდა. „უცხო“ კაცი რომ დამინახეს, მაგრად გაეხვივნენ ჩადრებში, რომ ჩემის ცნობისმოყვარე თვალთათვის მათის ნახვის საშუალება წაერთმიათ. აი პირველი ნიშანი იმისა, რომ ერთმანერთისათვის სხვა-და-სხვანი ვართ-მეთქი: მე მათს სანახავად მოვედი, და ესენი კი თავს იმალივენ, ჩვენს ნახვას ერიდებიან-მეთქი. ჩვენ რომ დაეუმხარდამხარდით, ბილიკს გადაუხვიეს, და ზურგ-შექცეულები ერთს ალაგას გაჩერდნენ, სანამ გავივლიდით მე და ჩემი თანამგზავრნი. ჩვენი მებარგული უკან ჩამორჩა და ამბავი გამოჰკითხა. ქალი ისევ ჩადრ-მოუხსნელი იღვა და ისე ელაპარაკებოდა, ჩადრის ქვეშიდან. კივილის მიზეზი ისა ყოფილა, რომ მისს ვაჟს მამა „დაუმსხრდაო“ (გაჯავრებით გამოეკიდაო), ბაღვი (ბავშვი) საღლაც გაიჭრა და ვაი თუ სადმე ღრანტეში გადიჩენაო. გვეკითხებოდა, ხომ არსად შეგხვედრიათო? მოგვწორდა და მი-

სის კვილის ხმა კიდევ დიდს ხანს გაისმოდა ღობერაში, — თავის „ბაღეს“ ეძახოდა.

გავათავეთ ხევი. ტყე უკან დაგვრჩია და საბალახოზე გამოვედით, ტიალზე. ბახვის-წყალს ხმა უსუსტდება, ტანითაც პატარავდება, მხარი, ანუ მხარნახევარი-ლა თუ აქვს განი. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს მოკრძალებული, მშვიდი და უწყინარი, თითქმის მიკნავებული ბახვის-წყალი იგივე ბახვის-წყალია, რომელიც ამ ათის-თხუთმეტის ვერსის იქით მთასა და ბარს ეომება დაჭრილ ლომივით, მთელის სახლის სიმსხოქეებს კენჭებსავით მიაგორებს, ჰგლეჯავს სოფლებს, ასწლოვან ხეებს.... წინ შემოგვეფეთა ორი 9—10 წლის ბავშვი, — აქარლების შვილები. მოკლე კვარტუა ეცვათ ადგილობრივად მოქსოვილის შალისა, ტანზე შემოქერილი, ამავე შალის ძიგვა,*) საჯდომთან დანაოქვებული და ფეხებთან კი მქიდროდ შემოკრული. თავზე წითელი ოსმალური ფესები ეხურათ. თეთრგვრემანს, ცოტათი მზე-მოკიდებულს სახეს მეტად შეენოდა ყარყუმივით შავი, გამომეტყველი, სიცოცხლით სავსე თვალები, მოძრავი ტანი. ჩემს ნახვაზე დამფრთხალ ჯეირანსავით ყურები სკქვიტეს, ორი წყვილი გაცელებული ლამაზი თვალები მომაშტერეს. ხუთიოდ ხბორებს, ფერდზე შეფენილებს, თავი გაანებეს. „გამარჯობა თქვენნი!“ შევსძახე ბავშვებს. შეკრთნენ, ერთს ხანს ხმა ვერ ამოიღეს, თითქო პასუხის მოცემას ვერ ახერხებენო. მერე გონი მოიკრიფეს და მოსხლეტით მითხრეს: „გაგიმარჯოს!“.

ერთის საათის სიარულის შემდეგ მივედით იმ ადგილას, სადაც ერთი სამხრეთიდან და მეორეც დასავლეთიდან გადმომდინარი მთის წყლები — ღაშისფერდის-წყალი და ჩრდილოს-წყალი — ერთდება და ორსავე ერთად ერთი სახელი ერქმის — ბახვის-წყალი. აქ არის ზორტის-ყელის ეილა, სადაცა დგანან ზემო-აქარის სოფლის ღორჯომის მცხოვრებლები თავიანთის საქონლითა. ამ წყლების იქი-აქეთ ნაპირებზე გადმოდგმულია ორორ სართულიანი ჯარგვლისებური ხის სახლები, ან, როგორც

*) ძიგვას აქ შალვარს ეძახიან, როგორც სამეგრელოში.

აქ ეძახიან, კონალები. ეს, თუ გნებავთ, საზაფხულო სოფელია. სოფლის შესავალთან განმარტოებითა დგას ხის დაბალი, მხარნახევრის სიმაღლე, ჯარგვალი, ორ-თვალიანი. ეს გახლავსთ სასტუმრო სოფლისა, მხოლოდ უსასყიდლო. ვინც აივლის და ჩაივლის, ყველა მგზავრსა აქვს სრული ნება შიგ გაჩერდეს, ღამე გაათიოს და მერე გზა განაგრძოს და ღამის გასათევი სასყიდელი კი არავის მისცეს, და არცარა ვინა სთხოვს. სასტუმროის ერთი თვალი ადამიანისათვის არის და შიგ იქით-აქეთ ფართე, მაგრამ ძალზე დაბალი (ერთის მტკაველის სიმაღლე) ტახტებია შეკრული, ხოლო შუაში მიწურზე ცეცხლი ანთია. მეორე თვალი კი ცხენის დასაბმელად აქვს მოდგმული.

მივედი თუ არა, ჩემს გზისმაჩვენებელს ჩაფარს ვაკითხვინე სეფერ ხათიბ-ოღლი ირემადე, რომელთანაც ღამე უნდა დავრჩენილიყავ. მითხრეს, სხვაგან წავიდა და, საცაა, დაბრუნდებაო. მანამდე, გნებავსთ, აქ დაიცადეთ და გნებავსთ—იმის სახლში მიბრძანდით. ქალები-ღა არიან სახლში, მაგრამ ეს არაფერია, როგორც შეუძლიათ, პატივსა გცემენო. ვარჩიე სასტუმროში დაცდა. გარედ, მწვანეზე, მოვიკალათე. იქით-აქეთ მთები დაგცქეროდა, მწვანე ხასხას ხავერდით შემოსილი. მთიდან მომავალი ლაშისფერდის-წყალის ჩხრიალი სმენას გვიტკობდა. ამასობაში, ჩემთან თავი მოიყარეს ირემადის მეზობლებმა. ყველას ერთგვარად აცვიათ ტანთა: შალის მოკლე ჩაქურა, დოშლული, ნაოჭებიანი, ტოტებ ვიწრო ძიგვა, შალისავე სქელი ჭრელი წინდები და ქალამნები. წელზე ბრტყელი ქამარი აქვსთ შემორტყმული, სრულებით სადა. შიგ გაყრილი აქვს ოსმალური მუცელ-გამოწეული დანა, ზოგს სატევარი. თავზე ყაბალახი აქვს შემობლანდული, ზოგს ფესიცა ხურავს. ყველა ტანადნი არიან, მხარ-ბეჭიანნი. ტიპი იგივეა, რაც საზოგადოდ ქართველისა. შავი ან თაფლის ფერი თვალები აქვსთ; სურათი ცხვირი და საერთოდ მამაცი და გულკეთილი გამომეტყველება სახისა. წვერს იპარსავენ.

თითოეული მათგანი, როგორც კი მომიახლოვდებოდა, ასე ორი-სამის მხარის სიშორიდან, ოსმალურად საღამს მომცემდა მო-

წიწებით: ჯერ იტყოდა „სალამ ალექსემ“ და მერე მარჯვენა ხელით პეშვს გააკეთებდა, დაბლა წაიღებდა, თან ცოტათი გადხრებოდა, მერე გასწორდებოდა, ხელს ტუჩთან მიიტანდა, ტუჩიდან შუბლზე მიიღებდა, შემდეგ ძირს დაუშვებდა და მინამდე იღგა, სანამ არ შევეხვეწებოდით, დაბრძანდი-მეთქი. გაიგეს ჩაფრისაგან, საიდან მოვდიოდი, ვისთან უნდა გავჩერებულვიყავ ლამე, მერე სად უნდა წავსულიყავ. მაშინათვე წავიდნენ და, არ ვიცო-კი სად, სადელი შეუკვეთეს. ნახევარს საათს არ გაუვლია, ერთმა გლეხმა ხონჩით მოიტანა ცხელი მჭადი, ბორა (დაჭრილი ყველი, ერბოთი მოხრაკული ტაფაზე), ხავიწი (სიმინდის მოხარშული ღერდილი, ბლომად ერბო ჩართული) და ყაიმალი (ნაღები). სუყველაფერი ერთს ხონჩაზე ეწყო. შეჭამადი ყველა სპილენძის თებშებში იყო, ზევიდან ხუფი ეხურათ საქმლის გაუცივებლობისათვის. პატარა მალხაზმა ბიჭმა გუგუმი (თუნგი) გაარბევინა და თვალის დახამხამებაში მშვენიერი, ცივი, ანკარა წყაროს წყალი მოიტანა. ჯერ ხელი დამაბანინა და ერთმა მოხუცებულმა, რომელმაც მასპინძლის როლი იკისრა, დიდის თავაზიანობით მითხრა: „ბრძანე, ბატონო!“ პირველში ვერ გავიგე იმისი ქართული და ჩემს თავს ვკითხე, რის თქმა უნდოდა-მეთქი! მაგრამ იმისმა საქმლისაკენ გამოშვერილმა ხელმა მიმახვედრა, რომ საქმლის ჭამასა მთხოვდა და ჩვენებურის „საქმელი მიირთვით“-ის მაგიერ „საქმელი ბრძანე“ ან მარტო „ბრძანე“ სკოდნიათ-მეთქი. მეც არ დავაყოვნე „მებრძანებინა“... საქმლისათვის. მაგრამ ძნელი „საბრძანებელი“ გამოდგა აქაური საქმელი. გარდა მჭადისა, ყველას ერბო აქვს ჭარბად ჩართული, სამის ლუქმის შემდეგ კაცს გულს უსუყებდა და ჭამას თავს ანებებს. სამაგიეროდ, აქაურის წყალის სმით კაცი ვერა ძღება; აქაური ერბოიანი საქმელი ხომ უფრო ანდომებს კაცს წყალსა. ერბოს ჭარბად ხმარება აქაურის ცივის ბუნების მოთხოვნილებაა. რაც უფრო ცივა, იმდენი უფრო მხურვალე საქმელსა თხოულობს აგებულობა ადამიანისა. აჭარა კი, როგორც მთა-გორიანი ალაგი, ძალზე ცივადგილებს ეკუთვნის. ნასადილევს, წარმოიდგინეთ, ამ მთაზე

ყავაც კი მომიტანეს!... ყავა აქ ყველა მეოჯახესა აქვს. ჩაის არა ხმარობენ და ყავით კი უეჭველად პირი უნდა ჩაიტკბარუნონ. და ყოველივე ეს უსასყიდლოდ შემოთავაზეს. საქმლისა და სტუმრის პატივისცემისათვის სასყიდლის შეძლევეთ აქარელს საშინელს შეურაცყოფას მიაყენებთ.

სანამ სადილს გავათავებდი, ოთხი გლეხიც მოგვემატა. ერთი ხანში-შესული გლეხი ახლოს მომიჯდა და ბოდინის მოხდით წმინდა ქართულით მითხრა: „კითხვა სირცხვილი არ არის, ბატონო.“ მართალია, ჩაფარსა ჰკითხა ჩემი ვინაობა, მაგრამ, ეტყობოდა, ვერ დააკმაყოფილა მისმა პასუხმა და ზემოხსენებული სიტყვებით მე მომიბრუნდა. იმის მაგიერ, რომ პირდაპირ ეკითხნა, რაც უნდოდა, იგავით დაიწყო, შორიდან. ეტყობა, ეს მანერა ლაპარაკისა, ძველთაგან დარჩენილი, დღესაც დიდს პატივშია.

„ერთს შეძლებულს კაცს,—დაიწყო თანამოსაუბრემ,—ორი მოჯამაგირე ჰყავდა. ერთს დღეში შაურს აძლევდა, მეორეს—1 კაპიკსა. ერთს დღეს მისის სახლის კარ-წინ ჩაღვადრებმა გაიარეს და შორი-ახლო დაისვენეს. აღამ ერთკაპიკიანი მოჯამაგირე გაგზავნა, წადი, ნახე ჩაღვადრებიო. მოჯამაგირემ აღის ბრძანება აღასრულა: მხოლოდ მივიდა, დახედა და უკანვე დაბრუნდა. მერე შაურიანი მოჯამაგირე გაგზავნა. ის მივიდა ჩაღვადრებთან, ჰკითხა ვინაობა, სადაურობა, საითმიმავლობა, რა საქონელი მივაქვთო? ერთის სიტყვით, ყველაფერი გამოჰკითხა, თუმცა არავის უთქვამს მისთვის ესენი გაეგო. ყველაფერი აღას უამბო. აღამ კაპიკიანი მოჯამაგირე აძაგა, შაურიანი—აქო. ეს ქართული თქვენ შეგეხებათ, ბატონო. ჩვენ გვეწვიეთ, ვეტყობათ, პატიოსანი, უცხო კაცი ბრძანდებით. ჩვენს სოფელზე რომ გაიაროთ და ჩვენ რომ მერე ვინმე გვკითხოს, ვინ იყო თქვენთანაო, რა ვუთხრათ, რაც არ გვეცოდინება?

— ძველთაგანვე ჩვენი ძმები ყოფილხართ, — ვუთხარი, — მერე ერთმანერთს დავშორდით. ერთმანერთის არც კარგი ვი-

ცოდით, არც ავი. მოვსულვარ, განახოთ, თქვენი ამბავი გავი-
გო და თქვენს ძველს ძმებს ვუამბო.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! შეიტყეთ, გაგვიცა-
ნით. ჩვენც, რაც შეგვიძლია, ხელს შევიწყობთო.

ამ დროს ჩაფარმა ორს კაცს, სერ-სერ მიმავალს, თვალი
მოჰკრა. იხმო ორივე. ხუთს წუთს უკან მგზავრნი ჩვენთან იყე-
ნენ. თვალ-წინ წარმოგვიდგა ორი ჯვარელი მეგრელი, ნაბდის
წოწოლა-ქუდებიანი, მოკლე წყლის ფერ ჩოხებიანი.

— აქეთკენ რა გინდოდათ? — მოსვლის უმაღვე გამარჯვე-
ბის მაგიერ, ჰკითხა, ცოტა არ იყოს, გულმოსულად, ერთმა
აქარელმა მეგრელს.

— რა და, ცხენები დეიკარქა აქანეი და იმგენს ვეძებთუ-

— სტყუი, შე მეგრელო, — შეუტია აქარელმა, აქ არაფერი
დაიკარგოს, თორემ... — და თან დასძინა, რომ აქეთკენ საქურდ-
ლად დადიან მეგრელები, ცხენები არ შეგვარჩინესო. რა შეიძ-
ლებოდეს, მეგრელს ფეხი არ უნდა შეადგმევინოს კაცმა აქეთ-
კენაო.

..... ერთს საათს უკან გაიგო იმავე აქარელმა, რომ დე-
დაც და მამაც მეგრელები ჰყავდა მათს სტუმარსა. თითოზე
იკბინა.....

გამიკვირდა ასეთი უბოღიშობა და მუქარა. მაგრამ მათი
საჩივარი არც თუ სულ უსაფუძვლო ყოფილა: მერე გავიგე-
საქმე ის გახლავთ, რომ მეზობლად, ბახმაროს მთებსა და იმის
ახლო-მახლო ზაფხულობით საქონელი უყენიათ მეგრელებსა.
იმათთან ვითომ „სტუმრად“ „ნათესავები“ მოდიან ხოლმე
სამეგრელოდან. „აქეთ დაბლით (ფეხით) მოდიან და უკან-კი
ცხენებით ბრუნდებიანო“. ხოლო ეს ცხენები უეჭველად აქა-
რელისა უნდა იყოს. ეს „სტუმრები“ დღისით დადიან გარშე-
მო ეილებში და ათვალეირებენ, საიდან უფრო მარჯვე გასა-
პარებელიაო. მათს გადამკიდე აქარლებს მოსვენება არა აქვთ.
ხშირია სისხლის ღვრა. დღე-მუდამ საჩივარია ოზურგეთის მაზ-
რის უფროსთან — მეჯოგე მეგრელებმა დაგვანელესო. ასე რომ
მეგრელებს აქ მეტად აქვთ სახელი გატეხილი. აქარელისათვის

მეგრელი და ცხენის ქურდი—სინონიმებია. ამიტომ, საშინელი მტრული განწყობილებაა მეგრელ მეჯოგეებსა და აქარლებს შორის. რაც უნდა უჭირდეს მეზობლად მდგარ მეჯოგე-მეგრელს, აქარელი არ მიეშველება, ქოხი რომ ეწოდეს, ხელს მოითბობს და მთელი მდინარე რომ ჩაუდიოდეს ახლო, ერთ ტოლჩა წყალს არ დაასხამს გასაქრობად.

საკმაოდ ილაპარაკეს ჩვენთან, და, ამასთან, არა ერთმა და ორმა, რომ დავეკვირვებოდით და საზოგადო აზრი შეგვედგინა მათის ლაპარაკის ხასიათზე, რასაც დიდის სიამოვნებით ვუზიარებთ მკითხველსაც. ოსმალთა ბატონობას, მართალია, ქრისტეანობა განუდევნია აქარიდან და აქარლები თვით ოსმალებზედ ძლიერნი მმოსავნი გამხდარან მაჰმადისა, მაგრამ ქართული ენა მაინც შერჩენია ხალხსა. თუმცა ისიც უნდა სთქვას კაცმა, რომ გავლენა ოსმალურისა ეტყობა მათს ლაპარაკსა. ათს ქართულ სიტყვაში ორი ოსმალურია. ამასთან, თვით კილო ლაპარაკისა, აკცენტი, ოსმალურს ლაპარაკს მოგავონებთ. ოსმალური ყველამ არ იცის, ერთმანეთში სულ ქართულად ლაპარაკობენ. მაგრამ ყური უნდა შეაჩვიოთ, პირველ ხანში გიძნელდებათ მათის ნათქვამის გაგება. დიდი განსხვავებაა გურულ სხვაასხუპით ლაპარაკსა და აქარების დინჯ ლაპარაკს შორის. ამ მხრივ აქაური ქართლელს უფრო მოგავონებთ, ვიდრე დასავლეთ საქართველოს მკვირცხლ მკვიდრსა. თვითონ ნელი მიმოხვრა, აუჩქარებლობა მათს ლაპარაკს შეეხამება. პირველში როგორც მე მიჭირდებოდა მათის ნათქვამის გაგება, ისე იმათაც ჩემის ნალაპარაკევის გაგება უჭირდებოდათ. ერთი ამთვანი ქართლში ყოფილა და მითხრა, პირველად, სანამ კარგად არ „დაუწყურებდი“ (არ დაუკვირდებოდი), ვერ ვიგებდი აქარების ლაპარაკსაო. ეგ სიძნელე იმისგან წარმოსდგება, ჩვენის აზრით, რომ ზოგის სიტყვების ქართული სახელწოდება დაჰვიწყნიათ და ოსმალურს სახელებს ეძახიან. ასეთი ოსმალური სიტყვა როცა ფრაზაში გაერევა, ხანდისხან მთელის ფრაზის შინაარსი გაუგებარი რჩება მსმენელისათვის. ხშირად ხმარობენ სიტყვას ბა-ს, რაიცა ნიშნავს კი, ჰო, მაშ-ს.

პირველ პირის ნაცვალ სახელს მე-ს ბოლოს ნა-ს უმატებენ ლაპარაკის დროს, როგორც ქართლის ზოგიერთ სოფელში იციან ხოლმე, მაგ. ამ ფრაზას: „მე გითხარი“, აქარელი ასე იტყოდა. „მენა გითხარი“. ამბობენ აგრეთვე, ისიც ქართლებს მზგავსად, რამდენის მაგიერ **რაშითა-ს**. მოხვევების მსგავსად ხშირად ურევენ ლაპარაკში **ჭა, ჭაი-ს**, ესე იგი, მაშ, ჰო. აქვე შეიხვედით ბევრს სიტყვებს, რომელნიც ან ძველ ქართულში ან და კიდევ სამეგრელოში ხმარობენ. მაგალითად, შარვალს სამეგრელოში **მაქვა-ს** ეძახიან; ამავე სახელს ეძახის აქარელი ტანისამოსის ამ ნაწილს, მხოლოდ მცირეოდენის ცვლილებით, სახელდობ **მაგვა-ს** (ქ-ს მაგივრად გ-ნია ხმარებული). სხვათა შორის, აქავეა დარჩენილი ძველი, საღმრთო წერილის სიტყვა, რომელიც, რამდენადაც ვიცით, საქართველოში სხვაგან არსად იხმარება, ან და ჩვენ მაინც არ გავვიგონია. ეს გახლავთ საეკლესიო ნივთის ფეშხუმის სახით გაკეთებული ხის ჭურჭელი, რომელიც სუფრის ალაგას იხმარება აქ და სახელადაც ფეშხუმი ჰქვია. — მრგვალია, როგორც ფეშხუმი და იმასავით მრგვალივე ფეხი აქვს შუაზე. დიამეტრი ზოგს ორიდან სამ მტკაველამდე აქვს. ზედ აწყობენ საქმლიან სპილენძის სინებს სადილევახშმის დროს და მოსუფრალნი გარშემოუხსდებიან. ჩვენი ყურადღება ძველის ქართულის ფორმამაც მიიქცია. არ იტყვიან: „მე არაფერი მეკარგება“, არამედ უეჭველად ასე უნდა სთქვან: „მე არაფერი მეკარგებას.“ ლაპარაკში აქაურები მეტად თავაზიანები არიან. არ შეიძლება რამე სთქვან, რომ არ დაატანონ: „ბატონი“ „ბრძანდები“, „თუ უკაცრავად არ გახლდეთ“ და მებრი სხვა საბოდიშო სიტყვები, რომელნიც ქართულის ენის ნიშანდობლივს თვისებას შეადგენენ. ქალებმა ოსმალური არ იციან. მხოლოდ ქართულად ლაპარაკობენ და მიაშბეს, წმინდა ქართული ენა ქალებში უფრო დაცულიაო. აქ ვერ გაიგონებთ იმ უწმაწურ სიტყვა-პასუხს, ურომლოდაც ქართლელ მდაბიოს ლაპარაკი ვერ მოუხერხებია. ლანძღვა დიდ სირცხვილად მიაჩნიათ. ამის შესახებ ერთმა მითხრა: „ქართლში ვიყავ

ქართველებთან, ყველაფერი ძალიან მომეწონა იქაურებისა, მხოლოდ ბევრი გინება სკოდნიათა.“

აქარაში ქართულის ენის შენახვაზე კიდევ გვექნება საუბარი ჩვენს შემდეგს წერილებში და ახლა-კი ჩვენს დღიურს განვაგრძობთ.

სადილი რომ გავათავე, ჩემს გარშემო შეკრებილმა სოფლელებმა დაიბანეს ფეხები, მკლავები, ხელები და პირი. გაიხადეს მოკლე კვარტუა, იქვე მწვანეზე გაიშალეს, ზედ დაიჩოქეს და შუადლის ლოცვა შეასრულეს ოსმალურად. პირველად ვხედავდი აქარელ მაჰმადიანს ლოცვის დროს. გამაოცა იმ სასოებამ და მხურვალეობამ, რა სასოებითა და მხურვალეობით მაჰმადიანი ქართველი ლოცულობდა, პირშებრუნებული დასავლეთისაკენ, სადაც ეგულებოდა მაჰმადის სამშობლო და საფლავი. ვისაც ერთხელ უნახავს აქარელი და ოსმალელი ლოცვად მდგარნი, დაგვეთანხმება, რომ პირველი მეორეზე უფრო გულწრფელადა და სასოებით ლოცულობს, ვიდრე მეორე, რა თქმა უნდა, რამდენად-კი შეიძლება ამის შეტყობა მლოცველის სახის მდგომარეობის შემწეობით.

ცოტათი თვალი მოვატყუევე მწვანეზე. გრილი ნიავი, მთიდან მდინარესთან ერთად ჩამოსული, თავისის საამო სისინით მზის სხივებს ძალას უკარგავდა და ძილს საამოდ უხდიდა ადამიანს. საღამომდე დრო ბევრი მრჩებოდა ეილის დასათვალიერებლად, რასაც დიდის სიამოვნებით შევეუდექი.

ის ეილა, სადაც ჩვენ ვიდექით, ზორტი-ყელის მთაზედ არის გაშენებული და სახელიც აქედან დაერქვა (ზორტი-ყელის ეილა). სოფელი ხევშია და ყოველმხრიდან დაფარულია ქარებისაგან. ეს მთა, რომელიც ადმინისტრაციულად ოზურგეთის მაზრაშია, ადრე, როგორც თვით ბახმაროს მთა, გურულ თავადებს ერისთავებს ეკუთვნოდა. ახლა კი, როგორც თვით ბახმარო, ესეც ხაზინის ხელშია გადასული, ამ სამის წლის წინად ატეხილ დავის შემდეგ. აქარელნი (სოფ. ლორჯომიდან) აქ როგორც ახლა, ისე მაშინაც გადმოდიოდნენ, როცა აქარა ოსმალების ხელში იყო და ზაფხულობით საქონელს აძოვებ-

დნენ აქაურს მშვენიერს ალპიურს საბალახოვებზედ. მთის პატრონებს, ერისთავებს, საძოვრის ქირას საქონლის რიცხვის კვალობაზე აძლევენ. მეწველ ძროხაზე ან კამბეჩზე ერთ ყველს იხდიდნენ, უწვევლზე—არაფერს. ფულად არაფერს აძლევენ, აგრეთვე ცხვრისა და თხის ძოვებისათვის. ამ უკანასკნელებზე მარტო მეწველზე აძლევენ ათის თავს, ესე იგი, ათ მეწველ ცხვარში (ან თხაში) ერთ ცხვარს (ან თხას) აძლევენ ერისთავებისაგან დაყენებულ კაცს. ამ ნაირი (ბუნებრივი) გადასახადი აქარლებს მეტად შეღავათიანად მიიჩნდათ და ახლაც უკან მისტირიან იმ ძველ დროს, როცა, მათის სიტყვით, ორივე მხარე კმაყოფილი იყო: მთის პატრონიცა და საქონლის პატრონიცა. გარდა იმისა, რომ უბალახობით გაჭირვებულნი აქარელნი ერისთავების საბალახოთი სარგებლობდნენ, ეს უკანასკნელნი, როგორც ძლიერნი და გავლენიანნი თავადიშვილნი, გაჭირვების დროს (მტრის თავდასხმა, ქურდებისაგან დარბევა-დაწიოკება), თავის მოვალეობად სთვლიდნენ დაეცვათ და დაეფარათ მათს მთაზე შეფარებულნი, 25—30 ვერსის სიშორიდან წამოსულნი, სოფლელნი. ესენი ნებას არავის აძლევენ, ცუდ-უბრალოდ დაერბიათ აქარელნი, თუნდა შეურაცხყოფა მიეყენებინათ. ბოლოს, ხელი ხელსა ჰბანდა და ორივე-კი—პირსა. ორივე მოგებულნი რჩებოდნენ: საქონლის პატრონიცა და მთის პატრონიცა.

ამ უამად ზორტი-ყელის მთის საძოვრები ნარდად აქვთ აღებული იჯარით ზემო-აქარის სოფლის ღორჯომის მცხოვრებლებს ზაფხულში 18წ მ. ყოველი მათგანი იმის კვალობაზე იხდის ფულს, რამდენი სული საქონელიცა ჰყავს. არის გლეხი—წ მანეთს იხდის, არის—თხუთმეტი შაური-და მოუწევს გადასახდელი. კამეჩსა და ძროხაზე ხუთი შაური აქვსთ გადასახადად დაწესებული, ცხვარსა და თხაზე—შაური.

ასეთი ეილები ზორტიყელის ეილის მახლობლად ორისამი სხვაც არის აქარლებისა. არის აგრეთვე ხუთი-ექვსი მდ. ბჟუჯის სათავეში, თავიურის მთაზე.

ეილაზე სოფლები მისი გასულს ამოდიან. თან მოჰყავთ ცოლ-შვილი და მოაქვთ საბან-გობანი და ავეჯი, რაც-კი რამ დასჭირდებათ ოჯახში. ყველა ოჯახს თავისი კონაღი (სახლი) აქვს, ორსართულიანი, მრგვალის ძელებისაგან გაკეთებული. ყოველს მოსახლეს 20—30 ოთხკუთხი მხარი ადგილი აქვს შემოკავებული საქონლის შესარეკად; იქვე სახლთან ზოგს ბოსელიცა აქვს მოდგმული ხბორებისათვის. ყველა სახლები ერთად არის შექუქკვილი. ზორტი-ყელის ეილაში 60 სახლი მეტია, და, სულ ბევრი, 4 ქცევა ადგილი რომ ეჭიროს. აქა რჩებიან სექტემბრის გასვლამდე. მთიდან ჩამოსვლის შემდეგ ერთს თთვესაც ყიშლებში ატარებენ. კიშლები იმ-ნაირივე სადგომებია, როგორც ეილების კონაგები. ესენი მხოლოდ საშემოდგომოდ არის აშენებული იმ ადგილას, საცა ტყე თავდება და გაკაფული ადგილები (სათივები) იწყება სოფლისა. აქ საქონელს აბამენ და თივითა ჰკვებავენ. ერთს თვეს ან თვე-ნახევარს (ადრეულ ზამთარზეა დამოკიდებული) აქ რო დაჰყოფენ, მერე საზამთროდ სოფელში დაემგებიან.

საქონელი აქ ყველას მომეტებულიად თავთავისი ამოუდის. რიცხვი მათი ძალიან განსაზღრულია. ყველას იმდენი ჰყავს, რამდენიც თვითეულ მეოჯახისათვის აუცილებელი საქიროა, სახელდობრ: ერთი ან ორი ძროხა, რამდენიმე ხარი, 10—20 სულამდე ცხვარი და თხა. ვისაც ერთის ან ორის მეტი არა ჰყავს საქონელი, თითონ არ ადის ეილაზე, თავის მეზობელს აბარებს მის შენახვას. მეწველ ძროხაზე შესანახს ფულად ართმევენ ერთ მანეთამდე, ხოლო რაც კარაქი და ყველი გამოუვა ძროხას, აგროვებენ და მერე პატრონს აძლევენ. აქაური საქონელი, ან, როგორც აქ ეძახიან, ბოხრიკი, მეტად წვნიკის ჯიშისაა. ზედმეტს გურიაში ჰყიდიან საკლავად.

სალამოხანს ჩემი მასპინძელი ირემამეც მოვიდა. სეფერ ხათიბ-ოღლი ირემამე ასე შუახნის კაცია, წამოსადეგი ვაჟკაცი. დორჯომელების მოლაა. სხვა სოფლებებისაგან, ან როგორც აქ ეძახიან, სოფლიერებისაგან, ვერ გაარჩევთ: ტანისამოსი იგივე აცვია. მხოლოდ წითელი ფესი ხურაეს და გარშემო დოღბენ-

დი აქვს შემობლანდული. ქართულს კარგად ლაპარაკობს, იცის ოსმალური წერა-კითხვა. ქართული წიგნი რატომ არ იცი-მეთქი? »გურჯული (ასე ქართულს ეძახიან) ქითაბი (წიგნი) კარგია, რომ ვიცოდე, მაგრამ მასწავლებელი არავინ მყავდა. მედრესეში (სკოლაში) მართა თათრულს (აქ ოსმალურს თათრულს ეძახიან, ოსმალოს კიდევ თათარს არქმევენ) გვასწავლიან. ჩვენს მემლექეთში (სამშობლოში, ესე იგი აქარაში) გურჯული ქითაბი არავინ იცის.« ვუთხარი აზრი ჩემის აქ მოსვლისა. ძალიან გაეხარდა. მეტად სტუმართმოყვარეც გამოდგა. ბოდიში მოიხადა, თქვენისთანა ძვირფას სტუმრის პატივისცემა ჩვენ სად შეგვიძლია, მაგრამ რასაც არ დაგვზრახავთ, თქვენ იცითო. მაშინათვე წააღებინა ჩემი ხურჯინი და მერე მე თითონ შემეყვანა თავის ყონაღში. იმის უფროს ვაჟის მეტი სახლში არავინა მჩვენებია.

ჩემი მასპინძლის სახლი, როგორც სხვებისაც, ორსართულიანია. ზედა სართულში სცხოვრობს ჯალაბი, ქედაში—თავლა და ბოსელია ერთად. გარედან სახლს სიგრძე 4 მხარი აქვს, განიც ამოდენივე. პირველად კიბეზე ავედით და შევედით დერეფანსავით მოდგმულ ოთახში, რომელსაც ერთის მხრით სიგრძეზე ტახტი აქვს და ზედა ჰყრია ერთმანეთში არეული: უნაგირი, კალათი და სხვა შინაური ნივთი და ავეჯი. შესავალ კარის პირდაპირ კედელში გამოჭრილია სინათლის შემოსასვლელად, რომელიც მხოლოდ ფიცრის დარაბით იხურება. გარედან ამ სარკმელს მოდგმული აქვს, რაფასავით, ოდნავ ამოღრუტული ფიცარი, ორის მტკაველის სიგანე,—ეს არის ხელპირის საბანი. ამ დერეფანს განი 5 ადლი აქვს, სიმაღლე $\frac{1}{3}$ ადლი.

ამ განყოფილების გარდა, რომელიც სტუმართ დასაწოლიცაა, ორი სხვა განყოფილებაცა აქვს აქაურების კონაღსა. მეორე განყოფილება საჯალაბოა და იმავე დროს სამზარეულოცაა. იქით-აქეთ დაბალი, მტკაველ-ნახევარის სიმაღლე ტახტებია მიკრული, განიერები (ერთი მხარი), ცარიელი და ძალზე შავი. ტახტებს შუა ქვედა სართულის ქერზედ მიწა აყრია

და კერა არის გამართული: ზემოდან საკიდლოა ჰკილია რკინისა, რომელზედაც საჭიროების დროს ქვებებსა ჰკიდებენ, როგორც სხვაგან საქართველოში. ერთ კუთხეში ფიცარია მიკრული, სადაც ჯამ-ჭურჭელი აწყვია. კედლები როგორც პირველ განყოფილებისა, ისე ამ საჯალაბოისაც ფარღალაა, ოდნავ გაჩორკნილი მრგვალი ძელები ერთმანეთს ზოგან $\frac{1}{2}$ გოჯზე ჰშორავენ, ასე რომ სიცივესა და ქარს გარედან შემოსვლის დროს წინ არა ეღობება-რა. საჯალაბოში ბატონი ქალია, მამაკაცს და ისიც უცხოს, როცა შიგ ქალები არიან, შემოსვლა არ შეუძლია. ან, თუ შემოვა, ქალები სხვაგან იმალებიან. აქ ხარშავს საქმელს ქალი, აქ აკეთებს საოჯახო ხელსაქმეს და აქვე იძინებს აქალ-ბუჭულებითურთ. სიბინძურეს გვერდს ვერ უქცევთ. განსაკუთრებით პირველად, ერთბაშად მისულს კაცს, ხამად მეტად უძნელდება თვალი და, განსაკუთრებით, ყნოსვა, შეაჩვიოს აქაურობას.

საჯალაბოდან დაბალს კარში გახვალთ და შედინხართ მესამე განყოფილებაში—სარძევეში. ეს ოთახი მარტო რძისათვის არის მიჩენილი და სარძევეც იქიდან დაერქვა. აქ იკრიბება მთელი მონაწველი რძე და მისგან აკეთებენ ყველაფერს, რის გაკეთებაც-კი იციან აჭარლებმა რძიძაგან. ერთს მხარეს ფიცრებია შეკრული და ზედ პატარა გობები ანუ ბარქაშები აწყვია. შიგა დგას უმი რძე, რომელსაც მოწველის შემდეგ ორს დღეს აჩერებენ, რომ ნაღები (აქ ყაიმაღს ეძახიან) მოიგდოს. იქიდან მოხდილ ყაიმაღსა სდღებენ, სანამ კარაქს არ გამოაცლიან. კარაქ-მოხდილ ყაიმაღს ადულებენ და ცოტა ერბოს იქიდანაც მოხდიან. რაც დარჩება, იმას მარილს ურთავენ და გააცივებენ. გაცივებული მასალა სქელდება და იმისაგან პატარა, ხელის გულის სიფართე კვერეულებს აკეთებენ, დააკრავენ ყავარზე და მზეზე აშრობენ. ამას ყურუთი ჰქვიან. ყურუთს უფრო შინაობაში სახმაწად აკეთებენ,—ლარიბთა და ხელმოკლეთა საქმელია. მკაღს შეატანენ ხოლმე ყველის ან ხორცის მაგივრად ზამთარში. არც იყიდება და თუ იყიდის ისევ

ღარიბი ვინმე, რომელსაც თეთრეული არ აბადია. ერთ ოყას 15 ყურუთი იწონის და ფასობს ორ შაურიდან აბაზამდე.

ზოგი მეოჯახე შრატს აღულებს, იქიდან ხაქოს ან, აქაურულად, ჩოროთანს იღებს, ამ ჩოროთანს პარკში ასხამს, შიგერბოს ნადუღარს ჩაურთავს. ზოგი კიდევ ამაში ყაიმალს (ნალებს) მიუმატებს სიკარგისათვის და ყველა ამ ერთად არეულ ნივთიერებისაგან ყურუთს აკეთებენ, — უფრო გემრიელია.

თუ ცივი დღეებია, რძეს ოთხ დღეს აჩერებენ, სარძევეში რომ ბევრი ყაიმალი მოიგდოს. თუ თბილი დღეებია, ორი დღე სამყოფია. ზოგი ყაიმალის მოხდის შემდეგ რძეს შეადელებს (დედას გურიაშიაც ყიდულობენ) და ყველს აკეთებენ. ყველი კარაქზე ორჯელ მეტი კეთდება. აქაური ყველი ფორმით თუშურს მოჰგავს, მაგრამ ღირსებით კი მეტად დაბალის ხარისხისაა, გემო ცოტა აქვს და თან უწმინდურია (შავი, ბალანით საღსე) ფასიც მცირედი აქვს: ბათმანი (6 ოყა) ექვს აბაზად იყიდება, ესე იგი, გირვანქა — 6—7 კაპეიკად.

შედარებით კარგი ფასი აქვს კარაქს და ისიც ნალებისას. აქაური კარაქი გააქვსთ ერთის მხრით ბათომში და მეორე მხრით — გურიაში. უკანასკნელ დროს, როცა ბახმაროზე გურიიდან მოაგარაკეთ დაიწყეს სიარული ზაფხულობით, მათს შორის საკმაოდა სადღება. ოყა (სამ გირვანქას) კარაქს სამ-ოთხ აბაზადა ჰყიდიან. ზოგი ოჯახი წელიწადში ათ ბათმან (60 ოყას) კარაქს გაყიდის და ათი ბათმანიც თვითონ დარჩება ოჯახში წლიურ სარჩოდ. ერთი ძროხა წლიურად 1 ბათმანს კარაქს იძლევა, თუ კარგი მეწველია და საკვები არ აკლია. მდარე მეწველი ძროხა 2—3 ოყა კარაქს აჯერებს თავისს პატრონსა.

ხაქოს ამოღების შემდეგ და შრატის დანარჩენს ნივთიერებას აქაურები მარილს ჩაურთავენ ხალმე და მეწველ ძროხას ასმევენ, — რძეს მოუმატებსო.

კარაქს მაწვნისასაც აკეთებენ. დოს აირანს ეძახიან და მისგან შექამანდს აკეთებენ, როგორც ქართლ-კახეთში. ხალო მაწონს კი იშვიათად აკეთებენ საქმელად. თუ აკეთებენ, ისიც ცხვრის რძისაგან, რომელსაც განგებ ამისათვისა სწველიან.

ჭურჭელი სითეთრისათვის სულ ნაძვისაა. სულ რამოდენიმეა. აი მათი სახელებიცა: 1) გვანდა, — ნაძვის თხელ ყავრისაგან აკეთებენ რგვლად, კარაქის საზიდადა ხმარობენ, ცხენს იქით-აქეთ გადაჰკიდებენ, 2) საწველეა, — ისიც იმავე მასალისაგან კეთდება, რა მასალიდან გვარდა კეთდება და სახითაც ამ უკანასკნელს მოჰგავს, 3) ხელბუჯი, — თელისაა, მაგარი, შიგ ყაიმილი დგას კარაქის ამოღებამდე 4) ვანა, — სადღეებელი მაწვნისა, იმ გვარივეა, როგორც ქართლში, ესე იგი ორის ადლის სიგრძე მრგვალი ძელია, გულ ამოღრუტნული, თოკებით არის დაკიდული, და როცა მაწონს ჩაასხამენ, იქით-აქეთ აქანებენ. გარდა ამათი სარძევეშივეა რამდენიმე დიდი გობები, ბარქაშები და დიდი და პატარა კოვზები ხისა. სუნი მეტად მძიმე დგას იმ ნივთიერებათაგან, რომელნიც იხრწნებიან, ჭურჭლის უსუფთაოდ შენახვისაგან. ამ სუნს ემატება აუტანელი სუნი, ამომავალი ბოსლიდან, რომელსაც მთელი ქვედა სართული უჭირავს. ფართე ჯუჯრუტანები რომ არ იყოს დარჩენილი კედლის ძელებ შუა, სადაც ჰაერი თავისუფლად შემოდის, და შიგნითი ჰაერი ძლიერად არ იწმინდებოდეს, ბოსლიდან ამომავალი ნიშადურის სუნი ერთს საათში ამოაღრჩობს შიგ მყოფთა.

მერძეობაში მამა-კაცს ერთობ მცირედი წილი უდევს. აჭარელი მამა-კაცი ეილაში ყოფნის დროს მარტო შეშას თუ მოიტანს ტყიდან ან კარაქს თუ ჩაიტანს ბათომსა და გური-აში გასასყიდად. დანარჩენი საქმე, როგორც მაგ. მოწველა საქონლისა, ისე კარაქ-ერბო-ყველის კეთება, სულ ქალებს აწვეთ კისერზე. საქონელსაც კი ისინი გარეკავენ ხოლმე დილდილაობით საბალახოზე.

სარძევის იატაკი ერთს ალაგას გამოჭრილია ერთის ოთხკუთხ ადლის სიფართოზედ, მიდგმული აქვს საცალფეხო კიბე, ერთის ძელისა (როგორც მეგრული ტკვა). აქედან ჩადიან ქვედა სართულში, ანუ ბოსელში, სადაც საქონელი იწველება და ღამ-ღამობით აბია. იატაკი ფიცრულია, მაგრამ საშინელი იკლი-ბაკლოა, ასე რომ კარგად, დიდი სურვილიც რომ ჰქონდეთ, მაინც არ გაი-

წმინდება. იქვე ღარი აქვს, რომლის შემწეობით პატივი გარედ გადის და ან იქვე გროვდება მთელის წლობით, ან და, თუ მდინარის პირასაა კონალი, ფენი წყალში გადადის. გურულები ამბობენ, ბახვის-წყალში აქარლები ფენისა ყრიან და კალმასს აწყობენ ამითიო. ყველგან ფენის სუნი სულთქმას გიშლით. თითონ საქონელიც უმეტეს წილად ფენში ამოგანგლულები არიან, მათის სიწმინდისათვის ზრუნვა, ეტყობა, მეტ ბარგად მიაჩნიათ. ავგაროზები კი ყველასა ჰკიდია გულზედ, რომ ავის თვალით არავინ შეხედოს, არავინ „გათვალოს“.

ამ პირუტყვთან ერთად ნახევრად პირუტყულს ცხოვრებას ეწევიან აქ საზაფხულოდ ამოსულნი აქარენნი. მათი ზრუნვის საგანია ცალკე ზამთრისა და ცალკე უსაკვებობისაგან დავარდნილი საქონელი ზაფხულის თვეში მოაღონიერონ, სული მოათქმევენონ, რომდენიმე ბათმანი კარაქი გაყიდონ და ცოტაოდენი კიდევ საზამთროდ შეინახონ. სხვა ყოველი ფიქრი, სხვა ყოველი ზრუნვა ამ მთის მცხოვრებს, მწირ ბუნებასთან დაუძინებლად მებრძოლ აქარელს თითქმის არ მოეპოვება. არ არის მისთვის სიმღერა, არ არის მხიარულება. ოთხის თვის განმავლობაში მთაში გამეფებულ მყუდროებას ცოტათი არღვევს თავისის იქ ყოფნით, მერე, როცა ხელ-ახლა დაჰფარავს თეთრი სუღარა თოვლისა გარემოს, ისიც ქვეით ჩამოდის, სადაც 7—8 თვეს კარგამოკეტილ სახლში ზის, რადგან თოვლი ყოველის მხრით გზას უკრავს, ქვეყანაში გამოსწყვეტავს. მაშინ ცარიელდება მთაცა, ცარიელდება იქარლების კონალებიცა მეორე ზაფხულამდე.

როცა ჩემი მასპინძელი სახლს მათვლიერებინებდა, წინდაწინ თითონ შევიდოდა ხოლმე და ქალებს გააფრთხილებდა, უცხო კაცი მოდისო, და ისინიც იმალებოდნენ. ასე რომ, ოთახში რომ შევიდოდი, პატარა ბალები, 5—6 წლისანი, თუ დამხვდებოდნენ შინაურების წარმომადგენელად და თვალბდაჭყეტილი შემომცქეროდნენ. 12—13 წლის გოგოებიცა იმალებოდნენ, იმათაც ცოლვად მიაჩნდათ სხვათა სარწმუნო-

ების, არა-მუსულმანს, სჩვენებოდნენ. ამ ხნის გოგოებსაცა აქვთ პატარა ჩადრები, რომლის ქვეშიდან ჩუმჩუმად გათვლიერებენ. თქვენ-კი თავის თავს ათას ქისა მარჩილისთვისაც არ გაჩვენებთ, განსაკუთრებით თუ მათიანი ვინმე არის თქვენთან, ისეთი, რომლისაგან შერე საყვედურს მოეღოს ასეთის „ცოდვისათვისა“. სიცილისაგან თავს ვერ იკავებს ადამიანი, როცა უყურებს ამ 11—12 წლის გოგოებს. ვსთქვათ, ხბოს ან საქონელს მისდევენ უკან და თქვენ დაგინახათ. ჯერ გათვლიერებენ პირახსნილი, მერე, 40—50 ნაბიჯზე რომ მიუახლოვდებით, ხოხობსავით თავს იმაღვენ თავიანთს პატარა, საქონლის ფეხით გაშავებულ ჩადრებში. მთელი დღე ისე დაყავი აქ, რომ მდებრობითის სქესის სახე, რამდენი არ ვეცადე, ახლოდან ვერა ვნახე. მარტო ბავშვების სახის შემწვობით უნდა დამეტანებინა ძალა წარმოდგენისათვის და გამეთვალისწინებინა მათის დედების სახე. ბავშვები კი მომეტებული ნაწილი თეთრგვრემნები იყვნენ, თაფლისფერ თვალებიანი, დაწყობილისა და მიმზიდველის სახისანი. უეჭველია, საცა პატარეები ასეთები იყვნენ, მათი დედებიც იმათ უნდა ჩამოჰგავდნენ-მეთქი. მეტი გზა არ იყო, ამ ჩემის ფანტაზიის სიცხოველეს უნდა დავსჯერებულიყავ დრომდე. ვნაღვლობდი, ნუ თუ ისე უნდა წავიდე აჭარიდან, რომ აჭაურის ქალის სახე მარტო წარმოდგენილი უნდა მქონდეს და კი ველარ ვნახო-მეთქი? ჩვენებურთაგანთათვის მარტო ქალებისათვის არის შესაძლებელი მათი სახის ნახვა. ბახმაროდან ხშირად გადმოდიან აქ ქალები და კაცები ამათ სანახავად. როგორც მიამბეს, საშინლად უკვირთ აჭარელ ქალებს, როცა ხედავენ, რომ „გურჯის ხანუმები კაცებთან ერთად დადიან და ისიც უჩადროდო, მათთან ერთად თავისუფლად ლაპარაკობენ და ეს სირცხვილი არ არის მათშიო.“ ისიც მიამბეს, რომ ზოგნი შენატრიან კიდევცა „გურჯის“ ქალების ასეთს ბედსაო... და თავის მდგომარეობის საუკეთესოდ შეცვლის სურვილს თამამადაც აცხადებენო.

სანამ დაბნელდებოდა, მე და ჩემმა მასპინძელმა ირემბემ მთელს ეილას შემოვუარეთ. ყველგან ქართულად გვე-

სალმებოდნენ. „გამარჯობას“ რომ ვეტყვოდი, „გაღღერძელოს“ მიპასუხებდნენ. მთელი სოფლის ცნობისმოყვარეობის საგანი გავხდი. თავაზიანად მეკითხებოდნენ სადა-ურობას, რა საქმისათვის გარჯილხართო“ ზოგი „მთის ამწერს“ მარკმევედა, ზოგს „ხვანთქარისაგან“ (ხელმწიფე) გამოგზავნილი „ჩინონიკი“ ვეგონე. იმიტომ გვათვალთვლებს, რომ უნდა ყველაფერი გაიგოს ჩვენი ამბავი და გადასახად უნდა მეტი დაგვადონო. ხოლო როცა გამოკითხვა დავუწყე მათის ეკონომიურის მდგომარეობის შესახებ, მიუხედავად მათის უმაღლესის თავაზიანობისა და სხვათა სამსახურისათვის მზად-მყოფობისა, პასუხს ძნელად, უხალისოდ ან ორჭოფად და საზოგადო ფრახებით იძლეოდნენ. საზოგადო ხასიათი მათის პასუხისა ასეთი იყო: „ძაბუნი (მწირი) მიწა გვაქვს, სიმინდი და პური ან სულ ცოტა მოდის, ნახევრობაზე მეტი მშვივრები ვართ, გადასახადი მაინც ბევრი გვაწევს, ჩვენი მემლეკეთი (სამშობლო), ესე იგი, აქარა, რუსის ხვანთქარზე შორსაა და ჩვენს ამბავს ვერ ვატყობინებთ, თვარა შეგვიბრალებს და გადასახადს ცოტას გავვაწერსო.“

დაბნელდა თუ არა ჩვენს სახლს დავუბრუნდი. აქ აღრე წვებიან, თითქმის მზის ჩასვლისათანავე. საქონელს დააბინავენ თუ არა, აქაურნი მკვიდრნიც მოსვენებას ეძლევიან. სამაგიეროდ, ირაქრაყებს თუ არა, ისინიც ფეხზედ არიან. რაკი აღრე სწვებიან, ვახშამიც აღრე იციან. ვახშამზე თითონ სახლის უფროსი მემსახურებოდა. საჯალაბოს კარებთან შიგნიდან მდგარი ცოლი რასაც მოაწოდებდა, ეს წინ მიდგამდა. შემოიტანა ფეშხუმი, რომელზედაც ზემო აღწერილის წესით ელაგა სპილენძის თეფშები, ხუფებიანი, და ცხელი მქადი. აქ ასე იციან: რაც საქმელი გაუკეთებია დიასახლისსა, ყველაფერი ერთად უნდა ელაგოს ფეშხუმიზე. სანამ ერთს კერძსა სქამთ, მეორეს ხუფი აქვს დაფარებული. ერთ ხელ საქმელის შემდეგ მეორეს მიჰყოფთ ხელსა. ვახშამი სადილსა ჰგვანდა. ჩანგალის მაგიერ შრომა ხუთს თითს ადგია. თქვენთან ერთათ სხვებიცა სხდებიან ჭამად. და რადგან ყველასათვის ერთი საზოგადო თეფშია, ყველანი შიგაჰყოფენ ხელებსა, რომლებიც პირში ლუქმის ჩაღების შემდეგ

გულმოდგინეთ ილოკება ხოლმე.... ხელსახოცის უქონლობისათვის მასპინძელი, ცოტა არ იყოს, ბოდიშს იხდის. საქმელები მეტად სუყეა. ზედ აყოლებთ მშვენიერს, ცივსა და ანკარა წყალს, რომლებითაც ქებულია ხოლმე საზოგადოდ მთები და აქარისა კერძოდ. წყლით სავსე თუნგი სახლის პატრონის ერთ-ერთ მოზრდილ ვაჟს უჭირავს, რომელიც თავს გაღვათ, სანამ სუფრას არ ააღაგებენ. ღვინოს ბახმაროშივე გამოვეთხოვე. მამათა სქესის გარდა ქალთაგანი, რა თქმა უნდა, თქვენთან არავინ გამოჩნდება. იმათი ხმა-კი ჩვენთან მკაფიოდ შემოდის. ქართულად მამა კაცებზე გაცილებით წმინდადა ლაპარაკობდნენ.

ნავახშმევს მასპინძელმა თავისის ხელით ლოგინი გამიშალა ტახტზედა. მართალია, ერთი კნინი პრეტენზიაც არა ჰქონდა ამ ლოგინს სისუფთავისა, მაგრამ მაინც ლოგინი ერქვა. ბოდიში მოიხადა მასპინძელმა, რომ გვეცოდნოდა, თქვენ ამობრძანდებოდით, ლოგინს ბარიდან ამოვატანიებდითო. ბალიშები, ტლანქ გაუზენტავ მატყლით გატენილები, ძალიან გრძელები სცოდნიათ. სიგრძე ორი ადლი აქვს აქაურს ბალიშსა, განი—ერთი. გარედან ჩითი აქვს გადაკრული, რომელიც ერთ ღროს ჭრელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეამთა-ვითარებისაგან ყოველივე ფერი დაკარგული აქვს, ანუ უკედ შავი ფერი აქვს. ლეიბიც ბალიშს მიჰგავდა: მოკლე, მატყლისა, ჩით-გადაკრული და უფერული. კიდევ კარგი, თან ზეწარი მქონდა და იმან დაჰფარა ლეიბ-ბალიშის ნაკლულევენება!

ჯერ ისევ ცხრა საათი არ იყო, რომ მასპინძელმა „ძილი ნებისა“ მითხრა და საჯალაბოში გავიდა. მეც მოსასვენებლად განვეშაღე. ღამის სიჩუმეში მესმოდა, როგორ იტუქებოდნენ საჯალაბოსის მკვიდრნი ჩემს ოთახში გამომავალ ჯუჯრუტანასთან და რამდენიმე წყვილი ცნობისმოყვარე თვალები გულმოდგინედ მათვლიერებდნენ და ცდილობდნენ შეეტყვოთ, „გურჯი“ (ე. ი. ქართველი) როგორა წევბაო. ქვეიდან ამომავალ ფენის სუნისაგან სულთქმა მიგუბდებოდა, თავბრუ მეხვეოდა. ამას ზედ დაერთო სხვა ჭირიცა. სახლიპატრონის უფროს შვილს

რამდენიმე ჯანდაკი ხაშალი თხა შეეგდო სახლში და იმათმა ხველებამ თვალი არ მომახუჭებინა. სამთელი ისევ მენტო. უნებურად ზევით ავიხედე. უზრდელობა იყო ჩემის მხრივ, მაგრამ არ შემეძლო არ დამენახა ტუალეტის ერთი ნაწილი, რომლითაც თავისის ტანის სიშიშვლესა ჰუარავდნენ ისინი, ვისი სახის ნახვაც აგრე მენატრებოდა. ღმერთო!... ჯვარსა და ხატზე დაგიფიცავთ, რომ იმას საპონის თვისება თავის ღდეში არ გამოუცდია. არც ის ეტყობა, რომ მისს პატრონს როდისმე წყალი მიჰკარებოდეს ტანზე... ასეთი ლამაზი ხალხი და ასეთი წრეს-გადასული სიბინძურე!... რომ ერთმანერთს არ უდგებოდა!... როცა მეორე ღდესა ვკითხე ერთს აქაურს, მდინარე რომ ჩაგიდისთ, ხომ იბანთ ტანსა-მეთქი? და გამოაცა მისმა პასუხმა: „სირცხვილია მდინარეში ტანის ბანაო, ვინმე დაგვინახავსო!“ უცნაურად ესმით სირცხვილი. მდინარეში ტანის ბანა სირცხვილია და ის კი სირცხვილი არ არის, ღვთის ხატებად გაჩენილმა ადამიანმა ჭუჭყს შეაჭმევინოს თავი!...

სანამ ირაქრაჟებდა, მე ჩემი დამემართა... ინათა თუ არა, გარედ გავიჭერი გამწარებული. დატანჯულმა ფილტვებმა ამ ფენის სამეფოს მოშორებით ხარბათ შეისუნთქა წმინდა, ცხოველ-მყოფელი ჰაერი მთისა. დავიჭირავე სოფ. ხულომდე 2 მანეთად ცხენი. ცხენის პატრონი, ღორჯომელი გლეხი, ფეხით უნდა გამომყოლოდა. დილის შვიდ საათზედ, მზე რომ საკმაოდ ამოიწვერა და დანამუღნი მიდამონი ათასფერად რომ ააბრწყვიალა, საუზმის შემდეგ მადლობა გადავუხადე ჩემს სტუმართ-მოყვარე მასპინძელსა გულუხვობისათვის და ჩემი ჩიჩერონე და მე ბაღის მთის გადასვლას შევეუდექით.

თ. სახლავა.



ქართული ხელთნაწერები

თელავში ერთ ქართველს ამ წინაზე თვალი შეესწრო მეწვრი-
მლის ღუქანში ქართული ხელთნაწერებისთვის, გამოერთმია და მო-
მიტანა: გადასინჯე, ეს რა წიგნებიაო. გადავთვალიერე და აი რა
აღმოჩნდა:

1) «ყოფლად საზოგადო ისტორია» ნაწ. I. ამ წიგნში 72
ფურცელია ნახევარ თაბახიანი. ორი დიდი სინქრონიული ტაბლიცა
აქვს დატანებული. მთელი წიგნი მშვენიერი ნუსხურით არის დაწე-
რილი. განყოფილებები და თავები მსხვილი ხუცურით არის აღნი-
შნული წითელი მეღვინით. არა სჩანს საიდან არის ნათარგმნი, ან
ვისი გადაწერილია. ეტეობა უდაში მჭდარა.

2) «ხელიტიკა ლათინურისაგან ელდინურსა დალაქეტსა უნგრე-
თის მთავრის ნიკოლოზ მავროკორდატოს მიერ გადმოღებულია». ეს
წიგნი გადაწერილია 1824 წელს. როგორც სარჩევიდანა სჩანს 30
თავი უნდა იყოს; დარჩენილა მარტო 4 თავი.

3) კატეხიზმ. პირველი 16 ფურცელი დაკარგულია. ამ წიგნში
მასალა ისე არ არის დაწეობილი, როგორც ცნობილ რუსულ კატე-
ხიზმებში.

4) ვეფხის-ტყაოსანი. ამ წიგნს რუსთველის სურათი ქტანია
დატანებული, მაგრამ ეს სურათიც და ზოგიერთი ფურცლებიც და-
კარგულია. მრგვალი ხელით არის დაწერილი. სთაურები და ვველა
ტყევის პირველი სიტყვები წითელის მეღვინით არის დაწერილი.
ვეელა სიტყვის შემდეგ სამი წერტილი ზის.

5) «მხითარ ყოფლად ბრძნისა მოძღვრისა სომეხთასა სევა-
სტიანისა ქმნილი წიგნი მეტოდიკა სარგებლად ერმათა სხელის

შინთა ქართულსა ხმასა ზედა გარდამოდებით. შრომილი ანტონის მიერ არხიებისკონისა უოფლისა საქართველლისა დაუითიან ბაკრატონისა... წელსა სორცეულად შობილგან სიტუვისა დუთისა 1764 თვესა მეშვიდესა რიცხვსა 10ა.

ამ წიგნს მიუძღვის წინასიტუვაობა ებისტოლე, მიწერილი ანტონის მიერ არხიებისკონისა უოფლისა საქართველლისა დაუითიან ბაკრატონისა ირაკლის მიმართ მეორისა ძმისა თვისისა შეუვისა უოფლისა საქართველლისა. აი ეს ებისტოლე:

«მის შეფობის სიმაღლეს ჩემს უოფლად სატროფოს ძმასა».

იღის საზოგადოებრივი ჩვეულებამან, ვითარმედ უოფელი უმჯობესისადმი მიმართებენ თავთა თვისთათვის, ვითარ იგი ბრძანებს სჯულდინა ბუნებითი: ჭქმენ იგი, რაცა სრულ გყოფს შენ და მდგომობასა შინა (ბაუმესტერიისა საყოფაქცეო ჭილხოსოქია წ 36, დადებულება გ). ვინაიცა სათანადო ვიდრემე არს მათდა, რომელნიცა გულისხმის უოფითა და ნებითა ნიჭეულ არიან აღსრულებისთვის ბრძანებისა სჯულისა ბუნებითისა მიმართებათ თავისუფალთადმი და აზნაურთა სწავლათა, რომელნიცა სრულ ჭყოფენ მათ და მდგომობათა მათთა.

სოლო თავისუფალთა მიერ სწავლათა დახელოვნებულნი მენიერებისა ძლით იქვემდებარებინ უოფელთა ნიუთთა, ესე იგი არსისა საჭიროისა მიწითმისაებრ ბუნებითისა, და არსთა შესაძლებელთა ცნობად და საზღვარისა დადებად, — და ესენი რიტორებისა არიან ნიუთნი (თქმისაებრ წინამდებარისა ამის რიტორიკისა ავქსონისა), — გარდამოცემად უოფლადი კერძოთადმი ანუ აღუვანებად კერძონი უოფლადისადმი. და ესე უხამს არს მოგონებადცა, რათა თავისუფლებითისა მის ცნობისა გარდამოცემათ გარდა შეწყობისა ძალისა მიერ და შევნიერთქმობისა და მშვიდებად ნათქვი საქმეთ მსმენელთად სხვათა რითამე წინაუგმობითა უშეერთქმობითა განიკარგოდეს. მერმეტა ხელყოფილობა არს მიზეზი განცხადებულნი ჭილხოსოქისთა სქესებრივთა თქმათაებრ, რომელსა შევნი სანინო უოფლად, სოლო ხელყოფა რიტორებრი ეხმარების მას და უფროსიდა ვთქვა — ესაჭიროებს, მით რამეთუ ხელყოფა არს უუნვესი დახელოვნებითი განცხადება ხელყოფობისა, რათა მიზეზი იგი განცხადებულნი უგანცხადებულესადრე სანინო იქმნეს.

მაშასადამე სამჭევრმეთქვისადმი ხელფანების მიმართება ბრძანების სჯულის ბუნებითის აღსრულება არს.

სათანადო ძილსოფისის არს, რათა ცნობად უბრწინვადესადრე წინამდებარეთა ნიუთთა აწარმოცხადება წინადადებანი წინადადებათაგან და დადებულებანი დადებულებათაგან. ხელთ შეუძლებელ არს ესე, გარდა ზოგნის შენაწყოთა სიტყვათა, რომლითა ჭეშმარიტება ანუ ჭეშმარიტებობა ნიუთის დამტკიცების და ზოგნილი იგი; გარდა განკარგვისა, რომლითა ზოგნილი ითანსწორების და წარმოდგინების დროს შინა შესაბამის და ადგილს თავთა შორის იგი; გარდა უხვსიტყვაობისა, რომლითა ზოგნილი და განკარგული თვისთა უშეწობილესითა კარგითა შედასებული და განკარგული იუნსიტყვების ლექსთა მიერ შეგნიერთა და ნაკვეთთა შენაწყოთა ზოგნილის ნიუთისათან; და გარდა შესნიერებისა, რომლითა ნიუთნი ზოგნილნი და განკარგულნი და ლექსნი შემკულნი მტკიცედ და ყოველითურთ ზედ მოიღებინ; და გარდა წარმოჩინებისა, რომლითა კეთილად ნიუთნი ზოგნილნი და განკარგულნი და ლექსნი შემკულნი და ყოველად ხსოვნილნი ერთხატობითა სხულისა და ხმისათა შესაბამ წარმოჩინებინ.

მაშასადამე სამჭევრმეთქვისადმი ხელფანების მიმართება აღსრულება არს ბრძანების სჯულის ბუნებითისა.

სათანადო ძისიკოსისა არს ზედმიწევნილად ყოფა ყოველთა სხუელთა ორდანობრთა ანუ არა ორდანებრთა. გარდა ცნობა ესე შეუძლებელ არს გარდა ზოგნისა, განკარგვისა, უხვსიტყვაობისა, შესნიერებისა და წარმოჩინებისა კულისხმის ყოფად, ვითა ზემოვთქვი ძილსოფისისათანადისათვის.

მაშასადამე სამჭევრმეთქვისადმი ხელფანების მიმართება აღსრულება არს ბრძანების სჯულის ბუნებითისა.

სათანადო მათემატიკოსისა არს გამოცდილი ყოფა ხელფანების შინა რაოდენობისა ნიუთთა. ხელთ გარდა ზემოთაქვამთა მათ ხუთთა ვითარმე შეუძლებელ არს გარდამოცემად აღსავალთა და რაოდენობათა ზირდაზირადთა, საზომთა ქვეყნისა, ჰუკისა, წყლისა, სიმძიმისა, ხმისა და სხვათა და კვლად ვითარებითათა რაოდენობათა სხვა და სხვათა.

მაშასადამე სამკვერმეთქვისადმი ხელფუნების მიმართება აღსრულება არს ბრძანების სჯულის ბუნებითისა.

სათანადო ღვთისმეტყველისა არს ადრცვითარე ღვთისმეტყველებითა, რომლითა ღვთისმეტყველ იქმნეს მოციქულნი (ვითარცა იტყვის საქმე ბგ, მათე ივ და იზ, გალატ. ა, იბ) კარდამოცემად მადანნი საიდუმლნი ანუ დოქმატისათვის უფლადწმიდისა, ანუ უხილავათვის მადლთა კვკლესიისათა, ანუ უხილავათვის არსებათა, ანუ კეთილთათვის საქმეთა. ხოლო ესენი გარნა ხუთთა მათ ზემოხსენებულთა შეუძლებელ არიან კარდამოცემად.

მაშასადამე სამკვერმეთქვისადმი ხელფუნების მიმართება აღსრულება არს ბრძანების სჯულის ბუნებითისა.

სათანადო მკაქალაქობითისა ცხოვრებისა არს უქვემოცხადმი ანუ უზემოცხად და ანუ თანსწორთად კეთილ გონიერებისა ხმევა, ვითარ იგი დასდებს კანონსა ჭიღოსოქოსი ჭრიდერიკოს ბაუმესტრი: «ქქმენ იგი, — იტყვის, — რაისაცდა სცნო უსარწმუნოესებორ სარგებელთა თავისადმი შინის უფელთა გარემოებათა საქმისათა განსჯითა და რაივეცა სანადსა დასასრულსა ადგიოქვამს შენ, და უტყვე იგი, რომლისაცა ქმნად გაეენებენ ადგილი და დრო, და შეხდომა, და სხვანი გარემოებანი» (ზოლიტიკა § ოვ), — ვინაიცა საცნაურ სადმე არს, ვითარმედ კანონნი ესე გარდა ზოვნისა, განკარგვისა, უხვსიოტვეობისა, მესხიერებისა და წარმოჩინებისა კარდამოცემად შეუძლებელ არს, ვითა ითქვას სხვათა ცნობათათვის.

მაშასადამე სამკვერმეთქვისადმი ხელფუნების მიმართება აღსრულება არს ბრძანების სჯულის ბუნებითისა.

აწ სადამე შრომაი ჩვენი კარდამოღებასა ზედა სამკვერმეთქვისა ხელფუნებისა ამისთვის იუო უმადლესითა ბძანებითა შენის მეფომისა სიმაღლისათა, რათა ნათესავი ჩვენი არა დაკლდამცა ესეგვარისგან საჭიროებისა, რომლითა ვიმხარკე უფლადგლასკმან ამან რიტორიკათ ესე კარდამოღებად ჩვენსა ზედა ენასა, ქმნილი მხითარ სომესთა მოძღვრისა სევესტიელისა. და დამდაბლებამან დრამატიკოსათანა ჩემ მიერ ქმნილისა, და თეორეტიკებრისა და პრაკტიკებრისა ჭიღოსოქოსისა ქმნილისა დიდისა ბრძნისა და მოძღვრისა ჩვენისა ჭრიდერიკოს ბაუმესტრისა რექტორისა გორდი-

ციურისა დიმნაზიისა თვითმტკმედობამან სხელიონთამან ადვილ
 ზედმიწევნისათვის, და კვალად ბუნებითისა ძილთსოფიისა, რომელ
 არს ტიზიკა ქმნილი დიდებულისა ბრძნისა ვოლქოისისა და სხვათა
 ავქსონთა ჩინებულთა, მტკმედმან მისთაც სხელიონთამან; და კვა-
 ლად საზღვარ ძილთსოფიისა, ქმნილისა ზემოსხენებულისა ძრადე-
 რიკოსისა, რომელნიცა ლათინთა ენისაგან გარდამოდებით ვიმხარკე;
 და კვალად ისტორიისათანა ალექსანდრე დიდისა, ქმნილისა კვინტოს
 კურციოსისა, რომელ არს ათი წიგნი ზედადართვითურთ იოანე
 ძრეინსდემისათ და შეუქმენ და გაუკარგენ მასცა სხელიონნი ძველი-
 სჯებრ დეოდრასიისა. და ესენი შენისადმი მეფობის სიმაღლისა
 ვიმრთმელე. ხოლო უწინარეს იმპერიად როსისა წარსვლისა ჩემისა
 გარდმოდება ვეჟე ძილიზესთანა ხუცისა სომეხთაგანისა დიალექტიკი-
 საცა და ათნი კატელორინი არისტოტელეებრნი სხვათა და სხვათა
 მაგალითებითა განგუარგენ და კვალად ხუთნი ხმანი ზიარებითურთ
 და განუფიით ზორჭირიას ძინიკელისანი რომელნიმე მტარეთა შინა
 ნაქესთა შევაწუდიენ და რომელნიმე განვაფრცენ. განადა ესე ეო-
 ველნი ვითა შესაბამ მისართმად მეფობისა შენისა და სარგებლად
 საშეფოასა შენისა იქმნა ჩემიერ.

დროსა როსიასა შინა ეოფისა ჩემისასა ზემოსხენებულისა-
 თანა ძილიზჲე ხუცისა სომეხთასა გარდამოდებად ექმნა რიტორიკაი
 ქართულად ეოვლადსამდვდელოსა დოსითეოსს ენისკობესსა ნეკრე-
 სელსა ჩერქეზსა, რომელიცა დიდითარე დვაწითა გარდამოდელეჲ და
 ჩვენ არა თუ უხმარუფთად და წინააღმდეგობად დოსითეოსისა რი-
 ტორიკისა ვშეერთ, რათა ჩვენითა ამით რიტორიკითა განვა-
 ცუდეთმცა მისი, არამედ ამისთვის, ვითარმედ იგი გრძელ არს და
 მოძღვართათვის ნუუმე ფრად სახმარ, გარნა მოწაფეთათვის მოკლე
 უმჯობეს, რომლისა მოწამე არს ზორჭირისის ქმნილი იგი ხუთი
 ხმა მოძღვრება ზერინატული.

მიადენ ესენი უნატოხსენსო წევრო შენისა და ჩემისა თან-
 შობილებითისა ერთობისა და მიეც ურმათა შენთა შენითა სიბრძნი-
 სადმი ტრფიალებითა შეკრებულთა, რომელნიცა შენთა მათ ოქროს-
 ფერთა ბეჭთასაშუალთა და ფრთეთა სიმაღლედ სიბრძნისადმი აღმუანთა
 ქვეშე შეგვიკრებიან. უბრძანე მოძღვართაცა და სხლართა, რათა

ლოცვას ჰყოფდენ ჩემ გლახაკისათვის მრწემისა და ეოვლად უშე-
 სებაშისა ძმისა შენისა.

თქვენის მეფობის უმაღლესობისა უმდაბლესი მონა და ძმა ან-
 ტონი, არჩივისკობისი ყოვლისა საჭირთველოისა.“

გარდა ამისა წიგნს დართული აქვს რამდენიმე სხელითა ანტონისაგან დაწერილი. წიგნი მთელია, უდაში ზის.

ეს წიგნები და კიდევ ბევრი სხვა ხელდაწმინდგან წამოედო ვაჭარს შვიდ აბაზ ნისიაში; გაეუიღნა ერთ მანდილოსანს, რომელიც დედლის ჩამომავალია. ეს ეამბნათ იმ ქართველ ახალგაზდისთვის, რომელმაც წიგნები მამიტანა. წიგნები ესლა ჩემთან არის. ზატრონსა ვსთხოვე დაუთმოს ეს წიგნები ქართველობას საერო ბიბლიოტეკაში შესანახად, მაგრამ ჯერ ზასუსი არ მიგვიღია.

გ. ბარნოვი

ქ. თელივი. 1898 წ. ივლისტოს 27.

ცხოვრება და ქწერლობა

განდევლის ლექსება 1898 წ.

დიდად პატივცემულს ქალ-ავტორზედ, განდევილზედ, ისევე ძნელია სიმართლის თქმა, როგორც ქიზიყის დეპოზედ. საქმე ის არის, რომ ჩვენმა გაზეთებმა უკვე მოჰქონეს ქვეყანაზედ ხმა, რომ განდევილი ნიჭიერი პოეტიაო. ეხლა ვინც წინააღმდეგს იტყვის, მას მამულის მოღალატის სახელს დაუყრიან. მაგრამ მე მაინც არ ეუღალატებ ჩემს მცნებას და ვიტყვი მას, რაც სიმართლედ მიმაჩნია.

სხვაში რომ ყველაფერში დაქვეითებულები ვიყოთ, პოეზიაში არ შეგვრცხვება, ცილობა გავუწიოთ რომელსაც გინდათ ერს. რუსთაველიც რომ არ გავიხსენოთ, ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, აკაკი წერეთელი, ილ. ჭავჭავაძე ისეთნი გვამნი არიან, რომელნიც სახელს გაუკეთებდნენ ყოველს ერს. ამათი გავლენა ჩვენს ლიტერატურაში ძრეელია. ამათზე წინ პოეზია შაირობა იყო. პოეტს, როგორც საზანდარს, ტკბილის შაირებით უნდა დაეტკბო მოქეიფეთა შეზარხოშებული გონება. პოეზია იყო აგრეთვე ენა შეყვარებულთა. რომ პოეზია არის საზოგადოებრივი ძალა, ამისი წარმოდგენაც არ იყო. მხოლოდ დასახელებულმა პოეტებმა აიყვანეს პოეზია თავის შესაფერს საბრძანებელზედ და მისცეს ხელთ ადლი სიმარლისა და სიბოროტის გამკითხველი ამა სოფლად.

უწინდელს პოეტს უნდა დაეხატა ან ქალის სილამაზე და სიყვარული, ან დაეწყო მოთქმა სიცოცხლის ამაოებაზედ. რა

ტემაზედაც უნდა ეწერნა, ის მაინც შორს იყო საზოგადოების სამსახურზედ. სულ სხვა ნაირია აწინდელი შეხედულობა პოეტის დანიშნულებაზედ. პოეტი საუკეთესო მოქალაქეა თავის ქვეყნისა და როგორც ასეთი კაცი, იგი არ უცხოობს ავსა და კარგს თანამედროვე ცხოვრებისას. ეს კიდევ ცოტაა, ის არის საუკეთესო მასწავლებელი თავის ქვეყნისა. რაც ნ. ბარათაშვილმა, ქავჭავაძე-აკაკიმ ჰუმანიური აზრები დასთესეს თავიანთ თანამოძმეებში, როგორც მათ გამოადგოძეს ეროვნული გრძნობა და საქმიანობა ჩვენში, მას ასი ფილოსოფოსი და მეცნიერი ვერ შესძლებდა. კიდევ აქ არის პოეზიის მაღლიც და დიდი მნიშვნელობაც. პოეზია, რომელსაც არ უნდა ქვეყნის სამსახური, გროზად არა ღირს. არც იქნება ის ქეშმარიტი პოეზია, ვინაიდან, რა არის პოეზია გარეშე ადგილისა და დროისა! პოეტიც, როგორც ყოველი კაცი შვილია თავის ქვეყნისა და თავის დროისა; ამიტომ მისს ნაწერებში, როგორც სარკეში მოჩანან ეს დროც და ეს ქვეყანაც. რაც ნაკლებად შეეხება პოეზია ცხოვრებას და მის ვითარებას, მით ის ნაკლების ღირსებასა.

არისო პოეზია, მდგარი გარეშე დროისა, არიანო პოეტნი, რომელნიც ეკუთვნიან ყოველს დროსა და ჟამს და არა ერთს რომელსამეო. და მაგალითად უთუოდ მოიყვანენ ხოლმე დიდებულს შექსპირს, რომელიც თურმე ეკუთვნის ყოველს საუკუნეს ყოველს ერს. ასე ფიქრობდნენ ძველად, ასე ფიქრობენ ჩვენში ბევრნი დღესაც. მაგრამ მეცნიერება ამას უარს ჰყოფს. მეცნიერული კრიტიკა ჰპოვებს შექსპირის ისტორიულ დრამებში მხოლოდ სახელებს ისტორიულს და არა ცხოვრებას. შექსპირის ისტორიულ დრამების რომაელნი მხოლოდ სახელს და ტანისამოსს ატარებენ ძველის რომისას და ნამდვილად კი, ბუნებითად, არსებითად არიან წარმომადგენელი შექსპირის თანამედროვე ინგლისის საზოგადოებისა. არც შეიძლება ეს ასე არ იყოს, ვერც შექსპირი, ვერც სხვა ვინმე ვერ გამოსახავს აზრებსა და გრძნობებს მეოცე და მეორმოცე საუკუნისას!

ან რად უნდა პოეზიას მიუწოდებელი უკან დევნა? თანამედროვე სიცოცხლის დასურათხატება და ღვაწლი მის გაუმჯობესებისათვის—ეს სარბიელიც დიდია და სახელიც დიდი დაიმსახურება მაზედ. სინიმდვილე, რეალიზმი—აი ჩვენს დროში პოეზიის უპირველესი საზომელი აღლი.

ამ მხრივ რომ გავსინჯოთ, ქ-ნის განდევილის პოეზია არის ათის ნაბიჯით უკან წასვლა და არა წინ. განდევილის ლექსები, —თუ გნებავთ—სწორედ იმ ჯურისაა, რომლებიც ყოველთვის და ყოველ დროს ისევ ეღირებიან, რაც დღესაც ჰღირან.

ჯერ ისევ ძველ აღთქმაში მოსე წინასწარმეტყველმა დასწერა:

«არა კაც ჰქვია».

არა გვგონია, დადგეს ისეთი დრო, როდესაც წინააღმდეგ ვინმე ამტკიცებდეს. სწორედ აგრეთვე დიდ ქეშმარიტებას ჰქადაგებს განდევილი ლექსში „არ ვარგა!“ ისეთს ქეშმარიტებას, რომელიც არც ერთ საუკუნეში არ შეიცვლება. ერთი მიზრძანეთ, როდის ვისმე უთქვამს, ვარგაო და როდის ვინმე იტყვის, ივარგებსო ის, რაც განდევილის აზრით არ ვარგა:

«არ ვარგა სული ობოლი,
შემკრთალი, შეშინებული;
დაჩღუნებული განება,
ძალ-ღონე დაღუნებული...
იქუმი—ჟღა მოტეხილი,
და სპილა — ხორთუმ-გნებული».

ნუ თუ განდევილსა ჰგონია, რომ მისი თანამოძმენი, თუნდ ურეგვენსნი რეგვენთა შორის, წინააღმდეგი აზრისანი არიან?!

აი მხოლოდ ასეთი პოეზიაა უკვდავი და არა ქეშმარიტი პოეზია. ასეთი პოეზია უკვდავია იმიტომ, რომ თავის დღეში სიცოცხლე არ უნახავს, უცოცხალთა შორის არა რიცხულა. იგი ისევე უკვდავია, როგორც „არაფრობა“, „სიცარიელე“, „სივრცე“ და სხვ.

ხოლო პოეზია უნდა იყოს აღმნიშვნელი თავის დროისა. განსაკუთრებულნი, ინდივიდიალურნი თვისებანი, თავისებურობა იმ დროისა და ჟამისა, როცა პოეტი სცხოვრობს, — აი სარბიელი ქეშმარიტი პოეზიისა. გარნა ამ განსაკუთრებულ თვისებათა დანახვას, განსაკუთრებულს, სავსეს თავისებურობით, აწინდელ ქართველის გულისთქმის მოსმენას სულ სხვაგვარი ნიჭის და განათლების თვალ-ყური უნდა და არა ისეთი, როგორითაც დაჯილდოვებულია პატივცემული ქ-ნი განდევილი.

ვერაფერი ტემებია პოეზიისთვის ასეთი დიდი და ფილოსოფიური აზრები: ორჯელ ორი ოთხია, შაქარი თბილ წყალში დნება, მთელი მეტია თავის ნახევარზედ, მუხას ვაშლი არ ასხია, აქლემი ბატკანს არ მოიგებს და სხვა ამისთანები. და აბა მიბრძანეთ, ამათ რით სჯობია განდევილის მოძღვრება: დაჩლუნგებული გონება არ ვარგაო, უხორთუმო სპილოც არ ვარგაო; არც კულ-მოჭრილი ცხენი ვარგა და, ნუ თუ ამასაც ლექსი ვუძღვნათ!

„ნიჭიერი“ პოეტის სახელი, ეგონებ, მხოლოდ იმიტომ მოიხვეჭა ჩვენში. განდევილმა, რომ ლექსთა წერაში რითმა აღვილად მოსდევს, ადვილად ემორჩილება. მაგრამ განა პოეზია რითმაშია? სამწუხაროდ, ჩვენში ბევრსა ჰგონია ასე. ბატონებო, მთელი ბელეტრისტიკა ურითმოდაც იწერება, მაგრამ იგი პოეზიაა უპირველესად. უდიდესმა პოეტმა რუსებისამ ტურგენევმა სიცოცხლე ისე დალია, რომ ორი რითმა არ მოუბავს ზედიზედ; ერთხელ დასწერა „ლექსები“ და ისიც „პროზით“.

პოეზიის უმთავრესს იარაღს შეადგენს სურათ-ხატობა, ანალოგია, შედარება, მიმსგავსება. სურათები და შთაბეჭდილებანი პოეტისა უნდა უღვიძებდნენ მკითხველს ნამდვილს, ცხოვრებაში ნახულს, სურათებს და შთაბეჭდილებებს; აი კიდევ აქ სტკბება კაცი ესტეტიურად. რა ნამდვილია ეს სურათი! რა ქეშმარიტად არის ამოღებული ცხოვრების დავთრიდან! აი რას დაიძახებს ხოლმე მკითხველი ქეშმარიტ პოეტურ ნაწარმოებისა. ასეთი სურათი აღელვებს ადამიანის გულს, ათრთოლებს და,

აჰა ზეგავლენაც პოეზიისა—იგი არის ლაპარაკი, მესაიდუმლობა კაცის გულთან, რომლისადმი გზა დახშული აქვს მეცნიერებას.

ძლიერი სურათ-ხატი, ამოდებული ანუ შექმნილი ცხოვრების ქარგაზედ! აი აღლი პოეზიისა.

ტყუილად დაუწყებთ ძებნას განდევილის ლექსებში ამ მხარეს. მაშასადამე... და სხვა და სხვა. დასკვნა თქვენთვის მომინდვია. განდევილის მთავარი საზრუნავი რითმია, გარეგანი მხარე ლექსისა. განდევილი სურათს ჰხატავს და სურათზე იმდენს არა ფიქრობს, რამდენსაც ჩარჩოზედ, რომელშიაც უნდა ჩასვას იგი სურათი. რა ვუყოთ, რომ სურათი არ ევარგება, სამაგიეროდ, ის წავა მაღაზიაში, აარჩევს სულ უუძვირფასესს ბაგეტს ჩარჩოსთვის: უყურეთ და დასტკბით ჩარჩოს ცქერითაო. ბევრიცა სტკბება ჩვენში: ჩარჩოც ფულია, არა!

რითმის დევნაში, სულ იმის ცდაში, რომ უნაკლულო და ჰარმონიული გამოვიდესო, ხშირად აზრს ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მაშ დაეიჯეროთ, რომ კარგად ჩაფიქრებულიყო განდევილი, ნ. ბარათაშვილზე ამას იტყოდა:

«შეუერთდები შენს წინაშაჲთ წმინდა საფლავებს,
რასთვისაც მარად წრფელის გრძნობით გიცემდა გული!»

რაცგორ მოგწონთ ეს შეუდარებელი „რისთვისაც“! როგორ, ნ. ბარათაშვილს „საფლავებისთვის“ უცემდა გული? ესეც გახდა ირონია ბედისა დიდებულ პოეტის თავზედ. თურმე, ბარათაშვილს არც აწმყო ჰყვარებია, არც მომავალი სწამებია; მისი იდეალი საფლავში ყოფილა!

იმავე ლექსში („თ. ნ. ბარათაშვილს“) განდევილი სწერს, რომ შენის ძვლების გადმოსვენების გამო „ველი მწვანედ ბიბინებსო“ და

«როს შენს საამოდ უფლავს მსრინდამ სტკეუნ ფრინველნი!»

აი ესეც პროფანაცია დიდებულის პოეტისა! განდევილის აზრით, ჩიტები იმ დღეს (გადმოსვენება პოეტის ნეშტისა) მხია-

რულობდნენ. რათა და რისთვის? რომელი დიდებული ლექსი გაახსენდათ პოეტისა?

განდევილი ლირიკული პოეტია, თუ ის უკანასკნელი სახელი შეიძლება გავიმეტოთ მისთვის, იგი უფრო სტირის, ცრემლს აფრქვევს. მაგრამ საქმე ეს არის, რაზედ და რისთვის? ბევრი ვიფიქრე, ბევრი თავი ვიმტვრიე, მაგრამ საგანს ტირილისას ვერ მივუხვდი. იქნება, თქვენ მიხვდეთ, ჩემო, ფილოსოფოსო მკითხველო; აბა, ერთად გადავავლოთ თვალი ერთ-ერთს მისს ამგვარს ლირიულს გოდებას. რაც მე, უგუნურს, არ მესმის, თქვენ ამიხსენით. ავიღოთ ლექსი—რომელი?—აი თუნდა, მესამე გვერდზედ აღბეჭდილი— „მეგობარს“.

«ნეტა რას სტირი, ძმამაჲ,
 რად მისცემისარ ჭმუნვასა,
 რად აგრე რიგად კედური
 ამ წუთი-სოფლის ბრუნვასა?»

ამ ტაეზში პოეტს თვით არ ესმის, თუ მისი მეგობარი რათ ემდურება ბედს. განეაგრძოთ:

«შენს ამხანაგთან მაგ ტანჯვას
 გულ-წრფელად ხომ აღიარებ,
 სვე-ბედისაგან შემთხვეულს
 მას მაინც გაუზიარებ?»

ხომ ხედავთ: პოეტს ისეთი დარდები ჰქონია, რომ მათი გაზიარება და თქმა ამხანაგთანაც არ შეიძლება. რა ვუყოთ, რომ ნ. ბარათაშვილი ახერხებდა თავის დარდების საქვეყნოდ თქმას, ახერხებდნენ და ახერხებენ მას აკაკი და ჭავჭავაძეც! იმათი დარდები წვრილმანია, სულ სხვაა განდევილის დარდები; იგინი „ამხანაგთანაც“ არ ითქმინან.

«მე კა... მე რა ვქნა, ბედგრულმა,
 რომ ვერ ვაუხებუ ენასა,
 ვერც ვისმეს გაუზიარებ
 ამ ცხარე ტრემლის დენასა?»

მაშ რაღაზედ აწუხებს განდეგილი ან თავის თავს, ან მკითხველისას? თუ კი თავის დარდს არ გვეტყვის, მაშ რაღა შეგვრჩება ხელთ იმის ლექსიდამ? ცარიელი სიტყვების რახარუხი? სხვა ხომ არაფერი? მაგრამ, არა, იქნება, გვითხრას რამე. იქნება ეს სულ პოეტის ოინებია.

«საყრმიდგან ჭმუნვა, ვაწამი,
ამ გულს გრავილი რაც არი,—
ხაღსი ჩამქლავს, ბეჩავს,
თუ ვსთქვი და ენა დაჰმარია...»

დედა, დედა! ეს რა ვარამი ჰქონია, რომ, ვინიცობაა, სთქვა, ხალხი „ჩაჰქოლავს“. ოჰ, ეს ხალხი, ეს ბრიყვი და გაუგებარი ხალხი! ტყულად-კი არა სთქვა ლერმონტოვმაც:

„Посыпалъ пепломъ я главу,
Изъ городовъ бѣжалъ я нищій,
И вотъ въ пустынь я живу,
Какъ птицы даромъ божьей пищи!“

„გასწი, მერანო, შენს ჰენებას არ აქვს საზღვარი“-ც ამ ტემაზეა დაწერილი. ხოლო პოეტი, ოდეს გაურბის ხალხს, ბრბოს, იქ, ზეცაში მაინც, ჰპოვებს მოსვენებას. მაგრამ განდეგილს იქაც ემტერებიან, ზეცაშიაც:

«მაღლით შემრისხვენ და სოფელს
თვალთ ვერ დაკვნახებები,
წრემღს ვერ მადარსებს თვის-ტომი,
უცხოვსგან დაჰიმარსები...»

ეს-კი სწორეთ „რაცაა რაცაა“! როგორ? ისეთი რა ფიქრები განუზრახავს პოეტს, რომ თუ იგი წარმოსთქვა მეგობარიც დასძრახავს, ტოლიც, ამხანაგიც, უცხოც, ყველა, ერთის სიტყვით, და, ბოლოს, თვით ზეცაც, თვით ღმერთიც!

ვერ გამოგია განდეგილის ფიქრები. მაინც და მაინც მათი ადგილი ალბად სისხლის სამართლის კანონებში უნდა იყოს;

თორემ სხვა რა ფიქრი იქნება ქვეყანაზედ ისეთი, რომელსაც ყველა მომავლადი დაჰკმობს და, ბოლოს, თვით „ზეცაც მალ-ლიდამ“!

რა განსხვავებაა, მიბრძანეთ, ასეთს გაუგებარს წერასა და ჩიტუნისას ქრიკ-ქრიკ შორის?... ისიც ზის თავისთვის ხის ტოტზედ და „უბრაგონოდ“ ქრიკ-ქრიკებს. ქვეყანას ამის გამო არცა სცივა, არცა სცხელა. ეს არის განდევილის პოეზია?!

განდევილს არ ეხერხება ამ ქვეყნის პოეტობა; მისი იდეალი მალლა ცაშია. მისი პოეტური მასალა სულ „მზე“ „მთვარე“, „ზეცა“ და სხვა ამისთანებია. მაგალითებრ:

«ფრთა შემსსხა ტკბილ-აღნებსამ,
 წის საკრწეში ამაფრინა,
 მზეს და მთვარეს შემაქრთა,
 ვარსკვლავებთან მომცა ბინა».

დამეთანხმეთ, რომ დაბალი ხარისხის ოცნებაა! ამაზე ნათქვამი: ზოგს „კაცს ნატვრის შნოც არა აქვსო“.

ზნეობრივი მოძღვრება ქ-ნ განდევილისა ძალიან დაიქვეითებს. ჩვენმა საუკეთესო პოეტებმა ისეთი შეუღარებელი ნიმუშები მოგვცეს კაცთ-მოყვარეობისა, ჰუმანიზმისა, რომ, თუ არ წარბებ შექმუხენით და რისხვით, სხვათრიგ ვერ წაიკითხავთ განდევილის ლექსს „ვინც მიყვარს“ (გვ. 64). მე მგონია, რომ ჰოტენტოტებში და კაფრებშიაც დაიდრახება პოეტი, ასეთის საშურისძიებო გრძნობით გამსჭვალული:

«ვინც მიყვარს, მისი სიღრცხლე
 მწუურის და მწუურის მარადა,
 იგი მწამს ღმერთად და სატად,
 ჩემის ცხაკრების ფარადა.
 და ვინც მძულს მისი სიკვდილი
 მინდა და მინდა ჩქარადა,
 რომ აღარ იეოს ამ ქვეყნად
 ის ჩემდა გასამწარადა!»



ქრისტიანობა ათას-რევას ოთხმოც და თვრამეტი წელიწადი იღვწის, რათა მოისპოს, ამოიფხვრას, შემსუბუქდეს მაინც ის გრძნობა, რომლითაც ასე აღსაფხვე ყოფილა ჩვენის პოეტის გული: ვინც სძულს, „იმისი დანახვა“ პოეტისთვის, თურმე, „სიკვდილზე უფრო ძნელია, იმისი ღებნა ატირებს, ახარებს მისი ცრემლია!“ საშინელი სასტიკი და ბოროტი ბძანებულა ქ-ნი განდევილი! ესე ყოველივე ვერა რიგდება პოეზიის მაღლთან.

განდევილის „პოეტი“ აი რა რიგი ტრაბახა ვინმეა: (გვ. 41)

«მე შემიძლიან გაზაფხული ზამთრად შევცვალო
და ზამთარი კი — აღვაყვავო, ვით გაზაფხული;
ზღვანი დაჯაშრო, ქართა ქროლვა შევკრა, შევბოჭა,
ცა აკატირო, ქვესკნელმა სთქვას ტკბილი მსურული!»

ნუ თუ განვაგრძობთ ამოწერა ამ უთავბოლო, უაზრო, უმნიშვნელო სიტყვების გროვისა? არა, თუ მოცლილი ბძანდებით, თქვენ წაიკითხეთ დანარჩენი და რაც იქიდან ან გრძნობა, ან აზრი, ან ფიქრი ამოიღოთ, მე წილს ნულარ დამიდებთ.

„ღირიული უაზრობა“, „უთავბოლო სიტყვათა გადაკინძვა ერთმანეთზედ“ — აი მთავარი ხასიათი განდევილის ლექსებისა. ერთი რამ ითქმის განდევილის ბოდიშის მოსახდელად, სახელდობრ ისა, რომ ის თვით არ აღიარებს თავის თავს პოეტად. ეს სახელი მისმა მტრებმა, ჩვენმა ლიტერატურულმა ხელოსნებმა ძალად მიაჩენეს. თორემ აი თვით ქ-ნი განდევილი რა პატარა აზრისაა თავის თავზედ.

73 გვერზედ პოეტი აღსარებას ეუბნება მკითხველს ლექსში „ვით ცა, საზარლად მგრგვინავი“. აქ თვით აღიარებს, რის შემძლეა იგი და რისა — ვერა. პოეტი ამბობს:

„მსურს ღვთის კურთხევა მიკუძღვნა
კაცთ ნაშრომ-ნაჰმაჯარსა!...
მსურს... მაგრამ ურჩობს გონება,
ქნა არ მემორჩილება!»

მორჩა და გათავდა! განა კაცს, რომელსაც „გონება ურ-
ჩობს“ და „ენა არ ემორჩილება“ პოეტს დაუძახებენ? მაგრამ
ღმერთმა ჰკითხოთ ჩვენს „გაზეთების მკეთებლებს“!

დასასრულ, უნდა ვთქვათ, რომ განდევილმა საკმაო ნიჭი
გამოიჩინა მოთხრობების წერაში; რომ დასჯერდეს იმ სახელს,
ბევრად უკეთესი იქნება.

მე განჯგვარ.